ISSN 0132—6058

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

1993



მურმან ლეგანიძე—70 ოთარ ჭილაძე—60

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს გატონ მურმან ლეგანიძესა და გატონ ოთარ ჭილაძეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ახალ-ახალი ნაყარმოებებით გაეხარებინოთ ჩვენი მრავალათასიანი მკითხველი.

ლაშა ფანჯიკიძე სულ ხუთიოდე წლის წინათ 1987 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლაშა ფანჯიკიძის ნახატების სერიამ — კართველ მწერალთა პორტრეტები. ჟურნალი „ცისკარი“ თავის მკითხველს სწორედ ამ სერიიდან სთავაზობს კართველი მწერლების — ჩვენი იუბილარების გრაფიკულ პორტრეტებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

თებერვალი № 2

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბაღათერ არაბული
ირაკლი ბაზაკაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიბაღლაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეძრეველი
რევაზ მეშველიანი
დავითი ჩჩიდლური
ალეშა ალლუქვაძე
ზაალ სამადლაშვილი
ზურაბ სამადლაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულიკაური
იოანე ქვეფრტელიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
ზვიადან ფლონტი
თემურ შავლაკე
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ციტაშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გიოდერაძე ნოხელი
ედიშერ ჯელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ჯემალ ქირია

შინაარსი

გამოილვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — ებრაულიდან თარგმნა **ჯემალ აჯიაშვილმა**

პოეზია და პროზა

8. ემზარ კვიტაიშვილი — ლექსები
15. კონსტანტინე ნაკაშიძე — გზა მიუკვლეველი. რომანი. დასასრული
51. ჯანო ჯანელიძე — ლექსები
56. ჯარჯი ფხოველი — ფშურლები. — ესსეისტური ჩანაწერები
69. მერაბ ჯიქია — ლექსები
71. გულო კოპიაშვილი — მოთხრობები
83. გიორგი გიგაური — ლექსები
86. ლელა ლაბაზიძე — ლექსები
88. ჯემალ ქირია — მე, როსინანტი... რომანი. დასაწყისი
112. დავით ტიბინაშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

114. ვლადიმირ ნაბოკოვი — ლოლიტა. რომანი. გაგრძელება. თარგმნა **თამარ ლომიძემ**

წერილები

127. როსტომ ჩხეიძე — შურისგება. დასასრული
150. ზაზა წურწუმია — გედია
155. გუნანა ნიეკარაძე — ფოლკნერის ერთი რომანის ქარგული თავისებურება („სული რომ ამოვდიოდა“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნები

ფსალმუნი 7

ბალობა დავითისა, ქუშ ბენიამინელის გამო რომ
ეძღერა უფალს.

2. უფალო ჩემო, ღმერთო ჩემო, ვსახოობ შენით,
   დამიხსენ ჩემთა მდევართაგან
   და დამიფარე;
3. რომ არ შემუსრონ სული ჩემი მსგავსად ლომისა, —
   მსხვერპლს რომ აშთობს და
   არა ჩანს მხსნელი.
4. უფალო ჩემო, ღმერთო ჩემო, თუკი ასე ვყავ, —
   თუ ჩემს ხელებში უსჯულობამ დაისადგურა,
5. ძოზავეს ჩემსას ბოროტებით თუკი მივუზღე —
   მე, ვისაც მტერიც კი დამიხსნია,
   ვინც უმიზეზოდ მავიწროვდა, —
6. დევნილი იყოს ჩემი სული მოშულლის მიერ, —
   წამოეწიოს,
   ფეხქვეშ გათელოს ჩემი ცხოვრება,
   გააცამტვეროს ღირსება ჩემი!
7. აღიძარ რისხვით, უფალო ჩემო,
   აღუდექ შენი მძვინვარებით ძალავებს ჩემსას,
   იფხიზლე ჩემდა — სამართლისათვის, რომელიც შენგან
   დადგინდა წესად.
8. გარე-ძოგერტყმება ხალხთა საკრებულო,
   შენ აღზევდი და ამაღლდი მასზე!
9. უფალი ხალხებს გასამართლებს:
   მსაჯე, უფალო, ჩემი სიმართლით
   და განმიკითხე ჩემული უბიწოებით.
10. დე, აღიკვეთოს უკეთურთა უკეთურობა,
    და შთამძლავრე გულით მართალი,
    რამეთუ გულებს ძირისძირამდე შენ ჩაიძიებ,
    ღმერთო მართალო!
11. ოდენ ღმერთია მფარველი ჩემი,
    ის არის მხსნელი გულით მართალთა.
12. ღმერთი — მსაჯული სამართლიანი,
    ღმერთი — მუდამდღე რისხვისათვის გამზადებული.
13. თუ ვინმე სჯულზე აღარ მოიქცა, — მახვილს აღლესავს,
    მოზიდავს მშვილდს და
    მყის განუწონის განსაგმირავად.
14. და განუმზადებს საჭურველთა სიკვდილისათა,
    ცეცხლოვან ისრებს წარგზავნის მისკენ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. ჰა, ჩაესახა უსამართლობა, და მუცლადიღო უკუღმართობა,
და შვა სიცრუე.
16. ორმო თხარა და ამოსჭრა იგი,
თვითონ ჩავარდა თავისივე გათხრილ ხაროში.
17. შემობრუნდება მისი სიავე მისსავე თავზე,
და მის კეფაზე დაეცემა
მისივე ღვარძლი.
18. ვადიდებ უფალს მისი სიმართლით
და უფლის სახელს ვუგალობებ მაღალთა შინა.

ფსალმუნი 8

გუნდის ლოტბარს. გათის საკრავზე.
დავითის ფსალმუნი.

2. უფალო, ჩემო მბრძანებელო!
რა დიადია შენი სახელი დედამიწაზე,
ცათა წიაღში განფენილა დიდება შენი.
3. ჩვილი ყრაქების და მწოვართა პირით
ძალმორჭმულობა გაიმყარე შენი მტრებისთვის,
რომ შეაფერხო მოშურღე და შურისმგებელი.
4. როცა ავხედავ ზეცას შენეულს — შენი თითების
შემოქმედებას,
შენს მიერ შექმნილ მთოვარეს და ვარსკვლავთა კრებულს,—
5. რა არის კაცი, შენ რომ იხსენებ,
და ძე კაცისა, რომლისთვისაც ზრუნავ და იღვწი?
6. შენ ის დაამცრე ანგელოზთა წინაშე მხოლოდ,
სიდიადით და ბრწყინვალებით დააგვირგვინე.
7. შენს ნახელავზე მბრძანებლად დასვი და ყოველივე
განურთხე ფეხქვეშ:
8. ყოელი პირუტყვი — ცხვარი და ძროხა,
ყოველი სულდგმული — ნადირი ველთა,
9. ფრინველი ცათა,
თევზები ზღვათა,
ზღვის ბილიკებით რომელნიც ვლენან...
10. უფალო, ჩვენო მბრძანებელო,
რა დიადია სახელი შენი დედამიწაზე!

ფსალმუნი 9

გუნდის ლოტბარს. ლაბანის სიკვდილზე.
დავითის ფსალმუნი.

2. უფალო ჩემო,
მთელი გულით შეგასხამ ქებას,
ყველა შენმიერ სასწაულზე ვილაპარაკებ.
3. გავიხარებ და მოვიღხენ შენით
და სახელს შენსას ვუგალობებ, უზენაესო!
4. როს ჩემი მტრები უკუდგებიან,
გამოელევაო ძალა მუხლებში და შენს წინაშე
განიმქრევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. რადგან შენ ჰყავი, უფალო ჩემო, ჩემი მსჯავრი და
მართლმსაჯულება
და ტახტი შენი დაიმკვიდრე, მართლის მსაჯულო!
6. რისხავდი წარმართთ,
ბოროტი მოსპე,
წაშალე მათი სახელები უკუნისამდე.
7. და აღესრულა მოშუღლე იგი, ვით მარადისი ნაპარტახალი,
შენ ამოძირკვე ქალაქები ძირისძირამდე
და წარიხოცა ხსენება მათი.
8. ხოლო უფალი ჰგიეს მარადის,
სამართლისათვის დაიმკვიდრა ტახტი თავისი.
9. და იგი განსჯის სიწრფოებით ქვეყნიერებას,
გასამართლებს სიმართლით ხალხებს.
10. უფალი არის დავრდომილის თავშესაფარი,
საყრდენი მისი — შეჭირვებისას.
11. და სასოებით მოვენდობიან, ვინც შეიმეცნა სახელი შენი,
რადგან არ სტოვებ მაძიებელებს შენსას, უფალო!
12. უმღერეთ უფალს, სიონის მკვიდრნო,
აუწყეთ ხალხებს საქმენი მისნი! —
13. რადგან უფალმა, სისხლისათვის შურისმგებელმა,
მოიხსენა და
არ დაივიწყა უპოვართა მოთქმა-გოდება.
14. ო, შემიწყალე, უფალო ჩემო,
იხილე ჩემი შეჭირვება ჩემთა მტერთაგან
და მე სიკვდილის ბჭეებიდან ამომიყვანე! —
15. რომ განვუცხადო შენეული ხოტბა ყოველი
ბჭეთა სიონის ასულისათა
და გავიხარო შენმიერი მაცხოვარებით.
16. ჩაინთქნენ ქვეყნის წარმართები იმავ ხაროში,
რომელიც თხარეს,
ქსელში, რომელიც დააგეს ჩუმად, —
თვით გაიბლანდა ფეხები მათი.
17. უფალი ჩვენი ქებულია მართლმსაჯულებით:
თავისი ხელის ნამოქმედარმა
ბოროტეული იმსხვერპლა თვითონ!
18. მიიქცევიან ცოდვილები ქვესკნელისაკენ,
და მათ კვალდაკვალ ყველა წარმართი,
ვინც დაივიწყა უფალი ჩვენი.
19. განა დავრდომილს სამუდამოდ დაივიწყებენ,
გლახაკთა სახო საუკუნოდ დასამარდება?
20. აღსდექ, უფალო,
კაცთაგანმა რომ არ იმძლავროს, —
დე, განისაჯონ წარმართები წინაშე შენსა!
21. უფალო,
მათზე შეძრწუნება გარდმოავლინე,
დე, წარმართებმა გაიგულისხმონ,
რომ კაცთაგანნი არიან მხოლოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნი 10

1. რატომ განმდგარხარ, უფალო, შორად, რად მერიდები
შეჭირვებისას?
2. ბოროტეული ქედმაღლობით დევნის უპოვარს,
მაგრამ თვითონვე იბორკებიან
იმავე ზრახვით, რომელსაც ზრახვენ.
3. რადგან ავკაცი
თავისი სულის ავხორცობით ცუდმედიდურობს,
უფალს ჰკიცხავს და
ადიდებს ანგარს.
4. უკეთური კი კადნიერად: „აღარ მომკითხავს,
არა არს ღმერთი!“ — ასეთია მისი ფიქრები.
5. მყარია მუდამ სავალი მისი,
შორს არის მისგან შენეული მართლმსაჯულება,
ყოველ თავის მტერს მიმოაბნევს სულის შებერვით.
6. გულში იქადის: „არასოდეს წავბორძიკდები,
ნათესავიდან ნათესავამდე
არ მოშეწევა ნიავე რამე“.
7. ბავენი მისნი სავსეა წყევით, ნიყალბითა და
გაუტანლობით,
მისი ენის ქვეშ —
ცოდვა ბუდობს და სისასტიკე.
8. ჩასაფრებულა ეზო-კარის შემოგარეში,
ყრუ საფარიდან უცოდველს მოწყლავს,
უბადრუკისკენ აცეცებს თვალებს.
9. დაუდარაჯებს სამალავში, ვითარცა ლომი
თავის ბუნაგში,
გაჭირვებულ კაცს უთვალთვალებს წარსატაცებლად
და წარიტაცებს კიდეც საცოდავს —
მიიტყუებს და ხაფანგში იმწყვდევს.
10. გაიდრეკება, გაწვება მალვით, და ასე — მისგან
დაძალულები —
განირთხმევიან ბეჩავნი პირქვე.
11. თან გულში ამბობს: „დაივიწყა იგი გამჩენმა,
უკუარიდა პირი თავისი და არ მოხედავს ადარასოდეს!“
12. აღსდექ, უფალო,
აღაპყარი, ღმერთო, ხელები,
ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა!
13. რად ჰყვედრის უფალს ბოროტმოქმედი,
რად გაეზრახა თავის გულში:
„შენ არ მომკითხავ!“
14. შენ სცანი, რადგან თვითონვე უმზერ შეცოდებას და
გაბოროტებას,
რომ შენი ხელით აზღვევინო სამაგიერო,
შენ მოგვნდობა არასმქონები
და შენ იქნები ობოლთა შემწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. შეშუხრე მკლავი უკეთურის, ბოროტეულის,
  რომ ეძიონ და
  ვეღარ ჰპოვონ სიავე მისი.
16. უფალი მეფობს უკუნითი უკუნისამდე,
  განიმქრევიან წარმართები მისი ქვეყნიდან.
17. შენ გაიგონე უპოვართა გულისწადილი,
  განაძლიერე გული მათი, ჰოი, უფალო,
18. და სასმენელი მოაპყარ შენი განსაკითხავად ობლის და
                  გლახის,
  რომ ვერაკაცმა —
  ამიერიდან
  ვერ დააშინოს კაცთაგანი ამ ქვეყანაზე.

ფსალმუნი 11

გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.

2. მინდობილი ვარ მე ჩემს უფალზე, და ჩემს სულს როგორ
                  შეესიტყვებით:
  „გადაისვეწე ფრინველივით თქვენეულ მთებში!“
3. რაშეთუ, აჰა, ავკაცებმა მოზიდეს მშვილდი,
  ქვიბურები შემართეს ლარზე,
  რომ სიბნელიდან განუწონონ უბიწო სულებს.
4. თუ საძირკველი დანგრეულია,
  წმინდანმა რა ჰქნას?
5. უფალი სუფევს თავის წმინდა საბრძანებელში,
  უფალი —
  ცათა წიაღშია საყდარი მისი,
  მოიხილავენ მისი თვალები, —
  ქუთუთოები გამოცდიან ადამის შვილებს.
6. უფალი მართალს განიკითხავს,
                  ხოლო უკეთურს
  და ძალადობის მოსიყვარულეს —
  ამოიძულებს სულისთქმა მისი.
7. გადმოაწვიმებს ცოდვილებზე ანთებულ დადარს,
                  ცეცხლსა და გოგირდს,
  და ქარხორშაკის ქროლვა იქნება
  ამ სასმისიდან წილხვედრი მათი.
8. რადგან წმინდაა უფალი და
  სიწმინდე უყვარს,
  და წმინდანები იხილავენ სახეებს მისას.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზარ კვიტაიშვილი

ზაფხული და შემოდგომა ბაზარში

(ხილთა ქება)

თვითონ ვნახე: ალუბალმა
სდია, სდია, სდია, სდია —
ხენდრო, გადაწითლებული,
ბაზრის ბოლოს მიიმწყვდია.

მუქი, ღვარად დადენილი,
ჯერ კი გასდიოდა წვენი,
დაკრეფდნენ და გახდებოდა
ისიც ფოთლებდასაცვენი.

ჟოლომ უთხრა: შეგჭკნობია
ციცქნა ლოყა, ალუბალო,
სადაცაა მოიღევი,
შენაც გეწურება ალო.

ლალისფერ და დიდ-პატარა
კუნწულებად ასხმულ მოცხარს
ყველაფერზე ეტყობოდა —
მალე უნდა მოეცოცხა.

პირი თუ არ დაგეშუშხა,
გაუძელი ლეღვის ხაოს,
მზეზე აციმციმებულმა
მაყვლის გორამ დაგაბრმაოს.

შენც, მაყვალო, გაყვლეფილო,
მოგდებია ვიდრე ობი,
ქილა გელის სამურაბე,
უნდა დასთმო დასათმობი.

ბალს, ნაირფერს, ნუღარ მკითხავთ,
არც ყოფილა წლეულს ანდა,
ჰვირფას თვლებად მომშუქარი,
დამესიზმრა, მომელანდა.

ადი-ჩადის, დაჭყლეტილი,
აქ სასწორის ჯამი, თასი...
გაგიწებავს თითებს თაფლი
აზელილი ხართუთასი.

კრიალას და ჩაშაქრებულს,
ვერც მოვკარი თვალი გარგარს,
ბროლი, მუცელგაღარული,
ისე გაქრა, გადიკარგა.

ზურგდამსკდარი, დასერილი,
რა ლაშქარი მოჰყვა ქლიავს,
ლურჯად, ყვითლად რო ღვიოდა, —
ეთქვი, ღმერთმა ნუ გამოგლია.

მერამდენედ, უძღომელი,
შემძრა შემოდგომის მადამ...
ხავერდი და ალიონის
ფერი გადაკვროდა ატამს.

იქეთ — სათალს, აქეთ — საპობს...
საადრიოს,
საგვიანოს;
ვეღარც აუთავდებოდი,
რომც ვეკითხა, რა ჰქვიანო.

ბეჭდის თვალად ჩასასმელი,
დახრილ დახლებს უტევს შვინდი...
შენ, ტყემალო, თავმომწონევ,
ხომ არ წახდი და შეშინდი.

მოწნულ კალათიდან მოცვიც
დააცეცებს თვალებს გიშრის...
რაც დალანდე, უმალ ქრება,
თითქო წყარო ამოგიშრეს.

ლეონიდეს
ბერიძეს
ბიბლიოთეკა

თავი, ბოლო რომ არ უჩანს,
ვაშლო, მსხალო, მაგ თქვენს ომში,
ოქროს ბურთი, ღუნღლიანი,
ჩაერევა მალე კომში.

ცერიან ფოთლებში რომ ცურავ,
გაჭექილო ვაზის ცურო,
ხილთა მეფევ, კარგად იცი,
რადაც უნდა დაიწურო.

ამდვრეულო,
მოჩქაფუნევ,
გელის — დოქი, ქვევრი, ბოცა...
რას ექნება ქვეყნად მადლი,
შენგან თუ არ დაილოცა.

ვერ დაითვლი ლალ-მარგალიტს,
ბროწეულის გასკდა ქისა...
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა, ვიდრე
მოგვდგომია ჟამი მკისა.

ნუ იფიქრებთ, დამავიწყდა,
გამეგება გემო, ფასი
გარდი-გარდმო გაფენილი
ფეიხოსა, მუშმულასი...

გორავს ნესვი და საზამთრო,
არ მწყინდება დავა მათი...
უნაბს, დაჭორფლილს და წვნიანს
რას აჯობებს ფშუტე ფშატი.

მენდოს, ეისაც თავი უყვარს,
მალე ვეტყვი: აქეთ წამო,
ქვეშ არ დგვიტანოს სეტყვამ
კაკლისა და წაბლისამო.

სამოთხეა ახლა ტყეში,
ენატრობ მიწას, ხავსით მოსილს,
გაიხსენა აჯაგრულმა
ტახმა გემო წიწიბოსი.

ამ ნატვრაში მხდება სული —
შემახედა თვალით ნეტავ,
ვინც სასწაულს გვიმხელს ამდენს —
გულის, ყელის გადამკეტავს.

არ ილევა მჯობის მჯობი...
ზღაპრის დარი,
განსაცვიფრი —
მინდა გაუთავებელი
იყოს ჭიდილი თუ ჯიბრი.

ნაოჭიან, ზურმუხტისფერ
საყელოზე ვიცნო ხურმა...
გამაბრუოს ასნაირმა
სურნელებამ საამურმა.

ხე ნაყოფით შეიცნობა,
გვირგვინია ცისა მზეო,
ისიც უთქვამთ, ვერრა ნახოთ
უმშვენესი ყვავილზეო.

სანთელს ვადრი ყვავილს ლიმნის,
ფესვი მისი ვერ მოღალო;
ყვავილშივე მზის ნათელი
დაგყოლია, ფორთოხალო.

მე მაწვება წვენი მიწის,
ვალში ჩამხრჩვალს,
მწყურვალს, მარტოს,
ისე მაწრიალებს, ვითომ
ყველაფერი მე მემართოს.

ვერ ვიხელთე დრო, ბოლომდე
ჩემი მეთქვა ქება ხილთა...
ის მდინარე მითრევს ჭრელი,
დახვავებულ-დამეხილთა.

ებრძვის თათრულ ბაიათებს
ჩვენი „ჩაკრულო“ და „ლალე“...
რას რა მოსდევს და მოჰყვება —
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე.

აქ მერჩია ჩიჩიალი,
ქუჩის ხმაურს მონაცილებს;
თვითონ ვნახე,
ამ ქოთქოთის
ვიყავ მუნჯი მონაწილე.

წლეულს მოხდა, რაც გიამბეთ,
შევესწარი ნამდვილ ჯადოს,
ჩემი თუ არ გჯერათ, ყველამ
თავის თავზე გამოსცადოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲠᲩᲮᲣᲚᲘ

(მოლანდება)

შუაღამით გაძურწულ სწორუპოვარ საზიზღრობას ასე ვხედავ:
ჯერ სუნთქავს, შხამავს ჰაერს ქვესკნელში ჩამძვრალი,
თვალებდაკუსული, კუზიანი, ჩხრიალა ურჩხული,
ავად სისინებს; მოცახცახე, ხორკლიან კუდზე დგება.
ხელების მაგივრობას, მუცელდაღარული, ტლაპოში
მოთქლაფუნე
ნიანგივით, ორი კაუჭა, კოჭებში გადასამტვრევი ფეხი უწევს.
თვლემა ერევა, სულს ღაფავს, მსხვერპლთაგან დადენილი
კამკამა, ალისფერი სისხლი თუ არ დედინა უძღომარს.
ესაა მოსასპობის მთავარი საზრდო, ჟრუანტელს ვკრის
თვრამეტ-ცხრამეტი წლის უდვთოდ დახოცილი ბიჭების
(გინდ გოგოების) მკერდიდან გადმოსკდარი ცხელი ნაკადული.
(არც მოხუცების და პაპუშვების მოშთობაზე ამბობს უარს).
ამ დროს, უზომოდ ნაამები, მყრალ პირს გააწკლაპუნებს,
უშნოდ დაგუდულ, ჩამოგდებულ ქვედა ბაგეს გაილოკავს,
გაიზმორება, ააღირებს დაკუთხულ, ხოკერა თავს...
საკმარისია (ეს ნამდვილად ვიცი, ვერავინ გადამაჯერებს),
ორ-სამ დღეს არავინ დაკლან ან მოკლან და ვამპირს
შავი ქუთუთოები უთეთრდება, ძალა ელევა, ორკაპა ენას
ურცხვად ასარსალებს, — ჩქარა სისხლი, სისხლი მომაშველეთო.
მისდა იღბლად, ერთმანეთს მხეცებივით ვხოცავთ.
გაოგნებულები,
გზას ვეღარ ვიგნებთ. ვაგლახ, ჩვენივე უგნურებაა მისი ძალა.
ახლაც თავისი აქოთქოთებული, აქოთებული ბუნაგიდან
ღამღამობით გამოხოხდება, აშინებს მხდალს მზის სინათლე.
შემზარავია მისი აკანკალებული, თხასავით კიკინა ხმა...
მესმის შავ მეგაფონზე მისი დაკვანრნხული ფრჩხილების კაკუნი.
ვის უხმობს ეს ზურგმოშვლეპილი, გუდგამხმარი გველეშაპი,
რა მართებს მისი ამ გატყავებულ, დაგლეჯილ, დამწვარ მაწას.
შეშალა ბრბოს თავზე აწოწალმა უწმინდურმა თმაგაწეწილი,
მწივანა, სახეარეული, ალმა-დალმა მოარული ქალები,
თვითეულს, დამშეულ სხეულში, შმორიანი ეშმა ჩაუსახლა.
იხუტებენ, გართხმულნი, ვირთხის ხატს... მინახავს, ბოლოს
ბზეკდა,
დროშის ტარს შემოხვეული მისი დაკოჟრილი, ჟრიალა კუდი...
(ამ ღრიანკალივით მოღუნული კუდის ყოველ დარტყმაზე
ლურჯი ალისგან გალოკილი ყვითელი ბოლქვები ფეთქდება,
კედელ-კედელ მიიკლაკნება ჯოჯოხეთის დამხუთველი
სიმყრალე).

დაბნეულები, ტვინდაბნელებულები ვეღარც ხვდებიან, სატანა
მათ შვილებისა და ძმების სისხლით რომაა გასისინებული.
მთლად ნუ დავბრმავდებით, გათავდეს როკვა მახინჯის,
მკვლელის...

გოგირდი ავუბრჩოლოთ ბნელ სოროში, თავი გავუჭეჭყოთ —

ლექსები
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ჭუჭყიან, მომნუსხველ, სისხლზე მადაგახსნილ უხსენებელს,
გავგულოთ, გავკიდოთ თოკზე უფხო, გაფხორილი საფრთხობელა,
ცას მისწვდეს ხრტილდამტვრეული, დამხრჩვალი ტანის
ხროტინი.
ღმერთო მაღალო, ძლიერო, ჭეშმარიტო, შენ დაშრიტე
მტაცებლის აცა-ბაცა, დაბრეცილი, გამოცეებული თვალები,
წყალობა მოიღე, მოუღე ბოლო მხოხავი სიკვდილის პარპაშს,
ნგრევა და სისხლი ამდენი აკმარე უბედურ საქართველოს.
. . . . . .
არული, არული კუდიანს, მრუდეს, ამყრალებულ ბუდიანს,
ბნელისგან მოცულს და მოძულეს მისივე სიბინძურე მოცელავს.
გავსრისოთ სიბილწე სატანის, თვითონ თუნდ ეგდოს და
ეთრიოს,
ეს (მიმხელს გუმანი მისნური) ყველა მისნაირის ხვედრია.
გაწყალდეს ბოდვები წყეულის, ტვინის და გულ-ღვიძლის
სალაყი...
ბოროტად ხარხარებს, არ ხარობს მისი დასუნთქული ბალახი.
საცა ისრიალა, ყოველგან შხამსა და სამსალას აკმევდა,
მეტად არ გვაჩვენო, მოგვასწარ, გამჩენო,
მისი ხმის ჩაწყვეტა, ჩაკმენდა.

ვანსხვავება

ძილში რომ გაიპარები,
კაი სიკვდილს ეძახიან,
კარგად თუ დააკვირდები,
ალბათ მართლა ასეა;
იქ არც მზე და ვარსკვლავები,
არც ყანა და ვენახია,
იქ ერთია დღე და ღამე,
ევროპა და აზია.

ზოგჯერ გული მოგიკვდება —
რა მიდის და რა რჩება,
შეგძრავს, შეგშლის ეს ქვეყანა —
აწეწილი, აშლილი...
იქ კი არა, აქაც კი ჭირს —
თეთრის, შავის გარჩევა,
ბევრი ამბობს — არ იყო და
არც იქნება საშველი.

არაფერი მისაბოძი,
აღარც მისაბაძავი,
რამდენ რამეს შეელევი,
რამდენ რამეს იცილებ,
არ გექნება საძებარი
საფარი და საცავი,
დუმს სიცოცხლე, იქ ერთია
სიცხეცა და სიცივეც.

გატყდი, მობეზრებული გაქვს
თრევა ასე ბაზრულად,
ეს ისედაც სიკვდილია,
არც ნაკლები, არც მეტი;
მოეშვები ათასნაირ
თავსატეხს და საზრუნავს,
შეება არსად არ გეღირსა,
რაა გულდასაწყვეტი.

ნურა გაგიკვირდება და
ნურაფერზე დაფეთდები,
ნურავისზე დაიჩივლებ —
რა ჭირი დამასია;
თვითონ ხედავ — ქარს, აწყვეტილს,
მიაქვს ღრუბლის ნაფლეთები...
შენც ოგივე გელოდება,
რას გახდები, მასეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ვიქნები...

თვალებში გიცქერ, რადგან ქვემდგომი ემორჩილება ზემდეგს.
ასეა, ასე იყო თავიდან, ასე გრძელდება დღემდე...
მე შევემზადე ისევ საძილედ, წიგნი თაროზე შევდე,
მლვრიე დინებას მივეცი თავი, წყალმა დაძირა ნაფოტა ნავი...
და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, შემდეგ, სულ შემდეგ, შემდეგ...

ასე ვყოფილვარ, ასე ვიქნები, ასე, სულ ასე, ასე,
მე შენი მონა, ცად მონადირე, როგორ ვიფიქრებ სხვაზე,
სასჯელად ღამე მაკმარე შავი, მთლად ნუ გამწირავ,
წყალობა ჰყავი,
ჭირს დაჯერება — ისევ ამოდის ბალახი მოხასხასე.

გაკრიალებულ უფსკრულის თავზე აღარ გათავდა წოლა,
ცას მოსხლეტილი სხეული ჩემი გასწორდა, გაიწელა,
გაჭირდა სუნთქვა, ცოდვაა ყველა — დანთქმული, დასანთქავი,
გიწივის ყური, გიწოვს არყოფნა, თანდათანობით, ნელა.

თავს ვინ შეგწირავს ბოლომდე ანუ ვინ გიერთგულებს ჩემდენს,
შლამ-ღორღი გავსებს და ემსგავსები ბალეში თევზის შემდენს,
პერანგი სველი ტანზე გაშრება, დასულხარ ბოლო შრემდე,
ვინღა გიშველის სიცივისაგან აჟრიალებულს, მაშვრალს...
ისმის: შემდეგი!.. მოდის შემდეგი და ასე შემდეგ, შემდეგ...

ხსნა

ასე ხდება — ქარების,
ცივის, დაბერვამდე,
ჩაბნელებულ, ჩაქუფრულ
ღღეებს ვაფერადებ.

იცის ზენამ, ალვების,
ტანმაღალის, გრეხა,
როცა შეუცნობელი
მწუხარების ტყვე ხარ.

ღღეებიდან ძველებურად
მიყვარს კვირადღენი,
ჯერ, წინასწარ, თქმა ძნელია,
ხად ავყირავდები.

გინდ მიგასწრო იმ ორმომდე,
გინდ შენ მიმასწარი,
გარს ევლება სავალს ვიწროს
ეს წრე, წინასწარი.

თავსაც აღარ ეკითხები —
მოხველ საიდანო,
ურიგდები ბედს, ყოველი
უნდა აიტანო.

შენივ სახის, სასწაულთა
და მიზეზთა გამო,
ბრმა იქნები, ყოვლის ძირი —
ღმერთი არ იწამო.

ისევ

წლები გარბის, უკვე შემკრთალს
გახსენდება, ლილი,
ოქროვანი ტანი ფიჭვის
მზეზე აქერცლილი.

დაჩხვლეტილი ცა ნაძენარის,
ლოდი ჟანგისფერი,
ფეხაკრეფით მოპარული
ჩუმი სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეობაში გრძელი ყელი
ჩანს ტიმოთესუბნის...
შელამება დასალიერს
მაყვლის წვენით თხუპნის.

ისევ მინდა ლეწდეს მუხლი
ვარსკვლავების კალოს;
ხელისგულში მკერდი შენი
ისევ ჩაიმალოს.

ლამის წყევლა მეც დამცდეს
ჟამის, სისხლის მსმელის;
უკეთესი ჩავლილია,
უარესი მელის.

ლეჩხუმის მონატრება

ჯანსუღ ჩარკვიანს

დაგვცქქროდნენ ვარსკვლავები —
ცივნი და უთარღონი,
შეუღწეველ, წმინდა ნისლში
იწვა შენი თარიგონი.

ჩვენ ვეკიდეთ ოქროს ძაფზე —
ირგვლივ მთები დაჯარული...
ეხლებოდა შავ-შავ ლოდებს,
მოყეფავდა ლაჯანური.

მახსოვს დილა და ფოთოლი
ჩაფენილი სოფლის რუში...
ხარის რქებზე გადავლილი,
მესიზმრება ის ბურუსი.

სად დავეძებ იმ სასწაულს,
გამქრალია, აღარ ელავს —
მოცლილ ვაშლის კენწეროზე
შერჩენილი იზაბელა.

არც კარავი გრილი, უფლის,
არც ღვთისმშობლის გვფარავს კალთა;
ოცი წელი, ვაი, როგორ
ელვასავით გარიალდა.

წავიდა და არც თავდება,
სულის ამოხდამდე გასტანს...
ნეტა იმ დღეს... ისე ახლოს
არც ვყოფილვარ მერე ცასთან.

შენ თქვი, სინდის-ნამუსია
ჩვენი ფარი,
ჩვენი შუბი;
შენ იმ დღეს თქვი — საქართველო
არ არისო დასალუპი.

სამადლობელი

შემოდგომავ, შენი ფესვი,
ძირი დაილოცა,
აივანზე გამოგიდგამს
ქარვისფერი ბოცა.

წეროსავით ყელგაწვდილი,
ლაჟვარდ ცას გავძახი,
კომშის ტოტზე შენ დაკიდე
ოქროსფერი კვახი.

რა დავარქვა ამ სასწაულს,
ერთ მოსვლაზე რა ქნა; —
ტყე, ჯაგნარი გადაიქცა
აკიდოდ და ჯაგნად.

სიმარტოვეე, მე, მარტოსულს,
მიცავს შენი რტოვე,
ყველა სისხლში, გულში მიზის,
რაც აქ გამოვტოვე.

ღარიბი ვარ, არ დავეძებ
საჭმელ-სასმელ-საცმელს...
სოველის ნაჩუქარია,
გამაჩნია რაც მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარბე

ეს ლალი და ეს ზურმუხტი,
მარგალიტთა გროვა, —
ყველაფერი მხოლოდ სიტყვას
როგორ შევატოვო.

აწყობილი შრიფტის ბრწყინვას
რანაირად ვენდო,
მე ჩამქრალი, ჩაქროლილი,
როგორ უნდა ვენთო.

ერთი ვიცი, ამ ჭირისგან
ზღაპარია შველა;
სხვასაც არ დააყრის ხეირს,
მე რო მომინელა.

ჩემი დრო

არ ჩაივლის შემოდგომა,
არ აკრიფოს ხარკი,
რაც კი მქონდა, დავკარგე
საბნევ-დასაკარგი.

რაღა მე ამომარჩია
სათრევ-საწამებლად,
წლები, ფერფლად დაცვენილი,
თავზე გადამებნა.

შემოარტყამს ფოტროიან
ხეს ნაჯახის ყუას,
გავარდება ოქროს მტვერი, —
სხვა რა გამომტყუოს.

მეც ვწუხდები, თავი როგორ
დავიტოვო ასე;
მეც რაღაცა მრჩება სოველის
ყოველ ჩამოვლაზე.

მითქვამს, ვერა დამაკლოს-რა
ჟამმა აწინდელმა,
თუ არ ფასობს ქვები ჩემი,
მერე გაბრწყინდება.

ფიქრი უქმი, გაცდენილი,
ცის კიდესაც გასცდა,
სულს რომ მიზრობს, არ მასვენებს,
სიხარბეა კაცთა.

ჟამო, თაფლად დადენილო,
მკლავდი, მაჟრჟოლებდი,
შენგან ფუთფუთებდა ტანში
სევდა განშორების.

ჩემისთანა ბრმა, უბირი,
გაღმა გავა ოღეს,
სხვას არავის, შემოდგომას
უნდა უმადლოდეს.

ნუგეში

თედოს ვუთხარი სულ ბოლოს,
კიბისგან გახრულს, გაღერღილს:
ისეთი ჟამი დაგვიდგა,
სიცოცხლე შეტად აღარ ღირს.

ხელი გადამდო, დამთანხმდა:
ვართ გაღეჭილი კვეიო;
ვწალიჩობთ, დარჩენილი გვაქვს
ორიოდ პარასკევიო.

მზის წვენი, ლარი ოქროსი,
გაბმული იყო მცხეთამდის...
უკვე ვიცოდი, ფეხზე მდგარს
უკანასკნელად ვხედავდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ნაკაშიძე

გზა მიუკვლეველი

რომანი

●

ზარი გაბმულად რეკავდა.

ლევან ლაშაურმა კარი გააღო — მის წინ უცნობი ქალიშვილი იდგა.

ლევანმა უხერხულად გაუღიმა.

— რა დრო დადგა, მეზობლებს ველარ ვცნობთ! იქნებ სახლში შეგეპატიჟებინე?

— მობრძანდი.

ქალიშვილმა გამომწვევი სითამამით შეაბიჯა ბინაში, შინაურულად ჩამოსკუპდა დივანზე და ფეხი ფეხზე გადაიდო — ჩამოქნილი ტან-ფეხი ჰქონდა.

— ლევან ბაბუას ძალიანაც ვუყვარდი, — რაღაცნაირი ქადილით თქვა და მაშინვე დაამატა: — სიგარეტი გაქვს?

ლევანმა მიაწოდა და ასანთს გაჰკრა.

— მაინც რას უნდა მივაწეროთ თქვენი ვიზიტი, ლამაზო ბანოვანო?

— ლამაზი ბანოვანი კი არა, ნაიმ მქვია, ეტყობა ეგეც დაგავიწყდა!

ლევანმა დუმილი არჩია, თან ტვინი გაუბურღა ფიქრმა, ვინ ნაიაა ნეტავ, ქალიშვილი კი ეშმაკურად მოწკურული თვალებით შესცქეროდა და საქმის ცოდნით უშვებდა პირდან ცისფერი ბოლის წვრილ ჭავლებს.

ლევანს მისი ქცევა კიდეც ართობდა და თან აღიზიანებდა ოდნავ.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — ირონია გაურია ხმაში.

— ტელეფონი მჭირდება, — ჩვენი არ მუშაობს. რადგან ყავას არ მთავაზობ, დავრეკავ და წავალ.

— კონიაკზე რა აზრისა ხარ?

— შეიძლება, — ნაიამ ტელეფონი დაითრია, მუხლებზე დაისკუპა და მერე დიდხანს ელაპარაკა ვიღაცას. რაზე ლაპარაკობდა, ძნელი ამოსაცნობი იყო — სამზარეულოში გასულ ლევანს მხოლოდ „არ გამაგიჟო“ და „კარგი რა“ ესმოდა.

ამასობაში ლევანმა ყავა მოადუღა და კონიაკის ბოთლთან ერთად ჩამოდგა მაგიდაზე. კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ქალიშვილს და ახლაღა იცნო. იცნო და ტაში გასცრა — ეს ვოო იმ მოწმის, ღამით ფანჯარაში გადმომდგარი მოხუცი ქალის, შვილიშვილი იყო, რომელმაც სასამართლოზე მისი დანაშაული დაადასტურა. მშვენივრად იცოდა, რომ ნაია, რომელიც მოკლე კაბიანი და კიკინებმოფრთხალე ახსოვდა, საერთოდ არაფერ შუაში იყო და სიმართლე რომ ითქვას, არც ბებიამისს მიუძღოდა იმაში ბრალი, რომ მხოლოდ ლევანი და ელა დაინახა, წინ გაჭრილი „ექიმი“ კი ვერა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხებელში მოწოლილ ბოღმას.

უფრო დაჟინებით დააცქერდა ქალიშვილს.

„რა სწრაფად იზრდებიან მეზობლის გოგოები“, — გაახსენდა სადღაც ამოკითხული. — თუმცა რაღა მალე, ათი წელი არც ისე ცოტა დროაო, — დაამატა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისთვის და ამის გახსენებამ კიდეკ უფრო მოუშბამა გუნება.

ნაიამ, როგორც იქნა, ყურმილი დადო და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

— ყავაზე ვგიჟდები, კონიაკს არ დამიხსამ?

ლევანმა ორი სირჩა შეავსო და ისე გადაჰკრა, ნაიას არ დალოდებია. მერე ყავა მოსვა — რაღაც ძალიან არ ესაამონა ცხელი სითხე და ისევ ბოთლს მისწვდა.

ნაია ყავას წრუპავდა, კონიაკისთვის ხელიც არ უხლია.

— რატომ არა სვამ?

— დავლევ, რა მეჩქარება!

— მაშინ, მოდი, შენს მოსვლას გაუმარჯოს! — შეატყო, რომ ღელავდა დ. რაღაც, უსაშველოდ საზიზღარი აზრი უმწიფდებოდა თავში. ისევ გადაჰკრა და იგრძნო: უცებ მოეკიდა სასძელი.

ქალიშვილმა ამჯერად ოდნავ მოსვა კონიაკი.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ გაგრძელებაც ხომ სჭირდება? — ლევანი გვერდზე მოუჯდა და ჯიქურ შეაცქერდა მოშიშვლებულ მუხლებსა და მტკიცედ ამობურცულ კკერდზე. გრძნობდა, რომ უბამსად იღიმებოდა, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა თავის თავს.

— ძალზე მოუთმენელი ყოფილხარ, ამფიბია! — მოესმა უცებ და ცივწყალგადასხმულივით, წამსვე გამოფხიზლდა. აუტანლად მოუნდა ლამაზი სილა გაეწნა ამ თავხედი გოგოსათვის, მაგრამ თავი მოთოკა და თითქმის მშვიდად უთხრა:

— დიდად მადლობელი გახლავართ, მშვენიერო ბანოვანო, ვიზიტისათვის. ახლა კი, თუ შეიძლება, კარი მიიხურეთ, — თან თვითონვე ნერვები მოუშალა ამ ყალბმა პათეტიკამ, რომელიც საკმაოდ ბრიყვულად ჟღერდა.

ნაია წამოდგა და ოთახის კარი მიხურა.

— ოქვენ ვერ გამიგეთ, — ვერაფრით შეცვალა სტილი და ეს უფრო აბრაზებდა, — სიტყვაში „მიიხურეთ“ მეორე „ი“ გამოგრჩათ და ამიტომ, გაუგებრობაშია ყველაფერი რომ არ ჰქონდეს, განმარტავ: ეს იმას ნიშნავს, ბინიდან გახვიდეთ და კარი მიიხუროთ.

— აჰა, გასაგებია! — დაძაბულად გაიცინა ქალიშვილმა და გასასვლელისკენ გაეშართა. საკეტმა გაიჩხაკუნა თუ არა, იქიდან მოისმა:

— ქართული ენის კანონების მიხედვით ამ შემთხვევაში სჯობდა, ზმნა „გიიხურე“ გეხმარა! — კარი გაიჯახუნა და ბინაში უჩვეულო, მძიმე სიჩუმე დატოვა.

ლევან ლაშაური კარგა ხანს გაუძრეველად იჯდა ამ სიჩუმეში. მერე რაღაც გაახსენდა, ტელეფონის წიგნს ეცა, დიდხანს, ნერვიულად ფურცლავდა, ბოლოს მიაგნო, რასაც ეძებდა, და ნომერი აკრიფა.

— ალო! — მოისმა ყურმილში.

ლევანი დუმდა.

— დებილი ხარ ვიღაცა! — ანჩხლად თქვა ნაიამ და ყურმილი დაახეთქა.

ლევანმა სიგარეტს მოუკიდა და დივანზე გაიშხლართა.

ვერაფრით ვერ ახსნა, საიდან იცოდა იმ ლაწირაკმა გოგომ ის მტანჯველი სიტყვა, „ამფიბია“, რომელმაც ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, ისე აუგმინა მოელი არსება, როგორც ჭრილობაში ჩაჭრილმა მარილმა.

●

თამბაქოს საფრმო მაღაზიაში თბილისელთაოთვის უჩვეულოდ დიდი რიგი იდგა.

— რა ხდება? — იკითხა ლევანმა.

— „მალბორო“ უნდა გამოიტანონ.

ლევანს არსად არ ეჩქარებოდა და რიგში ჩადგა.

— მალე იქნება? — ვერ ისვენებდნენ რიგში მდგომნი.

— მაიტანენ, — მოკლედ პასუხობდა გაბეზრებული ზორბა გამყიდველი, — ნეტა ეგ არ მოჰქონდეთ და... ატყდება ეხლა ერთი ამბავი....

— სოხუმისაა? — დაინტერესდა ვიღაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, პირდაპირ ვაშნაგტონიდან მოდის, — გაიღრიჭა გამყიდველი.

რიგი ნერვიულობდა, მოთმინებას კარგავდა.

ამ დროს მაღაზიაში ერთი გამხდარი, ტყავისკეპიანი კაცი შემოვიდა, იდაყვებით გიკაფა დახლისკენ გზა და ხრინწიანი ხმით იკითხა:

— „კურორტნი“ არი?

— არა.

— ვა, საქმეა, პაპიროსი ვეღარ გიშოვია კაცს! — უკმაყოფილოდ შებრუნდა და კარისკენ გაეშურა.

უცებ ორ წამოჩიტულ ბიჭს ხველებასავით აუტყდა სიცილი, ორიოდე წამში კი მთელი რიგი გულიანად ახარხარდა.

ტყავისკეპიანმა გაკვირვებით მოიხედა.

— გაკლიათ, აი! — ხრინწიანი ხმით თქვა და ქუჩაში გავიდა.

როგორც იქნა, მოიტანეს ნანატრი სიგარეტი.

გამართლდა გამყიდველის ნათქვამი — ატყდა ერთი აურზაური, ურიგოდ შეკრამა თუ ფულის გადწოდება, ლანძღვა და გაწევ-გამოწევა...

ლევანმა ორი კოლოფი იყიდა და გარეთ გამოსულისთანავე მოუკიდა. სიგარეტს სასიამოვნო არომატი ჰქონდა, მაგრამ უნვეულოდ რბილი იყო და თუმცა ორი ღერი მოსწია ზედიზედ, მაინც ვერ გაიქარვა უკმარისობის გრძნობა.

— სიგარეტი არა გაქვთ? — შეაჩერა ვილაცამ. — ვა, შენ ლევანი არა ხარ? ნაღდად ლევანი ხარ! როდის ჩამოხვედი? ვერ მიცანი? ანიკო ვარ, ძნელაძე, მეათე მეორიდან.

— როგორ არა, — დაბნეულად გაუღიმა ლევანმა და გონებაში მერეღა აღიდგინა მისი სახე. ისიც გაიხსენა როლ, ანიკოს ხუჭუჭა, წაბლისფერი თმა ჰქონდა და სკოლის ჩემპიონი იყო მაგიდის ჩოგბურთში. ახლა ეს თმა მოგონებასავით შემოხვეოდა კეფას და საგულდაგულოდ გადალოკილიც კი ვეღარ ფარავდა თავის კანის მუხანაურ ლაპლაპს. საღ-ღა იყო კაფანდარა ბიჭი — მომრგვალებული მუცელი გასაფრენად გამზადებული პერანგის ღილებს მოსწოლოდა და მხოლოდ თვალებიღა უმზერდნენ ძველებური ინანბაზობით, ან სწორედ ისე, პინგპონგის თამაშით საქმაგაცლილ, დამარცხებულ მეტოქეს რომ უთანგრძნობდნენ ხალმე ყასიდად.

— აი, ახლა ნამდვილად მიცანი, — გაიცინა ანიკომ, — შევიცვალე, არა? რას იზამ, დიდი დრო გავიდა. შენ კი ძველებურად კარგ ფორმაში ხარ. მაშ, მომაწევინებ?

ლევანმა „მალბორო“ გაუწოდა.

— ოჰო, შენ აღარ ხუმრობ! კოჭებში, გატყობ, არაფ

აც იყიდი, რამე რო იყოს!

— რატომაც არა! — ლევანს რატომღაც უცებ მოეწონა ეს გაშნაურება.

— აბა წავედით, საცაა გაიღება...

— ახლა საით? — იკითხა ლევანმა, როდესაც ორი ბოთლი არაყი იყიდეს, — ჩემთან ავიდეთ, თუ გინდა.

— არა, მოდი, ქელებური გავიხსენოთ.

— ბაღში დავლიოთ? — გაეღიმა ლევანს.

— არა, წამო და მე ვიცი, — ანიკო საქმიანი ნაბიჯით გაეშურა წინ, ცოტა ხნის შემდეგ დეტური სასადილოს კარი შეაღო, კუდაგუდ მიეახლა მებუფეტეს, ბოთლები მიაწოდა, ამას მიმიხედეო, დაუბარა და ლევანი კუთხის მაგიდასთან მიიწვია.

ცოტა ხნის შემდეგ გამხდარმა, შავზეშავმა დახლიდარმა მაგიდაზე არყით სავსე „ბორჯომის“ ორი ბოთლი, პური, ყველი და ლიმონათი ჩამოდგა.

— ერთხელაც იქნება, გამქარავენ და შენზე იქნება ჩემი ცოდო, ანიკოჯან.

— კარგი, ნუ წუწუნებ! მე რომ არ შემოვდიოდე, გეგმას ვინ შეგასრულებს? მიგიხურავენ და ეგ იქნება!

— ისეც მიხურული არაა? მიხურონ და მეც გზას ვეწევი, რადა!

— შემინახე?

— ჰო, მოგიტანო?

— მოიტა, მოიტა შენი ზარმაცების ხაში!

— ხაში და დიეტური სასადილო?!.

— ხაშს დიდი სამკურნალო თვისებები აქვს, ძმაო! — გაიცინა აჩიკომ, — მაგარი შებერტყილია რაფო, გაუჩენელ! გააჩენს, თუ გინდა, ოღონდ წუწუნი უყვარს. მე მგონი, დიეტასაც სპეციალურად იცავს — შემხედეთ, რამეს რი ვშოულობდე, ასე გამხდარი ვიქნებიო?

რაფო მალე მობრუნდა და ორი სავსე მთლაფა მოიტანა.

— ერთი დაგვლილე, — ჭიქა შეუვსო აჩიკომ.

— თქვენს პურის ჭამას გაუმარჯოს, — რაფომ არაყი გადაჭკრა, მერე პურის ნატეხი მიაყოლა და იკითხა: — მწვადი შეგიწვათ?

— ჯერ არ გინდა.

— თუ მოგინდეს, კარგი სამწვადე მაქ, — რაფო გატრიალდა.

— ჯიგარი ხარ, — დაადევნა აჩიკომ ღა ლევანს მოუბრუნდა, — აქ არავინ შეგეკ. წუბებს, „ხაშისტები“ კარგა ხნის წასულები არიან, უცხო არავინ შემოხვეტება და რომც შემოვიდეს, ყველას კი არ იღებს რაფო — მარტო ძველ კლიენტებს ენდობა. აბა, მიდი, თორემ გაცივდა!

ლევან ლაშარი ხაშის დიდი მოტრფიალე არასოდეს ყოფილა. უფრო იმიტომ, რომ ძილი უყვარდა, ხოლო ძილის მოყვარული კაცი და ხაში ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ, უფრო სწორად, ვერ უსწრებდნენ.

ძველი ხელოსნების მიერ დადგენილი წესით, ხაში უთენია, სამუშაოს დაწყებამდე მისართმევი კერძი იყო — ასე ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში. მერე ეს ხელოსნები, უთენია რომ იწყებდნენ საქმიანობას, წლებს გაჰყვნენ, ხაშის ადრიანად ჭამის ტრადიცია კი რატომღაც დღემდე შემორჩა.

— კარგი რამეა! — სიამოვნებით ამოიოშვინა აჩიკომ და არაყი ჩამოასხა, — შეგვეწიოს ერთი სახარება!

გადაჭკრეს.

— კიდევ კარგი, შემხვდი, თორემ ეიღუპებოდი კაცი, ლამის გასცდა გული ღა თანაც, ჯიბრზე, უკაპიკოდ ვარ ახლა.

— მოხდა რამე?

— კი მოხდა. როგორ გითხრა... თუ ეცა, იცი რა, მოდი, ნურაფერს მკითხავ, ყველას თავისი ჰყოფნის, სხვისი რომ არ დაიმატოს...

— ვინმემ თუ გაწყენინა, ვუთხრათ ერთი ორი სიტყვა!

— მფარველობას გამიწევ? — აჩიკოს ირონია არც დაუფარავს.

ლევანს გულიანად გაეცინა — ეს ბიჭი, რომელთანაც ადრე ახლოს არასოდეს ყოფილა, სულ უფრო და უფრო მოსწონდა.

— თუ ძმა ხარ, მითხარი, რატომ ხდება, რომ ციხიდან გამოვა თუ არა კაცი, მაშინვე რაღაც წარმოუდგენელი შარა-ვანდედით იმოსავს თავს, რატომ უჩნდება უპირატესობის გრძნობა? ვითომ ყველა ვაჟკაცია იქ და მხდალები, სუსტები ან სულაც ნაძირალები არ ჯდებიან? ხერიოზულად გეკითხები — მე იქ არ ვყოფილვარ, იმედი მაქვს — არც მოვხვდები და უფრო ამიტომ მაინტერესებს.

ლევანი ჩაფიქრდა.

— როგორ გითხრა... ხალხი იქაც, როგორც გარეთ, ათასნაირია. ოღონდ ის კია, რომ იქ ხელისგულზეა ყველაფერი: ძალიან დიდი მსახიობი უნდა იყო ალბათ, საკუთარი სისუსტე ან სიდამპლე არ გამოაჩინო, რადგან ამისთვის სულ პატარა შემთხვევა, ერთი ნიუანსიც კი საკმარისია... რაც შეეხება უპირატესობის გრძნობას... ეგ, მე მგონი, ბოლომდე მარტო ბრიყვებს ეუფლებათ... ან რომელ უპირატესობაზეა ლაპარაკი, როცა აგე, ამნაირი ლაზარაკი ბიჭი — ვიტრინიდან ქუჩაში მდგარი ჯარისკაცი დანახა — ავტომატით ხელში გადვას თავზე და საკმარისია, საათაც არ შეიძლება, იქით გადადგა ზედმეტი ნაბიჯი, ცოფიანი ძაღლივით დაგცხრილავს...

ლევანი წამით გაჩუმდა — აჩიკო ყურადღებით უსმენდა.

— იქ სულ სხვა ცხოვრებაა, იქ გატარებული დრო — დაკარგული დროა, რომელსაც ვერაფრით აინაზღაურებ... უსაშველოდ გაჭიმული დღეები, როდესაც მონოტონურად ეორდება ერთი და იგი-

ვე, და ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს დრო გაჩერდა, რადგან არაფერი არ ხდება, არც განსაკუთრებული, არც მნიშვნელოვანი, უბრალოდ — დღეგანრიგი მეორდება გაუთავებლად და ეს იმდენად საშინელია, ძალლივით ყმუილი ან თავის მოკვლა მოგინდება... ძნელია, ძალიან ძნელია გაუძლო და პირუტყვად არ იქცე, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, თავს რომ არ უდალტე, კაცად, ადამიანად დარჩი, იფიქრო, ეს რა განსაკუთრებულად კარგი ვინმე ვარო და როგორც შენ ამბობ, შარავანდედით შეიმკო თავი, ბრავეი უნდა იყო და მეტი არაფერი. პირქით, მადლი უნდა შესწირო გამჩენს, გაძლების ძალა რომ მოგცა და საბოლოოდ არ გაგწირა.

— გამჩენს რომ ახსენებ, ღმერთი მართლა გწამს?

— მაგაში თვითონაც ვერ გავრკვეულვარ, ხეირიანად, ძალზე რთულია ყველაფერი...

ლევანმა არაფი ჩამოასხა, ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა და გადაჰკრა.

— მე ჯერ არავისთან მილაპარაკია ასე გულახდილად, ან ვის უნდა ელაპარაკო? სიმართლე რომ ვთქვა, შენ პირველი ხარ, ასე ბუნებრივად, უბრალოდ რომ იქცევი. სხვები? ზოგი საერთოდ არ მამჩნევს, თვალს მარიდებს — ეგ არაფერი, ეგენი კიდევ სხვებს სჯობიან; არიან ისეთებიც, ვინც ისე მხვდება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს ორი დღის წინათ ვვენახოს ერთმანეთი, მაგრამ სხვების რა გითხრა და მე კი სიყალბეს ისევ ის თვალის არიდება მირჩევნია.

ისინიც ბევრი ვნახე, ფული რომ იშოვეს — აი, ეგეთი მანამდე არ მოგეშვება, ვიდრე რომელიმე რესტორანში არ შეგათრევს, სადაც იცის, რომ მის ჯიბეს პატივისცემით შესცივინებენ, ვიდრე არ დაყრის ოთხკაციან სუფრაზე იცის სამეყოფ საჭმელ-სასმელს და გულ-ღვიძლს არ ამოგიღებს ძველბიჭური სადღეგრძელოებით, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ ამით დიდ სიამოვნებასაც განიჭებ და თავსაც გაწონებს....

— ძალლი ახსენე და ჯობი ხელში აიღეო, — გაიცინა ანიკომ, — აგე, იმას თუ იცნობ? — ქუჩაში მხარბეჭიანი, დიდულვაში, თვალებამდვრეული კაცი მოდიოდა.

— ვინ არის?

— ზუსტად ეგეთია, შენ რომ თქვი, თანაც სამთვრალეში ჭიქების ჭამა უყვარს.

— წამოუვა ხოლმე გადმობრუნებულ ლაშებზე სისხლი და პურ-მარილის სახსენებელს შეგაჯავრებს... თუმცა, ჯანდაბას მაგისი თავი, სიტყვა შეგაწყვეტინე.

— ჰო, ზოგი ისე მხვდება, თითქოს დიდი დანაშაული მიუძღოდეს ჩემს წინაშე — იმაში, რომ ინსტიტუტები დაამთავრეს, დისერტაციები დაიცვეს, სამსახურებში დაწინაურდნენ, თანამდებობებზე მუშაობენ... იქნებ, ზოგს მართლა არაკაცობით მიუღწევია ამისთვის, მაგრამ ყველას ხომ არა? ჰოდა, გიდგას ასეთი რეგვენი წინ და ისე დამორცხვებით გალუღლუღებს, ილონდ, რა თქმა უნდა, სხვა სიტყვებით: მაპატიე, ლექციებს რომ ვკითხულობ და ეს ათი წელი, შენსავით, ხის ჭრასა და ბარაკებში არ გავატარეო, რომ სისხლი აგიდუღდება და გინდა მთელი ძალით სთხლიშო სიფათში. ნეტა, რისი რცხვენიათ ამისთანებს, თუ იცი? ნუთუ იმის, რომ ციხეში არ ამოჰყვეს თავი? და სწორედ აქედან ხომ არ უჩნდებათ ბრიყვებს ის უპირატესობის გრძნობა?

— არაა გამორიცხული, — თქვა ანიკომ და საკმაოდ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, ჩამოსხმულ არაყს კიდევ ეროი კითხვა მოაყოლა:

— მუშაობ სადმე?

— ჯერჯერობით არსად.

— მილიცია არ გაწუხებს?

— მომაკითხეს უკვე. ამ დღეებში სადმე თუ არ გავფორმდი, არ მომშვებიან:

— საერთოდ რას აპირებ?

— უნდა ვეძებო.

— ვინ უნდა ეძებო?

— ის ქალი... ელა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ, განა ის... ცოცხალია?!

— შენ, ალბათ, მიახლოებით მაინც გახსოვს ჩემი ამბავი?

აჩიკომ თავი დაუქნია.

— ჰოდა, მთელი ეს წლები ამაზე ღიღი საფიქრალი არ მქონია... მე ხომ ვიცი, რომ ის ქალი არ მომიკლავს. ყველაფერი ისე იყო აწყობილი, მაშინ ვერც გავერკვიე და რომც გავრკვეულიყავი, არც ამას ექნებოდა ღიდი მნიშვნელობა, რადგან ვერაფერს დავამტკიცებდი... მერე და მერე ბევრი შეუსაბამობა აღმოვაჩინე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქალი ცოცხალი უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში — იმას ამტკიცებს, რომ ამ ღამეს არ მოუკლავთ. მე მხოლოდ ერთს ვეტყვი — მისი მოკვლა რომ ნდომოდეთ, სახლშიეე დაკლავდნენ პურის ღანით ღა მკვლელობა მაინც მე დამბრალდებოდა. ნმელი ინსკენირება იმისთვის დასჭირდათ, ჩემთვის ჩაუდენელი დანაშაული დაებრალებინათ, ის კი ცოცხალი დარჩენილიყო.

— კი მაგრამ ის გვამი, წყალში რომ იპოვეს?..

— ვერავინ დაამტკიცა, რომ ის ქალი მართლა ელა იყო...

— ესე იგი, უბრალო ღამთხვევაა?

— ეგ „უბრალო ღამთხვევაა“ ძალიან გამოადგა ყველას, ჩემს გარდა... ან ღამთხვევაა ან კიდევ... მოკლედ, ვიპოვეელას ღა მერე ვნახოთ...

— იმის, გარდა, რაც მითხარი, ხელეს მოსაკიდი თუ გაქვს რამე?

— არაფერი... ერთი კაცის იმედი მქონდა ღა ისიც ცოცხალი აღარ ღამხვდა. არა უშავს, ნათქვამია, ეძიებდე ღა ჰპოვებდეო.

— ეგ სხვა რამეზეა ნათქვამი, — წყნარად თქვა აჩიკომ.

— შეიძლება, მაგრამ მე სხვა საძებარი არაფერი მაქვს, — ლევანი ღრმად ჩაფიქრდა.

— რომ ვერ იპოვო?

ლევანს მისი სიტყვები აღარ გაუგია... ...ოთახში განება ჭამით შეწყდა, მხოლოდ ბღავილი ღა კვნესა ისმოდა.

— ეყოფა, უფროსო!

— შენს საქმეს მიხედე! — შეეკამა ნა სერჟანტმა ღა ისევ გამეტებით ჩასცხო ჩექმიანი ფეხი იატაკზე მოკუნტულ სხეულს.

— ეყოფა, შემოვაკვლება...

სერჟანტმა არამკითხე ღამცველს შემოხედა.

— შემომკვლება ღა გზაც იქით ჰქონია! — მერე სანახევროდ შემობრუნდა. — გეცოდება?

— ადამიანის შვილია, რაც უნდა იყოს.

— ჰმ, ადამიანის შვილი! — ნაბიჯი მისკენ გაღიდგა, არყისა და ნივრის ოხშივარი შეაფრქვია სახეში, — იქნეღ, შენც ადამიანის შვილი ხარ?

 იმან არაფერი უპასუხა.

— შენზე ხომ არ განვაგრძოთ? — წამით თითქოს ღაფიქრდა, მერე თანაშემწეს მიმართა: — ვითომ რითაა ცუდი ობიექტი, პეტკა-სულელზე გაცილებით ჯანიანი ჩანს.

იატაკზე მოკუნტულმა პეტკა სულელმა, რომელსაც აქამდე ორი მთრალი მუტრუკი ისე, გასართობად უბაძქუნებდა, ჭაკუა იხმარა ღა ისე ვაიტრუნა, თითქოს მისი კვნესა-ყმუილი არ იკლებდა ამ ორიოდე წუთის წინათ აქაურობას.

— ჰა, რა აზრისა ხარ? — შეეკითხა სერჟანტი ღიმილით, თითქოს ერთოს სასაამოვნო რამეს სთავაზობდა.

კაცმა მზრები აიჩეჩა ღა ღაბაუნად გაიღიმა.

— ხედავ, ვასკა, წინააღმდეგი არაა. — მთრალი კაცის სიცილი მოაყოლა სიტყვებს სერჟანტმა ღა მერე პეტკა სულელს ღასჭყიტა: — ეი, შენ, ძაღლიშვილო, გაეთრიე აქედან, სანამ გადამფიქრებია!

პეტკა-სულელმა აღარ გააშეორებინა, ჯერ ფორთხვით გაშორდა საშიშ ადგილს, მერე ძაღლივით, ოთხზე შეიმოკლა მანძილი კარამდე ღა ისე გავარდა გარეთ, თვალის ღახამხამებაც ვერ მოასწრეს.

— მაშ, ეყოფაო, არა? ვნახოთ, შენ რამდენი გეყოფა!

— ან იქნებ ჰგონია, ეგ წოფილი კოჭია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვერაფერს გავუბედავთ? — თქვა ვასკამ, როგორმა.

— შენ ჯერ მოიცა, ვასკა, ჯერ მე მოვსინჯავ, — თქვა სერჟანტმა და სიტყვის დამთავრებისთანავე, შემობრუნებით გაარტყა სახეში.

დარტყმა მოულოდნელი იყო და ძლიერი. კაცი წაბარბაცდა, მაგრამ მაინც შეიკავა თავი, არ წაიქცა.

— არ გინდა, უფროსო, არ მეკუთვნის მე ეს...

— ჰმ, არ ეკუთვნის! შენ იცი, ვის რა ეკუთვნის და რამდენი? — მეორედ მოუქნია ხელი.

კაცმა სახეზე მკლავის აფარება მოასწრო და სერჟანტის მუშტი იდაყვში მოხვდა. სერჟანტს, ეტყობა, ხელი ეტკინა და ამან უფრო გააცეცხლა.

— ხელები! ხელები ჩამოუშვი! — იღრიალა და უფრო გამეტებით დაუშინა სახესა და მუცელში, — იცოდა თავისი საქმე.

„თუ წაავქეცი, გამოელავენ“ — გაუელვა კაცს და იმასღა ცდილობდა, არ წაქცეულიყო.

— წაიქეცი! — სერჟანტმა ქამარი შეიხსნა, — ვასკა, მომეშველე!

ვასკა სიამოვნებით მიეშველა, — მასაც არაყი უელავდა თვალებში.

ახლა ორნი ურტყამდნენ, ხან ერთად, ხან მონაცვლეობით, რამდენჯერმე რკინის ბალთაც მოხვდა თავში.

— წაიქეცი! — ღმუოდა სერჟანტი, — წაიქეცი, მე შენი დედა!..

კაცი ზუზგით კედელს იყო მიყრდნობილი და როდესაც ისინი დროებით, ხელის მოსათქმელად შეჩერდებოდნენ ხოლმე, წყნარად ამბობდა:

— გეყოფა, უფროსო...

— მე ვიცი, მეყოფა თუ არა! ადარ წაიქცევი, ძაღლის გაგდებულო! — და ისევ გრძელდებოდა ხათქაზუთქი.

ორივეს ოფლი ჩამოსდიოდა წურწურით, მძიმედ, ხმაურით სუნთქავდნენ, კაცი კი ისევ ფეხზე იდგა, ოღონდ გრძნობდა, რომ ცოტაც და ვეღარ გაუძლებდა, მერე კი ყველაფერი შეიძლება გათავებულიყო რკინით დაჭედილი ჩექმების ქვეშ.

ჯერ მაინც იდგა.

პირველი სერჟანტი შეჩერდა — როგორც ჩანს, მეტის თავი ადარ ჰქონდა, თანაც არ უნდოდა, ვასკა მასზე ძლიერი გამოჩენილიყო და სუნთქვა მოიბრუნა თუ არა, ბრძანა:

— კმარა!

ვასკამაც თავი მიანება, გახსნილ-ნაგებული მუშტები ჭუჭყიანი ტილოთი შეიწმინდა და კრძელ ძელკამზე ჩამოჯდა.

კაცმა ამოისუნთქა.

ახლადა იგრძნო, როგორ ჩასდიოდა კეფიდან კისერში თბილი, წებოვანი სითხე. სახეზე ხელი მოისვა — სულ მოლად გაუწითლდა ხელისგული.

— იოლად გადაგვირჩი, ბოთლი არაყი შენზეა, — გაიღრიჭა სერჟანტი, — ახლა შეგიძლია წაბრძანდე და სხვის საქმეში ნუღა ჩაჰყოფ ცხვირს!

კარი გამოაღო და ეზოში გამოვიდა. ორიოდე ნაბიჯით რომ მოსცილდა შენობას, გაუკვალავ თოვლში გადავიდა და თოვლით მიიწმინდა სახე. მერე ბარაკისკენ გასწია. უხმოდ მიაშურა თავის ადგილს, წამოწვა და თვალები დახუჭა.

ბარაკში ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა, მერე ისევ ახმაურდნენ ჰატიმრები.

შიგადაშიგ ესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები, ძალუმად უცემდა გული, ტრიალი ახრჩობდა, უცრემლო, ბოლმანი ტირილი.

— მაგასაც მოსცლია, — თქვა ვიღაცამ, — თავი აცემინო და ისიც ჰეტკა-სულელის გულისთვის?

— ჰო, ჰეტკა-სულელის გულისთვის ნამდვილად არ ღირდა, — დაემოწმა მეორე.

„რა შუაშია ჰეტკა-სულელი!“ — უნდოდა ეძღვალა კაცს, მაგრამ ხმის ამოღების თავი არ ჰქონდა.

— აჰა, გამიმართვი!

თვალი გაახელა — გაზეთის ქაღალდში ვრძლად გახვეულ თამბაქოს აწვდიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოართვა, აკანკალებული ხელებით მოუკიდა.

პირველივე ნაფაზზე მიხვდა, რაც იყო და მეორე, უფრო ღრმა ნაფაზი მიაყოლა.

უფრო ძლიერად აუბაგუნდა გული.

„გასკდი, თუკი გასასკდომი ხარ, შენ...“ — ბოღმით გაიფიქრა და კიდევ უფრო ღრმად ჩაისუნთქა თბილი, მოტკბო ბოლი...

...— ეგრე ვერ იცხოვრებ, ცოდვა ხარ, გაიტანჯები, — თქვა ანიკომ.

— რა მითხარი? — გამოერკვა ლევანი.

— ვერ გაუძლებ-მეთქი.

— ბოღმა გამაძლებინებს! — თქვა ლევან ლაშაურმა და წამოდგა, — და თუ ვერ გავუძელი, ჯანდაბას ჩემი თავი!

●

კაფეში ისხდნენ და ყავას სვამდნენ.

აქამდეც რამდენჯერმე შეხვედრია ნაია, მაგრამ ისე ჩაუარა ლევანს, თითქოს ვერ ამჩნევსო, დღეს კი, მოულოდნელად, ქუჩის მეორე მხრიდან დაუძახა, მანქანებით გადაქცეული პროსპექტი სირბილით გადმოჭრა, ბუხრუჭების წივილი და მძღოლის უწმაწური შეძახილი გამოიყოლა, ღიმილით მიეახლა და ყავაზე გეპატიჟებიო, ახარა.

ჰოდა, უკვე მესამე ფინჯანს გამოუჩენენ ძირი. ნაია კარგა ხანია ჯიუტად დუმდა, ლევანს კი არც თავიდან ჭქონდა მასთან სალაპარაკო და ახლა თავის თავზე მოსდიოდა ბრაზი — არ უნდა წამოვყოლოდიო, ფიქრობდა.

მაგნატოფონმა მორიგი მელოდია ჩაათავა და სიჩუმე სულ აუტანელი გახდა.

— ყავას დალევ კიდევ?

— ჰო, მოიტანე, მანამდე კი სიგარეტი მომეცი.

ლევანმა მიაწოდა, ასანთი მოუკიდა და ყავის მოსატანად წავიდა.

მობრუნებულს ნაია ისევ ღრმად ჩაფიქრებული დახვდა და ლევანიც კვლავ სიგარეტს წაეტანა.

— იცი, დღეს ეკლესიაში ვიყავი.

— მართლა? — ლევანს ერთი სული ჰქონდა, როდის გავიდოდნენ აქედან და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა მოვიმიზეზებინა, რომ შინ ერთად არ მისულიყვნენ.

— გაიგე, რა გითხარი?

— გავიგე, ეკლესიაში ყოფილხარ, — თქვა ლევანმა და დაამატა: — ერთ წამს მომეცადე, ტელეფონზე დავრეკავ და ახლავე დავბრუნდები.

— მოიცდის ტელეფონი! — უხეშად თქვა ნაიამ და სიგარეტი ნერვიულად დასრისა ლამბაქზე.

— რაო? — გაკვირვებისგან დაიბნა ლევანი.

— არსადაც არ დარეკავ, რადგან არსად არა გაქვს დასარეკი. ახლა, უბრალოდ, იმაზე ფიქრობ, თავიდან როგორ მომიცილო. ხომ მართალია?

ლევანმა რადაც წაილუღლუღა, მაგრამ ნაია არ უსმენდა, თვალგაშტერებული ჩასცქეროდა ყავის ფინჯანს.

— მე ბავშვი აღარა ვარ, — ბოლოს თავის თავს უთხრა თითქოს და მერე, მოულოდნელად, ხმაპასუხაით განაგრძო: — შენ რომ ის შინ მოიყვანე, მთელი კვირა ვტიროდი, სულ გადავრეე ჩვენები, ვწუწავ ხოლმე დამდამობით და ჩემთვის, ჩუმად ვტიროდი... შენ კი, იმის მეტს, ვერავის და ვერაფერს ხედავდი... სიგარეტი მომეცი!

ლევანმა მაშნვე გაუწოდა და ასანთს გაჰკრა.

ნაიამ ღრმა ნაფაზი დაარტყა და ისევე გაჩუმდა.

— მომისმინე, ნაია, — როგორც იქნა, ამოღერღა ლევანმა, — მე შენზე...

— ეიცი, — შეაწყვეტინა ქალიშვილმა, — ათი წლით უფროსი ხარ და ამიტომ აზრადაც არ მოგხვლია მსგავსი რამ. მაგრამ მაგას მაშინ ჰქონდა, ალბათ, მნიშვნელობა, შენ რომ ოცის იყავი, მე კი ათისა. წელანა ვთქვი, ბავშვი აღარა ვარ-მეთქი: ერთ ჩემს თანაკლასელს ხუთი წლის ბიჭი ჰყავს უკვე, მეორე კი ორკერ გათხოვდა-გამოთხოვდა!

ლევანმა ვერაფერი უპასუხა და რაც რომ გაეკეთებინა, უგულოდ მოწრუპა გაცივებული, უგემური ყავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წავიდეთ! — თქვა ნაიამ და წამოდგა.

...სადარბაზოში რომ შევიდნენ, ნაიამ სრულიად უმიზეზოდ, ხმამაღლა გაიცინა და ლევანს ჩამოეკიდა მკლავზე.

— რა იყო?

— შეგეშინდა, არა?

— რისი შემეშინდა?

— რა ვიცი აბა, მთელი გზა გამოშტერებული მოდიოდი.

— მერე ეგ გაცინებს?

— არა, სხვა რამე. ხომ გითხარი, ამ დილით ეკლესიაში ვიყავი მეთქი.

— მერე რა არის მაგაში სასაცილო?

— ერთი შეგობარი გადამეკიდა, აღსარება გულს დაგიმშვიდებსო და გავყევი.

ლევანმა ვერც ამაში დაინახა რამე სახხიარული, თუმცა ნაია ამ მოგონებას ეტყობოდა, კარგ ხასიათზე დააყენა.

— მდგელს ვუთხარი, ჩემზე ათი წლით უფროსი, ნაცოხარი კაცი მიყვარს და როგორ მოვექცე-მეთქი. იმან კი — სადამის გამოიარე და გეტყვიო. მოკლედ, პაემანზე დამიბარა. ეტყობა, იმნაირი ვეგონე, არა? — ისევ ხმამაღლა გაიცინა ნაიამ და მარცხენა ხელით ისევ აუწია თმა ლევანს, პატარა ბიჭებს რომ მიეფერებიან ხოლმე. — გამოტყდი, ის დღეს რომ შემოვედი, შენც ეგ აზრი გიჭიატდა, არა? ან, იქნებ, ეხლაც ეგრე ფიქრობ, ჰა? — და პასუხისთვის არ დაუცდია, ისე უბიძგა შუბლზე ოდნავ ხელი, სიცილით ავარდა კიბეზე, პირველივე ბაქანზე შეჩერდა, ლევანს გადმოხედა, ეშმაკური დიმილით ენა გამოუყო და ისევ სირბილით აუყვა კიბეს.

●

ოთახი სიგარეტის კვამლში იხრჩობოდა, რასაც ვერც გამოლებული ფანჯარა შველოდა, რადგან ოციოდე ქალ-ვაჟი განუწყვეტლივ აბოლებდა. განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ: ბევრი მათგანი, როგორც ჩანს, ჯერაც ჩუმ-ჩუმად, მხოლოდ სხვაგან, ახლობლების წრეში თუ ბედავდა მოწევას და ამიტომ ზედიზედ აბოლებდა მონატრებულ სიგარეტს.

მაგიდაზე მხოლოდ ტკბილეული და ხილი იდო. ქალები შამპანურს წრუპავდნენ, ყავის ფინჯნები ამოებრუნებინათ და თავიანთ რიგს ელოდნენ, ერთ-ერთ ფინჯანს კი მეტისმეტი სერიოზულობით ჩასცქეროდა ბიჭურად თმაშეკრეჭილი გაწრეპული ბოგო, ყურადღებად ქცეულ ფინჯნის პატრონს რაღაცას ეუბნებოდა და თან დროდადრო, ნამკითხავების დასადასტურებლად, ყავის ნალექში ახედებდა.

მეორე ოთახში მაგნიფოტონი თავის ჭაპანს ეწეოდა, თანაც საკმაოდ ხმამაღლა, ასე რომ, მაგიდასთან მსხდომთ ერთმანეთისა ძლივს ესმოდათ. ლევან ლაშაურმა იგრძნო, რომ ნელ-ნელა ეკიდებოდა სასმელი. დათრობა სულაც არ უნდოდა, ისედაც კარგ ხასიათზე იყო და სწორედ ამიტომ წამოყვა აჩიკოს მისი ბიძაშვილის დაბადების დღეზე, მაგრამ ახლა, ცოტა არ იყოს, უხერხულადაც გრძნობდა თავს, რადგან აქ არავის იცნობდა, მის ერთადერთ ნაცნობს კი აღრე მოსტყდა კისერი და ახლა არხეინღ ფშვინავდა საწოლ ოთახში.

კარგა ხანს იჯდა მაგიდასთან, თითქოს ყველასთან ერთად, მაგრამ მაინც მარტო, ორიოდე უმნიშვნელო ფრაზა თუ თქვა ამ ხნის განმავლობაში, ლამაზ მთელი კოლოფი სიგარეტი ჩაათავა და უკვე თავის თავზე მოსდიოდა ბრაზი, მგონი, სულ გაველურდიო, ფიქრობდა.

უცებ საშინლად მოსწყინდა, წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა, სავარძელში ჩაეფლო, პატარა მაგიდიდან რაღაც, უცხო ჟურნალი აიღო და გადაფურცლა.

— ყავას ხომ არ ინებებთ? — ლევანმა ვერც კი გაიგო, როდის შემოვიდა აჩიკოს ბიძაშვილი, ეკა, თუმცა არც ეს იყო გასაკვირველი, რადგან გაშმაგებული ბღაოდა რომელიღაც შლაგერს ამშვავალი მზის ქვეშნიდან მოვლენილი ელექტროსაოცრება.

ლევანმა ვაუღიმა და ფინჯანი ჩამოართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მოიწყინოთ, — უთხრა ქალიშვილმა და ოთახიდან გავიდა.

ლევანი სიამოვნებით წრუპავდა ცხელ სითხეს და ჟურნალს ათვალიერებდა.

ოთახში რამდენიმე წყვილი შემოვიდა, საცეკვაოდ.

ლევანმა მათ მიადევნა თვალი და:

— ყავას, კიდევ ხომ არ დალევთ? — მოესმა.

მის პირდაპირ, სავარძლის სახელურზე, მოკლეკაბიანი ქალიშვილი ჩამოჯდა, საგარეკი რატომღაც პირდაპირ იატაკზე დაფერფლა და ისე, რომ პასუხისთვის არც კი დაუცდია, დამატა: — არც ფინჯანი ამოგბრუნებიათ, არ გინდათ, გამოთხოვთ?

— მე მეგონა, აქ ამ საქმის მხოლოდ ერთი დიდი სპეციალისტი იყო, — გაიღიმა ლევანს, — მაგ მკითხაობის მაინცდამაინც არცა მჯერა, ყავას კი სამოვნებით დავლევდი, რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად.

— კონიაკსაც? — ეკითხა თვალები მოწკურა და კიდევ ერთხელ დაფერფლა იატაკზე — მაგიდაზე მდგარი საფერფლისათვის არც შეუხედავს.

— მოვიტანო? — თავისივე ხმა მოესმა ლევანს.

ქალაშვილმა თავი დაუქნია, სახელურიდან სავარძელში გადაინაცვლა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ბუქ, ბადისებრ წინდებში გამოკვარფული ბარძაყები ლამაზ ბოლოდე გამოაჩინა.

ლევანი წამოდგა, მეორე ოთახიდან კონიაკის ბოთლი და ორი სირჩა შემოიტანა და ისევე სავარძელზე დაჯდა.

— აი, ყავა კი...

— ჯანდაბას ყავა, — შეაწყვეტინა ქალიშვილმა, — კონიაკი დავლიოთ! — შენი სახელი ვიცი, მე კი მაიკო მქვია. მოდი, ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს! — გაიღიმა და კაცურად გადაჭკრა.

ლამაზი იყო და ღიმილიც უხდებოდა; ეტყობა, არც კოსმეტიკას იზოგავდა.

ლევანმა თავი დაუქნია და თვითონაც დალია.

— ვიცეკვოთ? — მეორე სირჩის შემდეგ შესთავაზა მაიკომ.

— ჯობია ასე ვისხდეთ... მე რახანია არ მიცეკვია, მგონი, დამავიწყდა კიდეც...

— შეიძლება, ვითომ, ადგილზე ტორტმანის დაეიწყება? მაზურკა და კრაკოვიაკი აღარც მე მახსოვს, — გაიცინა მაიკომ, — თუმცა, იქნებ, თითოც გადაგვეკრა... სითამამისთვის?

ლევანმა გაიღიმა და წამოდგა.

ცეკვავდნენ.

ლევანს რატომღაც ოდნავ თავბრუ ეხვეოდა და იყო ამაში რაღაც საოცარი, მივიწყებული თუ არგანცდილი ნეტარება. ირაოდეს ეგონა, თუ ამდენი სიამოვნების მოგვრა შეეძლო ნახევრად ბნელ ოთახში, ბლუზის რიტმში, ქალთან ცეკვას: თანდათან უფრო ათრობდა მოქნილი სხეულის რბილი სურნელება და ყელზე ოდნავ შემოფრქვეული თბილი სუნთქვა. არ იცოდა, რამდენ ხანს გრძელდებოდა ასე, ოღონდ ერთი სურვილი კი ჰქონდა — დაუსრულებლად გაგრძელებულიყო ცეკვა, არავინ ჩარეულიყო ამ ბედნიერებაში და უეცრად მთელი არსებით იგრძნო, როგორ გადაიქცა ნაზი სუნთქვა ოდნავ ათრთოლებულ ჩურჩულად:

— იცი, მგონი, მომწონხარ, არ მოგბეზრდა აქ ყოფნა?

— წამოხვალ ჩემთან? — ლევანს სუნთქვა გაუხშირა ამ სიტყვებმა.

ქალიშვილმა გაღიმა და თავი დაუქნია — ნეტა მოეჩვენა, თუ მართლა სიხარულით უელავდა ქალს თვალები?..

...— მართლა არ გახსოვარ?! — შეკითხვა წამოწოლილ სიჩუმეში გაისმა.

ორივენი ფართო საწოლზე იწვნენ და სქელ ფარდებს შორის შემოჭრილი სინათლის სუსტი სხივი ირიბად ჰკვეთდა მათ შეკვრულ სხეულებს.

მაიკო წამოდგა და სიგარეტს მოუკიდა.

— ნუთუ ასე შევიცვალე?! მე კი დანახვიხთანავე გიცანი.

ლევანმა არ უპასუხა — არაფერს, ამდგვარს, არ მოელოდა.

— წრიპა გახსოვს?

— მერე?

— მაშინ წრიპას სიყვარულის ამბა-

ვიც გემახსოვრება, — თქვა მაიკომ, ნე-რვულად გაიცინა და იკითხა, — დასალ-ვი გაქვს რამე?

— სამზარეულოში კონიაკი უნდა იყოს.

მაიკომ კონიაკი შემოიტანა და დაი-ხა.

— გაგახსენდი? ძალიან შევიცვალე?

— რა ვითხრა.. ალბათ, არც ისე. უბ-რალოდ, არ მოველოდი. გაცნობის კი-მედია რაღაში დაგჭირდა?

ქალიშვილმა არ უპასუხა, საწოლზე ჩამოჯდა და ხელახლა მოუკიდა სიგა-რეტს.

დავიწყებული ამბავი ნელ-ნელა ამო-ტივტივდა...

...ყველა წამოჩიტულ ბიჭს მეტ-ნაკ-ლებად უქრის, თავის გამოჩენის სურ-ვილი არ ასვენებს და არც ისინი გამო-ირჩევდნენ სხვა თანატოლებისაგან. გ-ნსაკუთრებით სკოლის დამთავრების შ-მდეგ აიწყვეტეს — „აცვენილი“ ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „ვაჟკაცობა-ში“, დღეღაღამ ჩხუბის მიზეზს ეძებდ-ნენ და რადგან არც მიზეზი ელეოდათ, ხშირად ჩხუბობდნენ კიდეც.

თავშეყრისას მოწიწებით წარმოთქვამ-დნენ ცნობილი „გამრტყმელების“ სახე-ლებს, ამაყობდნენ მათთან ნაცნობობით, გატაცებით ყვებოდნენ სხვადასხვა უბა-ნში მომხდარი ბატალიების ამბებს, ტყუ-ილს და მართალს, გაგონილს თუ მოგო-ნილს.

ერთ-ერთი ასეთი, იმ დროს ერთობ პოპულარული ამბავი, რომელიც არავინ იცოდა, სად ან როდის მოხდა, ანდა საერთოდ მოხდა თუ არა, თბილისის თი-თქმის ყველა უბნის „ბირჟაზე“ შეიძ�lebodeba moesmina kaci, rogorac sWorad aq, sadRac, am an meWobel uBanSi moxdari:

saRamo xanS, viwyro qufaze, aTiod-di bizi idza — arc sadme wasaslebeli „vaRanebis“ egulebodnan, arc sa-sZlelo fuli hqondan, etyoba, lafdanlaRarTobac mobaZRebodnan, hoqo idgen da xanTad abolebdnen sigaretebs.

uecrad erTi, xeli moyrdnobili biWi gamocicxlda:

— Wexedi, e!

xanTad gaixedeli.

qufas gamxdari, saSualo tanis biWi moufebodaa.

qera oma saguldagulod daeWaCxna, oTxi saqelebze „xapelaa“, xelo-na piqaqis jibidan — cxvirsaxeoba amoSvebrilia samkuTxedi moufanda, tanac oqrisfer xarxiaani saTavlecqa eqcoma.

mTel am „aorTrefebs“ is aqvirvebdeda, rom uCnobs violinis budeqa eqira xelSi — mokldeq, tipiuri „dedis-kis biWi“ iyo, mTlad violinisaa!

biWebi gaxalisdnen — amaze uqcoeb gasarTobs verc inaTrebdnen: violaq „qaxaq“ violinis maaTrebdeq.

— yuradRebas nu maaqcebT, moreq gaiqceqa, — Tqa yvelazeq avtoritetiaanma.

biWebma isaeTi saxebebi maiRes, TiTqos saerTod ver amCnebdnen mimavalsi, magram mcevnelebsa, etyoba, maCnes raRac ivrdzin, qufis gaRma gadaeqeqa, magram maCnes maTkenS moRdiodaa da mokaxlebdaa mu arc, xgubs orr biWi gamoeyo da misken gaeSura.

— erTi wuTiT, megobar!

— mee?

— ki, Sen, — uqcq axlebi iyvnen da aRar mirxidebian, — mee ra, Tqa xar? biWi wamoeqneo.

— moRa ra, nu gabarazebi, — daqeqebebi uTxra mokxlebulma mesame, — erTi TxovnaSi gqaq Senebs! — cemas merecq moasWrebdnen, xeri gaqTobs unxdebaa.

„dedaqis biWi“ uqcq mWidrm alyaSi iyo moqceqebuli, TavS verafrit daaRebuli.

— ra Tqvna?

— ra da simfoniuri musiqa mogcenatra, — uTxra erTi-erTma da „xapelaa“ gausWrra, — dmyrad, unda dagvakra.

biWi SeyoymaNda.

— ara mcelena, pedagogTan magvanaN-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება, — ნაღდად „დედიკოს ბიჭი“ იყო, ისეთი სიტყვა-პასუხი ჰქონდა.

— პედაგოგი მოიცდის ცოტა.

— ჰო, დიდხანს არ გაგაჩერებთ, დიდ-დიდი, ერთი-ორი საათი! — უთხრა ახლა სხვამ და ჯაბიდან ცხვირსახოცის სამკუთხედი ამოუწია.

— სად დავუკრა? — თითქოს დათანხმდა მევიოლინე, — აქ, ქუჩაში?!

— ვითომ რატომაც არა, სულ ქუჩაში არ უკრავდნენ ცოგნები?

— მე ბოშა არა ვარ!

— ტყემ ბოლეე! — დაამშვიდა ვიღაცამ.

— არა, ქუჩაში არ შემიძლია, — გაჭიანურებულდა მუსიკოსი, — აქ აკუსტიკა არ არის!

— ვა! არა, ეხლა კონსერვატორიას აგიშენებთ! დაუკარი, რო გეუბნებიან, — გაბარაზდა ავტორიტეტიანი ვიოლინოს ბუდეს წაეტანა, — დაუკარი, თორემ დაგლეწე შენი სკრიპკიანა!

მუსიკოსმა ვიოლინო მკერდზე აიკრა და კედელს აეკრა შეშინებული — არა, ნამდვილად „დედიკოს ბიჭი“ იყო!

— იცით რა, — გაახსენდა უცებ ვიღაცას, — აგე, იმ პადიეზდში შევიდეთ, ჩოშიანი აკუსტიკაა!

— ჰო, იქ შეიძლება, — დათანხმდა მევიოლინეც.

ყველანი შიგნით შელაგდნენ. ფართო სადარბაზო იყო, შესასვლელში „Salve“ ეწერა იატაკზე, ძველებური კიბე მართლაც ამფითეატრს წაგავდა.

— იცით, მე აქ მომწონს კიდეც, — თქვა უცნობმა, — ამბობენ, პაგანინიც ასე უკრავდაო ხალხის წინაშე.

— მორჩი ბაზარს და დაიწყე!

— ახლაეე, ახლავე! ოღონდ მე ზემოთ დავდგები, თქვენ კი აქ განლაგდით, ასე მეტი ეფექტი ექნება.

— კარგი, ეგრე იყოს! — ბიჭებმა ხელგარეტებს მოუკიდეს: წარმოდგენა იწყებოდა.

მევიოლინემ თხუთმეტიოდე საფეხური აიარა, შემობრუნდა და დინჯად გახსნა ვიოლინოს ბუდე.

— დავიწყო?

— დაიწყე რა, შე ჩემა!

— ოღონდ იცით, ერთი თხოვნა მეცა მაქვს თქვენთან.

— რა თხოვნა! — უკვე სერიოზულად გაბარაზდა ავტორიტეტიანი, — დაუკარი თუ უკრავ!

— მე დავუკრავ და თქვენ იცეკვეთ, ნაბიჭვრებო! — ამ სიტყვებთან ერთად ბუდე გვერდზე გადაგდო და დამცინავად გადმოხედა ქვემოთ მდგართ.

ბიჭებს ენა ჩაუვარდათ — „დედიკოს ბიჭს“ ხელში ვიოლინოს ნაცვლად ავტომატი ეჭირა, ნამდვილი ავტომატი!

— იცეკვეთ, მე თქვენი დედები... —მეჭახეულ გაისმა სადარბაზოში და უფრო მჭახე მოკლე ჯერმა სულ გააყრუა იქაურობა, კედელს ბაიქაში ააგლეჯა.

ბიჭებმა კარებში დურთეს თავი.

ორიოდე წამში გაუკაცურდა სადარბაზოც და ქუჩაც, ასე რომ, არავის დაუნახავს — საათ წავიდა ის უცნაური „დედიკოს ბიჭი“ თავისი უცნაურრეგვალა ტრიანი „ვიოლინოთი“...

...წრიპა ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც კარგად იცოდა ამგვარი ამბები ღ შეეძლო დილიდან საღამომდე ელაპარაკა ამაზე. ყველა ქუჩური ბატალიის უფროსი მონაწილე იყო, რადგან ჯანიც მოსდევდა და კარგადაც ჩხუბობდა. ახლავან, მხარბეჭიან ბიჭს ძალიან არ უხდებოდა ბავშვობიდან შემორჩენილი ეს მეტსახელი, მაგრამ უკვე შეჩვეოდა, ვიწმეს ქუჩაში მისთვის ნათლობის სახელი — როსტომი რომ დაეძახა, ალბათ, არც მოიხედავდა.

საკვირველი ის იყო, ძმაკაცებში პირველად მან იხმარა ჩხუბში დანა, თანაც მაშინ, როდესაც ამას საჭიროება სულაც არ მოითხოვდა: — ერთ-ერთი „შუბურის“ დროს, ისედაც ნაცემ-ნაგეგვ ვიღაც ბიჭს ბარძაყში ჩაარტყა დანა.

ეს პირველი დაჭრა იყო მთა პრაქტიკაში და ყველა შეშინდა. ყველაზე უფრო — თვითონ წრიპა, ალბათ დაჭრილზე მეტადაც კი. ორიოდე კვირა სადღაც იმალებოდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ არ უჩივლეს და იოლად გადარჩა, ისევ გამოჩნდა უბანში, მაგრამ უკვე რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღაც ახალი, თვითდაჯერებული გამოჩენილებითა და მიმოხვრით, და ამის შემდეგ მორჩა, ხელით აღარ უჩხუბია, უბრალო შელაპარაკების დროსაც კი მარჯვენა ხელი ჯიბეში ედო, ძმაკაცებთან ლაპარაკში კი ხშირად იმეორებდა აკეიატებულ, იდიოტურ ფრაზას: ძალარად გინდა, როცა ჯიბეში ტექნიკა გაძევსო.

ასე იყო თუ ისე, ამ შემთხვევამ შეხმწნევად გაზარდა თანატოლებში წრიპასა ავტორიტეტი, მისი ძმაკაცები კი მაღალ ზიებს შეესივნენ, ჯიბეები სხვადასხვა ყაიდის დანებით დაიმძიმეს და, თანდათან, ჩვეულებრივ საქმედ გაიხადეს ჩხუბში დანის ხმარება, თუმცა ერთი კი იყო: მოწინააღმდეგის სასიკვდილოდ გამეტებას ჯერ ვერ ბედავდნენ, უმეტესწილად დუნდულებსა და ფეხებში ურტყამდნენ ხოლმე.

თბილისში დანის მოყვარულ და მარჯვედ მომზმარე კაცს რა გამოლევს, ღა ერთხელ თვითონ წრიპასაც ვაუყარეს დანა. ძალიან ძმიმედ იყო დაჭრილი, — მუცელში, სამ საათს უკეთებდნენ ოპერაციას, ძლივს გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ამან კიდევ უფრო მეტი შარავანდედიდან შემოსა მისი, როგორც „ძველი ბიჭის" სახელი და, საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, მთელი უბნის აღიარებულ ლიდერად აქცია.

სწორედ მაშინ დაადგა წრიპამ თვალი მაიკო ბეთანელს, რომელიც მათსავე სკოლას ამთავრებდა იმ წელიწადს.

მთელ უბანს მოედო ეს ამბავი, თუმცა წრიპას ხმაც არ გაუცია გოგოსათვის, რადგან სასიყვარულო საქმეებში დანა, მოგეხსენებათ, დიდი ვერაფერი იარაღია, სხვა საშუალებებს კი, ეტყობა, წრიპა მაინცდამაინც ვერ ფლობდა.

როგორც გაიარკვა, მაიკო ბეთანელი ორ თანაკლასელ ბიჭს მოსწონდა კიდევ და ეს რიანდები, მეშვიდე კლასიდან მოყოლებული, თურმე დროდადრო მუშტებით უმტკიცებდნენ ერთმანეთს საკუთარი მხურვალე გრძნობის უპირატესობას სწორედ ეს ორი ბიჭი გახდა წრიპას ჩიყვარულის პირველი მსხვერპლი კარგახანს იწვნენ ცხელპირდასიებულება და დუნდულებში დაჭრილები. იმ დღიდან ყველამ ირწმუნა, რომ წრიპა აღარ ხუმრობდა.

ამასობაში გზაფხულიც გავიდა.

მაიკო ბეთანელმა სკოლა დაამთავრა, უნივერსიტეტში მოეწყო და გამოცდების დამთავრებისთანავე დასასვენებლად გაემგზავრა.

აგვისტოში კი, ერთ-ერთი ბინის გაქირდვის ცდისას, წრიპა ორ ამხანაგთან ერთად დაიჭირეს და სამი წლით გაამწესეს „დანაშულებისამებრ".

ერთი წელი ისე გავიდა, მისგან არაფერი ისმოდა და მაიკო ბეთანელი ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა: მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლით გარშემორტყმული, განებივრებული გოგო არც ერთს არ ანიჭებდა უპირატესობას, რადგან გათხოვებაზე ფიქრი ნაადრევად მიაჩნდა.

წლინახევრის შემდეგ წრიპასთან ერთად დაჭერილი მისი ძმაკაცი გამოვიდა ციხიდან და ამბავი მოიტანა — წრიპა ქურდად „წამოაყენესო". ცოტა ხნის მერე კი ვიღაც უცნობმა წრიპას წერილი გადასცა ქუჩაში აყუდებულ მის ძმაკაცებს. მოკლე პარათში წრიპა მედიდურად იტყობინებოდა: გავიგე ჩემი გოგოს გარშემო თურმე ვიღაც ტიპები ტრიალებენ და საქმეს მიმიხედეთო.

ძმაკაცებისთვის მისი სიტყვა ადრეც კანონი იყო, ახლა კი მით უმეტეს, და დატრიალდნენ. მაიკოს თაყვანისმცემლებიდან ზოგი შეშინდა, ვინც არ შეშინდა — ან დაჭრა, ან უმოწყალოდ გაილახა, ბოლოს დაჭრილ-დაუჭრელიც და გალეხულ-გაულახავიც მიხვდა, რომ ეს მხოლოდ პრელუდია იყო, მთავარი კი წრიპას გამოსვლის შემდეგ დაიწყებოდა. ამიტომ ზოგმა მაშინვე იბრუნა პირი, ზოგმა კი ნელ-ნელა მოუკლო, შემდეგ კი სულ მიანება თავი ბეთანელებთან სიარულს და მოკლე ხანში მაიკო აბსოლუტურ ვაკუუშში აღმოჩნდა — მის სანახლოვეს მამაკაცი ვეღარ ბედავდა გაჭაჭანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილმა დიდხანს ვერ გაუძლო ამგვარ ყოფას და ახალ ნაცნობებს დაუწყო ძებნა. ეტყობა, რაღაც აერია, რაღაც გაწყდა მასში — ხშირად ხედავდნენ რესტორნებში, რამდენჯერმე მაგრად ნასვამიც მოაცილეს მანქანით ვიღაც ტიპებმა, რომელთაც, როგორც ჩანს, წრიპაც ფეხებზე ეკიდათ და მისი ამქარიც და, ეტყობა, სწორედ ამიტომ იზიდავდა მათთან ყოფნა გულგატეხილ გიგოს.

მერე უცხოთა ერთი წყება მეორემ შეცვალა, მეორე — მესამემ, ჭორმა კუდი გამოიბა, მერე დადასტურდა კიდეც ეს ყველა დარწმუნდა: „წრიპას სიყვარული“ გამოცლილი ყანწივით გადადიოდა ხელიდან ხელში...

რით დამთავრდა ეს ისტორია, ლევან ლაშაურმა არ იცოდა, რადგან წრიპას გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე თვითონ მოუხდა გისოსებით შემკულ შენობაში შესვლა.

...— გამიხსენე? — მიიკო თავჩაქინდრული იჯდა საწოლზე, — დიახ, მე ისევ ის „წრიპას სიყვარული“ ვარ!

— კი, — უპასუხა ლევანმა, — ნუთუ ეგ ამბავი ისევ გრძელდება?!

— ჰო... როგორ გგონია, ვითომ მართლა ვუყვარვარ მაგ კრეტინს? ისე, ძმაკაცებში ამბობს თურმე, პრინციპის გულისთვის უნდა გავამწარაო, — ლვარძლიანად თქვა ქალმა და დაამატა: — შენ გეყვარებოდა ჩემნაირი ქალი?

— არ ვიცი... თქვენ შორის არაფერი ყოფილა?

— დაიჯერებ, დღემდე არც კი დამლაპარაკებია!

— ერთხელ რომ დაგეთმო, ეგეც, თავი დაენებებინა.

— ვერ ეღირსება! ვნახოთ, ვინ ვის გაამწარებს!

— შურს იძიებ ვითომ?

— ეგ ჩემი საქმეა! — წამოენთო მიიკო, — დაეუწვები კი არა, მუხლებში რომ ჩამივარდეს და ცოლობა მთხოვოს, რაც, რა თქმა უნდა, არასდროს მოხდება, მაგრამ მაინც... ზედაც კარ შევხედავ, იცოდე! არა გეჯერა, ხო? თუმცა ჩემთვის ეგეც სულ ერთია, გეჯერა თუ არა. ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია...

მიიკო განუშდა.

ლევანი იდაყვს დაეყრდნო და ქალს დაკვირვებით მიაჩერდა.

— რატომ არ წახვალ აქედან, ნუთუ ასეთი ცხოვრება მოგწონს?

— ეს ჩემი ქალაქია და ყველაფრის მატოვება არც ისე იადილია, — სევდიანად თქვა მიიკომ, მერე კი რაღაც უეცარი აღტკინებით დამატა: — ან, იქნებ, მეც მომწონს შეიარადებული ეხკორტის თანხლებით სიარული. საზღვარგარეთ კინოვარსკვლავები სპეციალურად ქირაობენ მცველებს, მე კი ეგ ყველაფერი უფასოდ მაქვს. ერთ რამედ ეგეც ღირს, მგონი, არა?

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობ.

— წელან ვერ შენიშნე ვითომ, მანქანა რომ კარამდე მოგვყვა? — ქალის ხმაში ირონია გაისმა.

ლევანს გაახსენდა — ტაქსიდან რომ გადმოდიოდნენ, ქუჩის მხარეს შინდისფერმა „ჟიგულმა“ დაამუხრუჭა, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და არც ის შეუნიშნავს, ვინ იჯდა იმ მანქანაში.

— ნუთუ თვითონ დაგდევს კუდში?!

— არა, მაქამდე საქმე არ მისულა, — თქვა მიიკომ და გაიცინა, — მაგისთვის სპეციალური შტატი ჰყავს: უმეტესად ლაწირაკებია, მასთან მიტმასნილი ყოველ ოჩინა ნაბიჭვრები!

ლევანისთვის ყველაფერი ნათელი გახდა — წრიპას გადამკიდე, ეს ქალი ერთსა და იმავე მამაკაცს ორჯერ ვერ შეხვდებოდა, ამიტომაც, რაღაც მანიკალურ გრძნობას აყოლილი, ერთი მხრივ წრიპას უხდიდა თავისებურად სამაგიეროს, შეძლებისდაგვარად ცდილობდა ხშირად ჩაგორებოდა მამაკაცებს ლოგინში და ამას დაუფარავად, მის თვალწინ აკეთებდა, მეორე მხრივ კი უკვე წრიპას შურისგებით ტკბებოდა, როდესაც მის ახალ კუროს უმოწყალოდ უსწორდებოდნენ.

ისიც ცხადი იყო, არც ლევანი აერჩია ინ საღამოს შემთხვევით — ნაცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების დამცირება, მათთან შემდგომი შეხვედრისას ამაყი ღიმილით გვერდზე ჩაელა და ხელშეუხებლობის შეუფალა გარანტია, ეტყობა, მეტ ელფერს მატებდა ყველაფერს.

— ბევრი მსხვერპლი გყავდა? მერამდენე ვარ, თუ გახსოვს?

— ოო, შენ ძალზე მიხვედრილი და, თანაც, ცნობისმოყვარე ყოფილხარ! თუმცა, სიმართლეს თავისი ეშხი აქვს და გამოგიტყდები: ცოტანი არ იყვნენ, აა, ზუსტ რაცხვს კი, შინ რომ მიმაცილებ. იქ გეტყვი — ყველანი ჩაწერილი მყავს.

— რომ არ გაგაცილო?

— რამ შეგაშინა? — გაიცინა მაიკომ და მკერდზე გადმოაწვა, — იქნებ, ვიგონებ ყველაფერს?

ლევანს წამით მოუნდა ხელის კვრით მოეცილებინა ქალი, მაგრამ ეს სურვილი რბილი, მოქნილი სხეულის მხურვალებამ და მწყურვალე ტუჩებმა გააქარწყლა და კიდევ ერთხელ გადეშვა სანეტარო მორევში...

— მე წავალ, — თქვა მაიკომ, — ნუ გამაცილებ.

თამაში გრძელდებოდა.

სააბაზანოდან წყლის ხმაური მოესმა თუ არა, ლევანი წამოდგა, სამალავი გახსნა, ნაგანი გამოიღო, ტყვიები რიგრიგობით ჩაყყო სავაზნეში და იარაღი თხელი, საზაფხულო პიჯაკის ჯიბეში ჩაიცურა. შემდეგ ფრთხილად ჩაკეტა სამალავი.

იცოდა, სისულელეს სჩადიოდა — არც ეს ქალი უღირდა ამად, არც წრიპასთან ჰქონდა რამე გასაყოფი, მით უმეტეს, რომ მისი გადაკიდებაც არ იყო სახარბიელო საქმე, მაგრამ ისიც იცოდა — წამითაც ვერ დაუშვებდა, რომ ამ ისტერიული კახპას გულისთვის ვიღაც ტიპებს ებეგვაო ქუჩაში, უფრო კი იმას, რომ მაიკო ბეთანელი გახარებული წასულიყო მისი ბინიდან — ლევან ლაშური მიწასთან გავასწორე და აკანკალებული დავტოვეო.

ქალი სააბაზანოდან რომ გამოვიდა, ლევანი უკვე ჩაცმული იჯდა დივანზე.

— რომელი საათია?

— პირველი სრულდება. იქნებ, დარჩენილიყავი, მე მგონი, არც ისე ცუდად გამოგვდის.

მაიკომ გაუღიმა და ნაზად აკოცა:

— უნდა წავიდე. ახლოს ვცხოვრობ, თუ დაიღალე, ნუ გამაცილებ...

ლევანი წამოდგა და კარი გამოაღო...

მაიკო მართლაც, ახლოს ცხოვრობდა. მისი სახლი მომცრო მოედანზე იდგა. გადმა მხარეს პატარა ბაღი იყო გაშენებული.

სადარბაზოში რომ შედიოდნენ, შენიშნა: ბაღის კიდეზე შინდისფერი „ჟიგული“ იდგა, სიღრმეში კი, ერთმანეთის პირდაპირ მდგარ ორ გრძელ სკამზე, რამდენიმე ფიგურა ილანდებოდა.

მაიკო სადარბაზოში შეჩერდა.

— მოვედით. მგონი, გადარჩი, არავინ დაგვხვდა, — თვალები დამცინავად უელავდა.

— დარწმუნებული ხარ? — ჰკითხა ლევანმა და ბაღისკენ გაახედა.

— აჰა! მაპატიე, ვერ შევნიშნე! — ქალმა ტუჩები საკოცნელად გამოიშვირა, თვალები კი ბოროტად უელავდა.

ლევანმა ცდუნებას ვეღარ გაუძლო და მოსხლეტით, ხელუკუღმა გაარტყა ტუჩებში.

მაიკოს ტუჩიდან სისხლი წასკდა, სახეზე კი შიში და გაოცება გამოეხატა ერთდროულად.

— შენ მაპატიე, — უთხრა ლევანმა, გამობრუნდა და კარი გამოიხურა.

წამით შეჩერდა, სიგარეტს მოუკიდა, თან შეუმჩნეველად მოისინჯა ქამარში გარჭობილი იარაღი და პიჯაკი შეიხსნა.

მერე მოედანი გადაჭრა და ბაღში ისე შეუხვია, პირდაპირ სკამებს მისდგომოდა.

ორ სკამზე ხუთი ბიჭი სიგარეტს აბოლებდა.

ბაღში არც ისე ბნელოდა და ლევანმა მათი სახეები გაარჩია, მაგრამ ვერც ერთი ვერ იცნო.

— თუ არ ვცდები, მე მელოდებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონი, დიდხანს გალოდინეთ, არა? — თაფლი შეურია ხმაში.

— არა უშავს, საყვარელო, — ფეხზე წამოდგა ყველაზე ახლოს მჯდომი, თამხუჭუჭა ბიჭი, — ყველაფერს თავისი ფასი აქვს: თითო წუთი თითო სილაქი ღირს! რას იტყვი, თანახმა ხარ?

ლევანმა სკამებს გადახედა— დანარჩენი ოთხი არხეინად იჯდა. ეტყობა, დამცირების რიტუალი კარგად დამუშავებული ჰქონდათ.

წარმოდგენა დაიწყო და ლევან ლაშაურმაც უმწეოდ აიჩეჩა მხრები, აქოდა ძალა აღმართს ხნავსო.

— ჭკვიანი ბიჭი ჩანს, ხო იცი, — კმაყოფილებით გადახედა ხუჭუჭთმიანმა დანარჩენებს, — ამას შეიძლება კაცი დაელაპარაკოს კიდეც და...

ლევანმა სიტყვის დამთავრება არ აცალა, სწრაფად გაიძრო ქამრიდან იარაღი და ტარით ძლიერად ჩაარტყა სახეში. ბიჭმა ხელები გაასავსავა და სკამებზე ისე გადაემხო, ამხანაგებს გზა გადაუკეტა.

დანარჩენებმა წამოდგომაც ვერ მოასწრეს — ლევანს ავად მომზირალი ნაგანი უკვე მათკენ მიეძართა.

— ალბათ, იცით, ძვირფასებო, ეს სათამაშო მარტო „დრუნოკად“ არ გამოიყენება, — მშვიდად „აუხსნა“ ბიჭებს. — თითო კენჭს არც ერთს არ დაგამაღლეთ, რომელიმეს შეიძლება ორიც კი ერგოს.. შენ კი, პატარა ბიჭი, — თმახუჭუჭა მიმართა, რომელიც გახეთქილ შუბლს ხელით ისინჯავდა, — უნდა იცოდე, ვის როგორ ელაპარაკო. შუბლი შეგიხორცდება, ეგ არაფერია, მაგრამ ჭკუას ისწავლი თუ არა, ეგ ნაღდად არ ვიცი.

ბიჭები ზმას არ იღებდნენ, სიგარეტება შეჩყინოდათ ხელებში.

— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან და ნუ დამზარდებთ: წრიპას გადაეცით, ლევან ლაშაურთან გვქონდა-თქო მეგობრული შეხვედრა და ის აგიხსნით, საიდან ჩამოვედი ამ ცოტა ხნის წინათ და რატომ ვიყავი იქ... უთხარით, თუ საქმე აქვს რამე ჩემთან, თვითონ მელაპარაკოს... ახლა ხელს აღარ შეგიშლით, შეგიძლიათ დილამდე უდარაჯოთ ოქროს მზეთუნახავს — რა იცით, იქნებ კიდე ჰყავს დაბარებული ვინმე?

იარაღიანი ხელი შარვლის ჯიბეში ჩააცურა და ქუჩისკენ გაემართა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შემობრუნდა:

— შართლა, სულ დამავიწყდა მეთქვა, ძალიან ამ მოყვარს, კუდში რომ მოსდევს ხოლმე ვინმე! — და ისევ გზა გაგრძელა.

მიდიოდა ნელი, დაძაბული ნაბიჯით. უკნიდან ჩქამიც არ ისმოდა.

„ზოგჯერ მკვლელის სახელიც დაგჭირდება თურმე!“ — მწარედ გაიფიქრა ლევან ლაშაურმა და თავის ეზოში შეუხვია.

●

— შენ ვინ იქნები, შვილო? კარგად იცნობდი ჩემ ვანსა? — გამხდარმა ლუდბერმა შავი თავსაფრის ბოლოთი თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა და ლევანს საღებავაქერცლილი ხის სკამი მიუჩიჩა, — დაჯექი, დაჯექი, რა ხანია აღარავინ გამოჩენილა მისი ძმაკაცებიდან.. ეჰ, ამხანაგებს ვიღა ჩივის, როცა ამ არგასახრამელებსაც დაივიწყა... ვისთვინ დაიმწყ, შვილო, თავი, ვისთვინ ასწორეს დღე-დამეს!.. — წაუტირა ბიჭუცმა და ისევ განაგრძო: — ეგრე არიან ეხლანდელი ქალები: ბიჭი მიწაში არ გაცივებულიყო, რო დაპკრა ფეხი და გათხოვდა — სამი წელიც არ იყო გასული... ე ორ-ორი ბალღიც მე დამიყარა, თვენი ერთხელ თუ გამოივლის, რაღაც კაპიკებს დაყრის და ეგრე ვინია, ბალღები თავისით დაიზრდებიან... მამა ხო აღარა ყავთ და აღარა, ეხლა უდედოდაც დარჩნენ, ის კიდე ეერებს ეევლა თავზე, ისემც ის თავი გახმობია... მე რა შემიძლია საწყალსა, დავბერდი, ჯანი აღარ მომდევს, ერთი პენსია მაოხრია. მაგრამ, აბა, ვის ჰყოფნაა პენსია, მე რი ორ-ორ ბალღს ვამყოფინო... მაშ, იცნობდი ჩემ ვანოსა, იმის სახელს ვენაცვალე?

— ერთად ვმუშაობდით, — მიუგო ლევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან ლაშაურმა, — გოგია მქვია, ლაცაბიძე, არ გგიგია?

— არა, შვილო, — დაფიქრების შემდეგ თქვა დედაბერმა, — ანეკი რა მახსოვს ერთადერთი შვილის დამკარგავსა, ეგეც უთქვია კიდეც, მაგრამა... არც იმ უბედური დღეებიდან მახსოვხარ.

— აქ არ ვიყავი. ამ რვა წლის წინ აქ არია მომივიდა და ეხლა გამოვედი...

— ჰოო, შენც ძაან გატანჯულხარ, შვილო... ეგ არაფერი, ჯეელი ბიჭი ხარ, ცხოვრება წინა გაქ... ჩემ ვანოს რაღა ეშველება, თორე...

— ეხლა გავიგე თქვენი უბედურება და ვალის გასასტუმრებლად მოვედი. იმ ავარიის წინ ვესესხე ფული ვანოს და, აბა, როგორ დაეუბრუნებდი. ჩემ სასამართლოზეც იყო ვანო და იქითა მცა პატივი... ეხლა ვალის გასტუმრების დრო მოვიდა, — ლევანმა ჯიბიდან ფული ამოიღო და მაგიდაზე დადო, — აქ ხუთასი მანეთია, ვანო აღარ არის და მის შვილებს მოახმარე.

— ღმერთმა დაგლოცოს, შვილო, მაგრამ რომ არაფერი უთქვამს იმ საწყალსა? ვალზე კი ამბობდა, მაგრამ ეგ ის ვალი არ უნდა იყოს...

— აიღე ეს ფული, დედი, არ იყო ვანო იმის კაცი, ციხეში მჯდარი ძმაკაცისთვის ვალი მოეთხოვა.

— მართალი ხარ, მართალი, — დედაბერმა ფული ცხვირსახოცში ვამოახვია, კარადა გამოაღო და თეთრეულში დამალა, მერე ძველებური განჯინიდან ნახევარლიტრიანი ბოთლი ვამოიღო და მწნილთან და პურთან ერთად მაგიდაზე ჩამოდგა, ლევანს პატარა, წელში გამოყვანილი ჭიქა შეუვსო და უთხრა: — ერთი ჭიქა წაუქციე, ღმერთი კი გადღეგრძელებს.

— შენთვისაც დაიხსი, დედი.

— ვერა ვსვამ, შვილო, გული მაწუხებს ხოლმე, ისე დავიხსამ ცოტასა...

— გაანათლოს, — თქვა ლევანმა, — რაც დღეები დააკლდა, შენ შეგმატებოდეს მისი შვილების საკეთილდღეოდ!

— მაშ, სხვებსაც ჰქონიათ ვალი? — ჰკითხა, როცა სასმელი დალია. — მითხარი, ვინ შეირცხვინა თავი და მე მოვუველი იმ უნამუსოს!

— არა, არა, შვილო! ბიჭების სამდურავს როგორ ვიტყვი, დიდი პატივი გვცეს, ყველაფერი იმათ გააკეთეს, ქელეხიც, ორმოცეცა და წლისთავიც...

— აბა, რო თქვი, რაღაცას ვალზე ამბობდაო?

— ჰო, ეგ კი... დალუპამდე ერთი კვირით ადრე გახარებული მოვიდა შინ, დედიო, გადამეხვია, ცოტა ხანში დიდი ფული უნდა ვიშოვო და მერე ნახე, როგორ ვიცხოვრებთო. რა დიდი ფული-ბიჭო, ვკითხე, მაგრამ ვიცინა და მარტო ესა თქვა — ერთ კაცსა მართებს ჩემია, მანქანა უნდა ვიყიდო, საკუთარიო, სულ ზიზილ-პიპილებში უნდა მოგრთოო. კარგი, ნუ სულელობ, სად ჩვენა და საღ ეგეები, ხო არ შეიშალე-მეთქი, ის კიდე იცინოდა — ნახე, თუ ქალბატონივით საკუთარი მანქანით არ გასრიალოო. იმახდა და აკი მანქანის წერაც გახლ ის უბედურია...

— მტერი ხომ არ ჰყავდა ვანმე?

— არა, გენაცვა, აბა, საიდან?!

— მაინც როგორ მოუვიდა?

— აბა, რა ვიცი, არც მოსახვევი ყოფილა იმ ოხერში, გზაც კარგი იყოო, ბიჭებმა თქვეს, ხევიც ისეთი, რო გზიდან სულ არ ჩანდა თურმე — ორი დღის მერე შემოხვევით უპოვიათ ვიღაც სიფლელებს. ისე იყო დალეწილ-გაუბედურებული, რო... — დედაბერმა ისევ მოიწმინდა ცრემლი.

— ერთი ძმაკაცი ჰყავდა ვანოს, ძალიან ახლობელი. ის მაინც არ გაკითხავთ?

— საუბრის თემა შეცვალა ლევანმა.

— აბა, რომელი?

— ხახელი არ მახსოვს, ჩვენთან არ მუშაობდა. რამდენჯერმე ვნახე ერთად და ჩემი საუკეთესო მეგობარიაო, მითხრა.

— აბა, რავი, როგორი ბიჭია? ძმაკაცები ბევრი ყავდა.

ლევანმა დაწვრილებით აუწერა იმღამინდელი „ექიმის“ გარეგნობა და ენიშნა, რომ მოხუცი შესამჩნევად აფორიაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ლევანმა იგრძნო, — ქალმა რაღაც იცოდა და აღელვება რომ დაეფარა, სა-გარეტს მოუკიდა, ოთახს მოავლო თვალი და ახვევ ქალს რომ შეხედა, მის დაეჭვებულ მზერას წააწყდა.

— შენა... მილიციიდან ხო არა ხარ? — მცირე ყოყმანის შემდეგ პირდაპირ ჰკითხა მოხუცმა.

— მილიციელს რა მიგავს? — გაიღიმა ლევანმა და თვალი გაუსწორა.

— აბა, რა ვიცი...

— ეჰ, დედი, დედი! — წყენა გაუჩნდა ხმაში ლევანმა, — რა შემამჩნიე ეგეთი? რამ შეგაშინა ეგრე? ან როდის იყო, მილიცია ვალებს აბრუნებდა? კარგი, წავედი! — და სკამიდან წამოსადგომად წამოიწია.

— მოიცა, მოიცა, შვილო! არ გეწყინოს, სუ გამოშტერდი მე უბედური, აღარ ვიცი, რასა ვრჩავ! — დედაბერს, ეტყობა, ეჭვი გაუჩრა, რაზედაც წელინ დაბრუნებულმა „ვალმაც“ იმოქმედა, — ეხლაე გეტყვი ყველაფერს... ახალი დასაფლავებული იყო ვანო, რო ორნი მოვიდნენ, გამომძიებლები ვართო, და ვიღაც კაცის სურათი მაჩვენეს, ამას ხო არ იცნობო. შაი, ჯაგარა ობები აქვსო, შენ რო იძახი, მაგას ვერ გეტყვი — სურათზე თავგადაპარსული იყო — სხვა მხრივ კი სუ ეგეთი იყო, როგორც შენა თქვი!

— სურათი თუ ჰქონდათ მამაცხონებულებს, შენ რაღას გეკითხებოდნენ?

— ვინოსთან ხო არ მოდიოდაო, მაგრამ ღმერთი-რაჯული, თვალითაც არ მახახამს და ეგრეც ვუთხარი.

— სახელი არ უთქვამთ?

— არა. მე მეკითხებოდნენ, ხო არ იცი, რა ქვაიო და აბა, საიდან უნდა მცოდნოდა?! ხან აქედან მიტრიალეს და ხან იქიდან, მაგრამ რაც არ ვიცოდი, რას ეტყოდი?

— მერე?

— ეგ იყო და ეგ, თავი დამანებეს. ჰო, ის სურათი დასამაწებელ ჩემ რძალსაც აჩვენეს, მაგრამ ვერც იმან იცნო.

— არ უთქვიათ, რად გვინდაო? არა ჰკითხე?

— არ მიკითხავს, აბა სადა მქონდა ამგის თავი...

...ლევან ლაშური კმაყოფილი მიაბიჯებდა თავდაღმართში: მართალია, ბევრი ვერაფერი შეიტყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იმ იდუმალებით მოსილ „აქიმს“, როგორც იქნა, აღმოაჩნდა რაღაც არაიდუმალი — პატიმრობაში გადაღებული ფოტოსურათი...

●

ტელევიზორში რომელიღაც როკ ჯგუფი მთელი მინდომებით აყურიალებდა ელექტროინსტრუმენტებს და ლევანმა ძლივს გაიგო, ტელეფონი რომ რეკავდა. ტელევიზორს ხმა დაუწია და ყურმილი აიღო.

— ალო, ლევანი ხარ?

— დიახ.

— ჯამბული ვარ, მეზობელი. საქმე მაქვს შენთან.

— გისმენთ.

— არა, ტელეფონით ლაპარაკი არ გამოვა.

— მაშინ ჩემთან შემოდით, მარტო ვარ.

— მე მგონი, ეჯობებს, ისეთ ადგილზე გავიდეთ, სადაც ხელს ვერავინ შეგვაშლის, არ მინდა ჩვენს საუბარს ვინმე შემოესწროს. თანახმა ხარ?

— კი, ბატონო.

— კარგი, ათი წუთის შემდეგ ქუჩის ბოლოში დაგელოდები ჩემი მანქანით.

ტელეფონი გაითიშა.

ლევანმა ყურმილი დადო და დაფიქრდა: ჯამბული ნაიას მამა იყო და დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ არცთუ სასიამოვნო ლაპარაკი ელოდა.

...ნაცრისფერი „ვოლგა“ დაიქმულ ადგილზე იცდიდა.

ლევანმა კარი გამოაღო და ჩაჯდა.

— მანქანა ადგილიდან დაიძრა.

მისალმების შემდეგ ხმა არც ერთს არ ამოუღია — ქალაქი უკან დარჩა და მანქანა უკვე წყნეთის აღმართებს კეცავდა. ბოლოს ერთგან გზიდან გადაუხვია და მოფარებულ ადგილს გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამბულმა ძრაგი გამორთო და მანქანიდან გადავიდა. ორმოცდაათს იქნებო და მიტანებული, მაგრამ, სპორტული ალნაგობის გამო, ასაკი არ ეტყობოდა.

ლევანიც გადმოვიდა მანქანიდან, სიგარეტს მოუკიდა.

ჯამბული ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობდა, დაფიქრებული გასცქეროდ საბურთალოს პანორამას.

— მოხდა რამე? — ისევ ლევანმა დაარღვია სიჩუმე.

ჯამბულმა ისე გამოხედა, თითქო პირველად დაინახაო, მერე პიჯაკის გულის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და უხმოდ გაუწოდა.

ლევანმა გამოართვა, გაშალა და წაიკითხა.

„ქვეყნის ფული რომ იშოვე და „ვილლეთ“ დაგროილეს, ის გირჩევნია გაბეზებულ შვილს მიხედო, ნაცოხარ კაცთან რომ დაეთრევა. კეთილისმსურველი“ — შხამი ამოანთხია ოკრობოკოდ გამოყვანილმა ასოებმა.

ლევანმა უკანვე გაუწოდა ბარათი.

იმან გამოართვა, ჯიბიდან უცხოური სანთებელა ამოიღო, ფურცელს ცეცხლი მოუკიდა; ვიდრე ალი თითებზე არ მისწვდა, ხელში ეჭირა, მერე მიწაზე დაგდო და ფეხით ჩასრისა ბალახში.

— შურისძიების ცუდი ხერხი აგირჩევია, ლევან, — მშვიდად თქვა ჯამბულმა და მცირე დუმილის შემდეგ დაამატა: — ნაიას შენთვის არაფერი არ დაუშავებია.

— ვერ ვხვდები, რაზე ლაპარაკობ! — ცივად უპასუხა ლევანმა.

— არ გინდა! ჩემმა სიდედრმა თუ ჩაგიშვა მაშინ... მოდი, გულახდილად ვალაპარაკოთ, თუ უკვე გვიანი არაა...

— კარგი, ეგრე იყოს! არ დაგიმალავ, თავიდან კი დამებადა ეგეთი აზრი...

— აი, ხომ ხედავ!

— მაგრამ ეს სისულელე იყო, ბოროტი აზრის ერთი გაელვება და მეტი არაფერი. რაც შეეხება შენს სიდედრს — რა მოწმეობაც გამიწია, მოგეხსენება. შეიძლება მიმტკიცო, ისა თქვა, რაც დაინახაო. მე კი გეტყვი, რომ თუკი უძალიანა სჭირდა და ფანჯარას იყო მომდგარი. მეტი უნდა დაენახა, მეტი! ან ყველაფერი, ან კიდევ არაფერი! და არ უნდა ემტკიცებინა ის, რაც არ იცოდა — ქალი მკვდარი გიტანა სახლიდანო!

— ქსენია რვა წლის წინ გარდაიცვალა, — თქვა ჯამბულმა, — მამაშენი დღემდე არ მესალმება, თუმცა ბავშვობიდან ერთად ვართ გაზრდილები. ჩემი ბრალი კი მხოლოდ ისაა, რომ იმ უჯიათ ქალს ვერაფრით ვერ გადავათქმევინე ერთ ხელ ნათქვამი...

— ჰოდა, რატომ არ შეიძლებოდა, მეც ცუდი მდებოდა გულში?

— სწორედ მაგიტომ დაგირეკე.

— დაწყნარდი. კიდევ გიმეორებ: იყო ის აზრი და გაქრა. სიმპარტლეს გეუბნები, თუ დამიჯერებ! მერე კიდე, რამდენადაც ვიცნობ, არ არის ნაია ისეთი გოგო, ასე ადვილად რომ გააბრიყვოს ვინმემ.

— მეც მაგის მეშინია...

— ?!!

— ჩემი შვილის ხასიათი ჩემზე კარგად არავინ იცის: რამე თუ ჩაიდო თავში. ვერავინ გადაათქმევინებს.

— აი, მანდ კი მე არაფერ შუაში ვარ.

— ვითომ?!

— იცი, რას გეტყვი, — ლევანს თანდათან წაეკიდა ბრაზი, — მიდი რა, მარალა მიხედე შენს ქალიშვილს, მე კი თავი დამანებე!

— საქმროც ჰყავდა, ერთი კარგი ბიჭი, — თითქოს თავისთვის განაგრძობდა ჯამბული, — ახლა, შენი დაბრუნების შემდეგ, იმისი დანახვაც აღარ უნდა... დედის სულს ვფიცავარ, თავი არვისთვის დამიჩაგვრინებია, მაგრამ ღვიძლი შვილის წინაშე უძლური ვარ...

ლევანს უცბად გაუარა ბრაზმა.

— ესე იგი, მე ამიძღვრევია წყალი! არ უნდა დაგეწვა ეს წერილი. ალბათ, არც ნაიასათვის გიჩვენებია?

— არა. მაგის ამბავი რომ ვიცი, უარესს იზამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ სხვა გზა არა გაქვს, მე უნდა მომიშორო როგორმე.

— რანაირად?

— ან უნდა მიყიდო, რომ თბილისიდ: გადავიკარგო, თუმცა ვეჭვობ, რომ მაქ-დან რამე გამოვიდეს... ანდა უნდა ამოიღ-ო იარაღი — დარწმუნებული ვარ, მან-ქანაში გიდევს და... მაგრამ იცოდე, მაგ შემთხვევაში ბევრს მოგციმენ...

— გეშლება, იარაღი არასოდეს მიტა-რებია.

— უკეთესი გზაც არსებობს: აგე, ლ-ევეშვები დიდმართზე ფეხით და დამაჯ-ხე უკნიდან მანქანა! შენი ნაცნობობის და შეძლების პატრონს სამ წელზე მეტს არ მოგცემენ, არც ციხეში გაგიჭირდ-ება — ფული ყველგან ფულობს!

— დამცინი?

— სხვა რა დამრჩენია? გამოსავალს ვეძებ შენი ოჯახისათვის, რომლისგა-ნაც ასე დავალებული ვარ წარსულში და რომლის პრობლემებიც ახლა მქონია გადასაჭ�!

— მაშ, თქვენს შორის არაფერი ყოფილა? — ჯიქურ ჰკითხა ჯამბულმა ლ-ოფლით დაცვარა შუბლი.

— არა, — თვალი გაუსწორა ლევანმ, — თუ, რა თქმა უნდა, ტელეფონზე დ-სარეკად შემოსვლასა და კაფეში ყავ-ს დალევას არ ჩავთვლით.

— ჰოო, — ჯამბულმა შვებით ამოისუ-ნთქა.

— მაშ, არ მოგწონავრ სიძედ, არა? — ლევანს ირონია არ დაუფარავს, მაგრა-ჯამბულმა არ უპასუხა, ცხეირსახოცით ამშრალებდა ცაოფლილ სახეს. — ნუ გე-შინია, არ ვაპირებ თქვენს სიძეობას, და საერთოდაც, სრული ბედნიერებისათვის ცოლშვილი მაკლია სწორედ!

— მაშინ უნდა დამეხმარო!

— რაში?

— შენ თვითონ უნდა მოიცილო ნაი-!

— რანაირად?

— მაგას მე მეკითხები? ქალის თავ-დან მოცილებას რა უნდა!

— მაშ, მე დიდი თავი მაქვს და მაინ-, მე უნდა ვიფიქრო, არა? კარგი, ვიფიქ-რებ... აბა, წაველიდი, — თქვა ლევანმა და მანქანის კარი გამოაღო.

...თავიანთ ქუჩაზე რომ შეუხვიეს, ჯა-მბულმა ისევ სახლიდან მოშორებით შე-აჩერა მანქანა.

— ცოტა ფეხით მოგიწევს გავლა, — მობოდიშებით უთხრა, —არ მინდა, ვი-ნმემ ერთად გვნახოს.

„ნაიასი ემინია", — გაიფიქრა ლევა-ნმა. ამან რატომღაც კარგ გუნებაზე და-აყენა, გაიღიმა და კარი ვაალო.

— მაშ, მოვილაპარაკეთ?

— ხომ გითხარი, ვიფიქრებ მეთქი, — უპასუხა ლევანმა და მანქანიდან გადა-ვიდა.

●

— შენ იყავი, არა? — უეცრად მოეს-მა ღრიალი გასტრონომიდან გამოსულ ლევანს და მიიხედა.

ვიღაც ბიჭი ამხანაგს მოსცილდა და მისკენ გამოემართა.

ლევანმა მიიხედ-მიიხედა.

ახლომახლო არავინ ჩანდა და აშკარა იყო, ამ უცნობ ბიჭს მისკენ ეჭირა გეზი. ისიც დაინახა და გაიღინა, როგორი გა-მომწვევი ტკაცუნით გახსნა ღიდი სანა-დირო დანა.

— წელან მაგარი იყავი, არა, ძმაკაცე-ბთან ერთად რომ დამცხე? — ბიჭი უკ-ვე ხუთაოდე ნაბიჯზე იყო, — ეხლა ვნა-ხოთ, რა მაგარიცა ხარ!

ლევანმა შენიშნა, რომ ბიჭი მართლაც ნაცემი იყო: მარცხენა თვალი ჩალურ-ჯებული ჰქონდა და გახეთქილ ტუჩზე სისხლი შეჭხმობოდა. ნასვამიც ჩანდა, მყარად ვერ იდგა ფეხზე. იფიქრა: ამა-სთან ლაპარაკი მაინც არ გაჭრის და ვიდრე დანას მიმექნევდეს, ჯობია ეს გავარტყაო, სურსაიიანი ბალურა ასფა-ლტზე დაუშვა და როგორმე თავი რომ დაეზღვია, მაინც უთხრა:

— ვიდაცაში გეშლება, ეტყობა.

ბიჭი წამით შეაჩერა მშვიდად ნაოჭ-ვამმა, მაგრამ მთვრალ გონებაში მაშინ-ვე გადაუბრუნდა რაღაც.

— აბა, ვინ იყვენ?!

— მე რა ვიცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ, ამ უბელი არა ხარ?

ამასობაში მეორეც მოუახლოვდათ. ისიც ნასვამი ჩანდა და იმანაც დანა გაიაძრო ჯიბიდან — ისევ გამიმწვევად გაიტკაცუნა ლითონმა.

— ეგ იყო?

— მე მგონი, — ცოტა არ იყოს, დაიბნა პირველი.

— აბრეზე მოდი, ლაშა! შეხედე და თქვი, თუ ეგ იყო, მაგის სისხლს დავლევ!

— ეგ იყო, აბა, სხვა ვინ იქნებოდა! — ისევ გადაუბრუნდა ტვინი ლაშას და მეორემაც არ დააყოვნა, ნაბიჯი წინ წამოდგა და დანიანი ხელი უკან წაიღო მოსაქნევად. სწორედ ამ დროს ვიღაც სწრაფად მიუახლოვდა უკნიდან და ხელში სწვდა.

ლევანმაც დრო იხელთა და მთელი ძალით სახლიაში სახეში.

ბიჭი წაბარბაცდა და წაიქცა — დანამ ასფალტზე გაიჟღრიალა.

გაცოფებული ლევანი დანას დასწვდა და მეორისკენ შემობრუნდა, მაგრამ უცებ მოესმა:

— არ გინდა, ლევან, დაკეცე დანა!

შეჩერდა, დანის დაკეცვა არც უფიქრია, ისე შეხედა მთქმელს და ჯუნა იცნო. გულზე მოეშვა, დანა დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

— შენც შეინახე ეგ ყამა, გია, ლევანი ჩვენია.

— ჰოო, მე რა ვიცოდი, — გიამ დანა შეინახა. — აგე, ლაშამ მითხრა, დამცხესო და გამოვყევი.

— სროკი მოგენატრა?

— კარგი რა, ჯუნა, ხო იცი, უბნელია!

— იცი, ეს კაცი ვინაა? ჩემი ძმაა, ლევან ლაშაური, არ გაგიგია?

— იზვინი, ბრატ, მე რა ვიცოდი!

— შენ აქეთ მოდი! — უბრძანა ჯუნამ წამომდგარ ლაშას.

— მოდი არა, ჩემი ფეხებია! — დაიღრინა ჯერაც აბრეზე ვერ მოსულმა ლაშამ.

ჯუნა ერთი ნახტომით მასთან გაჩნდა, პერანგის საყელოთი ჯერ მიიზიდა, მერე ბეტონის ბოძს მიაჭიქა ზურგით და სახეში დაუსისინა:

— როგორ მელაპარაკები, მე შენი დედა... თავს მოგაჭრი, შე ნაბიჭვარო!

ლაშას აზრი დაეტყო თვალებში ღა აზრთან ერთად — შეშიც.

— ეხლა რო ატრიალეს დანას, როცა გირტყამდნენ, მაშინ სადა გქონდა? ალ არ მოიშალე ძალად ძველბიჭობა, მე შენი... — ხელუკუღმა გაულაწუნა ყბაში, — შენ არ იყავი, შარშან ჩხუბი რომ ატეხე და ორი კარგი ბიჭი სროკზე გაუშვი?.. შენ მამიკომ პირობითით გამოგიყვანა, იმათ კი ზუთ ზუთი დაერიგეს... თქვი ერთი, რამდენჯერ ჩაკითხე ლაგერში? თუმცა, ვის რათ უნდა შენი დამპალი პერედაჩა! მოიცა, ხო გამოვლენ, როცა იქნება!..

შორიდან სირენის ხმა მოისმა და ქუჩის ბოლოში ლურჯი, მფეთქავი შუქ, გამოკრთა.

— გამოუძახეს! — თქვა ჯუნამ, — ლაშას ხელი უშვა და ბიჭებს მიუბრუნდა: — დავითესოთ! დანები გადაყარეთ, შარიან! ეგ ტიპი, რო გამოფხიზლდება, ბრაზოს! გესმის, გია? — ჯუნა გამჭოლ სადარბაზოში გაუნინარდა.

— კარგი, — დაადევნა გიამ, ჯიბიდან დანა ამოიღო, ბუჩქებში შეაგდო, ლაშას მოჰკიდა ხელი და ქუჩის გადადმა, ეზოში შეიყვანა.

ლევანმა ლაშასეული დანა სანაღვრე, ცხაურიან ორმოში ჩაუშვა, მერე პროდუქტებიანი ბადური აიღო და შინისკენ გასწია.

მილიციის მანქანამ მოახლოებისას ოდნავ კი შეანელა სვლა, მაგრამ, ეტყობა, შიგ მსხდომთ სანოვაგით მიმავალი კაცი საეჭვოდ არ მოეჩვენათ და გზა გაგრძელეს.

●

ტელეფონის ზარმა გამოარკვია. ყურმილი აიღო.

— ტელეფონს რატომ არ იღებ? — ნიის ხმა იყო.

— არ მუშაობდა.

— ახლავე ჩამოვალ, — ნაიამ ყურმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ისე დაკიდა, პასუხისთვის არ მოუცდია.

ლევანი გავიდა, კარი გაღო და უკან შემობრუნდა.

ცოტა ხანში კარის დაკეტვის ხმა მოისმა და ოთახში ნაია შემოიჭრა — სახე ასწითლებოდა, თვალები უელავდა და ამჯერად საოცრად მიმზიდველი ეჩვენა ლევანს.

— ის აღარ მოვა! — თქვა ნაიამ დამოწყვეტით ჩაშვა საკრძელში, — შენ კი ყოველთვის დაგიმტკიცებ...

ლევანმა არ იცოდა, რა ეთქვა.

— გესმის, რა გითხარი?

— მესმის და ვერაფერი გავიგე.

— ძალიან კარგადაც გიგე. მამაჩემმა რა გითხრა?

— თვალითაც არ მინახავს მამაშენი.

— ტყუიხარ!

ლევანმა მხრები აიჩეჩა, ფანჯრისკენ შეტრიალდა უხმოდ.

— მე ყველაფერი ვიცი.

— რა იცი?

— მამამ თვითონ მითხრა.

— რა გითხრა?

— ყველაფერი, — ნაიამ სიგარეტს მიუკიდა.

— მაშ, მამაშენი აღარ მოვა?

— მამა რა შუაშია?

— აბა, ვინაა შუაში? ნორმალურად ვერ ილაპარაკებ?!

— დიდი მიუხვედრელი ვინმე ხარ, — გაიცინა ნაიამ, — ჩემი საქმრო აღარ მოვა-მეთქი, ამას გეუბნები.

— აჰა, თურმე რა ყოფილა! რა ვქნა ახლა, მოგალოცო თუ მე თვითონ ვიცეკვო სიხარულით? მაინც ასე უცბად რიგორ მოიშორე, არ ყვარებიხარ, ეტყობა!

— არაფერი შეგეშალოს! — იწყინა ნაიამ, — უნდა გენახა, რა თვალები ჰქონდა, როცა ვუთხარი... მეგონა, ყელში მწვდებოდა!

— ეგრე რით გადარე?

— შენ ქალიშვილი გოგო გეკუთვნის, მე კი შენი ღირსი არა ვარ-მეთქი.

— მერე ეგ ეყო? არ ყვარებიხარ, ბიბლიოთეკა გითხარი.

— იმისთვის საკმარისზე მეტია... ყველა შენნაირი გა-გე-ბუ-ლი კი არ ხარ!..

— ცუდად აგრთვებ ქულებს, ჩემი გოგო! — უცებ მოაწვა ბრაზი ყელში ლევანს, ნაიას მიუახლოვდა, წამოაყენა, მისი სახე ხელისგულებში მოიქცია და ჩაეკითხა: — მაშ, ისიც მითხარი, მე რა უნდა დამიმტკიცო, რას დამიმტკიცებ, ჰა?

— რასაც გინდა, — ჩუმად თქვა ნაიამ, მაგრამ თვალი არ დაუხრია.

ლევანი რაღაცნაირი ბოღმით, მაგრად და უხეშად დაეცხრა და დიდ ხანს კოცნიდა გოგოს მოუქნელ, გაუწაფავ ტუჩებს.

მერე სახეზე ცალი ხელი შეუშვა, საკინძე ჩაუხსნა, მკერდში ჩაუცურა და ივრძნო, როგორ დაეძაბა მთელი სხეული ქალიშვილს.

— გამიშვი! სუნოქვა მოიბრუნა ნაიამ.

— გამიშვი, გეხვეწები!

ლევანმა უცებ შეუშვა ხელი და მაგიდიდან სიგარეტი აიღო.

ნაიამ საკინძე შეიკრა, თმა შეისწორა.

— ხედავ, აღარ მოგწონვარ, წელან კი სხვანაირად ჭიკჭიკებდი.

— მე თვითონ გავიხდი, ოღონდ ასე არა...

— იცი, რას გეტყვი, — დაღლილად თქვა ლევანმა, — ცოლის შერთვას რიგ არ ვაპირებ, მაგაში ნაღდად არ მომიტყუებია მამაშენი.

— ეგ არც მიგულისხმია, ნუ შეშინდი. უბრალოდ, განწყობილება არ მომწონს შენი, თითქოს ვიღაცას ებრძვი... ეგ საყვარული არაა...

— ოჰო, უკვე საყვარულამდეც მივედით! — ლევანი გრძნობდა, როგორი ბოღმით უყურეოდა ხმა, მაგრამ თავის დაოკებას არ ცდილობდა, — როდის შემოგლაღე, მიყვარხარ, უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია-მეთქი?

— მაგას ყოველთვის არ ამბობენ, ბევ მეგონა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი, რა გეგონა! ახლა, რომ იცოდე, ორი გზა გაქვს: ან უნდა გაიხადო და აგე, იმ ოთახში ლოგინში ჩაწექ ან კიდევ წახვიდე და ის შენი გაქცეული საქმრო როგორმე შემოირიგო — რამე თუ გამეგება, შენი უმანკოების დამტკიცებას ჯერჯერობით კიდევ შეძლებ.

— ბოროტი ყოფილხარ!

ლევანი უცებ დაიცხრო გაოცებით ნათქვამმა ამ ორმა სიტყვამ. ძალიან მოუნდა მოფერებოდა ამ გულდაწყვეტილ ბავშვს, რომელიც სევდიანი, წყლიანი თვალებით შემოჰყურებდა და სწორედ დაყვავებას, ნათქვამის გაბათილებას ელოდა ყველაზე მეტად, მაგრამ ისიც იცოდა, რომ თვითონაც ვერ გარკვეულიყო თავის თავში, მოტყუებასა და აბეზარდ აგდებას კი ეს გოგო ნამდვილად არ იმსახურებდა.

— წადი, ნაია, — თქვა ლევანმა, — წადი და დაივიწყე, რაც მოხდა... არაფრის თავი არა მაქვს ახლა, მით უმეტეს სიყვარულის... და არც ჩემი ბრალია, რომ ასეა...

— არ ინანო, იცოდე! — ესლა თქვა ნაიამ.

ლევანმა არ უპასუხა — მიხვდა, ცოტაც და, გოგო ბღავილით აიკლებდა იერარობას. ეს, ეტყობა, ნაიამაც იცოდა, ამიტომ სწრაფად გავარდა ოთახიდან ლ. ხმაურით გაიხურა კარი.

ლევან ლაშაური დიდხანს იჯდა ჩანელებულ სიჩუმეში, მოშვებული და ყოველგვარი სურვილისაგან დაცლილი.

მოულოდნელად აიენის გამოღებული კარიდან გიტარის ხმა მოისმა.

ლევანი აივანზე გავიდა და მოაჯირს დაეყრდნო. აქედან არავინ მოჩანდა, დამკვრელს ვაზის დაბურული თალარი ეფარებოდა.

ისევ აჟღერდა გიტარა და ახლა მას მეორე ჰქვეს.

ლევანი ოთახში შებრუნდა, დივანზე წამოწვა, თვალი მილულა და მუსიკას ყური მიუგდო.

უცნაური და სასიამოვნო მოსასმენი იყო ესპანური „ფლამენკო“ თბილისურ ღამეში.

კარგა ხანს კენესოდნენ გიტარები — მელოდიას მელოდია ენაცვლებოდა და ლევან ლაშაურმა ვერ გაიგო, როდის ჩაეძინა...

●

...კლდის პირას იდგა და ხეობას დაჰყურებდა.

ქვევით, ხეობაში, შავ-ყვითლად დაფორაჯებული, ფართო სწორი გზა გადიოდა — ჩამოწოლილ ნისლში იკარგებოდა გზის თავი და ბოლო.

უამრავი ხალხი მიდიოდა ამ გზაზე.

ერთმანეთში არეულიყვნენ სხვადასხვა ფერის, სქესის, ეროვნებისა და ასაკის ადამიანები.

ხელჯოხიან მოხუცებს პატარა ბავშვები და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები მიჰყვებოდნენ...

მიდიოდნენ ყავარჯნიანი ხეიბრები, ჯოხების კაკუნით მიიკვლევდნენ გზას უსინათლონი...

მდიდრულად ჩაცმულ ბატონებსა და ქალბატონებს შორის ტანსაცმელშემოფლეთილი, ფეხშიშველი მათხოვრები მოჩანდნენ...

ზურგს უკან ხელგაკრული, ენაგაღმოგდებული ჩამოხრჩობილები კისრებზე შერჩენილ თოკებს მიათრევდნენ...

შავკბილებდაკრეჭილ, ნახევრად დამწვარ ჩონჩხს სხვადასხვა ქვეყნის ფორმიანი ჯარისკაცები მოსდევდნენ — მრავლად იყვნენ მათ შორის უხელფეხონი, რამდენიმეს კი საკუთარი მოგლეჯილი თავი ამოეჭარა იღლიაში...

მათ მიჰყვებოდნენ შიმშილისაგან ლამის ჩონჩხად ქცეული ბავშვები, ტანსაცმელშემოხეული, ნამუსახდილი გოგონები...

ყელგამოღადრულ დედებს მკერდზე აკრული მიჰყავდათ თავგაჩეჩქვილი ჩვილები...

მიდიოდნენ სრულ სიჩუმეში — არც თავი უნანდა ამ სვლას და არც ბოლო...

...ჯერ სცადა ყვირილით მიექცია მი-

მავალთა ყურადღება, მაგრამ თვითონ ვერ გაიგონა საკუთარი ხმა.

მერე შენიშნა: შორიახლოს ვიწრო, შავ-ყვითელი ბილიკი ეშვებოდა მთავარი გზისკენ — მის თავლწინ რამდენიმე ადამიანი დაეშვა ამ ბილიკით და მიმავალთ შეუერთდა.

გადაწყვიტა გაეგო, ვინ იყო ეს ხალხი და საით მიდიოდა, ამიტომ ბილიკისაკენ სცადა წასვლა, მაგრამ ფეხის მონაცვლეობა ვერ შეძლო — არ ემორჩილებოდნენ ფეხები.

კიდევ ერთხელ დაატანა თავს ძალადა:

— ეს შენი გზა არ არის, ლევან! — მოესმა მკაცრად, ბრძანების კილოთი ნათქვამი.

ელდანაცემმა გაიხედა იქითკენ.

შავ-ყვითლად დაფორაჯებული ბილიკის თავში ჯუნა იდგა და გაქვავებული სახე მისკენ მოეპყრო.

— ამ გზას დიდი საიდუმლო აქვს, რასაც მხოლოდ თავის დროზე იგებს ყველა, — თითქოს თვალებით განაგრძობდა ლაპარაკს ჯუნა, რადგან ტუჩები ისევ მკაცრად ჰქონდა მოკუმული. — ერთი კი იცოდე: თუმც ხალხმრავლობაა ამ გზაზე მაინც მარტო მიდის ყოველი, რადგან ეს გზა მარტოობის გზაა.

ახლა კი წადი!

წადი და ეცადე, უაზრო ძებნაში არ გალიო წუთისოფელი, აქ მოსვლა კი არაფრით არ აგცდება, მოხვალ, როცა ჟამი დაგკრავს... — ჯუნა თვალის დახამხამებაში დაეშვა ბილიკზე, მიმავალთ შეერია და გაუჩინარდა.

დიდხანს დაჰყურებდა იმ ადგილს, სადაც ცოტა ხნის წინათ ჯუნა იდგა.

ბოლოს მიხვდა, რატომ ჰქონდა გზა და ბილიკს ასეთი უცნაური ფერი: ბილიკი ყვითელი იყო, მკვდარი ფოთლის ფერი, შავი ლაქებიკი...

შავი — სისხლი იყო, გამხმარი და უაზროდ დღვრილი სისხლი...

...ქვევით, ზეობაში კი ისევ მიდიოდა ხალხი, ნისლში იკარგებოდა გზის თავი და ბოლო...

●

მის წინ, ხუთიოდე ნაბიჯზე, შინდისფერი „ჟიგული“ რომ შეჩერდა, ფიქრებში წასულ ლევანს ლაშაურს ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მანქანიდან ორნი რომ გადმოვიდნენ, მაშინ კი გამოერკვა და მიხვდა — მოსახლენი უნდა მომხდარიყო, თამამად შეხედა ბიჭებს და მანქანისაკენ წავიდა.

ერთმა უკანა კარი გამოაღო, ანიშნა, დაჯექიო, თვითონ წინა საკარძელზე მოთავსდა და კარი ისე მიიხურა, ლევანისკენ აღარც მოუხედავს. მეორე თითქმის მაშინვე საჭეს მიუჯდა, ძრავა აამუშავა.

ლევანი მანქანაში ჩაჯდა და მერეღა შენიშნა, რომ მძღოლს უკან, საკარძელზე წრიპა მისვენებულიყო თვალდახუჭული.

მანქანა დაიძრა და ათიოდე წუთის შემდეგ რკინის ალაყაფის კარს მიადგა, ორჯერ დააჭყვიტინა საყვირი.

ელექტრონძრავის წყნარი ზმუილით გაიხსნა ძმიმე კარი, მანქანა მოასფალტებულ ეზოში შესრიალდა და გაჩერდა.

წრიპამ მხოლოდ ახლა გაახილა თვალი და ხმის ამოუღებლად გადავიდა მანქანიდან. ლევანმაც მას მიჰბაძა და და დამაბულმა შეათვალიერა მაღალი, შელესილი ღობით გარშემორტყმული მოზრდილი ეზო, რომლის შუაგულშიც ფართო აივნიანი, კოხტა ორსართულიანი სახლი წამოჭიმულიყო.

ლევანმა იცოდა, რომ ეს სახლი წრიპას საკუთრება იყო, თუმცა, როგორც ამბობდნენ, ვიღაც ნათესავზე ჰქონდა გაფორმებული და ამან ცოტა დააწყნარა: შურისძიება რომ ნდომოდა, წრიპა მასთან შესახვედრად თვითონ არ მოვიდოდა და, მით უმეტეს, არასგზით საკუთარ სახლში არ მოიყვანდა.

— როგორაა საქმე? — იკითხა წრიპამ,

— ყველაფერი მზადაა.

— კარგი. სალაპარაკო მაქვს ამ კაცთან და ხელი არავინ შემეშალოს.

თანმხლებნი სახლში გაუჩინარდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრიპამ ლევანს ანიშნა, მომყეეიო და ლელვის ხეებით დაბურული ბაღისკენ გაეძართა.

ლელვის ხეებს გასცდნენ და ვიზით დაფარულ ბამბუკის ფანჩატურში შევიდნენ, სადაც ორი კაცისთვის საკმაოდ მდიდრული სუფრა იყო გაშლილი.

— რას დალევ?

— სულ ერთია.

წრიპამ პატარა მაცივარი გამოაღო, შამპანურის უცხოეტიკეტიანი ბოთლი ამოიღო — მაშინვე ორთქლით დაიფარა. წრიპამ ბოთლი ხელში შეატრიალა, მაცივარში ჩაანბარუნა და ახლა „ქინძმარაული“ გამოიღო.

— შამპანური მერე იყოს, ჯერ ეს დავლიოთ, ამ ამბავს ეს უფრო უხდება.

ლევანი ვერაფერს მიხვდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

წრიპამ ბოთლს გასახსნელი მოარგო და ნელა დაუწყო ტრიალი. გასახსნელში ჩადგმულმა ზამბარამ იძალა და საცობი ხმაურით ამოაგდო ბოთლის ყელიდან.

წრიპამ ბოლის მოზრდილ, ფეზიაქ სასმისებში ჩამოასხა მუქად მბზინავი სითხე, მერე ბოთლის ძირი ქაღალდის ხელსახოცით შეამშრალა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგა გაქთქთეებულ სუფრაზე. ყველაფერს, ამას, ნელა აკვირდა, ისე ნელა, რომ ლევანს გული გადაეწურა — მართალია, უკვე საკმაებით მშვიდად იყო, მაგრამ ახლა ცნობისმოყვარეობა მოსძალებოდა, რადგან ვერაფრით ეახსნა, თუ რას ნიშნავდა ყოველივე.

წრიპამ, როგორც იქნა, ჭიქა აიღო, დაჯდომა არც უფიქრია და არც ლევანისთვის შეუთავაზებია — მხოლოდ ჭიქაზე ანიშნა.

ლევანმაც მოჭკიდა ჭიქას ხელი.

— ჯუნას ხსოვნა იყოს!

— რა თქვი? — ლევანს კინაღამ ხელიდან გაუვარდა სასმისი.

— ჯუნა გაანათლოს-მეთქი იმქვეყნად...

— შენ ხო არ... — წამოიწყო ლევანმა, მაგრამ...

— ჯუნა დაბრიდეს! — გააწყვეტინა წრიპამ და მწყურვალივით დაეწაფა ღვინოს. ლევანი ხელადვა, როგორ აუღრაფიოდა ყელზე მოზრდილი ხვანნი. წრიპამ სწრაფად გამოცალა სასმისი, ბოლოს ჭიქა იატაკს დაუფშვნა და დაჯდა.

— როდის? — ლევანი ისევ ფეხზე იდგა, გაოგნებული.

— ამ დილით...

— ... — ყველაზე უფრო ის მაგიეებს, ამ ნაბიჭვარმა, ჯუნას რომ ადებდა ხელს, სწორედ ამ დილით აიღო თავის თავზე ყველაფერი. ამას ათ წელზე მეტს არ მისცემენ — მალალეტკაა და კარგი პატრონიც ჰყოლია, ჯუნა კი დაბერდა... არადა დიდ სროკზე არ გაუშვებენ... — წრიპამ სიგარეტს მოუკიდა ღარმა ნაფაზი დაარტყა.

— არ წავიდოდა ჯუნა სროკზე, — თქვა ლევანმა, — ციხეში სიკვდილი არ მინდაო, იძახდა.

წრიპამ არაფერი თქვა, რაღაცას ფიქრობდა თავისთვის.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ.

— ამას წინათ იყო ჩემთან, — თქვა ბოლოს წრიპამ, — შენზე მელაპარაკა... არ დაგიმალავ, კინაღამ წავეკიდეო ერთმანეთს... არ მეგონა, ეგრე თუ ეცემა პატივს. სხვანაირად არ გამიგო, ეიცი, სუფთად რომ ხარ ჩამოსული, შენზე ცუდი არაკი უთქვია, მაგრამ ჯუნა სულ სხვა იყო — ძმასავით უყვარდი. მაგრა დახმარებიხარ ერთხელ თურმე, არა?

— ეგ რაღა სალაპარაკოა ახლა.

— მოკლედ, მაშინ კი წაელაპარაკეთი, მაგრამ ეხლა სულ სხვა საქმეა — წასული ძმაკაცის სურვილი ჩემთვის კანონია, ოღონდ... ოღონდ იცოდე, აღარ უნდა შემეჯახო!

— მე არც მიფიქრია შენთან შეჯახება, უბრალოდ ეგრე მოხდა.

— აღარ უნდა მოხდეს! შენც კარგად იცი, სულ იარაღასხმული ვერ ივლი და არც ერთი იარაღი ჩემთვის პრობლემა!

ლევანს ეს სიტყვები ენიშნა და თანხმობის ნიშნად უხმოდ დაუქნია თავი.

— მაშ, შევთანხმდით. ეიცოდი, ჭკვიანი რომ არ გაკლდა. ხო იცი, ჩემთან მტრობას მეგობრობა სჯობია. ჰოდა, მეგობ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რობის ნიშნად ეს კონვერტი წაიღე — აქ ისაა, რასაც შენ ეძებ.

— მე არაფერს არ ვეძებ.

— ეგ შენი საქმეა, მაინც გამომართვი, იქნებ გამოგადგეს...

...ᲯᲔᲠ ᲐᲮᲚᲨᲘᲐ ᲨᲔᲣᲡᲘᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲐᲨᲐᲣᲠᲘᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲒᲚᲔᲯᲐ ᲓᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲨᲐᲚᲐ — ᲖᲔᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝᲐ ᲔᲬᲔᲠᲐ, ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜᲝ ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲔᲓᲐ.

ᲬᲠᲘᲞᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲕᲘᲐ ᲡᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ, ᲐᲛ ᲡᲘᲛᲫᲘᲠᲔᲖᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲒᲬᲘᲐᲜᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲨᲯᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ — ᲐᲥᲔᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲠᲐᲛᲔᲯᲘ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲡᲔ, ᲛᲐᲡᲖᲔ ᲔᲭᲕᲘᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲪᲘᲢᲐᲜᲓᲜᲔᲑᲓᲐ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲩᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲠᲝᲛ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲓᲐᲛ ᲘᲛ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲐᲨᲐᲣᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲪᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲙᲘ, ᲗᲣ ᲐᲠᲪ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲘᲧᲝ „ᲩᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲓᲐ ᲩᲐᲜᲐᲒᲘᲤᲘᲠᲩᲐᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲜᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲓᲐ, ᲗᲘᲗᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲔᲬᲕᲔᲓᲐ.

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲐᲨᲐᲣᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲙᲐᲠᲒᲐ ᲬᲜᲘᲗ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲡᲪᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲪ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲐ, ᲬᲠᲘᲞᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜᲐᲪ ᲩᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲥᲐᲣᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲰᲭᲘᲠᲓᲐ.

ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ: ᲘᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲐ ᲠᲘᲠᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ: ᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ „ᲥᲔᲛᲘ“, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲥᲜᲓᲐ.

ᲛᲔᲠᲔ?

ᲛᲔᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲧᲝ.

„ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲘᲥᲜᲔᲑ, ᲐᲠᲪ ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ!“ — ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲚᲔᲕᲐᲜᲛᲐ, ᲓᲐᲬᲘᲞᲠᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲛᲣᲙᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲣᲧᲣᲠᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲚᲣᲠᲯᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲚᲛᲔ ᲩᲐᲜᲓᲘᲚᲐᲓ ᲩᲐᲘᲬᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲤᲣᲠᲤᲚᲔᲨᲘ.

●

ᲓᲘᲓᲘᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲣᲡᲐᲨᲕᲔᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲭᲘᲛᲘᲚᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲢᲑᲐᲡ ᲬᲐᲐᲒᲔᲓᲐ — ᲓᲐᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲘ ᲚᲘᲙᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲥᲕᲘᲨᲘᲐᲜ ᲜᲐᲠᲩᲘᲡ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲘᲗᲙᲝ ᲜᲔᲚ-ᲜᲔᲚᲐᲗᲘ ᲔᲨᲕᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲑᲔᲚᲐ.

ᲣᲪᲜᲐᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ ᲬᲐᲜᲢᲐᲦ ᲒᲐᲬᲝᲚᲘᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲛᲔᲚᲘ ᲓᲠᲣᲑᲔᲚᲘ.

...Чуть помедленнее, кони,
Чуть помедленнее!
Вы тугую не слушайте плеть!

ᲛᲝᲘᲡᲚᲘᲡᲛᲔᲓ ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲘᲛᲔᲠᲘᲐ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮ ᲚᲐᲪᲘᲪᲔ ᲘᲜᲘᲛᲔᲓᲘᲡᲓᲐ...

...ᲓᲐᲮᲝᲕᲘᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲝᲪᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲛᲐᲚᲐ-ᲛᲐᲚ ᲨᲝᲚᲢᲘᲗ ᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲛᲘᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲪᲮᲚᲘᲡ.

ᲛᲐᲠᲮᲚᲘᲡᲗᲐ ᲛᲧᲪᲓᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲩᲐᲡᲮᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲚᲣᲛᲘᲜᲘᲡ ᲝᲠ ᲓᲘᲓ ᲑᲝᲓᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲰᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲖᲔᲠᲘᲗᲘ ᲑᲣᲠᲯᲒᲠᲐᲕᲓᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲒᲣᲚᲘ. ᲭᲐᲑᲣᲙᲘ ᲣᲚᲐᲠᲓᲔᲚᲘ ᲡᲢᲕᲔᲜᲘᲗ, ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲚᲘᲗ ᲔᲠᲔᲙᲐᲝᲑᲓᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲚ.

ᲙᲐᲪᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲬᲘᲦᲔᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐᲗ:

— ᲠᲐᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲑᲗ, ᲣᲛᲠᲝᲡᲘ, ᲝᲗᲮᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐᲒᲣᲒᲕᲐᲘᲜᲣᲗ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ!

— ᲐᲠᲐ ᲣᲨᲐᲕᲗ, ᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲐᲗ!

— ᲛᲔ ᲘᲥ ᲬᲐᲛᲘᲡᲚᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠ, ᲘᲪᲝᲓᲔᲗ!

— ᲙᲐᲠᲒᲘ ᲔᲠᲗᲘᲐ?!

— ᲛᲝᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲓᲐ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲓᲐ!

— ᲒᲘᲜᲓᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲛᲝᲣᲙᲚᲘᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲔ, — ᲘᲥᲔᲓᲜᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲐ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ, — ᲡᲐᲓ ᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲜᲘᲜ ᲒᲐᲫᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲒᲐᲜᲘᲐᲠ ᲡᲐᲑᲝᲢᲐᲟᲘ ᲛᲘᲬᲧᲝᲑ, ᲓᲐᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝᲗ! ᲙᲐᲠᲪᲔᲠᲨᲘ ᲐᲛᲝᲒᲐᲚᲛᲝᲑ!

— ᲛᲔ ᲠᲐ ᲨᲣᲐᲨᲘ ᲕᲐᲠ? ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲕᲐᲪᲮᲝᲑ ᲯᲣᲠᲡ?!

— ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲛᲐᲨ, ᲜᲣ ᲬᲐᲮᲕᲐᲗ! ᲛᲔ ᲙᲘ ᲠᲐᲡ ᲕᲘᲪᲘ, ᲘᲪᲘ? ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲣᲒᲖᲐᲕᲘᲜᲐ ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲐᲓᲐᲛᲘ, ᲐᲥ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲠ ᲒᲐᲪᲘᲛᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲐᲛᲪᲘᲪᲔᲒ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲚᲔᲛᲘ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠ!..

...ᲭᲐᲑᲣᲙᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲔ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲝᲘᲥᲪᲘᲐ ᲨᲝᲚᲢᲘ.

„ᲜᲐᲑᲘᲭᲕᲐᲠᲘ, ᲛᲐᲒᲐᲚ ᲠᲐ ᲔᲚᲐᲦᲚᲔᲑᲐ! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე თბილ ტყაპუჭსა და თექის ჩექმებზე დაიხედა და მწარედ გაიფიქრა: – „გაგიჟდებიან: მობრძანდაო მაძღარი, ჩამბუნებული... არა, ნამდვილად წასულია ჩემი საქმე..“ – თვალწინ წარმოუდგა გაბორტებული სახეები, შიშშილისაგან ღარძლადქცეული თვალები და შიშმა გაუთანგა სხეული.

შორს ტყე გამოჩნდა, ცოტა ხნის შემდეგ კი მკაფიოდ მოიხმა ნაჯახების კაკუნი და ხერხის გაბმული წივილი.

ჭაბუკი უკვე განუწყვეტლივ ატყლაშუნებდა შოლტს.

– ცოტა ნელა, მარხილი არ დაგაბრუნო! – ვეღარ მოითმინა კაცმა.

ჭაბუკმა უდარდელად გაიცინა და კვლავ გადაუჭირა ცხენს.

– სიკვდილისკენ მიმაჭენებ, არა, ძაღლიშვილო!

– ყველას თავისი საქმე აქვს, ჩემგან რა გინდა?

– ფეხებზე გკიდია, არა? – კაცს გაბრაზების თავიც აღარ ჰქონდა, მომჩვარული იჯდა მარხილში.

– უფროსმა მითხრა, იჩქარეო და მეც ვჩქარობ!

კაცმა არ უპასუხა.

ჭაბუკმა დათოვლილი ეგზით ტყეში შეიყვანა მარხილი, ოდნავადაც არ შეუნელებია სრბოლა.

კაცმა შორიდანვე დალანდა განაკაფში რამდენიმე სილუეტი.

მალე მიუახლოვდნენ, – ჭაბუკი კვლავ უმოწყალოდ ატყლაშუნებდა შოლტს.

უეცრად, ტყის სიღრმეში, ერთმა ხეს დაეჭრიალა, ტოტების ლაწალუწოთ წამოვიდა და მეორეს შეეჯახა, მეორე – მესამეს. და წინასწარ გადახერხილი ორმოციოდე გიგანტი დომინოს ქვებივით მიეწყო ერთმანეთს, ირგვლივ ბუჩქნარი და ბატარა ხეები გადაჯეგეს, რიგრიგობით დაეხეთქნენ მიწას და თოვლის კორიანტელი დაყენეს.

კაცს ხშირად უნახავს ამგვარი რამ და ვერასდროს ვერ მოუწყვეტია თვალი – საოცრად ლამაზად კვდებოდნენ ხეები, – მაგრამ ამჯერად საცქერალად ვეღარ მოიცალა, რადგან ხმაურზე ცხენი დაურთხა, ყალეზე შედგა, მერე გვერდზე გახტა და მარხილი ამოაბრუნა.

კაცი თოვლში გადავარდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა, წაქცეულ ბიდონების ეცა, წამოაყენა და გვერდგვერდ დადგა, მერე პირით სავსე ტომრები მიათრია ბიდონებთან და გამეშდა.

უპატრონო მარხილი იქვე, შორიახლოს ეგდო, რამდენიმე დათოვლილი ფაგურა კი საგულდაგულოდ თელავდა ეზლაცას – ორიოდე ყრუ ამოკვნესა და ყველაფერი დამთავრდა.

ჯგუფი დაიშალა და დათოვლილი ფიგურები ნელა, თითო-თითოდ წამოვიდნენ კაცისკენ; შორიდან უკვე სხეებიც გამოჩნდნენ, თანდათან მატულობდა ხალხი

უკვე მის წინ იდგნენ, თოვლი შეჰყინოდათ გაუპარსავ სახეებზე, იქ, იქ ადგილას კი ხვავრიელად ათოვდა ჩათეული, უსულო სხეულს...

ბოლოს, სიჩუმე რომ გაუსაძლისი გახდა, ერთმა ნაბიჯი წინ წადგა და ალემინის ჯამი გაუწოდა.

– ხომ არ გაცივდა? – საქმიანად, მკაცრი ხმით იკითხა.

ეს პირველი სიტყვა იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში.

კაცმა სწრაფად ახადა ბიდონს თავი და ცხელი კერძი ჩაუხხა ჯამში, მერე პურიც მიაწოდა.

კაცი ჯარასავით ტრიალებდა, საჭმელს არიგებდა. სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი, ეონებაში კი თანდათან უძლიერდებოდა ადრე ოდნავ მბუუტავი იმედი:

„მგონი, გადავრჩი... გადავრჩი!..“

...წეთელი დისკო უკვე ჰორიზონტს მიეფარებოდა, ნაცრისფერ ცაზე ნამგალა მთვარე ამოცურებულიყო და ოდნავ ბუუტავდნენ შორეული ვარსკვლავები.

ლეკან ლაშური გაუნძრევლად იჯდა დიდი მდინარის პირას, შუბლი ცივი ოფლით დასცვაროდა.

И дожить мне не успеть,
Ну хотя бы — допеть!

ჩათავდა სიმღერის უკანასკნელი კუპლეტიც და ჩამოწოლილ სიჩუმეს მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ დიდი მდინარის ზანტი ზმორება-არღვევდა.

ბინდდებოდა უკვე, ლევანი კი ისევ ამ ადგილას იჯდა გაუნძრევლად.

ხმაურმა გამოარკვია — შორიახლოს ნიჩბიანი ნავი მოადგა ნაპირს. თეთრაქვა-რანგიანმა კაცმა ნავი ამოათრია და ქალს გადმოსვლაში მიეხმარა. ქალმა წამოდგომისას წონასწორობა დაკარგა, კაცს ჩამოეკიდა კისერზე და მხიარულად გადაიკისკისა.

რაღაც იყო, ძალიან შორეული დ ნაცნობი, ამ ხმაში — ან, იქნებ, მოეჩვენა? — ლევან ლაშაურმა სიგარეტს მოუკიდა და რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა ზედიზედ.

წყვილი დაბიასკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდა. ლევანი მხოლოდ მათ სილუეტებს ხედავდა, განსაკუთრებით კარგად კაცის თეთრი ჰერანგი მოჩანდა. ლევანმა ცოტა ხანს შეიცადა და მერე თვითონაც უკან მიჰყვა.

დაბის ცენტრში ისევ დაინახა ისინი: კაცს რამდენიმე ბოთლი ლუდი ეყიდა და ვიღაცასთან მოსაუბრე ქალს ელოდებოდა.

ლევანმა კარგა ხანს ათვალიერა შეფარვით ქალი — ვერავითარი დასკვნა ვერ გამოიტანა: თითქოს ის იყო და ოი თქოს არა.

ნერვები მოითოკა, შებრუნდა და უკან გაუყვა გზას: ყველაფერს შემოწმება სჭიროდებოდა, რადგან შეცდომის უფლება არ ჰქონდა.

●

წყვილის ვინაობა ადვილად დაადგინა: კაცი, მაიორი სერგეი სერგეის ძე პეტროვი, ახლომდებარე სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი ყოფილა. ქალი მარია ერქვა, გვარი ქმრისა ჰქონდა — პეტროვა. იგი ორი წლის წინათ, სადაც შვებულებაში ყოფნისას გაუცვნია მაიორს და თან ჩამოუყვანია. დაბაში ბინა ჰქონდათ დაქირავებული და დროებით იქ ცხოვრობდნენ, რადგან, როგორც ამბობდნენ, მაიორი დაწინაურებას ელოდა.

არაფერი იმაზე არ მეტყველებდა, რომ ეს ქალი, რომელიც სუფთად, უაქცენტოდ ლაპარაკობდა რუსულად, შეიძლებოდა ელა ყოფილიყო. არც მისი მუქი წაალისფერი, მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰგავდა ელას ოქროსფერ დალალებს; ტანსრულიც იყო და ხორციანიც, სახე ნაკვთებიც რაღაცნაირად შესცვლოდა, მოკლედ — რაღაცით კი ჰგავდა, უფრო მეტად კი — არა, მაგრამ ლევანს მაინც შინაგანად სჯეროდა, რომ იგი სწორედ ის ქალი იყო, რომელსაც ასე ბევრი ეძებართა მისი და სწორედ მის წინაშე უნდა ეგო პასუხი. პასუხისგება კი ლევან ლაშაურს მხოლოდ ასე ესმოდა: აქ, ამ მდინარეზე, უნდა მომხდარიყო ის, რისი ჩადენაც ჩაუდენლად დაბრალდა და რაც სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ათ გრძელზე-გრძელ წლად დაუჯდა.

დაბაში შეხვედრის შემდეგ დიდი, მუქშუშიანი სათვალით დადიოდა და შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ხალხში არ ეტრიალა.

ისიც დაადგინა, რომ ქალი თითქმის ყოველდღე, მზის ჩასვლისას, მდინარეზე საბანაოდ დადიოდა, ზოგჯერ ქმართან ერთად, უფრო ხშირად კი მარტო. თანაც მყუდრო ადგილი ჰქონდა ამორჩეული.

ამ მხარეში სიცივეები ადრე იწყებოდა, ამიტომ სწრაფად მოქმედება იყო საჭირო. არც სამოქმედო გეგმას სჭირდებოდა დიდი მოფიქრება: ჩაუდენელი მკვლელობის სურათი ისე დაწვრილებით დაუხატეს ჯერ გამოძიების დროს, შემდეგ კი სასამართლოზე, რომ ახლა, განწრახულის სისრულეში მოსაყვანად, მცირეოდენი დეტალების შეცვლაღა იყო საჭირო, ასე ვთქვათ — „ადგილმბრალი პირობების გათვალისწინებით“.

ყველაფერი დაუზუსტა თუ არა, დაბას გაეცალა, მდინარეს დაუყვა და ერთი ეკოთეჯზის სახლში ოთახი იქირავა იმ პირობით, რომ ყოველდღე მის განკარგულებაში იქნებოდა პატარა მოტორიანი ნავი, რომელიც ნიჩბებითაც იოლი სამართავი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთევზემ სიამოვნებით ჩაითვალა ფული და სათევზაო მოწყობილობის გამართვაც თვითონ ითავა.

მთავარი ის იყო, რომ მეთევზის სახლიდან დაბამდე სამი-ოთხი კილომეტრი იქნებოდა და ლევანს სწორედ ეს აძლევდა ხელს.

ლევან ლაშაური ნავში იჯდა და უგულოდ დაჰყურებდა ანკესის ტივტივს — თევზაობა არ უყვარდა, მაგრამ ახლა უფრო სწრაფად გადიოდა დრო, თანაც აქედან კარგად მოჩანდა ის ადგილი, სადაც ქალი საბანაოდ დადიოდა ხოლმე. თვითონ ლევანს და მის ნავს კი, რომელიც პატარა ყურეში იდგა, ხშირი ბუჩქნარი ფარავდა.

მთელი კვირა მორიგეობდა უკვე, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერაფრით ვერ შეარჩია — ხან ქმარი მოჰყვებოდა ქალს, ხან კი ახლომახლო პატარა ბიჭები თევზაობდნენ.

მზე სულ უფრო დაბლა ეშვებოდა, მერე საერთოდ მიეფარა ღრუბლებს, ქალი კი არ ჩანდა. ლევანს უკვე გული გადაეწურა მოლოდინისაგან, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა — დრო გადიოდა, რამდენიმე დღეში შეიძლება ამინდიც შეცვლილიყო, მერე კი... ლევანს ამის გაფიქრებაც არ სურდა — დღე-დღეზე უნდა მომხდარიყო მისახდენი.

უცებ ძუა ისე დაიჭიმა, ანკესის ჯოხი მშვილდივით გაღუნა და მეთევზეც კინაღამ წყალში გადაგდო. ლევანმა ძლივს მოასწრო ჯოხისთვის ხელის წატანება, მერე ძუა მიუშვა ოდნავ, რადგან გრძნობდა, რომ თევზი დიდი უნდა ყოფილიყო. ძუა ისევ ლარივით დაიჭიმა — თევზი სიცოცხლისთვის იბრძოდა და აკი გუმართლა კიდეც: ასახვევ გორგოლაჭში ძუა გაიხლართა და ლევანმა მისი მიშვება ვეღარ შეძლო, ამიტომ ძალით სცადა თევზის ამოთრევა. ანკესის ჯოხი ისე მოირკალა, საკვირველი ის იყო, როგორ არ გადატყდა, ორიოდე წამს ხელში უჭიმავებდა ლევანს, მაგრამ ბოლოს ისევ ძუამ ვეღარ გაუძლო, გაწყდა და საოცარად შემსუბუქებული ჯოხი ხელში შეატოვა.

ლევანმა სპინნგი ნავში მიაგდო და სიგარეტს მოუკიდა — ანკესის ხელახლა გაწყობა არც უფიქრია.

ბინდდებოდა უკვე, ლევანი კი იჯდა და ფიქრებში წასული ეწეოდა სიგარეტს...

...ქალმა კაბა გაიხადა, ფეხის თითებით ჯერ გუბედავად მოსინჯა წყალი, მერე დგაფუნით გადაეშვა მდინარეში და გაცურა.

ლევანმა ნაპირი დაზვერა — ახლომახლო არავინ ჩანდა. ნიჩბებს მიუჯდა და ნელა წარმართა ნავი იქითკენ, სადაც ბინდში, ქალის თეთრი საბანაო ქუდი ელანდებოდა.

ქალი შორს არ იყო ნაპირიდან და ძალე წამოიწია. ერთი კი გამოხედა და ისევ წინ განაგრძო ცურვა — მშვიდი, გამოზომილი ბრასით მიცურავდა.

ლევანმა ცოტა აცალა, მერე ისევ მიუახლოვდა.

ქალმა შემოხედა, ზიზღით აიბზუტური, ისევ წინ გაცურდა, მაგრამ ამჯერად ნავმა გზა რომ მოუჭრა, მაშინ კი მართლა გაბრაზდა.

— რა ენებავთ? — ყინულივით ხმა ჰქონდა.

— ნავით მინდა გაგასეირნოთ.

— ვმადლობთ, არა მჭირდება! — და ნაპირისკენ იბრუნა პირი: არც ისე შორს იყვნენ, ორმოცი-ორმოცდათი მეტრი თუ იქნებოდა ნაპირამდე.

ნავმა ახლა აქედან მოუჭრა გზა.

— ხომ არ შეიშალეთ! მე ქმარი მყავს!

— რატომღაც მაინცდამაინც ეს არგუმენტი მოიშველია ქალმა.

— მართლა?! რამდენი?! — ღვარძლიანად ჩაეკითხა ლევანი.

— ვინა ხარ? რა გინდა?! — ქალს შეშფოთება შეეტყო, — იცოდე, მწარედ განანებ მაგ თავხედობას!

— კარგი ერთი! — გაეცინა ლევანს, მერე უცებ მობეზრდა ეს თამაში და ცივად დამბატა, ოღონდ უკვე ქართულად: — ეხლა მორჩი ბაზარს და ნავში ამოდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალმა შეჰკივლა და ნავის კიდეს ჩაებღაუჭა.

— მიცანი? კიდევ კარგი! ამოდი ნავში!

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და კიბისაკენ გადანაცვლა, მაგრამ უეცრად ჩაყვინთა და გაუჩინარდა.

„ნეტა, რამდენ ხანს იცურებ ყვინთვით!“ — ბრაზით გაიფიქრა ლევანმა ღა ჯაბიდან ნაგანი ამოიღო.

მართლაც, მალე გამოჩნდა წყალზე თეთრი საბანაო ქუდი, სულ ათიოდე მეტრის იქით, ოღონდ უფრო ქვემოთ.

ლევანი ნიჩბის ორიოდე მოსმით წამოეწია და იარაღი პირდაპირ სახეში დაუმიზნა, მერე ლულა ოდნავ გვერდზე გასწია და ორჯერ გამოჰკრა სასხლეტს. სროლის ხმამ მდინარეს გადაუარა, ტყვიებმა კი პატარა ჭაელები წამომართეს ქალის მხრის ახლოს.

— მესამეს პირდაპირ შუბლში გესვრი! — დაუყვირა ლევანმა, — ახლავე ამოდი!

ქალი მიხედა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა, როგორც იქნა ნავზე ამობიდა და იქვე, ბოლოში დაჯდა.

ლევანმა რევოლვერი ქამარში გაირჭო და წინასწარ მომზადებული თოკი მოიმარჯვა:

— ხელები გამოსწიე!

ქალმა მორჩილად გამოუწოდა ხელები და ლევანმა მაგრად გაუკრა ზურგს უკან კაპრონის თოკით.

— რას მიპირებ?

— ისეთს არაფერს. აი, ამ პატარა სუვენირს კისერზე დაგკიდებ და საბანაოდ გაგიშვებ, — უთხრა ლევანმა და ორფეთიან გირზე მიუთითა, — მანამდე კი მინდა ორიოდე შეკითხვა მოგცე, მაგრამ ჯერ უფრო მყუდრო ადგილი უნდა მოვნახოთ.

ქალმა გირს შეხედა და შეაჟრჟოლა.

ლევანი ნიჩბებს მიუჯდა და თხუთმეტიოდე წუთს ხმის ამოუღებლად უსვამდა, მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა ნაპირი უკვე ბუნდოვან ზოლადღა ილანდებოდა.

— აბა, მომიყევი!

— რა მოგიყევ?

— კარგად იცი — რაც, თავს ნუ ისულელებ!

— რომ არაფერი გითხრა?

— მოგკლავ!

— ყველაფერი რომ მოგიყევ?

— ვერც ეგ გიშველის და ნუ მევაჭრები!

შორიდან მოტორიანი ნავის ყრუ გუგუნი მოისმა.

— რატომ უნდა მოგიყევ, თუ ჩემი სიშველი მაინც არა ყოფილა?!

— მოინანიებ! — თვითონაც მიხვდა, რომ სისულელე წამოროშა და ქალმაც მაშინვე დაუდასტურა — დამცინავად გაიცინა.

— შანს არ მაძლევ?

— ენახოთ, შენზეა დამოკიდებული, — ვითომ დათმობაზე წავიდა ლევანი.

მოტორის ხმა ახლოვდებოდა.

— რით დავიწყო? — დაფიქრდა ქალი.

ლევანი მიხვდა, რომ ქალს მისი არა სჯეროდა და დროის მოგებას ცდილობდა.

— მარია! — მოისმა ნაპირიდან შორეული და სუსტი ძახილი.

— გესმის, მეძებენ! — თქვა ქალმა — ახლა რაღას იზამ?

ლევანმა იარაღი გაიძრო ქამრიდან.

— დაბჯრეტენ! — დაემუქრა ქალი.

— ცდები, ძვირფასო! ფეხებსაც ვერ მომჭამენ! შენი გასაღებისათვის სასჯელი უკვე მოხდილი მაქვს.

უეცრად პროჟექტორის მძლავრმა შუქმა გაჭკვეთა სიბნელე და მთელი ნავი გააჩახჩახა — ასიოდე მეტრზე კატერი მოაპობდა წყალს.

ყველაფერი იღუპებოდა და ბრაზისგან გაცოფებულმა ლევან ლაშარმა ზუთჯერ, ზედიზედ დაჭირა სასხლეტს თითი.

ზუთჯერ იგრიალა და დაცხრილული ქალი პირქვე ჩაეხო ნავში.

ლევანმა იარაღი ნავის ფსკერზე მიაგდო.

კატერი უკვე სულ ახლოს იყო...

●

— ასე რომ, პატივცემულო მოსამართლევ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმეოათეს შემთხვევასთან: სახეზეა ძალზე მძიმე ხასიათის სასამართლო შეცდომა — ბრალდებული უდანაშაულოდ, დიდი ხნით იმყოფებოდა პატიმრობაში და ბოლომდე მოიხადა სასჯელი. და რადგან ამჟამად ძიებით დადასტურდა, რომ მარია ბორისის ასული პეტროვა და ელიმახეილის ასული ცირეკიძე ერთი და იგივე პიროვნებაა, მაშასადამე, ბრალდებული ლევან გიორგის ძე ლაშაური მსჯავრდდებული იქნა მკელელობისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია! თქვენ წარმოიდგინეთ — უდანაშაულო ადამიანმა ათი წელი, დიახ, ათი უმძიმესი წელიწადი გაატარა პატიმრობაში, ამ დროს კი მსხვერპლად შერაცხული ელიცირეკიძე, ანუ იგივე მარია პეტროვა, არხეინად ცხოვრობდა და სულაც არ ადარდებდა მის მიერ დალუპული ახალგაზრდა კაცის ბედი.

დიახ, ბრალდებულმა ახლა კი მოკლეს ქალი — ეს ნამდვილად დადასტურებული და არც თვითონ უარყოფს, მაგრამ ნუ დაგვაეიწყდება, რომ ამ მკელელობისათვის მას სასჯელი უკვე მოხდილი აქვს, კანონი კი ადამიანს ერთი და ნაშაულისათვის მხოლოდ ერთხელ სჯის, ხელმეორედ მისი გასამართლება კი ჭეშმარიტად დაუშვებელია.

ამიტომ ძალიან გამიკვირდა უფალი პროკურორის, მაპატიეთ და, აბსურდული მოთხოვნა, მისი, როგორც მკელელის დასჯის თაობაზე! და ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე, როგორც ბრალდებულის დმცველი, მოვითხოვ: სასამართლომ გაითვალისწინოს ამ ძალზე რთული საქმის ყველა გარემოება, განსაკუთრებით ის მორალურ-ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც ბრალდებულ ათი წლის ყოვლად გაუმართლებელმა პატიმრობამ მიაყენა და გაათავისუფლის ლევან გიორგის ძე ლაშაური სასამართლო დარბაზიდან!

სკამზე აბოვლებულ მაიორს მეგობრები აწყნარებდნენ.

— სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად. გთხოვთ, გაიყვანოთ პატიმარი!

...ორ მებადრაგეს შორის მდგარ ლევან ლაშაურს მხოლოდ ცალკეული ფრაზები ესმოდა:

— გაითვალისწინა რა საქმის ვითარება... სასამართლოს გამოაქვს შემდეგი განაჩენი: ვინაიდან და რადგანაც... მოიხსნას ბრალდება წინასწარ განზრახულ მკელელობაში...

ამასთან, ლევან გიორგის ძე ლაშაური, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის, მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა...

...ისევ ზანტად ღუღუნებდა დიდი მდინარე.

ლევან ლაშაურმა ასანთს გაპკრა და საათს დახედა — ათი სრულდებოდა უკვე და აშკარა იყო, რომ ქალი ალარ ჩამოვიდოდა.

ნაპირზე მიბმული ნავი ახსნა და ძრავა აამუშავა...

●

მტანჯველ მოლოდინში კიდევ რამდენიმე დღე მოიცალა — ქალი მდინარეზე აღარ გამოჩენილა.

ლევანს ერთი სული ჰქონდა — დაბაში მისულიყო და მისი ამბავი გამოეკითხა, მაგრამ ეს თავის გამჟღავნების ტოლფასი იქნებოდა, ამიტომ ყოველდღე ჯერუტად აკეთხავდა შერჩეულ ადგილს და დაღამებამდე „თევზაობდა“.

ახლაც, მდინარეს რომ აღმა მიჰყვებოდა, თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ტყეელად მოუწევდა ყურყუტი, მაგრამ უკვე შორიდანვე შენიშნა განმარტოებით მჯდარი ქალი, რომელიც რაღაცას კითხულობდა და, ეტყობა, ვერაფერს ამჩნევდა გარშემო.

ლევანმა სწრაფად მიაყენა ნაპირს ნავი და ის-ის იყო წამოდგომა დააპირა, რომ ქალმა სქელტანიანი ჟურნალი გვერდზე გადადო, ადგა, ჩანთა აიღო და ისე მშვიდად მოკალათდა ნავის ქიმზე, თითქოს დიდი ხნის ნანატრი, სასიამოვნო გასეირნება ელოდა.

მისმა საქციელმა ჯერ ოდნავ შეაცბუნა ლევან ლაშაური, მერე კი, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიაზრა, რომ ქალი ამ შეხვედრას ელ-და, გვარიანადაც დაიბნა.

ის კი ნავში იჯდა და მშვიდად იცდიდა.

მისმა სიმშვიდემ გააცოფა ლევანი, რამდენჯერმე მძლავრად მოუსვა წყალს ნიჩბები, შემდეგ კი ძრავა აამუშავა და-შუა მდინარისაკენ აიღო გეზი.

ნავი სწრაფ ჩქერში აღარ შეიყვანა, ძრავა გამორთო და თავის ნებაზე მიუშვა.

— რას მიპირებ? — როგორღაც, გულგრილად იკითხა ელამ, ისე, თითქოს ვიღაცის ამბავს კითხულობდა, რომელიც ნაკლებად აინტერესებდა.

„თამაშობს!“ — გაიფიქრა ლევანმა და არაფერი უპასუხა.

— აღარ იტყვი? — აღელვება არც ახლა შეტყობია.

— ისეთს არაფერს, უბრალოდ, სიმართლის გაგება მინდა.

— ისეთს არაფერს, არა? მე ხომ ვიცი, ჩემს მოსაკლავად ხარ ჩამოსული... დაგინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი...

— არც მიფიქრია.

— ჰო? — დამცინავად ჟღერდა ქალის ხმა, — მაშ, ეგ თოკი და ორფუთიანი ვირი ლუზის მაგივრობას გიწევენ ალბათ, ოღონდ საკვირველი ისაა, არც თოკი დაგიხსენებია აქამდე და არც „ლუზას“ მოჰკიდებია ჭანგი... გინდა, მე მოგიყვები, როგორ იქნება ყველაფერი? თოკით ხელებს გამიკრავ, მერე მაგ ნათამაშოს კისერზე ჩამომკიდებ და მიდი, იბანავეო, გენაცვალე — ნავიდან გადამიძახებ. მაგრამ ეგ ბოლოს იქნება, მანამდე კი თავს მოიკუტუნებ, რადგან ჯერ გჭირდები... ასე არაა?

— პირდაპირ ეგიყოფი, ისე მიყვარ ჭკვიანი ქალები, — კბილებში გამოსცრა ლევანმა, — ამიტომ არ დაგიმალავ: სწორად გამოიცანი.

— მერედა ერთი საცოდავი ქალის საიქიოში გასასტუმრებლად, სხვა რომ არაფერი, ამხელა გზის გამოვლა დირდა?! — ლევანის გასაოცრად, ელა დამცინაგ კილოს არ იცილებდა.

— შენა ხარ საცოდავი?!

— თანაც იმ ქალის, რომელმაც, აკად თუ კარგად, მაინც სიცოცხლე გაჩუქა!

— ესე იგი, სიცოცხლე მაჩუქე, არა?! შენი აზრით, ეხლა ნავში უნდა ვიყო ჩამხობილი და ფეხებს გიკოცნიდე, შენი ხატება კი სასოუმალთან უნდა მეკიდოს და ლაზალამის ვლოცულობდე! ასეა, არა, მე შენი!..

— ტვინი გაანძრიე ცოტა! — ქალს ახლა უხეში ხმა ჰქონდა, — მაინც რა სჯობდა: ათი წელი ციხეში ჯდომა თუ არყოფნა?

— ვერ გაბედავდით!

— ვინ, ის?!! ვანო ბესარაშვილი თუ გახსოვს?

— ვანო ცოცხალი აღარაა.

— ეგეც გცოდნია. როგორ გგონია, ის მართლა შემთხვევით გადავარღა კლდიდან? მართლა უბედური შემთხვევა იყო?

— კიდევ რას მოიგონებ? ნუთუ გგონია, მაგ ლაპარაკით გამაბრყვიდე და ვერა ვხვდები, რომ თავის დაძვრენას ცდილობ?

ქალმა არ უპასუხა, შორეულ სივრცეს გაჰყურებდა.

— კარგი, — დუმილი დაარღვია ლევანმა, — მომიყევი ყველაფერი და მერე ვნახოთ.

— რა უნდა მოგიყვე? რაც მოგიწყვეს, თვითონაც კარგად იცი, ჩემი ბრალი კი ისაა, ყველაფერზე დავთანხმდი, მაგრამ ასე რომ არ მოვქცეულიყავი, არც შენ იჯდებოდი ახლა ამ ნავში და არც მე.

— მე ის კაცი მჭირდება — გვარი, სახელი, მისამართი!

— იმას სახელი და გვარი არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მე დღესაც არ ვიცი მისი ნამდვილი სახელი...

— არ მჯერა, მაგრამ გინდაც ეგრე იყოს, ვიღაცის სახელით ხომ უნდა იცხოვრო, ვითომ ეგეც არ იცი?!

— ის კაცი აღარ არსებობს.

— როგორ თუ აღარ არსებობს?

— დიდი დოზა მოუვიდა, თანაც, როგორც ექსპერტმა თქვა, არც წამალი ყოფილა სუფთა...

— როდის მოხდა ეგ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამი წლის წინათ.

— მაშ, აღარ არის! — ლევან ლაშაური გიჟივით აუელვარდა თვალები, გაშმაგებულმა ყოველგვარი განსჯის უნარი დაკარგა, ათრთოლებული ხელი გიორგე გამობმულ თოკს წამოავლო, ქალს მისწვდა და მაგრად გაუკოჭა მაჯები. — ეს თუ აღარ არის, შენ ხომ აქა ხარ!.. შეურომ არ ყოფილიყავი, არც ის იქნებოდა!.. არაფერი არ იქნებოდა!..

მერე სიგარეტს მოუკიდა და რამდენიმე ღრმა ნაფაზით ფილტრამდე ჩაიყვანა.

ელა ხელებგაკრული იჯდა და სინანულით შემოსცქეროდა.

— შენ რაღაცით დაემსგავსე იმას, გარეგნულადაც კი... საწყენია!..

— სტყუი! მე არ შეიძლება იმას დავსგავსებოდი!

— არ ვიცი... სიგარეტი მომაწევინე, სიკვდილმისჯილებს ეკუთვნითო, გამიგია. რას ეწევი?

ლევანმა კოლოფი დაანახა.

— არა, ეგ ძალიან მაგარია, მგონი. მეც უნდა მქონდეს რაღაცა, — ელამ ჩანთა მუხლებში მოიქცია და შეკრული ხელები ჩაყო შიგ, — ცეცხლი მომიკიდე!

ლევანმა ასანთი მოიძია ჯიბეში, გაჭრა და მხოლოდ ამის შემდეგ შეხედა ქალს.

შეხედა და სახტად დარჩა: ელას, მაჯებში გაკრულ ხელებში, პატარა, მონიკელებული პისტოლეტი ეჭირა და მას უმიზნებდა.

ამან უცებ დაამშვიდა ლევან ლაშაური.

— ყოჩაღ, ქალო! ახია ჩემისთანა იდიოტზე! ოღონდ ვიდრე გაიცვრი, ის მაინც მითხარი, აქამდე რაც ილაპარაკე, მართალი იყო თუ არა? თუმცა მეც გეკითხები, რა — სანთლით საძებარია ჩემნაირი კრეტინი!

ელამ არაფერი უპასუხა, სახეგაფითრებული უყურებდა. მერე, მოულოდნელად, პისტოლეტი წყალში გადაგდო, სახე უფრო მეტად გაუფითრდა, ნაბის კიდეს გადაეყუდა და გული აერია. პოლოს, ღონემიხდილი, ისევ ნაბის ქვეშ მიესვენა.

— სიგარეტი მომეცი, მე არა მაქვს.

ლევანმა ორ ღერს მოუკიდა და ერთი მიაწოდა.

— თქვენსმეტი წლის ვიყავი, როცა გაეიცანი და მაშინვე მოვიხიბლე — ახლანი იყო, წარმოსადეგი, მარჯვენე და მარცხნივ ფანტავდა ფულს, ან კი რა... უნდოდა პატარა, სულელი გოგოს თავგზის აბნევას... მერე კი, ბევრ რამეს რომ მივხვდი, თავის დაღწევა ველარ შევძელი...

შენ რომ შეგხვდი, ერთი წლის დაჭერილი იყო უკვე და სასამართლოს ელოდა — სწორედ იმ პროცესზე დასასწრებად წავედი მაშინ და იმიტომაც დამიგვიანდა ჩამოსვლა... ოხუთმეტი წელი მიუსაჯეს და ვიფიქრე... თუმცა, რა გამოვდა ჩემი ნაფიქრალიდან, შენც კარგად იცი...

— ვანო ბესარაშვილმა რაღა დაუშავა?

— ვანომ ბევრი რამე იცოდა და, ეტყობა, იოლი გზით ფულის შოვნა გადაწყვიტა — შანტაჟი დაუწყო. იპოვა, რა, იმანაც დასაშინებელი კაცი!

— ის ქალი ვინღა იყო, მდინარეში რომ იპოვეს? ნუთუ ისიც...

— არა, ეგ უბრალო დამთხვევა იყო და მეტი არაფერი...

— დარწმუნებული ხარ?

— ჰო. მაშინ ისიც ძალიან გააკვირვა და გაახარა მაგ ამბავმა, ასე რომ, ნამდვილად შემთხვევითობა იყო.

ლევან ლაშური პირველად დაფიქრდა იმაზე, თუ ვინ იყო ელა მისთვის.

ლევანის წინ, ფაქტობრივად, სრულიად უცნობი ქალი იჯდა, უცნობი წარსულით, შეცვლილი გარეგნობით — თვალების ფერიც კი შესცვლოდა თითქოს. მის მიმართ ლევანი არაფერს გრძნობდა: არც სიყვარულს, არც სიძულვილს და თუმცა გულის სიღრმეში ჯერ კიდევ არ მინავლულიყო შურისძიების სურვილი, ლევანი გრძნობდა, გრძნობდა კი არა, უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ ამ ქალის მომკვლელი არ იყო, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან არ შეეძლო მოეკლა უცხო ადამიანი, მით უმეტეს ის, ვისაც ამ რამდენიმე წუთის წინათ თავისუფლად შეეძლო. თვითონ ლევანი გაეხტუმრებინა იმქვეყნად და მერე, ხელებდაბორკილს, რაც მოესურვებოდა, ის ემტკიცებინა.

სიგარეტის ნამწვი წყალში გადააგდო და ქალს ხელები შეუხსნა.

ელას სახე ისევ გაფითრებული ჰქონდა — განთავისუფლებული ხელით რამდენჯერმე ისხურა წყალი.

— ისევ ცუდად ხარ?

— არა, გადამიარა უკვე.

— არც ისე ადვილია ადამიანის მოკვლა, არა?

— ეგ რა შუაშია? ბავშვი უნდა მეყოლოს... პირველადა ვარ ასე ბაკურიანის მერე...

ლევანს არც ახლა უგრძვნია რამე, არც შური, არც გაღიზიანება, არც ბაკურიანის ხსენებას უმოქმედია — ეს ქალი ვერაფრით ვერ უკავშირდებოდა იმას, რაც ადრე, ბაკურიანში მოხდა.

— ასეა საქმეები, — თქვა ელამ და თითქოს თავისთვის დაამატა: — კაცის მოკვლა კი არც ისე ძნელი ყოფილა... კაცს გაარჩინა თურმე...

— მაშ, ის მართლა მოკვდა?

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი.

ლევანმა ჯიბიდან ამოიღო და ხელისგულზე შეათვალიერა ფოლადისფერი ნაგანი.

ცოტა ხანს დაფიქრებით უყურა და მერე ისევ ჯიბეში ჩაიდო.

...ნაპირს რომ მიადგნენ, ელა ნავიდან გადავიდა და იქვე შეწერდა.

— ალბათ, უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს და მინდა გითხრა...

— არ გინდა, რა საჭიროა ზედმეტი სიტყვები.

— მართალი ხარ! ოღონდ იმაში კი არა ხარ მართალი, იარაღი რომ შეინახე. შენ კაცის მომკვლელი არა ხარ და არც არასდროს იქნები. მხოლოდ ერთი ადამიანის მოკვლა შეგიძლია — საკუთარი თავის, ამისთვის კი ნამდვილად არ ღირდა იარაღის შენახვა... ერთსაც გეტყვი და წავალ: ის რომ წამალს იკეთებდა, ყველა მისმა ძმაკაცმა თუ დამქანმა კარგად იცოდა. ის არ იცან მხოლოდ, ვინ შეუმზადა იმ დღეს შპრიცი... მანამდე არასოდეს გამიკეთებია ეგ და ეჭვიც ვერ შეიტანეს...

— კარგია, ქართული რომ არ დაგავიწყებია, — უთხრა ლევან ლაშაურმა და ნინჩით ნაპირს უბიძგა, — კარგად იყავი!

— ხომ იცი, ენების დიდი ნიჭი მაქვს, — გაიცინა ელამ, — მშვიდობით, ლევან!

ქალი მანამდე იდგა ნაპირზე, ვიდრე ნავი ჩამოწოლილ ბინდში გაუჩინარდებოდა...

●

მდინარეზე უკუნი სიბნელე გამეფებულიყო.

ნავის კიჩოს ზურგით მიყრდნობილი, ნახევრად წამოწოლილი ლევანი ზედაზედ ეწვოდა სიგარეტს.

არ იცოდა, რამდენ ხანს გრძელდებოდა ასე, ან სად იმყოფებოდა — სრულიად სურვილდაკარგულს არაფერი აინტერესებდა.

კიდევ ერთხელ მოიძია სიგარეტი და დაცლილი კოლოფი შერჩა ხელში, მოჭმუჭნა და წყალში გადაავდო.

მერე ჯიბიდან ნაგანი ამოიღო, ასანთს გაჰკრა და დახედა. ცხადი იყო: ეს პატარა მანქანა თავის საქმეს შეასრულებდა

— ბევრი არაფერი იყო საჭირო, მხოლოდ თითის ერთი გამოკვრა და... დამთავრდებოდა ლევან ლაშაური, კაცი, რომლის ცხოვრება წუთისოფლის ხელში ასე სათამაშოდ ქცეულიყო.

„მხოლოდ ერთი ადამიანის მოკვლა შეგიძლია — საკუთარი თავის, — ამისთვის კი ნამდვილად არ ღირდა იარაღის შენახვა!“ — ჩაესმა წელანდელი ნათქვამი.

ამ ქალმაც კი აჯობა, თუნდაც იმით, რომ ბავშვს გააჩენდა და მისი ცხოვრებით მაინც იცხოვრებდა, ლევანმა კი მარილა აღარ იცოდა, რისთვის ღირდა სიცოცხლე.

ნაგანი ფეხზე შეაყენა და დაინახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ნავში მის გარდა კიდევ ვიღაც იყო. წამით შეაჩერა სასხლეტზე დადებული თითი და იცნო — ქიმზე ლევან ბაბუა იჯდა და პირგამეხებული შემოსცქეროდა.

— მაგისთვის დაგიტოვე ეგ სასროლი, შვილო?!

— მე რა ვქნა, ბაბუ, თუკი სხვა სამი ზნე აღარ დარჩა ამ შენს საჩუქარს?

— ჩემი ბრალია, კაცად ვერ გამიზრდიხარ!

ბაბუა გაქრა, მის ადგილას კი ნაპირზე დტოვებული ელა არხევდა მხრებს. ჩამოყრილ ოქროსფერ თმას — ზუსტად ისეთი იყო, როგორიც ამ ათი წლის წინათ.

— ხომ ვიძიე ორივეს მაგივრად შური, მეტი რაღა გინდა, ლევან?

— მეტი რომ არაფერი მინდა, სწორედ მაგაშია საქმე.

— ბორიტი ყოფილხარ, საკუთარი თავის გარდა არავინ გიყვარს, არავინ გებრალება! — ბავშვივით გაბუტული ნაცრემლიანი თვალებით შემოსცქეროდა.

— წადით, თავი დამანებეთ! — იღრიალა ლევანმა.

— რას სჩადიხარ, ლევან! მაგით ვე ორედ მომკლავ, იცოდე, რადგან ვეღარასოდეს შეგხვდებით ერთმანეთს! — დედის ხმა უჩვეულო სინანულით ყლეარდა, თვალები კი ისეთი ნაღველით ივსებოდა, რომ ლევანმა მზერა მიარიდა.

— ეგეც უნდა მაპატიო, დედ, შეუნელ შენს შვილს ეგ ცოდვაც! — და ლევან ლაშაურმა რევოლვერის ლულას მაგრად მოუჭირა კბილები.

სწორედ ამ დროს მოესმა ამაზრზენი ხარხარი —

ნავში ურჩხული გაწოლილიყო!!!

საკვირველი იყო, როგორ ეტეოდა პატარა ნავში ვეება, ქერცლიანი სხეული; მარტო გრძელი, დაკუთხული კუდი ჩაევლო წყალში და ისე ძალუმად ადგაფუნებდა, რომ ნავი უზარმაზარ ტალღებზე ადი-ჩადიოდა.

ქაცვებიანი ტანიდან მამაკაცის ძლიერი, სქელი ბალნით დაფარული მკერდი ამოზიდულიყო, ბორიტი სახე გამყინავი თვალებით შემოსცქეროდა და საზარლად, დამცინავად ხარხარებდა.

ბრაზით და სიხარულით ერთიანად აღგზნებულმა ლევან ლაშაურმა სწრაფად შემართა ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯული იარაღი და შვიდჯერ, ზედიზედ დაახალა მოხარხარე სახეში.

შვიდჯერ, ზედიზედ დაიქუხა და აყმუვლებული ურჩხული დიდმა მდინარემ შთანთქა...

...ცივი ოფლით დასცვაროდა სახე.

იარაღის ცხელი ლულა მიიდო შუბლზე და ამან ცოტა დაამშვიდა — მოლანდებები გაქრნენ, მას კი მეტი ტყვია არ ჰქონდა.

ნაგანი ჯიბეში ჩაიდო და ცივი წყალი ისხურა სახეზე. ერთი ღერი სიგარეტი ინატრა და მაშინღა იგრძნო, რომ ფეხები უსველდებოდა.

მიხვდა — ტყვეებს შვიდ ადგილას გაეელიჯათ ნავის ფარფალალა ძირი. ჯერ სცადა ნახვრეტები მოენახა და ამოეგმანა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სანბელეში ნავის ოღროჩოღრო, წყლიან დფარულ ძირზე ხელის ფათურს აზრი არ ჰქონდა. ამიტომ ჯერ ორფუთიანი გრს გადაუძახა წყალში და ნავი შეამსუბუქა, მერე ძრავის ამუშავება სცადა.

ძრავი მაშინვე ათუხუხდა და იმედმოცემულმა ლევანმა სავარაუდო ნაპირისკენ აიღო გეზი, მაგრამ ეტყობა, მზარი ექცა, რადგან მალე ძალიან სწრაფ დინებაში მოექცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შიგ შუაგულში იმყოფებოდა. დიდი წვალებით, ძლივს შეძლო ნავის შეკმბრუნება.

ხუთიოდე წუთის განმავლობაში ნავი მშვიდად მიაპობდა წყალს, მაგრამ მოულოდნელად ძრავამ რამდენჯერმე დაახველა და დდუმდა. ლევანი ბევრს ეცადა — ამუშავებინა, მაგრამ ამაოდ. უმაქნისი ძრავა სწრაფად ახსნა, წყალში გადააგდო და ნიჩბებს მიუჯდა.

ნავში წყალი მატულობდა.

ლევანმა თუნუქის ქილით სცადა, ამო-

ხაპვა, მაგრამ ამას დიდი დრო და ენერგია მიჰქონდა, წყალი კი არ კლებულობდა. ქილა გადაადგა და ისევ ნიჩბებს მიუჯდა.

ცას მტრედისფერი შეეპარა უკვე, ნაპირი კი არა და არ ჩანდა — უკიდეგანო გამხდარიყო ისედაც დიდი მდინარე.

უფრო ინთა და, როგორც იქნა, მუქ ზოლად გამოჩნდა შორეული ნაპირი.

ეს უკვე ადარც იმედი იყო, თუმცა ნავი თითქმის სამესამედიდ წყლით იყო სავსე და მისი მართვა სულ უფრო ძნელდებოდა.

ერთხანს შეუჩერებლივ უსვამდა ნიჩბებს — ნაპირს უკვე კარგად ხედავდა.

ცოტა ხანს შეისვენა, მერე ფეხსაცმელი გაიხადა — ნავი საცაა ჩაიძირებოდა. ტანსაცმლიანად გადაეშვა წყალში და ნაპირისკენ გაცურა.

ცურვა გაუჭირდა — რაღაც მძიმედ ეზიდებოდა ქვეეთი, ფსკერისკენ. ზურგზე გაწვა და დამძიმებული ჯიბე მოისინჯა — ნაგანი იყო.

ფეხები მძლავრად აამუშავა და გათავისუფლებული ხელებით ქამარი შეიხსნა. პერანგი ადვილად გაიძრო, შემოტმასნილი შარვლის გახდა კი გაუჭირდა, გაჯიუტებული ჯინსი თავის იარაღიანად ფსკერისკენ რომ გაუშვა, შვებაო ამოისუნთქა, ერთხანს ზურგზე გაწოლილმა შეისვენა და კვლავ ნაპირისკენ გაცურდა.

ნაპირი კი შორს იყო, ძალიან შორს, მაგრამ ლევან ლაშაურს აუცილებლად უნდა მიეღწია იქამდე, რადგან ახლა გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, სულ რაღაც ოცდათორმეტი წლის...

თუნდაც იმიტომ უნდა მიეღწია, რომ თბილისში, თავის ქუჩაზე, თავის სახლში, ოღონდ სართულით მაღლა ერთი პატარა, ძალიან განაწყენებული, მაგრამ ადვილად შემოსარიგებელი გოგო ელოდა...

●

თბილისში გვიან ღამით ჩამოფრინდა.

მგზავრობით დაღლილმა ბინაში შესვლისთანავე საწოლს მიაშურა.

ღილით მაინც ადრე გაეღვიძა, ეზოში გამოვიდა და წაიავრჯაში.

მერე დიდი თუთის ქვეშ მდგარი სკამისკენ გაემართა, სადაც ყვითელჟილეტიანი ქურთი მეეზოვე საქმემიმთავრებული კაცის იერით აბოლებდა სიგარეტს.

ლევანი გვერდით ჩამოუჯდა, სიგარეტი სთხოვა.

მეეზოვემ „მტკვრის“ დაჭმუჭნილი კოლოფი გაუწოდა.

— სად იყავი, ლევანჯან, რი არა ჩანდი?

— მივლინებაში.

— აა, კამანდიროვკაში? ბედი არა გქონია, მაგარ პურ-მარილს დაკლდი!

— რა პურ მარილს?

— ჯამბულამ გოგო გაათხოვა.

— რომელმა ჯამბულამ? — ანგარიშმაუცემლად იკითხა, თორემ მაშინვე მიხვდა ყველაფერს.

— ვა! შენმა მეზობელმა თავისი გოგონაა, რადა!

— როდის? — ისე იკითხა, თითქოს ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა.

— გუშინწინ, შაბათს ჰქონდათ ასნაგნიი ქორწილი, გუშინ შინაურები გრიალებდნენ.

— მაგრა იშარაფეთ? — ლევანი ფეხზე წამოდგა.

— უჰ, კამფეტივით ღვინო ჰქონდა!

...სახლში შესულმა უაზროდ ჩართო ტელევიზორი.

ჩამქრალი ეკრანიდან ჯერ თოლიებიან ჭყივილი მოისმა, შემდეგ კი იალქნიანი ნავი გამოჩნდა — ლურჯ ტალღებს მიაპობდა.

ლევან ლაშაურს უცებ მოენატრა ზღვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანო ჯანელიძე

პოეტური მუზის ერთ ნიჭიერ მსახურთაგანს, ქართული მწერლობის საძმოს წევრს, „ცისკრის“ მუდმივ ავტორს, მეგობარსა და სარედაქციო კოლეგიის წევრს ჯანო ჯანელიძეს 60 წელი შეუსრულდა. დღეს ჩვენი საშშობლოს ისტორიის ტრაგიკული ფურცლები იწერება და ყოველი ადამიანი, მით უფრო შემოქმედი, ვალდებულია დადგეს იქ, სადაც მას მამულის გრძნობა და სინდისი უკარნახებს. ჯანო ჯანელიძე ჭეშმარიტი პოეტია, მაგრამ ის მხოლოდ პოეტი როდია, ის იმ ადამიანთაგანია, ვისაც ღმერთმა გმირული და შეუპოვარი ბუნება დაანაოლა. პიროვნულმა ტრაგედიამ იგი ვერ მოტეხა, მტერი არ გაახარა და წადილი საშშობლოს სამსახურისა გაუასკეცა. ჯანო ჯანელიძე მუდამ იქ იდგა, სადაც უნდა იდგეს საშშობლოს ერთგული მეომარი. მწერლის უპირველესი იარაღია სიტყვა! ხშირად სიტყვა უფრო ამარცხებს მტერს, ვიდრე თოფისწამალი. ჯანო ჯანელიძე ღვთისა და ერის წინაშე პირნათელი კაცია, მისი სტრიქონი მაშულიშვილობის მაღლითაა ცხებული, ხოლო მისი პუბლიცისტური წერილები ქვეყნის ორგულთათვის ნასროლი ტყვია...

ჩვენ, ცისკრელები, ვულოცავთ შეგობარ პოეტს საიუბილეო თარიღს, იმის ღრმა რწმენით, რომ იგი ბოლომდე დარჩება ერთგული თავისი მოწოდებისა — სიცოცხლე შეალიოს ერის განთავისუფლების დიად საქმეს.

„ცისკრის“ რედაქცია

ცაზე ვარსკვლავები სხედან,
როგორც ოქროს ხმიადები,
ბრმა ვარ, ვერაფერსა ვხედავ
და წამსველელი ვგვიანდები.

ბრმა ვარ, ვერაფერსა ვხედავ,
კენესის ჩემი სევდის სტვირი,
ლერწამს ყელი გაუხევდა
და გულმკვდარი შენზე ტირის.

და წამსველელი ვგვიანდები,
დრო კი გარბის ოქროსრქემა,
მალე საფლავს მივადგები
და თიბათვის მზეც ჩაქრება.

და ამ სოფელს, ფლიდს და ტიალს,
გავეყრები, რომ მხვდა ლახვრად,
ბრმამ და თვალებდაშრეტილმა
აქ რა ენახე, იქ რას ენახავ?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გათავდა,
მორჩა!..
ჰა, სამელნეში
უკანასკნელი ჩაშრა მელანი,
ჟამმა წაშალა ის ძველი ეშხიც,
ვარ მოწყენილი, როგორც მენავე.

ჩაშრა მელანი და ცრემლიც გაშრა,
მხოლოდღა სისხლის შრიალი ისმის,
მორჩა,
გათავდა!..
საშველი არ ჩანს
და კალამს ვაწებ საკუთარ სისხლში.

უკვე დასრულდა

წინ სიზმარეთის ვრცელი ველია,
შეუცნობელი ისე, ვით ბითი,
უკვე დასრულდა, აღარ მელიან
და უკანასკნელს მე წამებს ვითვლი.

მორჩა, არასდროს ის არ შემოვა
სახლში, რომელსაც ათოვს და აწვიმს
და არ მაჩუქებს უდარდელობას
და სურნელებას დაკრეფილ მარწყვის.

და წინ ამხმარი მხოლოდ ველია,
ჰა, გზა საჩემო ჩათავდა კიდეც,
არავის ველი, არც მე მელიან
და ჩანგს მდუმარეს კედელზე ვკიდებ.

ხუთი ჭრილობა

ძლივსღა ვიშორებ მე სისხლის შხეფებს
და არყოფნაში მივემგზავრები
და არყოფნაში მოკლული ერთხელ,
ისევ ვბრუნდები მწუხრის ზარებით.

უკანასკნელი ჭრილობა შემხსნეს
და შეუცნობი ხმა ისევ მიხმობს
და არყოფნიდან მოსული ერთხელ
ისევ იმღერი, პოეტის სისხლო.

არ არის წამი,
არ არის წუთი,
შენ არ ვეძებდე გაფაციცებით,
მე ვარ იესოს ჭრილობა ხუთი
და სისხლისაგან ნელა ვიცლები.

2.5.92 წ.
სოხუმი

●

ცამ გადიყარა ღრუბლები თეთრი
და მოჩანს მთვარის ქათქათა მუხლი,
ღიმილი მუდამ არ ნიშნავს კეთილს
და ცრემლი მუდამ არ ნიშნავს წუხილს.

ცა ცისარტყელას იმშვენებს ფერადს
და ნატერფალი ატყვია ქვიშას,
ფრთები ყოველთვის არ ნიშნავს ფრენას
და ცა ყოველთვის სივრცეს არ ნიშნავს.

ეს გამგზავრებაც შენ რატომ გიკვირს?!.
უკვე ჟამია გამოთხოვების,
წასვლა ყოველთვის არ ნიშნავს
სიკვდილს
და დგას დუმილი ყრუ ბეთჰოვენის.

სიზმრის პერანგი

უკანასკნელი მონანიებით
ქანაობს ტანი მშობლიურ ალვის
და ჭკნება ჩემი იაიები,
მაგრამ მშველელი, მშველელი არვინ.

და იღიმება, როგორც ხარება,
იასამანი მკერდზე იარით
და მოდის ჩემი შემოღამება,
მიმწუხრისფერი და ნაღვლიანი.

და ცა გადიქცა თითქოსდა ცრემლად,
ცა თითქოს ცრემლის სტრიქონებს
სწავლობს
და ტანზე იხვევს ჩემს გაოცებას,
მოძოწისფეროს ისე, ვით სამოსს.

ვაი, რა მკაცრად მექცევა ზენა,
მკაცრია ჩემი ბედი ვერაგიც,
ჩამოიფხრიწე შენც ჩემი მზერა,
ვით ცრემლიანი სიზმრის პერანგი.

ძველი სპექტაკლი

ეს მერამდენედ, ფრაკით ერთფერით
და თეთრი ცხენით, თეთრი კარეტით,
ისე, ვით პრინცს და რაინდს შეჰფერის,
შურისძიებად მოდგა ჰამლეტი.

და ელავს სიტყვა ისე, ვით დაშნა,
დაშნა, რომელიც წაგავს ლერწამს,

ჰოი, რამდენი მდინარე დაშრა
და გზა რამდენი უეცრად შეწყდა.

თავისი ნიჭით და ვაჟკაცობით
ოდნავ ზვიადი ის მოდგა მარტო
და სხვა არაფრით, — ძლიერ ნაცნობით,
ძველი სპექტაკლით ბრბოს ისევ
ართობს...

●

თმებში ჩაწნული ცისარტყელებით
მომელანდება ზამბახთა ტევრში
და გამოწვდილი ჩემკენ ხელები
გაწუწულია ცრემლების თქეშით.

და ცა იღვრება თოვლის ვარდებად...
და ულრანიდან გასასვლელს ვეძებ...
შენ ამიხდინე ეს მოლანდება,
ღმერთო მაღალო და ყოვლისშემძლევ!..

შენც ეს ბელის გვიან

სევდიანი მივყვები ბილიკს ოდნავ მტვრიანს,
უცხო ჩიტი დამძახის, ციცქნა, როგორც ტყვია, —
ტ ი ა, ტ ი ა, ტ ი ა!..

შუბლი გახვრეტილია შაურიან ტყვეითი,
მოკლულ ძმას ხომ ვტირი და, ვაი, მტერსაც ვტირი.

მესმის ტალღის შრიალი, თითქოს ქუჩებს გვიან
და მეც მკერდზე იარით, ნაპირ-ნაპირ, გვიან,

სევდიანი მივყვები ბილიკს ოდნავ მტვრიანს,
უცხო ჩიტი დამძახის, ციცქნა, როგორც ტყვია, —
ტ ი ა, ტ ი ა, ტ ი ა!..

სისხლიანი ფოთლები გადახვეტა ქარმა,
მეც ამ გზაზე მოვკვდები, სხვა გზას ხედავთ განა?!.

მივიწყებულ სასახლის მოჩანს კარი ღია,
მოყვითალო ფოთლები მესრის ძირას ჰყრია,

ვით დამზრალი ჩიტები, — შენც ეს გელის გვიან, —
უცხო ჩიტი დამძახის, ციცქნა, როგორც ტყვია, —
ტ ი ა, ტ ი ა, ტ ი ა!..

სიბერე

ასეთი არის სევდა მგოსნური,
გააქვს წკრიალი ცარიელ ჭიქებს,
თოფის გრიალით აქეთ მოსული,
ბელტის ხმაურით მივდივარ იქეთ.

წარმავალია მართლაც ყოველი,
ჭეშმარიტია გოდება ჩემი
და ჰგავს სიბერე იმ ნავს, რომელიც
იძირება და ვერაფერს შველი.

●

მე სიზმრად ვხედავ ზამბახს მოცელილს,
რომელსაც ისევ ადარდებს ფესვი
და, ვით საყდარში უხმოდ მლოცველის,
მე მისი მესმის და თან არ მესმის.

და ისარივით გულში გაჩრილი
ვეღარ შევძელი სურვილის მალვა,
იმედიც, როგორც ფრთებში დაჭრილი
ფრინველი, სადღაც წაიღო ქარმა.

და მდუმარება თითქოს ვიშვილე
და ჭკრთება ნისლი წყლის ასულივ
და ფეხაკრეფით მოდის სიმშვიდე,
აუხდენელი, როგორც სურვილი.

ამ წუთისოფლის ვინ იცის ფასი,
ვინ იცის მართვა უნიჩბო ნავის?!.
და გულით რაღაც, ჭრილობის მსგავსი,
დამაქვს მარადის განუკურნავი.

●

ჰა, განემზადე სიძულვილისთვის
და ყველა კარი ერთად ჩარაზე,
სხვა არაფერი შემომრჩა თითქმის,
მე რომ ბოლო დღეს გამილამაზებს.

ბედნიერია და უბედურიც
ის, ერთგულება უგრძნია ვისაც,
სიყვარულისთვის თუ გიმგერს გული,
მზად უნდა იყო წამებისთვისაც.

ვინც სიყვარულის ფასი არ იცის,
ო, მას ღალატის შხამიც ეყოფა.

ჰა, უყოყმანოდ გიძღვნი, გაგიცვლი
მტერში ყველაზე ერთგულ მეგობარს.

ასე, ამგვარად და ამნაირად,
გმირსა თუ ლაჩარს, მგოსანს თუ
ფირალს,
ჩვენ სიყვარული (თუ რამედ ვღირვართ),
ყველას ერთნაირს გვიმზადებს ფინალს.

რადგანაც ვიცი, კარგადაც ვიცი,
ვიცი ნაღდად და ვიცი გულმყარად,
გაცუდდა ყველა ნათქვამი ფიცი
და შეიძულეს, ვინაც უყვარდათ.

დასაწყისი

რა მკაცრი არის მაინც განვება!..
და გზას გავცქერი სისხლისგან ფერილს,
უკვე დაკარგეს აზრი საგნებმა
და ფრთებმა კიდევ — უნარი ფრენის.

მზე ჩამავალი ვხედავ, სულს ღაფავს,
ხელში მტრედივით მაკვდება ნისლი
და ახლად გაჭრილს დავცქერი საფლავს,
როგორც დასასრულს იმ დასაწყისის.

ხე მსხმოიარე

აი, ჭრილობებს ველარც კი ვითვლი,
ბნელში ჩაინთქა ტაძარი ნათლის
და მდევს შეხვედრა — განცვიფრებისთვის
და განშორება — წამებისათვის.

ერთი უფსკრულიც გამოვიარე,
რომ შენი ფიქრი მექცია ჩემად,
სიცოცხლე რაა? — ხე მსხმოიარე,
რომლის ნაყოფი ხეზედვე რჩება.

ვარ წილნაყარი სიმწუხარესთან

აქ რა მებადა და იქ რა მიმაქვს,
რაღა შემომრჩა დიდების ნაცვლად?!.
მე ძლიერ ვგავარ კოლხურ სარკოფაგს,
განუკითხავად რომ განუძარცვავთ.

და მთვარე დაცლილს დასცქერს
მარათონს,
ეს მე ვარ, მე ვარ მიზეზი ყოვლის,
არაფრის მქონეს თოვლი დამათოვს,
მოვა თოვლი და მიგლოვებს თოვლი.

მოუხვევია მხრებზე მთვარესაც
ნისლი, ვით ბებერს თეთრი თავშალი,

ვარ წილნაყარი სიმწუხარესთან
და თავდაღმართით ვილტვი გზა-შარით.

ვარ წილნაყარი სიმწუხარესთან,
ჰა, ჩემი წასვლის დამდგარა რიგიც,
თუკი გალობა თოვლის ჩაგესმათ,
ჩემად ჩათვალეთ გალობა იგი.

აქ რა მებადა, იქ რაღა მიმაქვს,
რაღა შემომრჩა დიდების ნაცვლად?!.
მე ძლიერ ვგავარ კოლხურ სარკოფაგს,
განუკითხავად რომ განუძარცვავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

ფ უ რ ცლ ე ბ ი

ორი დიდი სული აღმოსავლეთის: კუნძი და კენკო ხოსი; სხვადასხვა ეპოქის პირმშონი. კუნ-ძი: „გარეშემო ყველაფერი მდინარის მსგავსად მიედინება და იცვლება დღედაღამ, განუწყვეტლად...“ კენკო ხოსი: „ამქვეყნად მხოლოდ ცვალებადობაა მშვენიერი“...

სიტყვის გულისცემა და მისი სუნთქვის სიხშირე. წარმოუდგენელია ყოველივე ამის ანაზღაურება პოეტური სამკაულებით, ხშირად უსული და უენპირო მანეკენს რომ ქმნის, რაც, თავის მხრივ, მკითხველის მოტყუებაც არის: ეს კი პატიოსანი მოკალმის საქმე არა მგონია, რომ იყოს. ვფიქრობ: ერთობ ცოტაა ვულისცემის ამომცნობი მკითხველი, მაჯის შემტყობარი მკითხველი, და ფრიად ბევრია სამკაულებით თვალჭრელებული, მონუსხული მკითხველი. ეს ორი მკითხველი თანამოაზრე არ არის, რადგან სხვადასხვა ღმერთსა სცემენ თაყვანს. მაგრამ, ღვთის წყალობით, ორივესთვის რაღაც მოიძევება ამქვეყნად.

წამი, როცა სიტყვა ენთება: გამოასხიან ენერგიას, იწვის, თავისივე ცეცხლში ლღვება, რბილდება, მიმნდობი და ახლობელი ხდება.

პოლიტიკოსი სამშობლოს ვერ უღალატებს, მაგრამ შესაძლოა ადამიანს უღალატოს: მას ძალუძს ამ ცოდვის წამოკიდება... ხოლო მწერალი ვერც სამშობლოს უღალატებს და ვერც ადამიანს. ამიტომ: ის უნდა განუდგეს პოლიტიკის დემონს. თუმცა ჩვენი რთული დრო მწერლის გზასაც ამრუდებს და, გარემოებათა კვალობაზე, მწერალიც თავისი პოლიტიკური შეხედულებების მოზარე ხდება. მაგრამ მწერალი ამ საქმეში კატეგორიული ვერასოდეს იქნება, რადგან ის არის „ღია პოლიტიკოსი“, მის ნაზრევს თან არ ახლავს რეალური პოლიტიკის თანამდევი უხილავი შრეები, რომლებიც ხშირად უმთავრეს როლსა თამაშობენ...

გიყვარდეს მტერი შენი. ვთქვათ, დღეს ამ მრავალჯერნაცად, ღვთისნიერ გზას დავადექით: ამით ჩვენს მტრებს, ოთხივ კუთხით რომ შემორტყმიან საქართველოს, მისი გაქრობისა და დაქცევის მოწადინენი, განა გული მოულბებათ? სიყვარული სიძულვილის წილ! სიყვარული სიკვდილის წილ! რას მოვვეტანს ეს, განკურნავს საქართველოს საყოველთაო წყლულებს?

ქვეყანა დოგმატიზმის ტყვეობაში: ის ემსგავსება იმ გუბეს, რომელსაც გასადინარი არა აქვს და თანდათან მყაყდება, მას ეპატრონებიან ქვეწარმავალნი... თუმცა ის ზოგჯერ ლოტოსსაც აღმოაცენებს.

ქოსა მონგოლოიდი თბილისის ერთ-ერთ დაწესებულებაში. ცნობილი და ძველისძველი ქართული გვარის წარმომდგენელი. გამოხედვა არაქართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკალად გადრეკილი ფეხები: ცხენზე გატარებული საუკუნეების კვალი. უდაბნოს სუნთქვით გადახეხილი პირისახე. მოძალადის ნატერფალი.

ლიტერატურის ყორნები: განიერი კაბინეტების ბიუროკრატია, მედროვეთა მთელი არმია, რუტინის ფესვები, მისი სიმაყაყით გაჟღენთილი ჰაერი: ჩვენი ლიტერატურის ატმოსფერო; და რა ბედნიერებაა, როცა ამ უჟმურ სივრცეში გაიელანდება რომელიღაც ახალი საზელი, თავისთავადი, ზეაღმავალი, რუტინის ჭაობით გულდამძიმებული შორს რომ იხედება, შორს, სრულიად ახალი სივრცეებისაკენ.

ოციანი წლების ქართველთა პოლიტიკური მარაზმი. მისი შედეგი დღეს: შიმშილი, ეკონომიკური ვარდნა, სულიერი იმპოტენცია.

ლექსები: როგორც სიკვდილმისჯილის წერილები შთამომავლისადმი.

მშიერი ადამიანი ემსგავსება არწივს. მას დიდი სისწრაფით ეზრდება კლანჭები და ეუფლება რაღაცის ჩაბღუჯვის წყურვილი. ის დაეძებს მსხვერპლს. მას უნდება ბნელი, პირველყოფილი აზრები და მიზნები, რომელთა აღსრულებლობაც ანგრევს და აუდაბურებს მის შინაგანობას.

ისეთი იყო მისი სიტყვა, ვენები რომ გაგეხსნა, საერთოდ რომ აგეკუწა, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა. ხოლო ამგვარი სიტყვებით შეკოწიწებული ლექსი... არა... არა!..

ეროვნული ლეგენდა: საძირკველი, გადარჩენის პირობა. ეროვნულ ლეგენდას ჰქმნის ბეღისწერული სიტუაცია, პოლიტიკა, მწერლობა. ლეგენდამ იხსნა გაფანტული ერი ისრაელისა. ლეგენდაა მთელი „ქართლის ცხოვრება“. ლეგენდაა შამილი... ლეგენდა იწერება სისხლით.

ყოფიერების საზღვრები, სადაც შესაძლებელია სულის ამბოხი, წინსვლა ან რეგრესი, როგორც შედეგი ამბოხისა, ერთობ კნინია, შეზღუდულია და ეს სივიწროვე ან მისი შეგრძნება სულის ჯანყს ხშირად ტრაგიკულ საფანელს უმზადებს და აქცევს მას განუწყვეტელი სისხლდენის არად, კაცობრიულ საკალაოდ... და ეს ყველაფერი დაუსრულებლად გრძელდება, როგორც უიმედო ცდა.

მომავლის ქრისტე: იმედი, ორიენტირი ხვალინდელი დღის. დეკადანსის წიაღიდან სულის დამხსნელი, გადამრჩენელი. მისკენ არის მიპყრობილი აზრის დიდი მეუფის მერეჟკოვსკის თვალი:

Хама Грядущего победит лишь Грядущий Христос.

ნგრევას და სიკვდილს, რასაც სამყარო ურიგდება ბუნებითი უნარის გამო, წინ აღუდგება ის, რასაც პოეზია გამოასხივებს, რაც ლექსის ღვთიური ნაწილია... მარადიული მეამბოხის ნიღაბი, რომელსაც სილამაზის თანდაყოლილი პრეტენზია აქვს.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ის, ვინც მშვიდად შესცქერის ამ ნგრევას, ამ ქაოსს, სულის ამ დეკადანსს.

მწერლობა, რომელიც ანათებს ბუნებას და მწერლობა, რომელიც ანათებს სულის წიაღს: ორი ფრთა, ორი საყრდენი, ორი საწყისი... არათანაბარნი.

პოეზიის ღვთიური ვალი: არა თვალის ახელა, არამედ გულისთვალის ახელა. და კიდევ: ემოციური იერიში, შეტევა, რომელიც გულს მოგვილობს, მიგვიმხრობს თუნდაც წამიერ...

ის იქმნება სულმოუთქმელად ჩქარა: თითქოს სუნთქვასაც გიკრავს. მხოლოდ ზოგიერთი მოსახვევი გტანჯავს, განაფოტებს და, რადგანაც არ შეგიძლია ამ საქმეს რომ შეეშვა, ემსგავსება თვით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლელს, რომელიც ბოლო ამოსუნთქვის მოლოდინში უცხო შეგრძნებითა ტკბება და ეს ბოლო შეგრძნებაც გაუსაძლისი ტკივილია.

პოეტის გამუდმებული ბრძოლა საკუთარ თავთან, როგორც ღვთაებრივი რუტინის ნაყოფთან.

როგორც გუთნისდედაა პასუხისმგებელი ნახნავის ხარისხზე და გუთნეულის სიაკარგზე, უღლისა და აპერების საიმედოობაზე, ისევე მწერალიც პასუხისმგებელია ნაწარმოების აე-კარგზე, მის ნაწილებზე და მთლიანობაზე, სამწერლო მეურნეობაზე და ა. შ. ოღონდ, მწერლისათვის სრულიად ზედმეტი ბარგია რედაქციებში წანწალი, გამომცემლობათა კარების მტვრევა...

„აკაკი სჭამდა ლომივით. გამაკვირვა: მოხუცი იყო და შეეძლო ასე „მაგრა“ ჭამა“. ამას წერს აკაკის მომსწრე და მისი მეგობარი გრიგოლ რობაქიძე.

„რაც არა გწადდეს, ივი ჭქმენ“ — ვინ უნდა წაეწეროს თავის გზაწვრილს რუსთაველის ეს სიბრძნე? უპირველეს, ეს უნდა ქნას პოლიტიკოსმა, ერისკაცმა, ლექსის მწერალმა. უპირველეს: პოლიტიკოსმა...

დიდი არგენტინელი მწერალი ბორხესი ამბობს: ბორხესად ყოფნამ დამღალაო... სიკვდილის შემდეგ აღარ მინდა ბორხესად ყოფნა, სულ სხვა ვინმე უნდა ვიყოო...

სისხლის წვეთი, მიწის კოლბოხი, პურის მარცალი: უცვლელები, მარადიულები, ნათესავები.

„ჰოი, მდადეო, მდადეო, გულზე რა ცეცხლი მამდეო! ეს ჩემი თავი ბეჩავი შენს ძუძუებში ჩავდეო“. — ამას ადამიანი ვერ იტყვის. ეს ადამიანური გაგებით უზნეობაა. მაგრამ ამას ამბობს ბუნება, ადამიანში ჩასახლებული.

წარწყმედდა, ბუნებითი წესრიგის აღრევას რომ მოაქვს, ეხება მხოლოდ გონისეულ სივრცესა და გარემოს, რადგანაც ადამიანის გარდა ამ წესრიგს ჩვენთვის ცნობილი არც ერთი სულიერი არ აღრევენ. აქ ადამიანური გონი მოჩანს, როგორც სატანურ საძირკველზე დაყრდნობილი კოლოსი, კოსმიურ ქართა ქროლვას რომ ეწინააღმდეგება, ეზას რომ უმრუდებს, ეგზს რომ უცვლის.

მისი დამჭკნარი, გაძვალული ხელები ხანმოთეული მტაცებელი ფრინველის ძალაგამოლეულ კლანჭებსა ჰგვანდა: მუხლებზე უმწეოდ ჩამოეწყო და ბინდშეპარული თვალებით შორეულ სივრცეს გასცქეროდა. მისი სიტყვაც თითქოსდა იმ სივრცისაკენ მიდიოდა, იმას ეკუთვნოდა, იმ შორეთს: „არა, არა... მგონი ააჯაოს აღარც ვარ. სიზმარშიც სუ მკვდრებსა ვხედავ, ჩემ მკვდრებსა, იმათთან ვარ, იმათა ვსინჯავ, იმაო მხარ-ბეჭს ვებდაუჭვები“...

პოეტის უიღბლობა: მას გამორჩა სწორედ ის ერთადერთი სიტყვა, პოეზიის სიმართლეს რომ ამტკიცებს.

რა ქნას მწერალმა: წიგნები წეროს თუ გაერიოს პოლიტიკის ჭუჭყში და ვაიუშველებელში, რითაც, შესაძლოა, კმაყოფილებაც მიიღოს და მავანს, ქვედამხობილსა და ჟამით გასენილ, ეგებ შვებაც კი მოჰგვაროს და გადაარჩინოს; რა გზას დაადგეს მწერალი, რაცა იცის, რომ მისი საქმე წიგნის დაწერაა და უამისოდ მისი ყოფნა ჩალის ფასია, ხოლო ქვედამხობილსა და ჟამით გასენილ თანამოძმესაც კარგად ხედავს და მისი შეჭირვების მოზიარეც არის... რა ქნას, რა გზას დაადგეს?

მკითხველი არის სხვადასხვა დროის, სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა გემოვნების. მწერალი მას თითქმის არ იცნობს, ხოლო ვისაც არ იცნობ, ამას ვერც დახატავ, ვერ წარმოსახავ. ამ უცნობზე მე თითქმის არა ვფიქრობდი. ოღონდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთის წინაშე თუ მართალი ხარ, არც მკითხველთან წაგებ.

უნამუნო, ლორკა, ალეისანდრე, ფელიპე, ესპრიუ... დიდი სახელები მეოცე საუკუნის ესპანეთის. მათი ლექსი, მათი პროზა, წერილები, დრამატურგია — ყველაფერი ეს პოეზიაა: პოეზიის შინაგანი ცეცხლითაა გამთბარი. აქ ვერ ნახავ კლასიკურ პროზას, ისეთს, ნეშომპალის ცხოველმყოფელი სუნი რომ სდის, რომლის სიღრმეშიც მრავალი სიცოცხლე იბადება, თესლი იხსნება და ღიი ზემოთ მოიწევს... ამგვარი რამ თანამედროვე ესპანეთისათვის უცხოა: აქ მხოლოდ პოეზიის სისხლი და ცეცხლი ტრიალებს, ეშხეფება საუკუნეებს.

მწერალი რეაქციონერი, თანაც ჩვენს დროს, ათასსაარი დემაგოგიური ხლართებით რომ ცდილობს კაცობრიობის მოტყუებას და ხშირად ახერხებს კიდეც... ეშმაკის ნაშიერი თუ არა, ნაბუშარი მაინც.

ხელუხლებელი ხლებნიკოვი. უთარგმნელი.

Крылышкуя золотописьмом тончайших жил. Кузнечик в кузов туда уложил прибрежных много трав и вер. Пинь, пинь, пинь! — Тарарахнул зинзивер. О лебедиво! О озари! რუსული ენის მესაიდუმლე. დამდგენი ახალი პოეტური ხმისა, რომელიც შემდგომ აღარ გაგრძელდა. კანონზომიერებაა ასეთი: ადამიანს უფრო მარტივი და უფრო მოწესრიგებული ჰარმონია ატყვევებს. ამის კვალობაზე: რუსეთში იტკეპნება პუშკინის გზა, გზა ანენსკის, ბლოკის, ბრიუსოვის... კიდევ გზა ესენინის... ხოლო ხელუხლებელია ხლებნიკოვი.

ვახტანგ რაზიკაშვილმა მითხრა: ჩემში მკელელი იჯდა და ამ ამბავმა გამაწამა თვალი ცხოვრებაო. კაციც მოკალი, მაგრამ არ იქნა და არა, მაინც ვერ მოვასვენეო... მართლაც მოკლა კაცი ჩარგალში, ახალგაზრდობისას... საოცარია ეს აღიარება. ხოლო საშინელებაა: იყო მკვლელობის ჟინით შეპყრობილი და ამ ჟინს ებრძოდე მთელი სიცოცხლე.

არის პანეგირიკი — სადღეგრძელო; პანეგირიკი — წერილი; პანეგირიკი — ნეკროლოგი; პირველს უსმენენ: ადრესატი და თანამესუფრენი; მეორეს უსმენს ადრესატი და უსმენს დიდძალი ხალხიც... მესამეს ვერ უსმენს ადრესატი, მაგრამ უსმენს დიდძალი ხალხი... პანეგირიკი მხოლოდ ამ ერთადერთ, მესამე შემთხვევაშია ასატანი. ალბათ იმიტომ: ადრესატი რომ ვეღარ უსმენს. უბრალოდ: ის აღარ არის!

ქმნადობის ჟამს მწერალი მარტო არ არის: აქ უდავოდ არის ვიღაც, მეორე... თუმცა არგუმენტის უქონლობის გამო ვერავის დაარწმუნებ...

ჩემს მეგობარ პოეტს, ტარიელ ჭანტურიას მოეჩვენა, რომ ფშავის და ფშაველის ბუნება შაირითაა გაწყობილი. მას უკვირს: ფშავში ვერლიბრს როგორა წერენო... მაგრამ აქ ვერლიბრს არავინ არა წერს. აქაური პოეტები, ვახტანგ თვარელაშვილი და ვახტანგ ზოშარაული შაირით წერენ: მტკიცედ იცავენ ეკოლოგიურ წონასწორობას.

შემიმჩნევია: ინფორმაციებით თავს იწონებენ მცირედ მცოდნენი, ხოლო უზღვავი ინფორმაციების მფლობელი, ინფორმ-მტევნებით დატვირთული მავანი დუმს, როგორც ენციკლოპედიის ტომი,

მტრობის აღზევება: როცა სიყვარული სიძულვილს ვერ უმკლავდება, როცა არ შეგიძლია გიყვარდეს მტერი შენი.

ის, ვინც სამყაროთა წესრიგის მოთვალთვალეა, უეჭველად სიკეთის უფალიც არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკოსებს შეუძლებელსა ვთხოვთ: მათ უნდა აირიდონ ქვეყნის უკუღმა ტრიალი, უნდა შეანელონ კოსმიურ ანომალიათა მიწიერი შედეგები, მათი მომაკვდინებელი დარტყმები. მაგრამ როგორ შეძლებენ პოლიტიკოსები იმას, რაც თვით უზენაესსაც კი არ ძალუძს?

ვახტანგ რაზიკაშვილი: კაცო, უცნაური რამა ხდება, რამდენჯერაც მთაწმინდის პანთეონში ავედი, სუ ესეთ რამესა ვხედავ: მამაჩემის საფლავის ქვაზე ხეედან შეეკარებულები და არის ერთი კოცნაობა და... უყვარდა მამაჩემს ეს ამბავი, ძალიანაც უყვარდა, მაგრამ საფლავის ქვაზე, საფლავზე? არა, არა, არ იქნება! ვის არ შეეჩივლე, მთავრობას, მწერალთა კავშირს, მაგრამ ყველა მხრებს იჩეჩავს, აბა, რა ვქნათო... გადაწყვეტე: შემოვლობო მამაჩემის საფლავი და კლიტე დავადო...

რიზანოვის აზრი, მკრეხელობა თუ სხვა რამ, რაც თითქოს მიუწედმოელია, სხვაა, უცხოა:

Связь пола с богом — большая, чем связь ума с богом, даже чем связь совести с богом...

რა ქმნის ლეგენდებს? აგერ, სულ ახლახან, საუკუნის დასაწყისში, ჩვენს მოსაზღვრე ქისტეთში ვეიდა შეიარაღებულმა ხევსურმა დაატყვევა ვინმე ტყიბმეჭრელი, სახელად ჰასანი. ტყვე შატილში წამოიყვანეს და კოშკის წინკარში დაბეს გამძლე ჯაჭვით, მიუნიეს მცველები. ჰასანი თავისი მიწისა და რჯულის ერთგული გამოდგა. მიწამებრივად, მტკიცედ იტანდა ტყვის ხვედრს, უდრტვინველად ელოდა საკვდილს. როგორც ამბობენ, ჰასანმა ხევსურების თანალმობა და სიმპათია მოიპოვა. დაინდეს და შინ გაუშვეს, თან ნაჩუქარი ხარიც გაატანეს... ამის გამო ხევსურეთში ბევრი თქმულება და ლექსი შეიქმნა. ხალხმა სიმღერებად აქცია ჰასანის ტყვეობის ამბავი. ეს ექო ლიტერატურასაც მოსწვდა, კინემატოგრაფშიც აისახა. ამაზე გოდერძი ჩოხელმა შესანიშნავი ფილმი შექმნა... ამბავმა ლეგენდური სამოსი შეიმოსა, დაკრისტალდა, დაიწმინდა, შეერია ფოლკლორის უკედავ სამყაროს.

მეტაფიზიკური ძალა, ყველაფრისმომცველი და ყოვლისწარმდენელი, გაცილებით მტკიცედ მეუფებს ჩვენზე, ვიდრე რეალური, მიწიერი ძალა, რომელიც ყოველდღე აქეთ-იქით გვათამაშებს, მაგრამ კაცთა ურყევ ნიჰილიზმს კი ვერ ერევა.

მაცების პაპამ, პეტრემ, დაიჭირა ეშმაკი, რომელსაც შუბლზე წითელი ვარსკვლავი ჰქონდა ამოტვიფრული. მაშინ სოფელმა ეს ამბავი წარღვნის მოახლოებად მიიჩნია და ორივე ჩაქილა: პეტრეც და ეშმაკიც.

— ბერხენ, ბალღო, როგორი მამა-პაპანი გყვანდენ, აშოლტლები, ლამბენი, სიტყვაპასუხიანები. შენ რაღა დაგემართა, რო დაიღრიცები, დაიკკვები, საწყლადა, პირშეწყალჩაყენებული... ბალღო, გაიშალე მხრებში, თავაწევით იარე, მზეს მეეწონები... ამაყები მზეს მოსწონსო... ჰო, ჰო...

განა ჩვენი გულები არ დაიპყრეს იმ პოეტებმა, რომელთაც შემზარავი ადამიანური სიმართლე იღაღადებ? სიმართლე: უმთავრესი ძალა პიეზიისა, რის გარეშეც ყოველი ლექსი იმედგაცრუების უფსკრულში გადაგვისვრის.

დაკვირდი: ყველაფერი, რაც დედამიწის ზედაპირს ასცდება, შეიძენს ჩრდილს.

რატომ შესტირიან შენი ლექსები ამ ხალხს, რატომ ღვრიან ცრემლს, თავს რატომ იმდაბლებენ?

ერთად დევს ჯოისის „ულისე“ და ვინმე კ-ს სქელტანიანი რომანი. უზარმა-

ზარი რიგია. ვეკითხები: რაზეა რიგი? კ-ზე, მპასუხობს გამყიდველი. ჯოისს არავინ ყიდულობს. ვეუბნები: ხალხო, შეიბრალეთ საწყალი ჯოისი. ის არის ბრმა. ჰომეროსსა ბაძავს. გამოვლილი აქვს ცხოვრების სიდუხჭირე. შეიბრალეთ საწყალი ჯოისი. იყიდეთ. შეიყვარეთ.

კონსტანტინე გამსახურდია: „შემოქმედების დარდი“. ეს არის უზუსტესი სახელდება ლიტერატურული ქმნადობის წინა პერიოდისა. არა ყბადაღებული „მუზა“ ან „შემოქმედებითი განწყობა“ ან „იმპულსი“, არამედ „შემოქმედებითი დარდი...“

სამშობლო: დიდი ტანჯის გზა, რომლის გავლაც მხოლოდ მწუხარებასა მატებს გონიერთ.

სიტყვის სიხარბე და სტრიქონთა შორის მიმალული ეგზალტაცია. ექსპრესია, რომელიც სტიქიონურია და თავისი ძალით უტოლდება ურაგანს, ზვირთთა ქაოსს. პოეზიას კლავს სტილური დავარცხნილობა. თვალსა და გემოვნებას ხშირად „ხორკლი“ იტაცებს.

სიტყვების რიგს უეცრივ გაანათებს რომელიღაც მანათობელი სიტყვა, როგორც ცის უფსკრულთ – მეტეორის გადაკრილება. პოეზიის ცეცხლი ამ ერთადერთ, მანათობელ სიტყვას თანასდევს. ამ სიტყვაშია შემკერვებული პოეზიის მთელი მაგია.

პოლიტიკა არ გვაძლევს თავისუფლებას, პოლიტიკა გვაძლევს ხელისუფლებას. ხოლო ხელისუფლება ხშირად წარმოვიდგება როგორც თავისუფლების დათრგუნვის იარაღი.

მიჰბაძე ბუნებას, რომელიც ზომიერებისა და უპრეტენზიობის ერთადერთი მაგალითია; გაასრულე საქმე და ამ დრის ნუ გადაახრები იქით, საითაც გეწევა დაუოკებელი წყურვილი მიწიერი: სახელის დაგდების, სიმდიდრის, მორგვეულობის...

ტყვეობიდან გამოხსნილი ადამიანი ვერ უძლებს თავისუფლებას: ის ემსგავსება ტყვეობაში დაბადებულ ნადირს, რომელიც კვლავ გალიისაკენ მიილტვის და თავის გზაზე სისხლის კვალსა ტოვებს... თავისუფალი ადამიანი თითქოს კარგავს მიზანს ადამიანურს და ეს არის ყველაზე დიდი პარადოქსი.

აკაკი ერთ წერილში წერს: ჯერაც არ ვიცი, საით გამისაჭებენო... გასაჭება, გაგზავნა, გეზის მიცემა. სიტყვა, რომელიც აკლია დღევანდელ ქართულს.

ყნოსვის შეგრძნების ანომალიებს მივყვართ ცდისაკენ, რომელიც ზეესთეტიურთან გვაახლოებს.

ბლოკი: გენიოსი რაინდული სულის გარეშე.

ქედმაღლობა, მზვაობრობა და ცრუ სიამაყე სიკვდილმისჯილის. და არა მარტო ეს არის გაუგებარი, არამედ ისიც: უნუგეშოდ გაძევებული და სიკვდილმისჯილი კვლავ სიმდიდრეს რომ მიელტვის, ოქროსმოყვარეობთ რომ კვდება, სულს რომ იბინძურებს და იმძიმებს.

ჩვენი სვლა თავისუფლებისაკენ: ზიგზაგებით, კენესით, ნაღვლიანად.

ყველას აკვირვებს სამყაროთა ძველი და ახალი აღმოჩენები, ყველას აოცებს აღმოჩენათა ავტორები, მაგრამ არავის აკვირვებს დედამიწის პირველაღმომჩენი ადამი... უბრალოდ: ეს ფანტასტიური აღმოჩენა რეგისტრირებულიც კი არსად არის!

ქმნადობის მაგია, სამყაროს შექმნის მთელ პროცესს რომ იმეორებს, თანაც მრავალჯერად: პოეზიის ერთადერთი გამართლება... ხოლო პოეზიის საქმე სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც არ არის თხელკედლიანი გულების ეგზალტირება. ეს პოეზიის თვითმიზანი არ არის და, ვინც პოეზიაში ამ პერსპექტივას ხედავს, ის არაა ლექსის „მომხმარებელი“, მისი „მუშტარი“.

1903 წელს ტოლსტოი წერს:

Если нет большого подъема душевного, невозможно писать художественное.

ე. ი. დიდ მწერალს შესაძლებლად მიაჩნია არამხატვრულის წერა მაშინ, რომ ცა ხსენებული „აღმავლობა“ არ არის.

„მაშინ გახჩეს მარჯვენა ჩემი, როცა შენ დაგივიწყო, იერუშალაიმ, მაშინ ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას“... ათასწლების წინათ ნათქვამი ფიცი. სისხლით დაწერილი სიტყვები. ამგვარი ხმა თვით ჰლანტების მიზდულობაზე უმტკიცესია. მას ვერ განაპობს დროის ალესილი ფხა, ვერ დაშლის ჟამის ულმობელი საცერი. დროის მხარდამხარ მოდის ის და ამთლიანებს და ერთ მუშტად ჰკრავს საკმაოდ მცირესა და გაფანტულ ერს ისრაელისას. ებოდენანარევი ხმა. ერთადერთი. შეუცვლელი. „მაშინ გახმეს მარჯვენა ჩემი, როცა შენ დაგივიწყო, იერუშალაიმ“...

ომის დროს ყველაზე უფრო ქალის ღირსება ითელება. ომი ქალის დამცირებაა...

„ღღეც, ღამეც გაგვიბალღამეს“... წერს დიდი პოეტი და ლიტერატურული ფუნქციონერი გიორგი ლეონიძე, მაშინდელი ოფიციოზისაგან ფრიად პატივდებული შემოქმედი, ვის გულშიც ვერ ჩაკლეს პროტესტისა და ღირსების გრძნობა. „თუმცა ღღეც, ღამეც გაგვიბალღამეს, კვლავ ამირანი ჩვენი მცველია“.

ეროვნული კატასტროფა ერთ ღღეში არ ხდება. ის შესაძლოა გაგრძელდეს წლობით და შესაძლოა დამთავრდეს ყველაზე ამაზრზენი შედეგით: ერის ფიზიკური გაქრობით... კატასტროფა უკვე დაიწყო და არავინ იცის, რას მოგვიტანს: სრულ გაქრობას, თუ ნაწილობრივ დაკნინებას, ღეკადენსს...

წუთები, როცა ვერ შეიგრძნობ ვერც გარემოს, ვერც გარშემო მყოფთ, როცა არსებობა არარსებობაა: უტოლდება: უნაყოფობის დრო.

ცნობიერების პირობითობა: სარკმელი, რომელიც გადის იმ მხარეს, სადაც განუჭვრეტელი წყვდიადია, სადაც უნდა იარო არა გონის მეოხებით, არამედ გუმანით, ხელის ცეცებით... აქ ცნობიერებაც გუმანის კვალის მდევნელია, მისი მიმყოლი, მისი ეპიგონი.

ჯერ კიდევ ათასწლეულება დასჭირდება გონების სრულყოფას, ხოლო შემდგომ ათასწლეულები: მისსავე უარყოფას.

ჩინური პოეზიის მეშვეობით შეიძლება ძველი ჩინეთის რუკის შედგენა... აქაა ქალაქების, სოფლების, მთების, ველ-მინდვრების, მდინარეების სახელები. ზოგიერთ ლექსში უკვდავყოფილია უმნიშვნელო ტაძარი ან საფოსტო სადგური... ამ მხრივ ჩინურ პოეზიას ენათესავება ვაჟა-ფშაველა. „გიგლია გახდა ხომურას“... ხომურა მცირე ჩქერალია, ხომისძირს რომ ერთვის არაგვს. ვაჟამ უკვდავყო ეს ნაკადული. ამ მხრივ უნიკალურია ჩვენი ხალხური პოეზიაც... ხოლო ჯოისზე ამბობენ: მისი შემოქმედების მიხედვით დუბლინის რუკის შედგენა შეიძლებაო.

უცნაური სახელის სალოცავი მარიანგა ფშავში, გოგოლაურთის ფერდობზე. რა არის მარიანგა? რომელი ღვთაების სახელია? ქალია თუ კაცი? რას მფარველობს?

ყველა სიკეთის, ქველობის, ზნეობრიობის საძირკველზე იწყებდა თავისი ცხესიმაგრის აგებას. ასე იყო ღღემდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც რამდენი ბოროტება მოხდა ამქვეყნად და ჩვენც რამდენი ბოროტების მოწმენი ვართ.

გახსოვდეს იგავი კლეობულესი: სიამოვნებაზე იბატონე. მაგრამ არ დაივიწყო პიტაკეს ლესბოსელიც. ის გეუბნება: მოიპოვე, რაც გეკუთვნის.

ტიციან ტაბიძე. მიწის სიღრმეებიდან ამომტვრეული რამ მადანი, თითქოს დაუშაავებელი, ბასრი წახნაგებით. პროზა მისი უფრო რაფინირებულია, უფრო დახვეწილი: ეტყობა, პროზაულ ტექსტებს უფრო დიდხანს უტრიალებდა. ბასრია მისი სიტყვა, მისი ლექსი, მისი მინიატურა, მისი ესე, წერილები, ჩანაწერები. ყველაფერი ეს სწყურია მკითხველს, სწყურია...

საოცარი სახელი და გვარი: ადამ ბობღიამველი. დამტევი კაცობრიობის მთელი წარსული. ადამი: პირველმამა, ხოლო მის შემდგომ: თაობათა გრძელი წალიკი, მბობღავი მტვერში, გზების ლაფში, უდაბნოს მხურვალებაში...

დღეს არაფერი ხდება უცნაური და დაუჯერებელი: უსამშობლონი კედებიან სამშობლოს მოპოვებისათვის.

მწერლების პოლიტიკური სიბრიყვე მათი მეოცნებე და ეგზალტირებული გულების ბრალია. ამიტომ: ისინი პრაქტიკულ პოლიტიკას უნდა ერიდონ.

ყვავილების მორევი ტრაგედიის შემდგომ. წითელი ტალღები. სანთლები. ცრემლი. ცრემლი... გლოვის ხელოვნება. ეს პირველად არ ხდება. ეს გამეორებაა, მრავალჯერ გადახდილის გამეორება. დატირების არტისტიზმი, საუკუნეთა წაადნა გამოტარებული, დახვეწილი, გასპეტაკებული, ზეადამიანური.

ტოლსტოი მთელი ამალით გაიქცა იასნაია პოლიანადან: ექიმი, მსახური, მეეტლე... შემდეგ მათ ალექსანდრა ლევის ასულიც შეუერთდა... დიდმა მწერალმა უარყო ყველა მოძღვრებისა და რელიგიისგან ნაცადი „გაქცევის“ გზა: სიმარტოვისა, განმარტოებისა.

„მოშმაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“. რუსთაველის ეს შეგონება ზოგმა ჩვენმა თანამედროვემ პირდაპირ გაიგო: დაივიწყა ლაკონიზის ძველისძველი პრინციპები, დაივიწყა წერტილის დასმის ხელოვნება, დაკარგა იმ ერთადერთი და უტყუარი ალგის პოვნის უნარი, სადაც წერტილმა უნდა აღკვეთოს სიტყვამრავლობა და ყბედობა უსასრულო.

ზომიერებას და ზნეკეთილობას ასე განადიდებს კუნ-ძი: „ო, რა ბრძენია ჰუეი! მცირე ჭამადი და წყალი, მცირე რამ სახლაკი: ის, რაც სხვებს მწუხარებაში ჩააგდებდა, მას სულაც არ უცვლის ბასიათს. ო, რა ბრძენია ჰუეი!“

შორიდან, სამყაროთა სიღრმეებიდან შეხედეთ დედამიწას: ამ კოსმიურ კენჭს და უმალ ირწმუნებთ, რომ მის სიმარტოვეზე და მის სევდაზე უფრო დიდი და საყოველთაო მწუხარება ამქვეყნად არ არის.

ქართველი ქალები, რიზეს, ტრაპიზონის, სტამბულის ბაზრობებზე; პეტერბურგის, მოსკოვის, დაგომისის სასტუმროებში... ერთმა ბანოვანმა „საერთაშორისო ბაზარზე“ ქართველი ქალების ეს „აქტიურობა“ ჩვენი მამაკაცების გამოყეყეჩებითა და იმპოტენციით ახსნა... მე კი მგონია, რომ აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს დოლარის ძალ-ღონე... ხოლო ვინმე გურამ გამყრელიძემ ქართული წიგნების აუტოდაფე ასე გაამართლა: „გაავებულმა და სისხლამდერეულმა ქართველმა ქალებმა შემოქმედებითად იმპოტენტი მწერლების წიგნები დახიეს და დაწვესო... აქაც გაჩნდა ეჭვი ქართველი მწერლების (მამაკაცების) იმპოტენციაზე, შემოქმედებით უძლურებაზე... მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ იქ დახიეს „ვეფხისტყაოსანიც“... და კიდევ არაერთი საჩინო წიგნიც... ძნელი დასაჯერებელია, თითქოს ეს წიგნები შემოქმედებითი იმპოტენტების ნახელავი იყოს... სხვაგანაა მიზეზი დამარხული...

მწერლის სიხარბე, სიტყვაძუნწობა, ლაკონიზმი... უპირველესი მახასიათებელი, თვისება, თანდაყოლილი რამ, რაც შეიძლება გაღრმავდეს, ხელოვნებად იქცეს. მხოლოდ ამ თვისების აღზევებით დაიძლევა უმიზნო სიტყვამრავლობა.

ეამთააღმწერელი წერილად ჩამოთვლის ლაშა-გიორგის კარზე ფესვგადგმულ უზნეობებს და დასძენს, ყოველივე ამის მოთავე იყო თვით მეფეო... ფშაეში ლაშას ასე მოიხსენიებენ: „წაწლობა, ლაშარელაო, მოგონილია შენია“. ხალხი იმასაც ამბობს, რომ ლაშა-გიორგი, მეფე ქართველთა, ლაშარის ჯვარში დღეობაზე ადიოდა თურმე საწაწლოდ და თავშესაქცევად... იმ ძველისძველი ტრადიციის გამოხატულებად აღიქმება ისიც, ფშაველი ლაშარის სალოცავში დღესაც რომ საწაწლოდა მწვეტდება. აქ თითქოს რომელიღაც სხვა სამყაროთა ქარი უბერავს. ძალუმად იგრძნობა დიონისეს სუნთქვა. თავაწყვეტით დაჰქრის სატირი.

ის ამბობდა: ბედისწერამ გვარგუნა თითქმის წარმოუდგენელი რამ: თავისუფალ საქართველოში ცხოვრება, მაგრამ ყოველივე ამის საზღაურად მოვვაგო: ცრემლი, სისხლი, დამცირება უკიდურესი. თავისუფლებას თითქოს ვეღარც აღვიქვამთ... და მიუხედავად ყოველივესი: თავისუფლება არის ის დიადი რამ, რაც ღმერთის შემდეგ განიხილება, სამშობლოსთან ერთად, რისთვისაც ღირს ყოველგვარი შეჭიერების ატანა და სისხლისღვრა დაუშურველი.

შინაგანი სმენა, რომელიც აწესრიგებს პოეტური სიტყვის რიტმს და რითმის ჰარმონიას... პოეზიის თანმხლები ფენომენი. ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ეს არის პოეტური მუსიკის საძირკველი, რადგან არ არსებობს მუსიკა პოეტური, მუსიკალური პოეზია.

რაც უნდა გაუდაბურდეს საქართველო, აქ მაინც შესაძლებელი იქნება იაზიის აღმოცენება. დანგრეული ქალაქი, რა თქმა უნდა, აღდგება, მაგრამ ვინ აღადგენს ქართულ სულს?

სულ უბრალო ჭეშმარიტება: წარუვალია მხოლოდ ის, რასაც სამშობლოს შესძენ.

საოცარი რამ მოხდა მწერალთა ყრილობაზე: მწერლების უმრავლესობამ ლიტერატურული პრესის თავისუფლებაზე უარი თქვა. გაიმარჯვა აზრმა — რაც მწერლობისა და მწერლის იდეასთან, სინდისთან ყოველად შეუთავსებელია და, თუ რატომ მოხდა ასე, ამას ვერანაირი ფსიქოლოგიური ტესტირება და ვერანაირი სოციოლოგიური გამოკითხვა პასუხს ვერ გასცემს!

სიტყვის წინწკალი, ორიოდე შხეფი სუფთა ქაღალდზე: იდუმალებით სავსე სივრცეში... ამ წვეთებით შეიცნობა მთლიანის ფორმა, მისი ფერი, მისი ხასიათი, მისი შინაგანობა.

დაკვირდი: სიცოცხლე ყველაზე იაფი და დაუცველია: მას ვერ იცავს სახელმწიფო, ვერ იცავს სამართალი, ვერ იცავს ადამიანი.

ადამიანთა შემზარავი გახლეჩა, საზარელი ქმედებანი, სისხლის ნოხევა და ბღოტიალი სამყაროს გზებზე: ეს ყველაფერი გაცხადებულია ძველისძველ წინასწარმეტყველებებში, წმინდა წიგნებში. საოცრებაა: ყველასთვის მისაწვდომ ამ წიგნებს რომ შეუძლიათ მომავლის საიდუმლოს დაფარვა უფრო მეტად და უფრო მტკიცედ, ვიდრე ქვესკნელის ჯერაც დაკეტილ სამარხებს.

ბუნებითი სამართლიანობის ხელყოფა ღმერთის სახელით, ზნეობის სახელით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცინიზმის სატანური ფორმა, რომელსაც მოსდევს უეჭველი კატასტროფა, როგორც ბუნებითი შურისძიება.

ხელისუფლების ჯადო: ხიბლი, რომელსაც გაუსაძლისი ტკივილით ელეკვეან ამ დემონით ჰყრობილნი. ანომალია ერთგვარი: ძალაუფლების წყურვილი, ხელისუფლებით გაუმაძღრობა...

ის ემსგავსება მძვინვარე ნადირს: სადაცაა მსხვერპლს დაეცხრება და დაბრდღვნის. ქრება მასში ღვთიური რამ: გულისეული, ინტელექტისეული. რჩება ერთ-ერთი: ნადირი, მტაცებელი საკუთნისა.

შარავანდედით მოსილი სამი დედაკაცი: მარიამ მაგდალელი, სუსანა და ვინმე ხუზის ცოლი: იესოს მოწაფეები, მისი ორრჩილი მსახურები... და ბოლოს: მისი დამტირებლები.

კაცი: მოშურნე და მაწაკი, არა უფლის, არამედ ეშმაკის გულისცემას რომ აყურადებს და ამ გულისცემის რიტმს რომ უწყობს თავის ცხოვრებას, თავის დღეებს, თავის საქმეებს... ამგვარნი მრავლად იყვნენ და დღესაც არიან: სხვათა სიკეთეზე მკვნესარნი, ბოღმით გულჩახვეულნი, ავად მოქირქილენი.

„იმ საბედისწერო ჟამს საქართველო დარჩა უმწყემსოდ“... ასე დაიწყებს მომავლის მეისტორიე ჩვენს დროზე საუბარს.

აი, პარადოქსი: მორწმუნე რუსეთის წიაღში აღმოცენდა ბაკუნანი და შემდგომი დროის ანტიქრისტე-კომუნისტების მთელი თაობები...

პოეტი გამოსახავს არა ხატებს და აზრებს, არამედ ტკივილს... აქაა მისი უბედურება, წყარო მისი განწირულობისა.

გონითი სიყრუე: შემთხვევითი რამ, შედეგი წამიერი ჩათელმის. [illegible] მი-

5. „ცისკარი“, № 2.

ერი, განგებითი... ხოლო გულით სიყრუე: ბუნებითი ანომალია, ფორმა შინაგანი სიჯუღურის, განუკურნელი.

ორი წერტილი: თითქოს წინამავალი სიტყვის გამჭოლი, გაფაცებული, შორს გამზდავი თვალები. ისინი ანათლისებენ მომდევნო სიტყვებს და იზიდავენ შორეთის სივრცეებს, ეწევიან კოსმოსის კიდეგანს, როგორც ორი ზღაპრული ძაბრის ყელი.

პოლიტიკის ჭაობი: აქ ჩამდგარი ხელოვანი ვერ გაექცევა სულიერ რუტინას.

რუსეთს საქართველოდან გაჰქონდა არა მარტო მარგანეცი, ჩაი, ციტრუსები და ღვინო... არამედ „ითვისებდა“ ნიჭიერ ადამიანებსაც. მაგალითი: ანდრონიკოვი, ოკუჯავა, მამარდაშვილი და ა. შ... ამის კვალობაზე: რუსი მწერალი — ანდრონიკოვი, ოკუჯავა და სხვანი... რუსი ფილოსოფოსი მამარდაშვილ და ა. შ...

და შენ ვერასოდეს გაიგებ: სად თავდება ქართული სიმღერა და სად იწყება ქვითინი.

ნეტავ, შესაძლებელი თუ არის თანამდებობის დაკარგვის გამო სამშობლოს ღალატი, მომმის სისხლის ღვრა და უზომო სიძულვილი? — იკითხავ შენ, ჩემო კეთილო, ჩუმად, მუხლჩახრილ მომუშაკევ, მამული ლაბახარო... და თვალწინ დაგიდგება სკამდაკარგული ქართველების მთელი ჯგრო, თანამდებობის დაბრუნების უზომო წადილით შეპყრობილები, ჩალმიან ფანტიკოსებთან ერთად რომ უსხედან მაგიდას, მამულის მტრებთან და ქვაბავაზაკებთან შეფიცულები.

ძველი ბიბლიური ამბები ჩაიდუმალ-დნენ ფშაურ ყოფაში: მშობიარობა საქონლის სადგომში, მსგავსად ქრისტეს შობისა; ფშავის თორმეტი თვეი, მსგავსად ისრაელის თორმეტი თვისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაურია: ქრისტე წყველიდა მთელ ქალაქს, როცა ამ ქალაქის მკვდრნი არ უსმენდნენ, ანდა ეურჩებოდნენ... ასე დაწყევლა მან მეთევზეთა ქალაქი კაპერნაუმი.

წინაპართა ისტორიულ გმირობებზე აღვლენილი ოდები და დითირამბები უმალ ქრება, როცა მტერთან შემდრკალსა და დადედლებულ თვისტომს მოჰკრავ თვალს. და ეს ამბავი იშვიათად როდი ხდება, რაც იმას ამტკიცებს, რომ შიშის მეუფება ხშირად ჩვენს გულებსაც იპყრობს.

დამარცხება ისტორიული, პატივაყრილი საქართველო. გაძარცული, გაგვარვნებული სოფლები და ქალაქები. გადამთიელთა თარეში... ეს ყოველივე იყო და მეორდება დღესაც: მეორდება, მეორდება...

ომიანობის თანამდევი: ხმაურიანი პოეზია, აყალყული სიტყვა, გრძნობების სიშმაგე.

ლექსის გამოხედვა, მისი იდუმალი ყნოსვა გვეუბნება, კოსმიური უფსკრულიდან ამოზიდულ რომელ კოლოსს ეყრდნობა პოეზია: რაციოს თუ ირაციოს.

ფორმასა და შინაარსს შორის ბრძოლა. ეს ეჩვენებათ იმ პოეტებს, რომლებმაც ამ ორ საწყისს შორის თანხმობას ვერ მიაღწიეს... ხოლო ფორმა და შინაარსი მუდამ მიილტვიან ერთიმეორისაკენ და პოეტის ვალიც ესაა, ამ ლტოლვის დამბოლოებელი, ამ პროცესის ღირსეული მონაწილე რომ იყოს.

დედის სახელი გაისმის შეჭირვებულთა კვნესაში, გაისმის მაშვრალთა მავედრებელ ხმაში. ვის უხმობენ ისინი? რომელ დედას — რეალურს, მიწიერს თუ ცისა-ქთიურს? „მზე დედაა ჩემი“, — ამბობს ქართველი. „მზეა ღმერთი“, — იმეორებს ოგივე. დედა — მზე — ღმერთი. დედის ხატში ალანდება ღმერთი: მშველელი, შემწყალე, წყლულების გამკურნებელი: ღმერთი ქართველთა.

დიდეტანტური პოლიტიკის ლუდოსანი ისე ამდვრევს და ამძიმებს სივრცეს, რომ აქ, ამ სივრცეში შემდგომ თვით პოლიტიკის რაინდებსაც კი უჭირთ უტყუარი გზის გავნება.

კატასტროფული უცნაურობა: ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მარაზმი დღეს უეცრად შეცვალა სრულმა და უკიდეო აღგზნებულობამ... ამ ორ უკიდურესობას შორის გაიხლიჩა რაღაც, გაწყდა რაღაც...

სიძულვილის უკვდავ საძირკველზე კვლავ აღიმართა კაენიზმი. აზვავდა ძმათა სისხლისღვრის სატანური წადილი... კვლავ თავი იჩინა ქართველთა ისტორიულმა სენმა, რადგან ახალ თვისებას, ახალ ხასიათს ერი ძნელად შეიძენს: რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეს თითქმის შეუძლებელია... მინავლული კვლავ გაალვიძა ძნელბედობამ: ხალხის ხასიათის ულმობელმა გამოცდამ.

ეს არის ვარსკვლავთა ველი, ეს არის იდუმალი ბნელეთი, ეს არის ღვთაებრივი უფსკრული, რომელშიც მიექანება დედამიწა და მთელი სამყარო.

კაცნი დასაბამიდან სიმდაბლის წუმპეში იხრჩობიან და მათგან მცირედთ თუ მოუვათ აზრად, ამ მყაყიდან რომ ამოვიდნენ და იარონ „თავისი თავის ჯობნებისა და აღმატების გზით“... ამ მცირედთა წვლილია ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი.

ინტერპრეტაციის პროცესი მუდამ სუბიექტური წარმოდგენებით დასაზღვრულ სივრცეში მიედინება.

ლეტალება შეუმჩნევლობით არიან საინტერესონი: ისინი ქმნიან რაღაც ერთიანს, რაც კმაყოფილებას იწვევს, რასაც ღასრულებული ჰქვია.

ყიჩაღთან მოლაპარაკება დროის დაკარგვაა: ყიჩაღთან მოლაპარაკება მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბმლით შეიძლება. ეს ჯერ კიდევ წარსულში განათლიერდა... აბა, წარმოვიდგინოთ: ქართველთა ის უკვდავი წინაპარი, ვისაც მუხრანის ბოლოს ყივრაღი შემოეყარა, რომ ამდგარიყო და სამართლის საძებნელად ევროპაში ან ამერიკაში წასულიყო, რა ხელი დაეყრებოდა საქართველოს, ან მის ოჯახს, ან მის ცოლს, რომელსაც, აგერ, ყივჩაღმა უკვე ნაწნავზე მოზიდან?... წარსულის გაკვეთილი უკვდავია. წარსული პასუხობს ჩვენს ტკივილებს. მოეუსმინოთ წარსულს!

არ არის კარგი ან ცუდი ლექსი. არის: ცოცხალი ან მკვდარი ლექსი...

მუხრანის ბოლოს მომხდარი: მოძალადე ყივჩაღი ჰურსა სთხოვს, და აჭმევს ქართველი. მოძალადე ყივჩაღი ღვინოსა სთხოვს, და ასმევს ქართველი... ხედავთ, ქართველის ტკინში ჯერ კიდევ როდის შეპარული სიდედლის ჰორმონი, ალტრუიზმის ფარული სენი!.. ქართველი გონს მხოლოდ მაშინ მოდის, როცა ყივჩაღი მოლად დაუკრეფავენი გადავა: თითქოს ქრება სიდედლის ჰორმონები, ჯნინდება ალტრუიზმის სენი და ქართველი კაცად იქცევა, იმ კაცად, ვისაც უკვე შეუძლია მოძალადის დამარცხება, მისი განადგურება სრული. „გავჭერი ცხენი და კაცი, წვერი ვუწვდინე ქვიშასა“...

ლიტერატურის არამზადა: ვინც თავის ხიბერწესა მალავს ზიზილ-პიპილებით, ნიღბებით და სხვა არალიტერატურული ზარახურით.

კოთელია. ახალფეხადგმული ბაღი. მოყვავილე ვაშლის ხეები, როგორც თაიგულები. ბაღში სკები. სკები... ფუტკრის ზუზუნი საკვირველი. ჯავახეთში ფუტკარი სრულიად სხვა ხმას გამოსცემს. მასპინძელი ჰყვება გალაკტიონზე, ორმოცი წლის წინათ აქ რომ ყოფილა... ხმა მასპინძლის. ხმა ფუტკრის. ჯავახური. ლბილი. მიმნდობი. საკვირველი.

დაცემა, უზნეობა, სოდომ-გომორის ცეცხლი დავანი და კიდეკ, ვინ იცის, რაღა არ მოჩანს ამ მღვრეულ სარკეში, უკიდეგანო სივრცის ამ საზღვრულ ნაწილში, რომელსაც ბედისწერის წყალობით, ჩვენი სამშობლო ჰქვია და რომელიც ერთადერთი და მარადიულია, როგორც ერის მთავარი სული, როგორც ერის მამძრავებელი რამ ნაღვერდალი.

მარაბდა. კრწანისი... ამ სახელებს დღეს მიემატა ერთიც: ბავრა, ქართველთა სისხლისღვრისა და უმძიმესი მარცხის ადგილი.

სიტყვაში შემკვრივებული გამოცანა მიწის, გამოცანა პოეზიისა. ლექსი, როგორც მიწა: გამოცანა პრეისტორიული.

ხმა სიმარტოვის: თავდაპირველად შემზარავი, მერმე უცხო, ხილო ბოლოს ახლობელი, ნათესავი..

ყვავილობის მიწურვისას უეცრად გადაიპენტა ერთადერთი ხე მთელს ამ ულრან ტყეში: ის იყო ჩვენი ტყეების იშვიათობა: თამელი... მახსოვს: არახიჯის პირმზითის ტყეში სულ სამი თამელი იდგა, შორი-შორს, სხვადასხვა ფერდობზე, ისე, რომ ერთურთსაც ვერ ხედავდნენ... იდგნენ წიფლების, მუხების, რცხილების კოროვებით გარემოცულნი.

მკვდარია არ მარტო ის, ვინც სული განუტევა, არამედ ისიც, ვინც გუშინდელ დღეში ჩარჩა, ვინც ბუნების სვლას არ მისდევს განუწყვეტლივ.

ბუნების ერთიანობაში შემკვრივებული უთვალავი რამ: სულდგმულთა და უსულოთა სამყარო... და აქვე: ბნელისა და ნათლის საზღვარზე მოფარფატე გონიერება, თითქოს შიგნიდან, ამ ერთიანის ილუმალი წიაღიდან მჭვრეტელი და აღმქმელი ყოველივესი.

პრომეთე: ადამიანთა მწუხარების სათავე: ღვთაებრივი ბუნების თავზე აღმართული ნაჯახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწარმოების ინტერპრეტაციის შედეგი მწერალს არაფერში არგია... ის, შესაძლოა, მკითხველთა რომელიღაც მოკირკეტე ნაწილისათვის იყოს მისაღები და საინტერესო.

დამპყრობის ზნეობა უცვლელია: ის საქართველოში დღესაც დასასახლებლად მოდის...

წარსული გვეუბნება: ისტორია იწერება სისხლით. საქართველო უნდა შეაერთოს მახვილმა. ეს არის გაკვეთილი აღმაშენებლის... ხოლო დემოკრატიული თამაშობები მხოლოდ მომავლის დალხინებულ საქართველოში გახდება შესაძლებელი. დემოკრატია ბედნიერი ხალხის გულებიდან ამოიზრდება, რადგან ეს არის თვითონ ცხოვრება, ეს არის ზნეობის სარკე... ხოლო მგლების ხროვა დემოკრატიას ვერ იგუებს...

პოეტი არ ქმნის: იგი აღმოაჩენს. მისი უნივერსალური იარაღი არის პოეზია, როგორც სასწაულის შესაძლებლობა.

კედლები. კედლები. სვეტიცხოვლის. ჯვარის. შატილის. მთათუშეთის... გასაოცარი კედლები ფშავში: ბებრისციხის. მოკვერცხილი. ჟამის გამომშრალი. ძველისძველ დუღაბზე ოსტატის ხელისგულის ანაბეჭდი. ელვით, ქარ-წვიმით ნაჯენჯი, ნაბზარი; მიწისძვრებით ნატორტმანები. გასაოცარ სიმაღლეზე აზიდული ტონიანი ლოდები. საიდუმლო ძველისძველი სამშენებლო გენიის. საიდუმლო ხელისგულისა!

ამაზრზენი რამ: შენ ხარ მჭვრეტელი, შენ განსჯი, შენ თვალს მიაღევნებ, ხოლო ცხოვრება მიდის თავისი გზით, მიდის ყრუდ, მონოტონურად, ზოზინ-ზოზინით და არც ერთი შენი სიტყვა იმის გულს არ ეკარება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ ჯიქია

●

ცის მღვრიე სარკეს მიბჯენია ელამი
მზერა,
ვაგროვებ ფიქრებს და იმ მხარეს
შორიდან ვზვერავ,
მე ეს მთოვარე მომაგონებს გუბეს
შხამისას...

ასეთ განცდებში ჩამოდნება ჩემი
სანთელი,
გაყინება როგორც სისხლი, ისე
სათქმელიც
და დრო თვალებში ჩამიგუბებს უკუნს
ღამისას.

0 – ს

ბედი მადგამს საიდუმლო გვირგვინს,
ქვეყანაზე, სულ ესაა, რაც მაქვს...
რა ვქნა, როცა წყვდიადია ირგვლივ,
რა ვქნა, როცა ცხოვრებაა ჯვარცმა.

მაგრამ მე ხომ მართალი ვარ ცამდე,
გული მაინც უსაშველოდ მითრთის...
სიმარტოვის შხამ-სამსალას ვსვამ და
აბრაგივით ვუსაფრდები სიკვდილს.

●

ქარს ატირებს ბნელი ღამე,
მეც მატირებს ჩემი ბედი...
გავსებულა სული შხამით, —
რა მინახავს ტანჯვის მეტი.

ფიქრიც ჩუმად მტოვებს, მიდის, —
მეზიდება მაწა ქვევით...
ვაი, ისევ წვება ბინდი
და ნისლივით ნელა ვქრები...

●

მტკივა, თუმცა არა ვჩივი,
მტკივა, თუმცა არა ვდარდობ...
შენც ხომ იცი დანარჩენი, —
წინ არ მიდევს შარა ფართო...

მიწის პირმშო ვდუმვარ მიწყივ, —
მაგრამ სათქმელს ვიტყვი ბოლოს, —
გულს გადავშლი ღვთისმშობლის წინ
და დრომ ქარებს გამაყოლოს!..

●

ზოგჯერ ფიქრად ავიქნები
და ნაღველი მზარავს ურვილს..
დედი, როცა არ იქნები,
ჩემს სამარეს ვინ მოუვლის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲢᲔᲠᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲜ ᲡᲐᲗᲘᲥᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲩᲘ

ჩემი სხეული მიწას მოშივდა
და შეცხადებამ დაკარგა აზრი.
ვარ სიმარტოვით ნერვებმოშლილი...
ჩემი სხეული მიწას მოშივდა.

ზეცის ყვრიმალებს ქარი ლოშნიდა,
ქარი — ბინძური ნაგაზი ბაზრის.
ჩემი სხეული მიწას მოშივდა
და შეცხადებამ დაკარგა აზრი.

❁

რისხვით შეესევა თვალებს
შავი, შხამიანი ბოლი.
ბოლო მომეღება მალე,
მალე მომეღება ბოლო.

ოქაც ამინთებენ სანთელს,
(იქნებ გულუბრყვილოდ ვცოდავ).
ჩემთვის სულ ერთია, სადმე,
ოღონდ დავისვენო ცოტა!..

ფიქრი სამარისკენ მიდის,
მზერა იყინება ქარში.
სულში იხედება ბინდი, —
ფაფარაქოჩრილი რაში.

რისხვით შეესევა თვალებს
შავი, შხამიანი ბოლი.
ბოლო მომეღება მალე,
მალე მომეღება ბოლო.

❁

ჩემი დაღმართი დაიწყო უკვე,
თუმცა ბოლომდე ვედარ მიმეტებ...
განწირულივით მე ხელებს ვუქნევ
ჩემგან გაფრენილ ცისფერ იმედებს...

ამ ბილიკს უნდა ბოლომდე გავყვე
და მიმოვფანტო გული დარდებად...
რომ გამოჩნდება სიკვდილის ბაღი, —
როგორც მებალეს — გამიხარდება...

❁

მწყრალად გავყურებ გათანგულ ქალაქს
და გალახული ძაღლივით ვტირი.
გრიგალი გულში სიგიჟეს მალავს,
მწყრალად გავყურებ გათანგულ ქალაქს.

ვიღაცა ტყვიით გამიხვრეტს ქალას,
ან დავიშლები, ვით ლერწმის ტივი...
მწყრალად გავყურებ გათანგულ ქალაქს
და გალახული ძაღლივით ვტირი.

❁

არავისთან არ მივდივარ ახლა,
ჩემთან კიდევ აღარავინ მოდის.
დასტყობია სულს სხვავგვარი დაღლა,
თითქოს გულიც შესჩვეია ლოდინს.

ეს სიგიჟე ნეტავ სანამ გასტანს?!
სანამ გასტანს ეს წუთები ბოდვის?!
არავისთან არ მინდება წასვლა,
ჩემთან კიდევ აღარავინ მოდის.

❁

მე ქვეყნის ნათელს მშვიდობას ვუთვლი,
(ძლიერ გამთანგა ღამის გათევამ)...
ფიქრი სიცოცხლეს სამარეს უთხრის, —
შეუ აპარიდო გინდა ფათერაკს...

ჩემზე დარდობდი ალბათ წუხელი,
დღესაც გამოგყვა იქნებ ის სევდა...
მაგრამ, ძვირფასო, ნუღარ წუხდები,
ცხოვრება ჯვარცმა არის ისედაც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულო კოზიაშვილი

მოთხრობები

ლელიანში, გამთენიისას

შუალამე იქნებოდა, არჩილის კარზე ისეთი ბრახბარუხი ატეხა ვიღაცამ, შიშისგან დაფეთებულმა ნუცამ საწოლიდან პირდაპირ იატაკზე მოიღო ზღართანი.

არჩილი ჯერ გაისუსა, მერე წამოჯდა და იატაკზე წამოფუნცულ და ვერხვის ფოთოლივით აცახცახებულ ნუცას მიაჩერდა კითხვის თვალით.

ბრახუნი არ წყდებოდა, არც ხმას იღებდა ის ვიღაც, უტიფრად მობრახუნე, და როგორც იქნა, ისევ ნუცამ ამოიკნავლა:

— ვინ არის?

— ვინ არის? — არცთუ ომახიანად გაიმეორა არჩილმაც.

— მე! — ბრახუნი შეწყდა და მოისმა გარედან ახალგაზრდული, სმისგან ჩახლეჩილი ხმა.

— რომელი „მეა“ ეგ ოხერი. — ჩაიჩურჩულა ნუცამ, წამოდგა და იქვე მიგდებულ ხალათს მისწვდა გაბრაზებული. — რომელი მე ხარ, რომელი? — უკვე ხმამაღლაც გასძახა. სინათლის ანთებაზე არც უფიქრია, ისე ანათებდა იქაურობას ქათქათა, ბადრი მთვარე.

— გამოდით და გაიგებთ! — რისხვით უპასუხა მობრახუნემ; აღარ აბრახუნებდა.

— კარლოა, მგონი, მე მაგის... — ჩაიბუტბუტა არჩილმაც და შარვალში გაუყარა ფეხი.

კარის წინ მართლაც კარლო იდგა: იმ სიცივეში საკინძმოღეღილი, თავშიშველი და კარგა მაგრად მთვრალი.

— ჩაიცვით ახლავე და წამომყევით!— თვალები დააბრიალა კარლომ, შებრუნდა და უკან მოუხედავად გაიმეორა: — ჩაიცვით ახლავე და წამომყევით!

— სად?! — გაოცებით იკითხა ცოლქმარმა, — სად, კაცო, ამ შუალამისას?

— გერონტისთან! — კბილები გააღრჭიალა კარლომ. — საქმე მაქვს! არ მალაპარაკოთ ახლა ბევრი, თორემ ხომ იცით! — თითი დაუქნია და ისეთი მუქარით გამოხედა ცოლ-ქმარს, შიშისგან ორივეს გაპბურძგლა. — საქმე მაქვს და მინდა თქვენც იყოთ იმ დროს იქ.

— კი მაგრამ? — სიცივისგან გაკანკალა ნუცას, — აღარ გათენდება?

— მოდიხართ, თუ?.. — გააფთრებული შემოტრიალდა კარლო, — მოდიხარ, არჩილა, თუ დაგიდო ახლავე ფეხქვეშ?! — არჩილს დაუკონკრეტა.

— მოვდივართ, ჩემო კარლო, მოვდივართ, აბა არ მოვდივართ? — შეეშინდა ნუცას, — რაღას უდგეხარ, კაცო? — დაუტატნა უცებ უდანაშაულო არჩილს, — შემოდი, ჩავიცვათ.

ფიქრში წასულმა კარლომ ხმამაღლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიქშინა ჩაცმულ-დახურული ცოლ-ქმრის დანახვაზე და წინ წავიდა.

— გიჟია ოხერი, არ წაიღო ტვინი? არ შეაწუხა მთელი სოფელი? მორიდება ამან არ იცის და... — წაიბუტბუტა ნუცამ, შალში თბილად გაეხვია და ქიმუნჯი წაკრა მოქნარებით მიმავალ არჩილს, — რა სიკვდილი უნდა, ნეტა, გერონტისგან, არ აუტეხოს რამე შარი და გაგვხვიოს ჩვენც უბედურებაში, რო მოკლას? არჩილა, კაცო, დაგეძინა? რო მოკლას?

არჩილმა თვალები გადმოუბრიალა ნუცას და ნაბიჯს აუჩქარა.

კარლომ ბაკურაშვილების უბნისკენ გადაუხვია, გელას ჭიმკრის წინ შეერდა, ხელი ჭრილში შეყო, კარი შეაღო და ბანცალ-ბანცალით აკიდა პრამაღზე.

— ვინ არის? — კარზე ხმამაღალ ბრახუნს იმავე წამს მოჰყვა ნუნუს გაოცებული და თან გაცეცხლებული ხმა.

— კარლო! — ბრახუნს მიაყოლა კარლომ და რატომღაც ბადრ მთვარეს გახედა დაღონებით.

— კარლო შენ და სიკვდილი! — არ დაayოვნა ნუნუმ, — აღარც დღე უნდა მოვკვასვენო და აღარც ღამე? მთელი დღე ერთად არ ეყარეთ შენც და გელაც? ეგდა გაკლდა, ახლა შუაღამის დროს დაგეწყო წანწალი! — კარი ღამის ცხეირში მიარტყა პერანგის ამარა გამოვარდნილმა ქალმა და არჩილისა და ნუცას დანახვაზე, ცოტა არ იყოს, დაიბნა, — ვაიმე, მოხდა რამე, ნუცა?

— არ ვიცი, — მხარი აიჩეჩა ნუცას მაგიერ არჩილმა, — გავვაღეიძა ჩვენც და... აქ წამოგვიყვანა.

— რაო? რაო? ქეიფი მოგინდა? — ისევ კარლოს მუბრუნდა ნუნუ, — უყურე ერთი ამის თავხედობას!! თუ მაინც და მაინც... აღარ გათენდებოდა?!

— შენ გელა გაადვიძე! — ოთახში შესვლა დააპირა კარლომ.

— ეყოფა უკვე, რაც ჩხამა დღეს! კაცია, კასრი ხომ არა, სადღა უნდა ჩაეტიოს ბოლოს და ბოლოს!

— რა უნდა ჩაეტიოს, ქალო! ჩაიცვით ორივემ! საქმეზე მჭირდებით! — ისევ დაუპირა ქალისთვის გვერდის ავლა კარლომ.

— რა საქმეზე, კაცო, ხომ არ გაგიჟებულხარ ამ შუაღამის დროს შენ! — ცოტა დაკალდა, მართლა გაგიჟდა ნუნუ.

— გერონტისთან მაქვს რაღაც საქმეო და... — გაახსენდა უცებ ქათამივით ცალ ფეხზე შემდგარ და აბუზულ ნუცას, — ეტყობა, რაღაცა საქმე აქვს გასარჩევი და იმიტომ გაგაღვიძათ თქვენც.

— ვისთანი? გერონტისთანო? — მთლად გაწიწმატდა ნუნუ, — გაქეს და გაქონდეს. შენ ვიღაცასთან რაღაცა ანგარიში გაქეს გასასწორებელი, ჩვენ რა შუაში ვართ ვითომ? უფროსი ამან არ იცის და უმცროსი. რა გინდა გერონტისთან, რა ვუთხრათ, რომ მივალთ, რა საქმე გვაქვსო?

— ეგ მე ვიცი. ჰა, აღვიძებ თუ არა გელას? — პარმაღზე დადებულ ფქვილით სავსე ტომარას ხელი დაავლო კარლომ, — თუ მოვფანტო ეზოში?

— გაუშვი, კაცო ხელი, გაუშვი! — შეეშნოდა ნუნუს, — ჭკუა დაგიშლის შენ თუ გონება... ვაღვიძებ, ბატონო!

ის იყო მამალმა იყივლა, კარლომ, არჩილმა, გელამ, ნუცამ და ნუნუმ კვალიაშვილების უბნისკენ ჩაუხვიეს და გივას ჭიმკარსაც მიადგნენ.

— მანამ არ აკიდა გვერდები, მაყვალა გივას არ გაადვიძებდეს. ნახავ შენ, რა დღესაც დაგაყრის, — ჩაიქირქილა ნუნუმ. — გიჟი ეს...

— რომელი ხარ? — ამაყი გაოცებით გამოსძახა მაყვალამ გარედან დამბრახუნებელს შიგნიდან.

— კარლო! — იღრიალა უცებ კარლომ, — გივა გაადვიძე და შენც ჩაიცვი! ერთ ადგილას უნდა გამყვეთ საქმეზე!

— საქმე შენ და ჭირი, ხულიგანო, მამაძაღლო, შენ! — სიბრაზისაგან ეტყობა სკამი დაიბერტყა იატაკზე მაყვალამ, — ბიჭოს, არ შეჭამა გული ამ უსაქმურმა! ახლა აქედან მოუსვი, თორემ!..

— ჰა, იცმევთ თუ მოვუკიდო უკვე თქვენს საბძელს ცეცხლი? — ჯერ გაარ-ხაკუნა, მერე აანთო და ფარდებგადაწეულ ფანჯარასთან ააციმციმა ასანთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლომ, —ჭკუა დამიშლის, თუ არ დამიწეია ჯერაც.

— არ გაგიჟდე, კაცო, და არ მოუკიდო მართლა! — შიშისაგან აწიოლდა მაყვალა, — გივი! გივი! ადექი, ადექი, შე სულძაღლო! როცა ამ ოხერს უძმაკაცდებოდი, მაშინ უნდა გეფიქრა, რაც დაგემართებოდა ბოლო-ბოლო.

— ესეც ასე... — გადათვალა თავისი საპატიო ესკორტი ცოტა ხნის შემდეგ ნასიამოვნებმა კარლომ და გოგინაშვილების ფოლორცისაკენ გადაუხვია.

— მანდ ვიღა ნახე შენი ტოლი და სწორი ვითომ? — ეჭვით იკითხა მაყვალამ და უცებ ისეთი ჩასცხო სრულიად უდანაშაულო, ღვინისა და ძილისაგან ჯერ ისევ გამოუფხიზლებელ გივიას, კინაღამ წააქცია. — კიდევ დალევ ამ ოხერთანა, შე ვირო, შენა, ჰა? ცოლი ამას არ აწუხებს და სირცხვილი, ეხლა რო შარში გაგვხვევს და ციხეშიაც ამოგვაყოფინებს თავებსა, მაშინ რაღას იტყვი, ჰა?

კარლო უკვე სერაპაინ გოგინაშვილის კარწინ იდგა და აბრახუნებდა.

—ვინ ბრძანდებით? — მოისმა ინტელიგენტ სერაპაინის ზრდილობიანი ხმა შიგნიდან.

— კარლო! — არცთუ ზრდილობიანად უპასუხა კარლომ და ისევ დაუბრახუნა: — კარლო ვარ, ბატონო სერაპაინ!

— რა გაგჭირვებია, შვილო კარლო, ამ შუადამისას? — მავიდის ნათური აინთო; ეტყობა, წამოდგა სერაპაინი.

— ერთ კაცთან სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე მაქვს გასარჩევი და მინდა იმ დროს თქვენც იყოთ იქ, ბატონო სერაპაინ! — დაასლოკინა კარლომ და კბილი კბილს დაჭირა სიმწრით.

— კი მაგრამ, ამ დროს, შვილო კარლო? — კარი გამოაღო გაოცებულმა სერაპაინმა და კიდევ უფრო გაოცდა, როცა პარმაღზე კარლოს გარდა ბარე კიდევ ექვს ადამიანს მოჰკრა თვალი. — რა მოხდა, მეზობლებო?

ექვსივემ მორცხვად და უხმოდ აიჩეჩა მხარი.

— ეტყობა, რაღაცა აწყენინა გერონტომ, მე იმის!.. — უცებ ისე დაიღრიალა გივიამ, სერაპაინის მამალს შუაზე გააწყვეტინა ყივილი. — მივიდეთ ერთი, მივიდეთ...

— კი მაგრამ, ისეთი რა, რომ... ამ დროს... — ჩაიბუტბუტა ნირწახდარმა სერაპაინმა, ჯერ ჩაფიქრდა, მერე თავი გადააქნია და უცებვე შებრუნდა შინ, ჩასაცმელად.

ციხკრის ვარსკვლავი უკვე კარგად იყო ამოწვერილი, კარლო, არჩილი, გელა, გივია, სერაპაინი, თედო, მალხაზა, დავითი, ნუცა, ნუნუ, მაყვალა, ლილი, თათულა, მოკლედ — ნახევარი სოფელი გერონტის ეზოში რომ შეჭერდა.

— დაუძახეთ! — წელში უცნაურად გასწორდა კარლო და თვალები გადაუბრიალა უალებლივ ყველას: არჩილს, გელას, გივიას, სერაპაინს, თედოს, მალხაზას, დავითს, ნუცას, ნუნუს, მაყვალას, ლილის, თათულას...

სერაპაინმა, თედომ, დავითმა, რატომღაც ფეხი მოინაცვლეს და შეთანხმებულებივით, ასევე რატომღაც, ჩაახველეს კიდევაც ერთდროულად.

არჩილმა, გელამ, გივიამ, მალხაზამ, ასევე შეთანხმებულებივით, ერთხმად იყვირეს:

— გერონტი!

ხოლო ქალებმა ბუტბუტ-ჩურჩულით ერთმანეთს გადახედეს და ისე მიეწუბნენ ერთიმეორეს, გეგონებოდა, ვინმემ უხლავად ერთი თოკით შეკრა ყველა, რაც შეიძლება მჭიდრედდი.

პირველ „გერონტის“ მხოლოდ გერონტის მურაა გამოეპასუხა და ამიტომ გაბრაზებულმა ოთხეულმა კიდევ ერთხელ და თანაც უფრო ომახიანად იყვირა:

— გე-რონ-ტი!

ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო, აივანზე გერონტი გამოვიდა, დაუტატანა მურიას, ეზო მოათვალიერა, გაშრა, ცას ახედა, თვალები მოიფშვნიტა, ისევ ეზოს გადმოხედა და ისევ გაშრა.

გერონტის მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა, იყივლა და დადუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელიც დუმილით აჰყურებდა გერონტის, გერონტიც დუმილით ჩამოჰყურებდა სოფელს.

მერე სოფელი კარლოსკენ შემობრუნდა უკლებლივ და გერონტიმაც, რაღა თქმა უნდა, კარლოს მიაჰყრო მზერა.

კარლომ თვალი აარიდა სოფელსაც, გერონტისაც და რატომღაც ბაღრ მთვარეს მიაჩერდა გალეწრებული.

გივიამ ქიმუნჯი წაჰკრა მთვარეს მიჩერებულ კარლოს და გაბრაზებით დაალსოკინა.

— რაშია საქმე, ხალხო? — როგორც იქნა, ამოღერდა გერონტიმ; ისე იყო განცვიფრებული, პერანგის ამარა გადმოჰყურებდა იმ სიცივეში გასუსულ ხალხს.

— თქვი! — დაუსისინა მაყვალამ კარლოს.

კარლომ მთვარიდან მაყვალაზე გადაიტანა მზერა, მაყვალადან სეპარაინზე, სერაპაინიდან გერონტზე, გერონტიდან მიწაზე და თავჩაქინდრულმა მოინაცვლა ფეხი.

—თქვი, შე ოხერო, რა დაგიშავა, რაზე დაგაყენე მთელი სოფელი ამ შუადამისას თავზე! — გვერდში ისე მწარედ უჩქმიტა ნუნუმ, სხვა, კარლოს ადგილზე წივილს მორთავდა, კარლო კი არც შენძრეულა.

— შვილო, კარლო, — გვერდით ამოუდგა ხაწში შესული სერაპაინი გაშეშებულ კარლოს და მუდარით გადახედა თედოს და დავითს, — თქვი, უთხარი, აბა ეს დროული ხალხი აქ ამ შუადამის დროს...

— დედა გაგინა, ალბათ, მე მაგის! — კბილებშუა გამოსცრა გივიამ და ის იყო ხმამაღალა დაღრიალებისთვისაც მოემზადა, კარლოს ენერგიულად გამოქანებულმა ხუთმა თითმა მოუმუწა პირი.

— ამ კაცს შენთან საქმე აქვს... სათქმელი აქვს... და... — ისე ამოღერდა სერაპაინმა, ძლივს გაიგო აივნიდან ლამის სანახევროდ გადმოყუდებულმა გერონტიმ.

— ვის? — იკითხა გერონტიმ.

— კარლოს!

— კარლოს? — გაუკვირდა გერონტის, — რა საქმე გაქვს და რა სათქმელი, კარლო? — წელში მუხასავით ვასწორდა და უცებ გადმოკარკლა თვალები გერონტიმ.

კარლომ ბაღრ მთვარეს გახედა ისევ და კვლავ ამოიქშინა.

— თქვი, კაცო, უთხარი! — გაწიწმატდა უცებ თაოული და უცებვე შეხტა გიორგივით: გერონტის მურიამ ხაოიანი ენა აუსვა სიცივისაგან ისედაც ახორკლილ წვივზე, — გაქრი აქედან, — დაუტაკნა ძაღლს, — თქვი ახლა! — ისევ კარლოს მიუბრუნდა, — ოხერო შენ, ჩაცმაც რომ არ მაცადე!

კარლომ ისევ ამოიოხრა და ისევ თავი ჩაქინდრა.

— ნორმალური არც ერთი არა ხართ ამდენ ხალხში? — შეაკნკალა სიცივისა თუ სიბრაზისაგან გერონტის, — ამ შუადამისას თავზე რო მესხმით შარაგზის ყარაღებივით, მიზეზი მაინც არ უნდა იცოდეთ, თქვე კაი ხალხო?

— დედა, იქ ვიტყვიო, იმას ვეტყვიო და... — ხელები გადაშალა ნუცამ, — გგონია ჩვენ ვიცით, რაზე წამოვედვით?!

— მაშ, არ იცით, არა?! — პირდაპირ აივნიდან გადმოაფურთხა მოთმინებადაკარგულმა გერონტიმ, — მაშ, ჯერ არ გაგიგიათ, რატომ წამოხტით ლოგინებიდან და რატომ მოგროვდით აქ ამ შუადამისას გიფებივით, არა? იდექით აბა, მანამ არ გიგებთ და როცა გიგებთ, გამაღვიძეთ და გამაგებინეთ მეც, თუ ხალხი ხართ! არ არი ახლა ახი, ე ძაღლი მოგისიოთ? ეს სამი დროული კაცი არ გერიოთ, კი ვიცი, რასაც გიზამდით დანარჩენ ჩიტბირეკიებსა, მაგრამ... ამ გიფს რაღაცა მოელანდა, თქვენც გაგიჟდით, თქვე უბედურებო?! დაგიშავე მე შენ რამე, კარლო? შვილო, დაგიშავე მე შენ რამე?! — უცებ გააფთრებულმა გადმოხედა კარლოს.

— არა, — ჩაიჩურჩულა კარლომ და თავჩაქინდრულმავე გააქნია თავიც, — სრულიად იყო უკვე გამოფხიზლებული, ფეხით ხაზავდა მიწაზე რაღაცას,

— არა, ხომ!! — გაუხარდა უცებ გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რონტის, — არაფერი დამშავებია! აბა, რა გინდათ, თქვე უნამუსოებო, თუკი არაფერი დამშავებია, მითხარით, რას ივიჭუბთ თავს, რას ექომაგებით და რას მივარდებით აქ ამ შუაღამის დროს მოსაკლავად, ჰა? ახი არ არი, ახლა დავუძახო მილიციას?

— როგორ გეკადრებათ, ბატონო გერონტი, — კისერი ისე მოიღერა აიენსაკენ სერაპიონმა, ცოტა დააკლდა შლაპა არ მოსძვრა თავიდან, — რა მოსაკლავად, რის მოსაკლავად...

— აბა?! — ისევ გადმოაფურთხა აიენიდან გერონტიმ.

— თქვა... ისაო, საქმე მააქვსო და... სათქმელი მააქვსო და... ასე არ იყო? — მიუბრუნდა ნერვებაშლილი სერაპიონი კარლოს.

კარლომ უხმოდ დააქნია თავი.

— მერედა, გაქვს მართლა რამე საქმე? გაქვს მართლა რაიმე სათქმელი? — ისევ დაიღრინა ზემოდან გერონტიმ, — შენ გეკითხები, კარლო!

კარლომ უხმოდ გააქნია თავი.

— ა, ბატონო! — ამაყად აიწურა მხრები გერონტიმ. — ვინ ტყუის ახლა და ვინაა დამნაშავე, მე თუ დანარჩენი თქვენ, ერთად, ყველა, ბატონო სერაპიონ? ამ უტიფარს, ამ უზრდელს, მოურიდებელს და ხულიგანს შუაღამისას კაცი სადმე რომ გაყვება, მითხარით, ის კაცი არის ნორმალური, ჰა?! არ შეჭამა თავის ხულიგნობით მთელი სოფელი? ვინაა, კაცო, ეს კაცი, არაფრის რომ ამას არ რცხვენია? — გააჭენა და გააჭენა უცებ გათამამებულმა გერონტიმ, — თქვენ შეიძლება გეშინოთ ამისი, მაგრამ მე, მე, გერონტი კაწარაშვილს, არ მეშინია, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, გაიგეთ, თუ არა და ხედავთ აგერ! ვის მოგითმენდათ ამდენს, ვის მოგცემდათ ამდენის უფლებას, გულები რომ გისკდებათ მაგის თითო სიტყვაზე შეშისაგან! ახლა კი მოუსვით აქედან!

პირველი შეურაცხყოფისაგან მთლად გათეთრებული სერაპიონი შებრუნდა, მეორე თედო, მესამე დავითი, თავისი განუყრელი ხელჯოხითურთ.

— ეს, ბიჭო, რა ყოფილხარ მართლა შენ, — დაასლოკინა უცებ გივიამ და თვალებჩასისხლიანებული მოუბრუნდა კარლოს, — მარტო ჩვენთან გაქეს, ხომ, დიდი გული? კაცმა ამდენი დაგიშავა და ხმა ვერ ამოიღე, ხომ, შიშისაგან?!

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, გივიამ მურიას წინ გაჭიმა ყორა. გიეას ცოლი, მაყვალა წამოეშველა, მაყვალას ნუნუ, ნუნუს გელა, გელას მალხაზა, მალხაზას თათული, თათულას არჩილა, არჩილას ნუცა და ატყდა ერთი აყალმაყალი, რასაც თან მოჰყვა ზედახორა, მურიას გაცხარებული სირბილი და ყეფა ზედახორის ირგვლივ და პერანგისამარა გერონტის ჩამორბენა კიბეზე.

სახეარეულმა კარლომ შეხედა გერონტის, მოწაფესავით ჩამოუშვა ხელები და როცა გააფორებული კაცი მის ლოყებსა და გულმკერდზე ტყაპატყუპს მორჩა და როცა გერონტის შეშინებული ცოლ-შვილიც გამოჩნდა აივანზე, მორჩილად დატოვა ეზო.

— ეს ხულიგანი, ეს! მგელი ეს, მგელ!

— ეს ბიჭი, ეს!

— კი ყოფილა მაგისი მომრევი ამ სოფელში; უყურე შენ, ყოჩაღ, გერონტი! ეტყობა, მანამდეც ჰყავს ნაყეჟი კარგად, იმატომაც ვერ გაბედა საცოდავმა მარტო მობრძანება აქ. ჩვენი გულით რომ მოდიოდა, ჩვენი გულით და იმედით! — ლანძღვა-გინებით ჩაუარეს ალიონზე ნაცემ-ნატყვეპმა ყოფილმა მეკობრებმა კარლოს, რომელიც ლელიანში იწვა პირქვედამხობილი.

კარლომ ღრმად ამოიგმინა, პირადმა ამოტრიალდა და უცებ, როგორც ნაცემმა, ეულმა მგელმა, ისე შეჰყმუვლა მთვარეს:

— მიყვარს... გერონტის შვილი, ეკა მიყვარს, მთვარევ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკს არ სძინავს

— რომელი საათია, გენაცვალე? — ეკითხება ტროლეიბუსის გაჩერებაზე ახალმოსული, სპილენძისფრად თმაპრიალებული ხანდაზმული ქალი მკერდზე პანტმბინეულ, ზვიადი გარეგნობის მანდილოსანს და ძმიმე ჩანთას ძელსკამზე დებს.

— ათი წუთია თორმეტის, — ცივად პასუხობს ზვიადი პანტმოსანი და მზერა სპილენძისფერი ქალიდან დანარჩენ მგზავრებზე გადაქცევს.

— დიდი ხანია ელოდებით? — კვლავ ეკითხება სპილენძისფერი და თავადაც მოლუშულ, შუმებივით გაშეშებულ მგზავრებს აჩერდება.

— დიახ! — გაღიზიანებით პასუხობს პანტიანი.

— ნწ-ნწ-ნწ! — თავს აქნევს სპილენძისფერი, — გული რომ გიგრძნობს, ტყუილია! მთელი დღე მეუბნებოდა მე უბედურს: „ნუ წახვალ! ნუ წახვალ!“ არ დავუჯერე და ა! ჯერ რძლებთან ჩხუბი, ახლა ეს! კაცმა არ იცის, როდის მოვა ის ოხერი. მე შენ გითხრა და ტაქსი გამოძახდება ამ მიყრუებულში. თქვენთვის არ უთქვამს?

— ვის, ქალბატონო? — წარბს იკრავს პანტიანი მანდილოსანი.

— გულს. აი, მაგალითად, მე მთელი დღე მეუბნებოდა, არ წახვიდე, ავორა, არ წახვიდეო. არ დავუჯერე და... თქვენ რძალი ყავთ?

— ჰმ! — რატომღაც ძალიან შეურაცხყოფილი პანტიანი ბრაზით იბზუკუს ტუნს.

— მე მყავს, — ოხრავს სპილენძისფერი, — ორი თანაც, — მეორე ამოოხვრასაც ამატებს და თითი იდუმალი ქნევით მიაქვს წითელი, ხასხასა პანტისკენ, — ტა-ტა-ტა-ტა! რომელი რომელზე უარესია, ვერ გიგიებ... იქიდან მოვდივარ ახლა. ჩემისთანა ალალ, ჩემისთანა კეთილ, ჩემისთანა ერთგულ, ჩემისთანა ვინიერ დედამიწეს რომ ვერ დააფასებ! რა მაწყენინონ და გული რით მატკინონ, იმის მეღონეს არიან. არადა, დამიჯერებთ? ცხოვრებაში სიკეთის მეტი არაფერი გამაკეთებია, მარტო შვილებისა და რძლებისთვის კი არა, ქვეყნისთვისაც, მთელი ქვეყნისთვისაც! — ქალი თავისი სხეულისათვის საოცრად შეუფერებელ პატარა შუშტს მხურვალედ იბაგუნებს მკერდზე და თავს აქნევს. — ვეუბნები: მომისმინეთ, მტერი ხომ არა ვარ თქვენი, თქვენ თქვენთვის ცხოვრობთ, მე ჩემთვის, დღეში ერთხელ მოვალ, დაგხედავთ, დაგარიგებთ, გასწავლით! რა არის ამაში ცუდი?! აპაა, არაფრის სწავლა, არაფრის გაგება არ უნდათ! — ქალი მოულოდნელად ჩუმდება, ოთხად აკეცება და გაფაცებებით აკვირდება რაღაცას, ცოტა ხნის შემდეგ ასფალტიდან ჭრძელ, სიბნელეში ხანჯალივით თეთრად აელვარებულ ლურსმანს იტაცებს და აღფრთოვანებით ატრიალებს, — თქვენც უნდა აიღოთ ხელმე, — იდუმალი ხმით ეუბნება ზვიადი ქალბატონს და გახარებული აბინავებს ლურსმანს ჩანთაში. — არ ვეგონოთ ტყუილი, ძალიან მჯერა ასეთი რამეების. ცხოვრებაში ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს. ლურსმანი, ან სულ ერთია, რკინის რაც გინდა იპოვოთ, უნდა აიღოთ და შინ წაიღოთ, — მტერს დაამარცხებთ... დედა, დედა, რამდენი რამე მაქვს სახლში ასე მიტანილი, დეპო გეგონებათ ჩემი ოთახი, რომ შემოხვიდეთ, — სპილენძისფერი ქალი ამრეზილ პანტიანს შეჰყურებს და თითს აქნევს. — ნუ გგონიათ ტყუილი, რკინა მაგას ნიშნავს; თმის სარჭის პოვნა, მაგალითად, მეგობრის შეძენის ნიშნავს. ახლა, რაღა დროს თაყვანისმცემელია, მაგრამ, აპაჰაა, — კეკლუცად ხითხითებს ქალი, — მიჩვეული რომ ვარ ახალგაზრდობიდან, არ არსებობს ერთი სარჭი მაინც გაუშვა აუღებელი. დამიჯერეთ, რამდენი სარჭიც ვიპოვე, იმდენი მეგობარი შევიძინე. ზოგს ტყუილი ჰგონია ასეთი რამეები. არადა მართალია, მართალი, ჩემი ბიჭიკო და კოლა არ წამიწყმდეს!

პანტიან ქალს იქედნურად ეღიმება,

ბრაზით იხედება იქითკენ, საიდანაც ტროლეიბუნი უნდა გამოჩნდეს წესით, ასე უწესოდ და თითქოს ჯიბრზეც რომ არ მოჩანს აგერ უკვე რამდენი ხანია.

— აჰ, არც გამოჩნდება! — უიმედოდ და მტკაცედ აქნევს თავს სპილენძისფერი ქალი. — ტყუილია! გული რომ მეტყვის! თქვენ არაფერს გეუბნებათ?

— არა! —უკვე სიანჩხლე ეპარება ხმაში ბანტიანს.

— უკაცრავად, რას გიყვებოდით, თუ გახსოვთ? — ეკითხება მცირე ხნის დუმილის შემდეგ ჩაფიქრებული სპილენძისფერი ბანტიანს და თან გამალებით ისრესს საფეთქელს. — დედა, დედა, სკლეროზი მემართება მგონი, თუ უკვე არა მჭირს. ასეა, დავიწყებ რაღაცაზე ლაპარაკს და მავიწყდება მერე. რაზე ვლაპარაკობდი?

— რძლებზე, დეპოზე, ბიჭიკოსა და კოლაზე! — გაცეცხლებული პასუხობს ბანტიანი ქალი და რატომღაც ორი ნაბიჯით უკან იხევს. — „დედა... არ შემჭამა?!“ — ბუტბუტებს.

— ჰო, ბიჭიკო და კოლა შვილები არიან ჩემი, მაგრამ რაში დამჭირდნენ მერე ჩემი ბიჭიკო და კოლა? — საფეთქლებზე ისევ თითმიჭერილი, ღრმად ჩაფიქრებული ქალი ჯერ ნათურას აჰყურებს, მერე გაჩერებას მოახლოვებულ შავ, კაფანდარა კაცს შესცქერის და შეწუხებული ამეორებს: — ღმერთო, რაში დამჭირდნენ ჩემი ბიჭიკო და კოლა?

შავი, კაფანდარა კაცი წამით ჩერდება, ჯიბიდან საათს იღებს, დაჰყურებს და გაოცება-შეშფოთების აღმნიშვნელი წასტენენს შემდეგ მეკვესეულად აკრძელებს გზას ჩქარი, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით.

სპილენძისფერი ქალი კისერს იგრძელებს, დიდი დაკვირვებით აჩერდება ამ ადგილს, სადაც რამდენიმე წამის წინ კაცი იდგა და მოულოდნელად წყდება ადგილიდან.

— ამხანაგო! მეგობარო! მამაკაცო!

კაცი ნაბიჯს ანელებს, ჩერდება და გაოცებული ათვალიერებს უკვე წამოწეულ ქალს.

— მაპატიეთ, მაგრამ მე ვერ გადავწყვეტან იმას, რომ თქვენ ცხოვრების მეგობარი დაკარგოთ! — ხმაათრთოლებული, აღელვებული ქალი რატომღაც სასოებით შეჰყურებს კაცს და გაშლილი ხელი მკერდისკენ მიაქვს.

— რომელი ცხოვრების მეგობარი? — იბნევა კაფანდარა კაცი.

— როგორ, რომელი? ცოლი, მეუღლე.

— რატომ უნდა დავკარგო, სჭირს რამე? — ელდისგან ღონემიხდილი კაცი თვალების გამალებული ფახულით აჰყურებს თავს წამოზვინულ სპილენძისფერ ქალს, — სჭირს რამე?

—აუცილებელი ავადმყოფობა კი არაა, — რატომღაც კეკლუცად აღიმება სპილენძისფერი ქალი და მხარს იჩეჩავს, — დაკარგვა სხვა რამითაც გამოიხატება, მაგალითად გაყრით.

— რატომ უნდა გავეყარო. იცით რამე?! — ხავის კაცი.

— არაფერი არ ვიცი, მაგრამ ეშმაკს არ სძინავს. აქამდე თუ არაფერი იყო, შეიძლება აწი დაიწყოს, — ნაზად, ენით უთქმელი კმაყოფილებით იღიმება ქალი.

— თქვენ რაღაც იცით და მიმალავთ! — გააფთრებით მოეჭიდა უცებ კაცი სპილენძისფერ ქალს ხელებზე და გამეტებით ანჯღრევს, — თქვენ რაღაც იცით და მიმალავთ!

— მე არაფერი არ ვიცი! — ტკივილისაგან იგრიხება და კაცის ხელებიდან თავის დაღწევას ცდილობს ქალი, — გამიშვით, მე არაფერიც არ ვიცი!

— არა, რაღაც იცით! — კაცი ჩასისხლიანებულ მზერას ავლებს ინტერესით მომზირალ მგზავრებს და ხელებს უფრო მაგრად უჭერს მკლავებზე ქალს, — თქვენ რაღაცა იცით!

— რა უნდა ვიცოდე, მე ხომ თქვენ სულაც არ გიცნობთ! — წრიპინებს შეშინებული ქალი და კბილებით აფრინდება კაცის ხელს. — აი, გაგაშვებინეთ თუ არა!

— ჩემს ცოლს ხომ იცნობთ, სამაგიეროდ, — ანგარიშმიუცემლად იკოცნის კაცი ნაკბენ ხელისგულს და სასოწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი და გააფთრებული შეჰყურებს სახეში ქალს, — ჩემს ცოლს ხომ იცნობთ?

— არც იმას ვიცნობ, რას გადამეკიდეთ, ვიღაცა ხარო! — უკან-უკან იხევს ქალი. — ვაა, რა გააწყალა გული?!

— მე გადაგეკიდეთ, ქალო? საიდან იცით, რომ მღალატობს, აბა თქვით ერთი, თქვით!

— მე ეგ არ მითქვამს.

— აბა რა თქვით? — თქვენთან მუშაობს?!

— ვინ?

— ვინ და ჩემი ცოლი.

— არა, კაცო, დამანებეთ თავი.

— იმისი საყვარელი?

— არც ის.

— აბა საიდან იცით, რომ მღალატობს?

თვალებდაჭყეტილი, გაოგნებული სპილენძისფერი ქალი კაცს შეჰყურებს და გამალებით ისრესს საფეთქელს.

— ღმერთო ჩემო, სულ დამავიწყდა რატომ გეუბნებოდით, დროდადრო სკლეროზი მემართება ხოლმე, მაცადეთ, მაცადეთ, ვიღაცა ხარო!

— ჰმ! სკლეროზი ემართება თურმე ქალბატონს დროდადრო. ჩემს დანახვაზე კარგად გაგახსენდათ, რომ მღალატობს და ახლა დაგავიწყდათ, როცა გეკითხებით, ვისთან მღალატობს?

— გამახსენდა, იმიტომ, რომ გულმა მიგრძნო, ცოლს დაკარგავდით.

— გულმა კი არ გიგრძნოთ, იცით რაღაცა და თუ ახლავე არ მეტყვით, სულს გაგაფრთხობინებო, ამ წუთას, აქვე, ამ ხალხის თვალწინ! — ბღავის სასოწარკვეთილი კაცი.

— მომკალით თუ გინდათ, მაგრამ ადარ მახსოვს. წამოდით ისევ იმ ადგილზე, საიდანაც პირველად დაგინახეთ და იქნებ გამახსენდეს.

— იმ ადგილზე კი არა, მიწაში ჩამოგყვებით, თქვენმა მზემ! უყურე ერთი შენ ამ ყვავს, თქვენობითაც რომ ველაპარაკები თურმე ამდენი ხანია, მე ამის... — მრავალსართულიან გინებას აყოლებს „შენობითზე“ გადასვლას კაცი და კბილებს აღრჭიალებს, — რად მიხდა შენი თქმა, თვითონ იმ კახპას გამოეტეხავ! მივიდე ერთი შინ, მივიდე! როგორ მეგონა პატიოსანი, მე იმის...— გაფთრებული კაცი მთელი ძალით ურტყამს წიხლს სრულიად უდანაშაულო ნაგვის ყუთს და დაოთხილი გარბის უკაცრიელ ქუჩაში. — მივიდე შინ...

— უმე... უმე... კი არ მაცადა ისევ იმ ადგილზე მივსულიყავი, — ტანსაცმელს ისწორებს და პირვანდელი ადგილისაკენ მიძუნძულებს აქოშინებული ქალი, ჩერდება, ჯერ საფეთქელზე იჭერს ხელს, მერე იქაურობას ათვალიერებს და უცებ გახარებული აცხრება ტროტუარზე დაგდებულ დიდ, ყვითელ, ჭუჭყისაგან მთლად ჩაშავებულ სავარცხელს:— აი, თუ არა! გამახსენდა! — ქალი ცხვირწინ უტრიალებს სავარცხელს მდუმარე, თვალებდაჭყეტილ მგზავრებს და აღფრთოვანებით ჭყლოპინებს: — ამ ადგილას რომ შეჩერდა, ჯიბიდან საათი ამოიღო და სწორედ იმ დროს ეს დაუვარდა. სავარცხლის დაკარგვა კი საყვარლის ან ცოლის დაკარგვას ნიშნავს. მაცადა, უბედურმა, ამეხსნა და გამეგებინებინა? მე, გენაცვალეთ, კეთილი ქალი ვარ, არ შემეძლო იმისი ატანა, რომ ვიღაცა ჩემი მიზეზით ცოლს დაკარგავდა. დიიან, დიიან, რას ხითხითებთ, იმან თუ არ იცოდა, რასაც ნიშნავს სავარცხლის დაკარგვა, მე ხომ ვიცოდი, ჰოდა ვუსხნი და... ღმერთო, რა უბედურება, რატომ მავიწყდება ხოლმე დროდადრო რაღაცეები.. არ გჯერათ, ხომ, ასეთი რამეები? დიამახსოვრეთ, კეთილი ქალი ვარ მე უბედური და იმიტომ ვიწუხებ თავს, თორემ სხვა კი არ გეტყვით, აბა — სავარცხლის დაკარგვა ცოლის დაკარგვას ნიშნავს, თმის სარჭის პოვნა მეგობრის შეძენას, რკინის პოვნა მტრის გაბასვრას, მარჯვენა წარბი თუ გეფხანება... არ გჯერათ და არც გაინტერესებთ, არა, ჩემი რძლების არ იყოს?! კი ბატონო, კი ბატონო, მაგრამ აი, ნახავთ თუ იმ კაცმა ცოლი არ დაკარგოს... ღმერთო, რაც მე ამ ჩემი კეთილი გულისთვის ვიღანძღები, ახია

ჩემზე, ბორიტი უნდა იყო ადამიანი და მარტო შენთვის იცოდე ყველაფერი, კისერი უტეხია ყველას, რაც გინდა და ვინც გინდა ის დაუკარგიათ, დაგიფასებს ვინმე თუ? აი, ხომ ნახეთ, იმის მაგიერ, მაღლობა ეთქვა, ძაღლივით დამბუნა, შემომახია ტანზე ყველაფერი და გიჟივით გაიქცა, რაზე და რისი გულისთვის?! იდექით, იდექით, დილამდე თუ მოვა ეგ თქვენი ტროლეიბუსი, იმასაც ნახავთ, წაეედი მე ისევ ჩემს შვილებთან, — ამთავრებს მზურვალე მონოლოგს სპალენძისფერი ქალი, გაგულისებით იღებს თავის ჩანთას ძელსკამიდან და კიდევ ერთხელ ავლებს ნაწყენ, მაგრამ ამაყ მზერას მგზავრებს, — დილის რვა საათამდე აქ თუ რამე მოჭაჭანდეს და ავორარა არ ვიყო მაშინ მე!

მგზავრები ჯერ ერთმანეთს შეჰყურებენ, მერე ქალს აყოლებენ დამცინავ ღიმილს და თავს აქნევენ.

— ღმერთო ჩემო, რამდენი სულელი დადის ქვეყანაზე, — ამბობს ზვიადი ქალი, ბოლთას სცემს, მერე სწორედ იმ ადგილას იხრება „ფეხსაცმლის შესაკრავად", სადაც მანამდე თმის სარჭს მოჰკრა თვალი, შეუმჩნეველად ბღუჯავს დაგრეხილ, ჭუჭყიან სარჭს და ზრდილობიანი მთქნარებით ამატებს: — ღმერთო, რამდენი სულელი დადის ქვეყანაზე.

— აბაა, — ულვაშის გრეხით პასუხობს მწითური მამაკაცი და ჯიბიდან ამოღებულ შავ, ძველ სავარცხელს მალულად აგდებს სანაგვე ყუთში. — ფეხით ხომ არ წავსულიყავით, ქალბატონო? მეტრომდე მაინც რომ მივიდეთ, აუცილებლად მივახერხებთ მერე რაღაცას.

ზვიადი ქალბატონი ნაზად იღიმება და საღებავით დამძიმებულ წამწამებს მარაოსავით ხრის დაბლა თანხმობის ნიშნად.

ბარიერთან

— მისმენთ, ბატონო? არ მისმენთ, ხომ?

არაქათგამოცლილი, მისავთებული რედაქტორი ცალი ხელით დანამულ შუბლს ინაავებს, მეორეთი წყალს სვამს და თითქმის ხავის:

— გისმენთ, ბატონო, გისმენთ და კარგადაც აღვიქვამ ყველაფერს, დაწყნარდით. გავიგე, რომ ვარ ბიუროკრატი, ჩერჩეტი, რომ უმაღლესი განათლებაც და ეს სკამიც მოპოვებული მაქვს ნაცნობ-მეგობრობით, რომ... რომ...

— და რომ თქვენი დღევანდელი საქციელი სამარცხვინო ლაქად დაარნდება ქართული ლიტერატურის ისტორიას! — მწითური, გოდორა კაცი კოტიტა თითს ცხვირწინ უტრიალებს რედაქტორს და მრისხანედ, მუქარით კუმავს ტუჩებს.

— დიახ, დიახ... ლაქად და თანაც როგორ ლაქად! რატომ გაჩუმდიო, დავიჯერო, აღარაფერი გაქვთ დასამატებელი?

— გშურთ ჩემი!

— მართალი ბრძანდებით, მშურს!

— გულზე გხეთქავთ ჩემი ტალანტი!

—კი ბატონო, მხეთქავს!

— იმიტომაც არ მიბეჭდავთ.

— იმიტომაც არ გიბეჭდავთ!

— უზრდელო!

— აა?! — კენესის რედაქტორი და მზერა ჭერზე გადაქვს, — კი ბატონო, ვაარ!

— სამი თვე! სამი თვე! — სიბრაზისგან სახე გვერდზე ექცევა კაცს, გააფთრებით ჭმუჭნის რაღაც ქაღალდს და პირდაპირ რედაქტორის ცხვირწინ ახეთქებს.

— სამი წელიწადიც რომ იყოს, მაინც არ დაგიბეჭდავთ, გესმით თუ არა თქვენ, — რედაქტორი დაჭმუჭნულ ქაღალდს იღებს, ხსნის, ბუტბუტებს: „უყურე ერთი შენ, რა დაუჭმუჭნია", სათუთად ასწორებს და ასევე სათუთად დებს მაგიდის უჯრაში.

— თქვენ თვითონ გესმით თუ არა, რომ ეს კრიმინალური დანაშაულია არა მარტო ჩემს მიმართ, არამედ მთელი ერის წინაშეც?! გესმით თუ არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დავაშავე, ღმერთო, — ლამისაა აქვითინდეს რედაქტორი და სიმწრისგან კბილებს აკრაჭუნებს. — აჰ, მამის ტოლი არ იყოთ...

— რა შუაშია პოეზიასთან ასაკი, ლაწირაკო, რა შუაშია პოეზიასთან ასაკი?

— პოეზიასთან არა, პროზას ვგულისხმობ,— კბილებიდან სცრის რედაქტორი და ისევ წყლიანი ჭიქისკენ გაურბის ხელი. — ბატონო გრიგოლ, ღმერთი არა გწამთ? თუ ოდნავ მაინც გწამთ, დამიჯერეთ... ღმერთო ჩემო, სულ რომ არ ელოდები, ისეთი რამე გამოგიხტება ცხოვრების გზაზე, — შუბლზე ხელებშემოჭდობილი რედაქტორი წარბებქვემოდან გამოჰყურებს მამაკაცს და გმინავს. — ახალგაზრდობისას თუ დაგიბეჭდავთ რაიმე?

— ჰმ, ახალგაზრდობისას... მე თქვენ ერთხელ უკვე აგიხსენი, რომ პირველი ლექსები ამ სამიოდე თვის წინ შევქმენი... როგორი სასოებით, როგორი რუდუნებით მოვარბენინე მეორე დღესვე თქვენთან... — გული აუწყდა უცებ კაცს, მაგრამ ვაკაცურად დაიკა თვალზე მომდგარი ცრემლი და ისევ მთრთოლვარე ხმით განაგრძო: — მთელ საათს გელაპარაკეთ იმაზეც, თუ გახსოვთ, რომ ცხოვრებაში ჩემთვის ისეთი ბედნიერება არ მოუტანია შვილის დაბადებასაც კი, როგორიც ლექსის დაბადებამ მომიტანა, რომ... რომ...

— უკაცრავად, ლექსი წაგიკითხავთ, საერთოდ? — უცებ ფიქრიანად, მწუხარედ ეკითხება რედაქტორი, — სხვისი, რა თქმა უნდა, თქვენსას არ ვგულისხმობ.

— ციხეში ამოგაყოფინებთ თავს მაგ შეურაცხმყოფელი კითხვის დასმისათვის, საბრალდებლო სკამზე დაგხვამთ ასეთი ცინიზმისათვის! — ყვირის უცებ გაოფორებული კაცი და მაგიდაზე მუშტს არახუნებს, — სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, როგორც მოქალაქე, როგორც პარტიული მუშაკი, როგორც...

— მაპატიეთ, მაპატიეთ, — ორივე ხელს მაღლა სწევს ცოტა არ იყოს შეკრთალი რედაქტორი, — სიცხის ბრალია ალბათ და იმისიც, რომ აგერ უკვე თითქმის ორი საათია თავბრუ დამახვევეთ. ლექსი როგორ არ გექნებათ წაკითხული, წაკითხული კი გექნებათ, მაგრამ...

— ბოლოს და ბოლოს, დამიბეჭდავთ თუ არა? — თვალს მუქარით ჭუტავს კაცი და დოინჯს იყრის, — იქნებ... იქნებ... იქნებ თემატიკა არ მოგწონთ, ბატონო ჩემო? არა, მესმის, მესმის თქვენი, ეიცი, ახლა მაინცდამაინც მოდაში აღარაა სოციალიზმი, ლენინიზმი... მით უმეტეს, გვარიც თავადური გაქვთ... მე მგონი, ვხედებით ჩვენც რაღაც-რაღაცებს, ჰა? წყურვილი შურისძიებისა, მართალია დაგვიანებული, მაგრამ...

— როგორ გეკადრებათ, მე ძალიანაც მომწონს სოციალიზმი... ლენინსაც ვაღმერთებ... — მხრებს გაკვირვებით იჩეჩავს შემცბარი რედაქტორი და კარებში მოულოდნელად თავშემოყოფილ მდივანს მუდარის თვალით გაჰყურებს, — ავტორია? შემოუშვით, შემოუშვით!

კაბინეტში ახალგაზრდა ავტორი შემოდის, მოკრძალებით ჩერდება ოთახის შუაგულში და იღლიაში ამოჩრილ საქაღალდეს უხერხულად აწვალებს.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, — მხურვალედ ეხვევწება რედაქტორი ახალგაზრდა ავტორს, საქაღალდეს თითქმის ძალით ჰგლეჯს იღლიიდან და მეგსეულად იწყებს კითხვას, ჩუმად, ტუჩების ცმაცუნით.

— ლექსებია? — ამრეზით, ცხვირის აწევით ეკითხება მწიფური ახალგაზრდას და რედაქტორის წინ დადებულ საქაღალდეზე ანიშნებს.

— დიახ ბატონო, — ჩურჩულით პასუხობს ახალგაზრდა, პატივისცემის ნიშნად ფეხზე იწევს და მერე ისევ ნელა ეშვება სკამზე.

— ერთი წუთით! — უცებ მრისხანედ ამბობს კაცი და გულისჯიბიდან ოთხად გაკეცილ ფურცელს იღებს, — ახლა მე თქვენ წაგიკითხავთ ერთ ლექსს და მეტად თავს აღარ შეგაწყენთ, ბატონო რედაქტორო, სხვა გზას ვნახავ, — ამატებს მუქარით და ფურცელს შლის:

ო, მთელ ქალაქში მე შენ დაგეძებ,
უშენოდ გულსა არ უხარია,
შენი დაკარგვით, შენი გაქრობით
რამდენ არაკცს გაუხარია.

შევალებ კარებს შენი ტრფიალით,
ამოდ გეძებ, აქ ხარ, ან იქა,
სად გადგაკარგეს, სად გაგიძევეს,
მე უშენობით რად მაძრეს სიქა!

შენ გაგიძევეს ამა ქვეყნიდან
და ამტირეს გული ტიალი,
მე უშენობა არ შემიძლია,
სხვა ცეკვ-ხარხარებს ოხერ-ტიალი!!!

შეცბუნებული ახალგაზრდა ავტორი ჯერ მამაკაცს შეჰყურებს, რომელიც ისე ამაყადაა თითშემართული და გაშეშებული, ვინმეს, უცებ შემომსვლელს რაიმე გამარჯვების აღმნიშვნელი ქანდაკება უფრო ეგონება, ვიდრე ცოცხალი არსება, მერე რედაქტორისკენ აპარებს მზერას და თვალებს ახამხამებს.

— რაღა დროს თქვენი სიყვარული და ქალებია, ბატონო გრიგოლ, — ნერწყვს ყლაპავს და უნაათოდ ცდილობს გახუმრებას თვალებდაჭყეტილი რედაქტორი, — თუმცა... კარგით, თქვე კაი კაცო, რა გითხრით ახლა მე ისეთი საწყენი, — ამატებს სწრაფად და დანნეული შეჰყურებს კაცს, რომელიც სახეგაბრწყინებული და აგზნებული რაღაც უცნაურ ყეფტიკულაციებს გამოსახავს მისკენ გაწვდილი, წამკლაული და გაბანჯგული ხელებით.

— საწყენი? — ხითხითებს მამაკაცი და ხელს ამჯერად მუხლზე ირტყამს აღფრთოვანების ნიშნად, — საწყენი მე კი არა, თქვენ თქვენივე თავს უთხარით, ამხანაგო რედაქტორო, ახლა, ამ წუთას! ამ წუთას თქვენ ერთხელ კიდევ დამტკიცეთ და დამტკიცეთ თანაც მოწმის თანდასწრებით, — თითს იშვერს ახალგაზრდა ავტორისკენ, — რომ არაფერ ლექსის შინაარსიც კი ორეცნობიანი განტოლებაა! აი, ჩემო ახალგაზრდა პატ-ტო, როგორი რედაქტორები გვისხედან რედაქციებში, ხედავთ? — ხელით ანჯღრევს იგი გაშტერებულ ახალგაზრდა ავტორს და უცებ ჰომერულად ხარხარებს.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ლამაზ, ამ მშვენიერ და ფილოსოფიურ ლექსში მე ქალს მივტირი, არა? მაშ, ქალია თქვენი აზრით ამ ლექსის მთავარი გმირი, არა? არა, ჩემო ბატონო, ამ ლექსის მთავარი გმირია სინდის-ნამუსი, ხოლო მეორეხარისხოვანი გმირები ვართ მე და თქვენ! დიახ, დიახ, სინდის-ნამუსია სწორედ ის მთავარი ობიექტი, რომელიც თქვენ და თქვენნაირმა ვიგინდარა სუბიექტებმა გაამეცეს არა მარტო ასეთი დაწესებულებებიდან, არამედ მთლიანად ქალაქიდან და მთლად სახელმწიფოდანაც. თქვენ, თქვენ დაკარგეთ იგი ამ ქვეყნიდან და ეს თქვენ ცეკვავთ და ხარხარებთ, უიმისოდ გახარებულნი. ხოლო მე... ვტირი ცხარე ცრემლით მის დაკარგვას! — აქ კაცი ცხვირსახოცს იღებს ჯიბიდან, ოფლიან კისერს იწმენდს, ინახავს ცხვირსახოცს და კვლავ განაგრძობს, ოღონდ ახლა უფრო დინჯად, უფრო მეტი ენთუზიაზმით: — აი, ჩემო ბატონო, რატომ შეგიძლიათ თქვენ ასე თავისუფლად და უსირცხვილოდ უთხრათ უარი პოეტს ლექსების დაბეჭდვაზე, აი, ჩემო ბატონო, რატომაა თქვენთვის ეს ქვეყანა ბურთიც და მოედანიც: სინდისი, სინდისი აღარ გაწუხებთ და ნამუსი!

კაცი კიდევ ერთხელ იმშრალებს კისერს, დიდ საერთო რვეულს გააფთრებით იტაცებს მაგიდიდან, დემონსტრაციულად ისუტბს მკერდზე, ამაყად, ზიზღით დაჰყურებს გაუბედურებულ, უწყლოდ დარჩენილი თევზივით პირდაფჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილ სუბიექტს და მხედრული, მტკიცე ნაბიჯებით ტოვებს ოთახს. წამის შემდეგ ისევ ჭრიალით იღება წამის წინ მიჯახუნებული კარი, კარში ისევ ამაყად იხედება მწითური თავი და ისევ ისმის მისი ხაფი, პათეტიკური შეძახილი:

— ასე მოჰკლეს ვაჟა-ფშაველა!

რედაქტორი გამალებით ინიავებს სახეს ახალგაზრდა ავტორის ერთ-ერთი ლექსით. ჯერ ჯახუნით აზანზარებულ კარს შეჰყურებს, მერე მაგიდაზე დაყრილ ახალგაზრდა ავტორის ლექსებზე გადააქვს მზერა, ურთხანს დაჰყურებს უაზროდ, მერე დაკვირვებით და უცებ, ფეხზე წამომხტარი, დაჭრილი ხარივით ღრიალებს, გონდაკარგული და სასოწარკვეთილი:

— რა უნდა პოეზიაში ნაგავს, პოეზიაში სიტყვა ნაგავს რა უნდა, მე შენ გეკითხები!

რედაქტორის მაგიდიდან ამხტარი „არისტოტელეს პოეტიკა“ ხელთათმანივით ეცემა ავტორის ფეხებთან. ავტორი უკან-უკან იხევს და შეშინებული შეჰყურებს რედაქტორს, — ბარიერთან შემდგარი დუელანტივით მრისხანესა და შეუპოვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ბიგაშვილი

ნიკორი

თაოდაც ყორანი ორ,
ცხენიც ყორანა მეზდება...

ხალხური

შუბლს გახატია შუქსავსე მთვარე,
შუბლი არის თუ ციური დაფა,
გიკოცნის სიო ბდღვრიალა თვალებს,
გიწეწავს ქარი ყორნისფერ ფაფარს.

ჩემო ნიკორო,
შეუცველელ ნირით
კეცავდი აღმართს,
დაკეცავ კვლავაც,
ვაგიცურია ტალღები ივრის,
გაგიკვეთია ნისლების ლავა.

ნუ გაანელებ გაფრენის წყურვილს,
გაითავისე დოღიც, მარულაც,
რა ვუყოთ,
თუკი იფეთქებს შური
ზოგჯერ აშკარად,
ზოგჯერ ფარულად.

რა ვუყოთ,
თუკი გიმტრობენ კვლავაც,
არ მოადუნო მუხლი სრულებით,
ავი სულების გაკვეთე ლავა,
გასრისე ბუდე ავი სულების.

შენს შუბლზე თითქოს
ვითვლი ვარსკვლავებს,
სხივები გაწვიმს ფაფარზე თითქოს,
შენით სიბერე მივასაკლავე
და მხედრობაზე თამამად ვფიქრობ.

ქანჩახიანებს გავდიოთ უნდა,
ავყვეთ ბლოღელეს
ისევ და ისევ,
არ გავატანოთ უმადურთ ხურდა
და არ შევმატოთ უნასთა ქისებს...

ჩემო ყორანავ,
მთა-კლდეთა ყურე
მოისაკლისე,
მოითქრიალე,
არ შეუშინდე წვასა და წყლულებს,
წყალ —
მეწყერ —
ხრამებს,
ქედებს კლდიანებს.

მთებისკენ

მიქებ ნააკვნარს მამა-პაპათა,
უკოცნი კალთას მთას სიყვარულით,
მე შენ მიგიყვან მალე ზღაპართან,
კოშკებს აზუქე სითბო ქალური.

წკრიალა სიმი ხარ მოფერების,
სხივი ამსხლტარი ლორთქო ქუჩიდან,
მომკერძე ცეცხლი სუსტი ხელების,
ამ წუთებს გული დიდხანს უცდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღღეს უნდა ნახო სხვაგვარი ღელვა,
ტრფობა ნაღდი და
ორთოლა ნამდვილი
და შუქ-ჩრდილები გაჭრილი ველად
ჩემი ნაბდის და შენი მანდილის...

და აპა, უკვე დგეხარ ზღაპართან,
ქარი გიამბობს ამბავს ციხეთა,
ქალური სევდა ღამეს ჩაბარდა,
სიყვარულის მზეს უნდა მიხედვა.

ნუ გააგონებთ თოფის ხმას თბილისს

ნუ გააგონებთ
თოფის ხმას თბილისს,
როგორც სალოცავს, ისე ეწვიეთ,
მე მის ქუჩებში მუხლებით ვიელი
და შეგავედრებთ მამაზეციერს.

ფეხს ნუ დაადგამთ
სანუკვარ ყვავილს,
ტანკით ნუ დათხრით
პროსპექტებს ფართოს,

შვილთ არ შემოსოთ მშობელი შავით,
ის თქვენზე ფიქრობს,
ის თქვენზე დარდობს.

არ გააგონოთ
თოფის ხმა ქალაქს,
შურს და სიშმაგეს გადაეჩვიეთ,
წმინდა ნაკენარს
შეებით ფარად
და შეავედრეთ მამაზეციერს.

თბილისის ბზეში

ზაურ გომართელს

მთაწმინდას შეგხვედ
მომღერალს ძმობის,
გავყურებთ თბილისს, გაშლილს
ზღაპრულად,
სხივებით სავსე დაგვიდგეს გობი,
დაგვლოცა ზენამ და დაგვაპურა.

მზე შავნაბადას იქით ჩაეშვა,
აკრიფა შუქი ჩვენი სუფრიდან,
სალამო ჰგავდა მწირის კაშანს
და წყაროს ჩქამი ლოცვას უღრიდა.

ავავსეთ თასი ძირძველი ღვინით,
ამაღლდა გრძნობა ერთიათასად,
ატმის ხეს ტოტზე შეაწყდა ღილი,
შეაწყდა ღილი და გაკაპასდა.

ეჯიბრებოდა ყვავილი ყვავილს,
ბალმა ფერების გამა გაშალა,
მტკვარზე დენდების გაცურდა ნავი
და ჩვენ გავყევით
ძტვრიან გზაშარას.

კარი გაგვიღო ქალაქმა თბილად,
ქუჩა ხმას იცნობს შენი ნაბიჯის,
შენი ღიმილის ნათელით ბრწყინავ
დობილი,
სატრფო,
ძმა და
ძმაბიჭი.

კეთილი გულის იციან ყაღრი,
თავს გვეელებიან დაუყვედრებლად,
სიმართლეს ზომავ არსენას ადლით
და სულს გიმაღლებს
ვაჟას ვედრება.

კელაპტარივით იწვი ტაძართან,
დაფიქრებული დგახარ ციხესთან,
სად წინაპარი სიყრმეს ხარჯავდა,
სიკვდილშიც უკან რომ არ იხევდა...

აბობოქრებულ ეტალონს ძმობის
ვერვინ ჩაგიქრობს
ქართულ ნაღვერდალს, —
ჰა, სიყვარულით აივსო გობი
და სამეგობრო ლექსიც ამღერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ღმერთო, მომხედე,
იმედით შენით
ბედთან ჭიდილში ვივარვო კიდევ,
კაცს რწმენა, თურმე,
საოცრად შველის,
მინდა სიკეთეს
ამ რწმენით ვმკიდე

და აღვავლინო მხურვალე ლოცვა
და დავიყარო თავზე ნაცარი...
მთაზე კლდიანი გზაწვრილი მოჩანს,
მე კარგად ვიცი,
ის გზა რაც არი.

ღმერთო, შემინდე
ამდენი ხვეწნა, —
სხვაგვარად საშველს
არ მომცემს გული,
ჩემს ბაღში შენით
ამაღლდა ძეწნა,
მამულში შენით
ამწვანდა ხნული.

●

თეთრი ოცნების ჩუმი მსახური
დილასთან ერთად უნდა გავთენდე,
გამთელდეს გული,
სევდით დახნული,
ისევ და ისევ შენით გამთელდეს...
ღამაზ სიცოცხლეს მუდამ ვაქებდი
და მახსოვს,
ზოგჯერ ლელოც გამქონდა,
თუ სანთელივით სადმე გავქრები,
მეწეროს შენს თბილ მკლავზე გაქრობა.

გაგრაზებული ეუზა

ოტია იოსელიანს

სიმინდის მწკრივებს ალაღებ,
ხან ვაზს უყენებ ჭიგოსა,
რომ შრომით დაღლილ-დაქანცულს
მზემ გულზე დაგაბიჯოსა.

ხანაც ხეს, ხილით დახუნძლულს,
ძმასავით გადაეხვევი,
ბაღ-ბოსტან-ბაღჩის ბილიკებს
მისდევ შიშველი ფეხებით...

და როცა საქმე გლეხისა
დაჯაბნის საქმეს მწერლისას,
მიდამოს მიედებიან
ხმები მუზების წყევლისა.

კერაზე ხორბლის კი არა,
ქართული სიტყვის ხვავია,
დაუწერელი წიგნები
ხარირმებივით ბღავიან.

მიესათუთე,
შესძინე
ძალა წყლისა და ბალახის,
ერთი ცისფერი მდინარე
კიდევ გაქვს გადასალახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა ლაბაზიძე

შიშე

მოდიხართ, მოგდევთ
დღლილი ბინდი,
ხეები ცისკენ იწვდიან ტოტებს.
გადმოიარეთ ნარგიზების
ფერმკრთალი ბორცვი,
შემოამტვრიეთ მოლოდინის ურდულები
ალაყაფის კარს.
გხვდებათ უმცველოდ
ჩემი ჩუმი ციხე-დარბაზი
და თეთრ თმას ახლის
სამზერებს ქარი.
ო, რა შრიალა კაბა გაცვიათ,
ვიცანი თქვენი სახელი — შიში.
აკვნესდა სული — ფითრის ყვავილი,
ფითრის ყვავილი, ქარით შეშლილი.

●

ჯვარს გარდასახავს დანისლულ ზეცას
სამხრეთისაკენ მიმავალი ჩიტების გუნდი,
მოდგება ჟამი მწყვლელი ნატვრისა,
გადაფინა იარებზე მიწამ ფოთოლი.
ღრუბლებში მყივარ ფრთათეთრ წეროებს
დარჩათ წვიმები ცივი, სოველი.
ცრემლით ჩარაზულ კარს და დარაბას
ეხლება შენი ჩრდილი დაღლილი.
მიშრობს სველ თვალებს
ღამის პეპელა,
ღაწვისთავებზე ნაზად დახრილი.

●

გაცრეცილია თქვენი სახე
ცრემლების თქორით.
ლოდინად მღვენთავთ,
ღამით უნაზეს სიზმრებს მოჰყვებით.
დაწყვეტილი აქვს ლარი მშვილდისარს —
ღალატით დაღლილს.
ალესილ ისრებს გიბრუნებთ ისევ,
ვით სინანულის გაფთლილ რტოს,
ბროწეულის ცეცხლისფერ ყვავილს,
მომეშველება ალბათ მთვარე
ღაწვმილეული, სადაფის ბაგით
ამილოკავს დაისრულ მკლავებს.

●

შემახე ფრთები,
იმ იდუმალი მთების იქით
რძისფერი ნისლის სამყოფელია.
შემოდგომის ტყე,
წვიმით სოველი.
ღვივის ძოწისფრად,
თითქოს ცეცხლი წაიკიდაო —
ნეკერჩხლის ტევრი.
გამხმარ ნეშოზე შრიალებს წვიმა,
ჩამოემარჯნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინდნარს ღაწვები.
ვიწრო ბილიკზე უცაბედად აკისკისდება,
ეკლის სამოსელს გაიძრობს წაბლი;
შავთავსამკაულს იშორებს რხევით,
მოაგვირისტებს ტყის ნაპირებს
გიშერი ანწლის.
ჰო, წამოყვანე, იმ მთების იქით
რძისფერი ნისლის სამყოფელია —
შემოდგომის ტყე სასწაულთა
ნავთსაყუდელი.

●

მე სამსხვერპლო ვარ,
გალობს სულში
ფარული სევდა მონაზონისა.
სენაკის კედლებს ვაყვავილებ
ტკბილის ლექსით
წუთისოფლის უტკბეს ცოდვაზე.
დრტვინავს ჩემს სისხლში
ველურის გეშა,
ცისფერ კოცონთან რომ როკავდა
ქარების შიშით გახელებული.
შრიალებს სულში
ნაღველი ლერწის,
პაპირუსების მომხატველი
წუთისოფლის წარმავლობის
მწარე იგავით.
ვგრძნობ ამო რხევას
პორფირებზე მოქარგული
ბროწეულის და ოქროს ეჟვნის.
მე სამსხვერპლო ვარ,
სული იწვის
ამბოხად მიწყივ ქვეყნად დარჩენის.

●

ვლაღობდი ნეკერჩხლის რტოსავით,
ფერით რჩეული.
შემოიცალა წამების ქროლვამ
სარკეს ნაყაში
და ახლა ვუმზერ —
როგორ ვღამდები,
როგორ ფითრდება
თმა გიშრისფერი,
ფიქრის თავსარქმლით გადაჩრდილული.
გაუქრა ლალი ღაწვსა და ბაგეს.
ღიმილს ნაღველმა დაამჩნია წვიმების
ფერი.
თვალებს კი — იცი — ისევ ხატავს
უნაზესი ტბების სიწმინდე,
ქარით ნარხევი
მობიბინე ბალახის ფერი...

ბალახი

მზე დედამიწას დაეწურება,
აღმოცენდება მიწის გულიდან
მწვანე ბალახი.
შეიმოსება თალხი ზურმუხტით.
სიკვდილის სურნელს
გადაეკმევა სიცოცხლის ნელსურნელება.
მტლედ დაედება ყოველივეს ბალახის
მადლი.
ნამოსახლარებს ენუგეშება,
წყლულებს სალბუნს ფენს,
შრიალებს სათნოების ლოცვად ბალახი.
სინათლეს, მზეს ელტვის უძლეველი.
ქვაში ამოხეთქავს.
კლდეებს ჩამოლეკს ცისკენ მავალი.
მარადიული სიცოცხლეა, უკვდავებაა
ბალახი.
ღმერთო, მიეცი
ჩემ ხალხს, ჩემ სამშობლოს
ძალა ბალახის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ძირია

მე, როსინანტი...

ერთი სიტყვით, ჩვენი კაბალიერო ისე გაიტაცა წიგნების კითხვამ, რომ მთელ დღესა და ღამეს კითხვაში ატარებდა. ხოლო ამას ის მოჰყვა, რომ უძილობითა და ბევრი კითხვით მთლად გამოტეხილდა და გაგიჟდა...

სერვანტესი, დონ კიხოტი.

1.

უხეირო კეცად დავიბადე და იმთავითვე უნდა მცოდნოდა, ერთი გაძვალტყავებული ჯაგლაგი რომ გავიზრდებოდი. ცუდ დროს გაეჩნდი, სამყოფი თავა ჩემზე ძლიერთაც ვერ ეშოვთ და მე ვინ მომშაშვებდა. ჩემი ტოლები, ფაფარაშლილნი, ჭიხვინით დაჰქროდნენ აქეთიქით, მე კი, მოწყენილი და ჩიჩვირჩამოშვებული, მზეს მივეფიცხებოდი და ოცნებათა ბურანში ჩავეშვებოდი... წარმოსახვაში ყველაზე სწრაფიც ვიყავი, ღონიერიც და საზრიანიც... ისე ღრმად შევტოპავდი ხოლმე, წარმოსახული უფრო რეალური მეჩვენებოდა, ვიდრე სანამდვილე. თანაც აქ წიგნიც წამომეველა. წითელქუდებითა და ნაცარქექეებით დავიწყე და ისე სწრაფად და საფუძვლიანად შევტოპე, ჩემს სამყაროში ერთბაშად შემოვიდნენ და ნაცნობ-მეგობრების ადგილები დაინაწილეს რობინზონმა და გულივერმა, ტარტარენმა და ულეწშპიგელმა, გარგანტუამ და პანტაგრუელმა, ტომ სოიერმა და ჰეკ ფინმა, სმოკ ბელიუმ და კაპიტანმა აქაბმა, გრანტმა და ნემომ, ჟაკ პაგანელმა და მისტერ შერლოკმა... რომელი ერთი ჩამოვთვალო? მას შემდეგ მუდამ ჩემს გვერდით იდგნენ ჩემი სიყმაწვილის მეგობრები ნესტანი და ტარიელი, რომეო და ჯულიეტა, პოლი და ვირჟინი, ტრისტანი და იზოლდა, პრინცი ჰამლეტი და მეფე ლირი, ავთანდილი და თინათინი... მოკლედ, კითხვა ისე შევიყვარე, დღე და ღამეს ვასწორებდი. ერთ სქელტანიან ტომს რომ ჩავთავებდი, მეორეზე გადავჭენდებოდი. დღისით სხვა არაფერი მახსოვდა, ღამითაც, ელნაურა თუ არ ენთო, ჭრაქის ან მთვარის შუქზე ვკითხულობდი. უძილობა დამჩემდა, მაგრამ ესეც ბედის საჩუქრად მეჩვენებოდა, რადგან მეტი დრო მრჩებოდა წასაკითხად და საოცნებოდ. გაგიხარია, წიგნის კითხვა კარგი იყოს, მაგრამ თურმე საშიშიც ყოფილა. წიგნი ადამიანის სულს ამდიდრებს, მაგრამ მისი დამონებაც შეუძლია. წიგნი დენთივითაა, თუ იცი, როგორ მოიხმარო, ხომ დიდად სასარგებლოა, თუ არ იცი, შეიძლება ხელებში აგიფეთქდეს და დაგაპრმავოს... უამრავი წითელყდიანი, ოქროთი მოვარაყებული წიგნი წამიკითხავს, ერთადერთი ჭეშმარიტების პრეტენზიით დაწერილი, ცრუ ათვლის წერტილს დაყრდნობილი, რის მეოხებითაც ყოველნაირი აბდაუბდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყობრ სისტემად მოგვწევენება და ამ სისტემამ ჩემს თავში ის ადგილი დაიჭერა, სადაც განგებას ნამდვილი ცოდნა უნდა მოეთავსებინა... ამიტომ ის, რაც ცოდნა მეგონა, ცრუცოდნა ყოფილა, რაც იდეალი მეგონა, ცრუიდეალი ყოფილა, მარადიული ჭეშმარიტება რომ მეგონა, ჭეშმარიტების მხლოდ ერთი, მცირე წახნაგი ყოფილა... ჭეშმარიტება, რასაც კაცობრიობა მისხალ-მისხალ აგროვებს, წიგნის ზღვაში ისე ჩაკარგული, როგორც მარგალიტი წყლისპირა კენჭოვანში...

„დონ კიხოტიც“ სიმაწვილეში წავიკითხე და სახელოვანი იდალგოს ფათერაკებზე ბევრი ვიხითხითე. უბირი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რომ ყველანი ცოტათი დონ კიხოტები ვართ, ცოტათი როსინანტები და არცთუ იშვიათად, სანჩოს ვირები. ჩვენ, წიგნით დაავადებულნი, ჩვენში დავატარებთ დონ კიხოტს, ვიღვწით საკეთისათვის, ვაშენებთ ბროლის კოშკებს, ოღონდ იმ კოშკებს ეშმაკები ეპატრონებიან.

ჩემო ესპანელო ძმობილო!.. ნუთუ ამაოა ჩვენი წადილი ბოროტების დამარცხებისა? ნუთუ ხმალამოღებულნი ტყუილუბრალოდ ვებრძოდით ქარის წისქვილებს და მათში განსხეულებულ ბოროტ დემონებს?.. ჩვენ ვერ დავამარცხეთ ფეოვები და ქაჯები, მაგრამ იქ, სადაც ჩვენმა ხმალმა გაიწკრიალა, ბოროტება შეკრთა და ნაბიჯით მაინც დაეხია.

იცინეთ, იცინეთ, უწიგნურნო!.. მე, უღონო, ბაძალტყავებული როსინანტი გადავლახავ სივრცეებს და ჩემს მხედარს დონ კიხოტს იქ მივიყვან, სადაც ხმალია საჭირო, სადაც სიკეთემ უნდა იზეიმოს და ბოროტება უნდა დამიწდეს...

წინ, ჩემო კაბალიერო, საქმე ულევია!

2.

უფალმა ყოველი ჩვენთაგანი გააჩინა მსგავსად ხატისა თვისისა, ამიტომაც ვართ ყველანი სამყაროს ცენტრი და მისი დამამშვენებელნი. კაცი რომ იფიქრებს, უფლის ნებით, ეს რა საოცრებაა გავჩენილვარო, ცხადია, უკანაც მიიხედავს და იმის ძიებას შეუდგება, ვისი გორისაა, რომელი გზა გამოიარა, რანაირად მოეკლინა ამ ლამაზ ქვეყნიერებას. მე თუ ვინმე მკითხავს, მაღლიერი შთამომავალი თავის წინაპაპთა რიგს თვით ადამსა და ევამდე უნდა ჩაჰყვეს. მაშინ ეს გენეალოგიური ხე კი არა, საკაცობრიო ისტორია იქნებოდა. ჩვენი თვალსაწიერი, სამწუხაროდ, ასე შორს ვერ ჩავა. ნამდვილმა გვარიშვილებმა ადრე საკუთარი წარმომავლობა დავითისა და თამარის დრომდე მაინც იცოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც სულიერის პრიმატი სოციალურით შეიცვალა, მეხსიერება დაგვიქვეითდა და ახლომხედველნი გავხდით. ამიტომაა, რომ ჩემი თვალსაწიერი აგერ, ორ თაობაზე ჩერდება.

ბაბუაჩემი კორსია დიდინეძში ცხოვრობდა, ქირიების საძმოში. მისი ბიზოხანი სურათი შემომრჩა. მსხვილნიკაპიანი კაცი ყოფილა, მშვიდი, გამრჯე, უთქმელი... ბებიაჩემზე — მეშე ჩახაიაზე, ბევრი არაფერი ვიცი. მის მშობლებს ხესია და ელისო რქმევიათ, ძმები ჰყოლია — ჯიბა, ბაბვა და გუდუ, დებიც — ჯოლი და ტერე. თურმე ადრე მიიცვალა, სამი პატარა დარჩენია... ბიძაჩემი გუგუა ოთხი წლისა მომკვდარა. ლუბა მამიდას კი სიკვდილი მაშინ მიეწია, ორი ვაჟიშვილის გაზრდას რომ შეუდგა... დარჩა მამაჩემი სამსონი, რომელსაც, ეტყობა, დიდად არ ეპიტნავა დედინაცვლის — ეფროს გამოჩენა.

დედაჩემი ივდენი, ვერა და მინცა ლურწკაიების ოჯახში დაიბადა, სოფელ კახათში. დიდ ოჯახი ჰქონდათ, ოთხი ვაჟი და სამი ქალიშვილი გაზარდეს — კრემენტო, ტარასი, ბაჯუ და ღუტა, ოლია, დედაჩემი და ცხუტა...

ამდენი სახელი ჩამოვთვალე და დღეს ამათგან, დედაჩემის გარდა, არავინ დარჩა... თითო ცხოვრება თითო ტრაგიკული რომანია, რომელსაც ვერავინ დაწერს. ამ უბრალო ბიოგრაფიებში ნათლად ჩანს ტრაგედია ჟამისა...

რა მოკლე და ჩქარია წუთისოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე რომ შორეული წარსული მგონია, იგი დედაჩემის ბავშვობაა... ბაბუები ადრე დამეხოცნენ, მინცას და ეფროს ყმაწვილქალობა ვერა და ვერ წარმომიდგენია.

მინცა ბებია სოფლიდან გვესტუმრა. ჩამრგვალებული, ფაფუკი დედაბერი იყო. საჩუქრები ჩამოგვიტანა: წოთელი კვერცხები, ხაჭაპურები... და-ძმებს — სულუგუნისაგან დაწნული ჯაჭვი, რომელზეც სულუგუნისავე ბოქლომი ეკიდა. მე კიდევ სულუგუნისაგან გაკეთებული თხა შემხვდა. იმ თხას კარგა ხანს დავარბენინებდი. ჭუჭყისაგან მთლად გამიშავდა. სუნი და ვემი ისეთი ჰქონდა, ნერწყვი მომდოდა. ცოტცოტაობით ვწიწკნდი და ბოლოს მთლად შემომეჭამა.

მერე ჩვენ, მე და მინცა ბებია, სოფელში წავედით. ფეხით ვიარეთ ჯერ მოხრეშილ შარაზე, შემდეგ ჯოღევიანის ფართო მინდორი გადავკვეთეთ, რკინგზის ლიანდაგზე გადავედით, ინგირის მეურნეობის დასახლება და ჩაის პლანტაციები უკან მოვიტოვეთ... მთელი გზა მეტუტუნებოდა. რა არ იცოდა, ბებიაქალობა, — სამიცი ჩვილი ამოყვანიაო, — წამლობა, — სამიცი ძირიდან ვაკეთებო, — ყაჩაღებისა და ჯადოქრების ამბები...

საღამო ხანს მივადექით ფართო, მწვანე ეზოს. დაბალ, ოთხთვალიან ოდას რიკულლებიანი აივანი გასდევდა. ცალკე იდგა სამზადი, რომელიც შუაცეცხლისაგან ერთიანად გამჭვარტლულიყო. ბებია აქ ცხოვრობდა უმცროს ვაჟთან, ბაჯუ ბიძიასთან და ეპრა ბიცოლასთან...

ბაჯუ პატარა, ენერგიული კაცი იყო, ხელთ მუდამ თოხი ეჭირა. ეპრა ბიცოლაც წუთით არ ისვენებდა. წყვეტა იცოდა, მეხს ჩამოიყვანდა, მაგრამ არ მახსოვს, მე დავეწყეველი. ოთხ პატარას ზრდიდნენ იმ დროს, ერთიც მერე გაჩინეს.

სამზადში ვსადილობდით ხოლმე. ღიმის კარდაღი ლარჭაზე ეკიდა. ლობიოს ქოთანი ცეცხლისპირას იდგა და ჰუტუნებდა. მოშუშებულ ღიმს ჩოგნით პირდაპირ სუფთა ტაბლაზე დაატყეპებდნენ. თეფშები მხოლოდ ლობიოსთვის ან ხორცის კერძისათვის კმაროდა. ნასადილევს, გარეცხილ ტაბლას თავდაღმა შემოდგამდნენ საგანგებო ხარიხაზე. ძაან არ ციოდა, მაგრამ გვიანობამდე შუაცეცხლთან ვობეზოდით და დასაძინებლად ოდაში წასვლა გვეზარებოდა.

ბებია ფერხთით მიწვენდა, ოდის უკანა ოთახში. თვითონ მშვიდად ფშვინავდა, მე კი ვუსმენდი ღამეულ ხმებს. ფანჯარასთან მომდგარი ხეხილის ბაღი უცნაური ბგერებით იყო დასახლებული, უჩინარი არსებები, — ავი და კეთილი სულები დაბორიალებდნენ, ფოთლებს აშარიშურებდნენ, ჩუმად უსტვენდნენ, ფანჯარაში ცნობისმოყვარედ იცქერებოდნენ.

ადამიანი ნელა მიიწევს სიბერისაკენ, მერე უცბად მოტყდება... მინცა ბებია თან დადთან დაპატარავდა, ღონე მოაკლდა. ხანგრძლივი სიცოცხლე გამოუყვია მისთვის უფალს. ოჯახი ზუგდიდში რომ გადმოსახლდა, დედაბერიც თან წამოიყვანეს, იმას კი სულ თავისი ეზო-კარი ახსოვდა. იმ ეზოში თექვსმეტი წლისა შევედიო, სად რა ეთესა, ზეპირად ვიცოო... ქალის სამშობლო მისი ოჯახია!.. მინცა ბებია ბოლომდე უკვე არარსებულ ეზო-კარის სიყვარულს დაატარებდა.

ოთხმოცდაათს რომ გადასცილდა, მეხსიერება დაუქვეითდა, შვილიშვილები ერთმანეთში აერია, შვილებიც ავიწყდებოდა. ანაკლაში ვიდაც ქალს ვიცნობო, ის ვიღაც ქალი კი მისი უფროსი ქალიშვილი იყო. უბეში კაპიკიან კანფეტებს მალავდა და პატარებს ჩუქნიდა.

ერთ დღეს, უკვე ოთხმოცდათექვსმეტისა იყო, ლოგინში ჩაწვა, კედლისკენ მიბრუნდა და ბედნიერად დაიძინა.

გასვენების დროს მისი შვილიშვილები სახლიდან ჭიშკრამდე ვერ დავტეიეთ.

ბავშვები მინცა ბებიას „შხუს“ (მსხვილს) ვეძახდით, ამით ვინსხვავებდით ეფრესაგან, რომელიც „ჭიფე“, ესე იგი, მჭლე იყო... მართლაც ეშმაკს მაშხალასა ჰგავდა მამაჩემის დედინაცვალი. წელგამრეული ქალი იყო, სიბერეშიც ჯარისკაცივით დააბიჯებდა. თან მუდამ მომცრო ცულს დატარებდა. მისი, ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ, ყაჩაღებსაც ეშინოდათ. ჩემი უფროსი ძმა — შოთიკო არ უყვარდა, მამას ჰგავდა და, ალბათ, იმიტომ, თანაც ეს ჩემი ძამიკო კეკრცხებს ჰპარავდა. ქათამი ვერ მოასწრებდა აკაკანებას, კეკრცხი უკვე ალარ იყო, უმად ყლაპავდა. საშუალი ძმა მუნტულია შეიყვარა და ეზოც ანდერძით იმას დაუტოვა...

ერთი თვე დავყავი მასთან. პირველი კლასი მომთავრებული მქონდა და არდადეგებზე ჩამიყვანეს. პატარა, ფიცრულ ქოხში ვცხოვრობდით. პაწია აივანი ჰქონდა იმ ქოხს, ერთი ოთახი და უკან მიდგმული საშობი. ეფრო ბებიას მუდამ ქველმანები ეცვა. ხანდახან იჯდა და ზურგს იფხანდა. თამბაქოსაგან ხმა ჩახრინწული ჰქონდა, მუდამ ახველებდა და ხროტინებდა. იქნებ არც იყო ისეთი ხნიერი, როგორიც მეჩვენებოდა.

თავს ჩინებულად ვგრძნობდი. დღედაღამ ბიჭბუჭებში დავნავარდობდი. ბაღჩა-ბაღებში ხილს, საზამთროსა და ნესვს ვიპარავდით. ტყე-ღრეში დავხეტიალობდით. ხან ომობანათი ვერთობოდით, ხან სახლობანათი. თხმელის ტოტებისაგან სახლაკს ავაშენებდით და მე ან ვიღაცის „მამიკო“ ვიყავი, ანდა სულაც „ქმარიკო“.

დღამდება და კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვება, როცა უხილავი ყორეებიდან უცხო თვალები გითვალთვალებენ და ელოდებიან, როდის მოგიდუნდება სიფხიზლე. მე კი ამ დროს ტამტით ცივ წყალს მომართმევენ ფეხის დასაბანად. კოღო მეტაკეკში საშინელი წუილით და წვიეზე მკბენს.

კოკისპირული წვიმა დამამახსოვრდა. გრიალით ჩამოვიდა მძიმე ღრუბლებიდან. ყველან ნაკადულები გაჩნდა და ბიჭები ღეროებისაგან წისქვილებს ვაწყობდით. დრმი ბიძიასთან უზარმაზარ მსხალს ტოტი მოასკდა და ეზოში იმდენი მსხალი ჩამოზვავდა, ურემს ავაზებდა...

ეჰ, თამაში სჯობდა თურმე სწავლას, სკოლისაკენ გული სულაც არ მიმიწევდა.

ეფრო ბებია კი იმ ზაფხულის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ვნახე, როცა დედა გამოთხოვდა. მარწმუნებდა, დედა დაიკარგებოდა.

მომდევნო წელს ის ალარ იყო. ამ დროს მესამე კლასში ვიყავი, ქობულეთის სატყეო სანატორიუმში ვსწავლობდი, ვეიან ვაეიგე მისი გარდაცვალება.

მაშინ სიკვდილი მთლად სიკვდილი როდი მეგონა, ეს უფრო შორეულ ქვეყანაში გამგზავრებას ჰგავდა, თითქოს შეიძლება ადამიანს დამორდე და მერე ოღესმე, სადღაც შეხვდე...

თუმცა, ვინ იცის, იქნებ ასეცაა!

3.

ქართულ სუფრაზე მმობლების სადღეგრძელოს ხშირად მათი დედმამისშვილებისასაც მიაყოლებენ. მამაჩემის დედმამიშვილებს, ცხადია, არ მოვსწრებივარ, დედის ძმები და დები კი ჩემი უახლოესი გარემოცვა გახლდან.

მინცა ბებიას შვიდეულიდან ახლა აღარავინ დარჩა, გარდა დედაჩემისა. ბაჯუ ბიძია, აპა, ახლახან მიიცალა. ეპრა ბიცოლაც რამდენიმე წლის წინ კიბომ იმსხვერპლა... შრომასა და ჯაფაში დაღლილი ბაჯუ ბოლოს ლოგინად ჩავარდა. იწვა თავისთვის და ყოველ შემომსვლელს სიცილით ხვდებოდა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე უთქვამს, ათიოდე წელს ხომ კიდევ გავძლებო. აბა, რაა იგი სიცოცხლე, მთელი დღე იწვე და ჩუმად იხითხითო, მაგრამ ადამიანს სიკვდილი მაინც არ ეჩქარება.

ყველაზე ადრე ღუტა დაიკარგა. უწვეერული ჭაბუკი წაიყვანეს ფრონტზე და იქიდან იწერებოდა გრძელ უსტარებს, სადაც სასკოლო რვეულის ყვითელი ფურცლის ორივე გვერდი მოკითხვებს ეჭირა... „სალამი დაიკო ეპრაქს... უპ ყოველისა ხელი ვიღებ ფანქარს და გითვლი შორიდან მხურვალე და ძმურ სალამს. დაიკო როგორ გიკითხოთ, ხო კარგად რა საკითხია კარგად იქნებით, მაგრამ კითხვა მაინც ჩვენულია. მეც მოგიწოდებ პირველად ჯამრთელობას რაც მთავარია ადამიანის ცხოვრებას გისურვებ, იმ იდების და მიზნ ამოცანების 100%-ით განხორციელებას. იმუშავე ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფიერად და იცხოვრე კულტურულად...“ „აწი მოვყვები ჩემს ამბავს. ჩემი ამბავი ასეთია მე მაქამდე ვიყავი ჩხუბში და ეხლა კი წამიძღვანეს უკან შორს და სკოლაში ვართ ყველა საშუალდამთავრებულები და ესენი 2 წილი ქართველები ვართ და 1 ნაწილი რუსები უზბეკები ე. ი. სხვა ეროვნება. აქანე ჩვენ დავრჩებით პირველ ინვრამდე. 1 იანვარს გვიშვებენ ლეიტენანტად. მოკლედ არა მიშავს ჯარში ვიქნები მაგრამ ცოცხლად რო გადავრჩე ამის შანსები კი მაქვს...“ ესლა დარჩა... ორი-სამი ასეთი წერილი... ჩემი არსებობისა არაფერი იცოდა და ისე დაიკარგა, ვერც გაიგო.

დაიხოცნენ ოლღა დეიდა და ისაკი ბიძია. საფლავის ქვაზე ისაკი ბიძიას მოკლე თარიღი უწერია. მე კი მეგონა, ღრმა მოხუცი იყო. ერთხელ ცხენზე შემომისვა და სოფელ-სოფელ მატარა. ეფრო ბეგბიას გავუარეთ, ვამოვეგება, მომეფერა, თან შეუწყრა, ბაუშვს ცხენის გავაზე რა უნდა, წინ დაისვიო. მართლაც, ამგვარი მოგზაურობის შემდეგ ფეხის გამართვა გამიჭირდა. შეღამებულს მივაღწიეთ ანაკლიამდე, ცხენიდან ჩამომსვეს, მე კი მუხლები არ შეღუნებოდა... მაშინ ჯერაც სკოლაში არ ვიყავი, დრო ულევი მქონდა და დიდხანს დავრჩი ოლღა დეიდასთან. ახლაც ყურში ჩამესმის მისი მუდამ აღერსიანი, ღუღუნა ხმა... ბევრი შვილი ჰყავდა ოჯახს. საქონელიც ბევრი დაუდიოდა, სულ კამეჩის რძე და ყველი ჰქონდათ... მერე კი კოლმეურნეობის წესმა და რიგმა დაჩიაკა, სიკვდილმა ხელი დარია და ძალიან გაუჭირდათ. ოლღა დეიდას უმძიმესი გაჭირვების ჟამსაც ულევი ჰქონდა სითბო და სინაზე... ისაკი ბიძიაც მოსიყვარულე კაცი იყო, ზღაპრის მოუბარი, ვისხედით ბუხრის პირას, კარდალში სიმინდი და კვახი იხარშებოდა, ის კი აუღელვებლად ყვებოდა წითელი და შავი კაცის ზღაპარს... გარეთ, ბნელში, ამ დროს მკვდარი სულები უსტვენდნენ და შიშისაგან სამზადოდნან ოდესმე ვერ გავდიოდი... მოკვდა ისაკი ბიძია. ის რომ კვდებოდა, მეორე ოთახში კბოთი კვდებოდა მისი ოცდათიოდე წლის ვაჟიშვილი ვალერკო, რთ ხი შვილის მამა... დასწრებაზე იყვნენ, წამებს ითვლიდნენ... მწარეა ეს წუთისოფელი, სიცოცხლე სავდილთან წილნაყარია და ჩვენ, ალბათ, რაღაც ზღაპრებში ვარსებობთ, სულიც ხიდები ვართ, ჩვენით მარადი სული ერთი ფორმიდან მეორეში გადადის... ოლღა დეიდა შვილიშვილებსაც მოესწრო, მაგრამ ისეთი სიბერით იცხოვრა, როცა ქალი საერთოდ არ იხდის შავებს...

დაიხოცნენ ცხუტა დეიდა და ვალიკო ბიძია... ხშირად ესტუმრობდი მათთან კახათში... დეიდაშვილებს ახლაც ახსოვთ ჩემი ზღაპრები. ეჭვიანი ცხუტა დეიდა და მექალთანე, ღალატიანი ბიძია მუდამ ჩხუბობდნენ. ერთ ღამეს სიმთვრალეში გთავდა ვალიკო... ცხუტამ ბევრი იჯაზარა, იავადმყოფა, იწუწუნა, შვილები დაზარდა, შვილიშვილებსაც მოესწრო და ისიც გათავდა.

დაიღუპა ტარასი ბიძია. გვიან დაქვრივებული, ძლივს დაჩანჩალებდა, თავის წილ საკვდილს ელოდა, მანქანამ კი გადუარა.

დაიღუპა კრემენტო ბიძიაც... ფოტოსაქმე იცოდა. პირველად ამის სახლში, პატარა, ღარიბულ ოდაში ვნახე პატეფონი. სვამდა, რაკი მმიმე ტვირთი აჰკიდა ცხოვრებამ, – ლამაზი და შეურაცხადი ცოლი ვეღარ დაუბრუნა პატრონს, შერჩა... ტრაგიკული, ძალადობრიები სიკვდილი ერგო...

სწორედ პარადოქსია არსებობისა! მკაცრი ცხოვრება კლავდა ყველას, ვისაც შეეძლო ეშრომა, ეღვაწა, ოჯახისათვის მოეკლო, სიყვარულით ზრდიდა შვილებს, ჰქონდა მომავლის იმედი... არავინ გადარჩა, ღილას გარდა!

მახსოვს, ღილა ბიცოლამ მოგვკითხა. ზღურბლიდანვე აქაქანდა. გამჭლეულია, მაღალი, ომა წმინდად გადაუვარცხნია... ლაპარაკობს, ჩხუბობს, ვიღაცას ემუქრება... დედაჩემი უყვავებს, ცდილობს დააწყნაროს. მე კი პატარა ვარ და მეშინია. არ ვიცი, რატომ ჩხუბობს, ან ვის ემუქრება... აეახშმებენ, მერე ცალკე ოთახში ღოგინს უშლიან, აძინე-

ბენ. სახლში სიწყნარეა, ყველას სძინავს. მე ძილი მიკრთება. იმ ოთახში შეიძლება ლოლა ბიცოლა წამოდგეს, ნაჯახი მონახოს, ყველას თავები დაგვაყრევინოს და პასუხსაც ვერავინ მოსთხოვს... დრო ნელა მიზოზინებს, თანდათან ბურანში ვიძირები და უცებ ხმაური მესმის... ლოლა წამომდგარა, წინ და უკან გაშწრებული დაბიჯებს და ვილაცას სიკვდილით ემუქრება... ასეა დილამდე, დილით მცირე ხნით დამშვიდდება, დანაყრდება და თავის გზას გაუტეხს...

ამას წინათ ვესტუმრე ბიძაშვილის ოჯახს. მრავალი წელია, არ ვყოფილვარ. ვიფიქრე, ლოლა ბიცოლა თუა ცოცხალი-მეთქი. ვხედავ, აგერ, ღობეზე გადმოდგარა... თითქოს არც შეცვლილა, ცოტათი დამჭკნარა, მაგრამ სახეზე სიწყნარე აფენია. უმალ მიცნო, დარბაისლურად მომიკითხა...

4.

მამა იდეალად წარმომესახა. ჩვენს კედელზე ეკიდა დედაჩემის და მამაჩემის გადიდებული სურათი. უკვე სოლიდური ასაკი ეტყობოდათ. სოფელში დაიბადნენ ჩემი უფროსი და — ბიციკო და ძმები — შოთიკო და მუნტულია. მე მეოთხე ვიყავი და უკვე ქალაქში გადმოსახლების შემდეგ გავჩნდი. იქ, სოფლად გათამაშდა კლასიკური დრამა დედინაცვლის და გერისა და ქალაქშიც ამიტომ გადმოვბარგდით.

დამახასიათებელი სცენა: მამა ბრუნდება სათოხარიდან. დედა ტაბაკზე სადილს ულაგებს, — მჭადი, ლობიო, მწნილი... სულუგუნი მოიტანეო, მამა უბრძანებს. დედამთილის ნებართვის გარეშე დედა ვერ ბედავს. მამა თვითონ ამოიღებს სულუგუნს „დერგიდან“ და ჩამოჭრის. შემოდის ეფრო, მწყრალად შეხედავს, ყველის უმისოდ არ ინებოთ, კნაზები, მჭადისა და ლობიოს მირთმევაო... მამა უხმოდ აიტაცებს ტაბლას და ეზოში ისვრის. ჭურჭლის ნამსხვრევებს და საჭმლის ნარჩენებს ქათმები მიესევიან. ყანიდან ბრუნდება კორსია ბაბუა, ხელში არ იღებს, ჯორკოზე ჩამოჯდება, ხელები ძირს ჩამოუშვია. იმ დღეს ოჯახში არავინ სადილობს...

ალბათ, ამიტომ აჩქარდა კორსია ბაბუა, უსაგზლოდ გაემგზავრა გაღმა. მამამ დედინაცვალს შეატოვა ეზო და ქოხი, ოთხთვალიანი ოდა-სახლი კი ზუგდიდს გადმოიტანა. მაშინ ეს განაპირა ქუჩა იყო, მგონი, კოსიორისა, მერე ენგელსად გადაკეთდა. ამას წინათ, ძმათა უაზრო ომში დაღუპული გელა ნიკაჩაძის სახელი დაურქმევიათ... პირველი სახლები შენდებოდა იმ დროს — ცანავებისა, ალაქიძისა, ქირიებისა, ჯოგო კუკასი...

ჩემებმაც აღმართეს აგურის სვეტები, ოთხი თვალი მეორე სართულის სიმაღლეზე შემოდგეს. ბუზარი ჩაყოლეს. ყავრით გადახურეს. მამამ ვენახი და ხილი ნაყარა, მე დავბადე და ომიც დაიწყო...

რამდენიმე წერილი შემრჩა:

„სალამი ივდე! როგორ ხართ, ხომ კარგად, იყავთ სულ მუდამ... მომიკითხე ბავშვები: ბიციკო, შოთიკო, პალიკო და ჯუმალი... ბიციკო თუ ჩემი ხარ, ისწავლე კარგად თუ არა ჩემი არ იქნები იცოდე. შოთიკო, შენც დაიწყე სწავლა ანბანის და ანგარიშის. ბიციკო შენ ასწავლე მაგას და თუ ისწავლი, შოთიკო, ჩემი იქნები თუ არა არ იქნები. ივდე, მომიკითხე ყველა, ძმები, მეზობლები და ბოშვები. მომიკითხე: პართე, ლიზიკო, ანოლიტე, შურა, ცუცუ და ხუტა. მომიკითხე ტარასი, ოლია, პაშა და თამარა. მომიკითხე ბაჯგუს ოჯახი, კრემენტოს ოჯახი, ისაკის ოჯახი, ვალიკოს ოჯახი, მიშა ბიგვას ოჯახი. მინდა სუყველა დავწერო თვითეულად, მაგრამ დრო არა მაქვს და არ ეწყინოს ვინმეს. ივდე, რას შობი? შენ იცი თუ მარჯვედ იქნები, თუ არა მომავალში ბოშვები შიმშილით მოგიკვდება, ისთეა საქმე. რამეფრად მოაწყევ საქმე, შეაწუხე ყველა, ვინც ჩვენები არის...“

„ივდე, ჩემი ამბავი ისეთია. მე აწი თქვენ რომ დაგინახავთ, ამის იმედი არა მაქვს, ლატარიაზეა ჩემი საქმე. ივდე, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲓᲐᲒᲠᲩᲝ, ის იᲥᲔᲜᲐ, თუ არადა შენ იცი, არ დაკარგო ᲑᲝᲒᲨᲘᲕᲘᲡ, გაყიდე ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲘᲠᲘ და წᲐᲓᲝ ისთᲕᲔᲚᲘ სოფᲔᲚᲨᲘ, თუ არა შენ არ შᲔᲒᲜᲔᲚᲘᲐ იქ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ და რიცᲮ კარგად ᲔᲠᲓ მᲝᲣᲯᲔᲚᲘ ᲑᲝᲒᲨᲘᲕᲘᲡ, მᲐᲨᲘᲜ ისინᲔᲚᲘ ᲯᲘᲑᲘᲐᲠᲘ გᲐᲮᲓᲔᲑᲘᲐᲜ და ᲗᲣᲯᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲠᲐᲛᲐ...“

„მე რᲝᲡᲢᲝᲕᲨᲘ სᲐᲛ ᲓᲦᲔ ვიᲧᲐᲕᲐ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ. დᲐᲕᲠᲩᲘ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲐ და მიკᲐᲠᲩᲘ. მᲔᲠᲔ ᲣᲙᲐᲜ დაᲒᲐᲑᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ. პირᲔᲚᲘ მᲐᲠᲢᲨᲘ 1200 კაცი გადაᲒᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ. რᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ვიᲧᲐᲕᲐᲜ და მᲝᲕᲘᲓᲔᲗ მᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ. ᲣᲮᲚᲐ კიდᲔ ᲒᲕᲘᲣᲑᲜᲔᲑᲐᲜ, თუᲗᲛᲪᲘᲗᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲖᲐ ᲒᲕᲐᲫᲚᲘᲡ. ᲗᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲑᲝᲜᲘ, ᲩᲔᲜᲘᲡ მიმᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐ იქᲜᲔᲑ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘᲝᲜ, ᲗᲝᲒᲘ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲡ მᲮᲐᲠᲔᲖᲔ, ᲗᲝᲒᲘ ÁᲘ ᲬᲐᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲤᲠᲝᲜᲢᲨᲘᲝᲜ და სᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲠᲘ ᲐᲠ ვიცით. ᲘᲕᲔᲯ, ᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ რᲐ ამᲑᲐᲕᲐ, ძᲐᲚᲘᲐᲡ სიძᲘᲠᲘᲗᲐ. ÁᲘ ᲓᲘᲠᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲔᲠᲗი ᲪᲐᲚი 25 მᲐᲜ. ᲚᲐᲚᲐ კილᲝ 1000 მᲐᲜ. პᲣᲠი კილᲝ 150, ᲧᲫᲕᲔᲚი 2000 მᲐᲜ. ᲐᲡᲘᲗი ამᲑᲐᲕᲐ ᲝᲭᲙᲣᲛᲐᲚᲨᲘ, ძᲐᲚᲐმი გᲐᲭᲘᲠᲔᲑᲐᲠᲐ, რძᲔᲚᲘ ᲕᲐრᲘ მᲘᲗᲜᲝᲜ...“

„ᲠᲐᲗᲘ და იᲐᲠᲝᲜᲘᲗᲘ, თქᲕᲔᲜ იცით რᲝᲒᲝᲠ დᲐᲮᲓᲘᲠᲐᲑᲐᲡ გᲐᲣᲬᲔᲕᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲡ. ᲪᲮᲐᲓᲝᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲘᲡ თᲐᲕᲘ თᲐᲕი უᲭᲘᲠᲘᲗ, მᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲢი გᲐᲭᲘᲠᲔᲑᲣᲚი ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛი ᲝᲯᲐᲮი. მე მᲔᲨᲘᲜᲐა შᲘᲛᲨᲘᲚᲘთ მᲝᲙᲕᲓᲔᲗ ᲑᲝᲒᲨᲘᲕᲘᲡ მᲐᲒᲐᲖᲔ. სᲮᲕᲐ ᲐᲑᲐ მᲔᲪ ვიცი ᲩᲔᲛი ᲑᲝᲒᲨᲘᲕᲘᲡ აᲬი პᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲠი ÁᲠ იᲥᲜᲔᲑᲐᲜ...“

იმ დᲠᲝᲡ მე, ᲐᲗᲐᲠᲐᲡ, მᲔᲒᲝᲜა, მᲐᲛᲐᲩᲔᲛი ᲩᲕᲣᲚᲔᲑᲠᲘᲗი ᲐდᲐმიᲐᲜი ÁᲠ იყო, მᲐᲡ ÁᲠ შᲔᲝᲛᲚᲔᲗᲝდა ᲐᲜ სიᲪᲘᲪᲘᲡ შᲔᲒᲠᲫᲜᲔᲡ... ᲘᲒი გᲝᲚᲘᲐთი იყო და ᲮᲔᲚდაᲮᲔᲚ ᲔᲑრძᲝდა ᲰᲘᲗᲚᲔᲠᲘᲡ, იქ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ თᲔᲗრი მᲗᲔᲑის მიᲝᲚᲐ... ის ᲩᲘმᲗᲘს მᲐრᲐდ ᲪᲘცᲮᲐᲚი დᲠᲩᲐ და ᲩᲘმს გუᲡᲗᲘ მᲘᲡი ადგᲘᲪი სᲮᲕᲐმ ᲔᲠᲗᲐსᲝᲓᲘს დᲐიკᲐვᲐ.

საკმᲐᲝდ გᲒᲘᲐᲜ, ᲝᲪდᲐთᲠმეᲢი ᲬᲚის ასაკში, რაცᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲪᲘᲡკᲐრᲨᲘ“ დაᲒᲑᲔᲭდᲘ ნაᲬᲧᲕᲔᲢᲔᲑი რომᲐნᲓᲐᲜ „ამᲑᲐᲕი არამᲮᲣᲢᲘსᲐ“, ᲐᲕიᲝᲯ 300 მᲐᲜეთი ᲰᲝᲜᲝᲠᲐᲠი, რაც საკმᲐᲝდ სᲝᲚᲘᲝᲠᲘ თᲐᲜᲮᲐდ მᲔᲩᲕᲔᲜᲐ, და გᲐᲕᲘმᲒᲖᲐᲕრᲘ იქ, სᲐიდᲐᲜაც მᲐმᲘს ᲑᲝᲚᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲐ.

Ეს იყო სᲛᲝᲚᲔᲜᲡკი.

მᲘᲕᲐᲯᲐᲜᲗᲮ საᲝᲚᲥᲝ სᲐმხᲔᲠᲝ კᲝმᲘᲡᲐრᲘᲐᲗᲡ... შᲔმᲘᲧᲕᲐᲜᲔს სᲐმუᲨᲝᲕᲔᲛ დᲐრᲑᲐᲨᲘ. იქ ᲔᲚᲐᲒᲐ ᲡᲥᲚᲔᲢᲙᲘᲜᲐᲜᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲔᲑი, სᲐდᲐᲪ რᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ მᲮᲔᲓᲕᲘთ ᲩᲐმᲬᲠᲘᲚᲔი ᲰᲭᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲐᲜᲐ ᲓᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ მᲔᲝᲛᲐრᲗᲐ ᲒᲐᲕᲠᲔᲑი. იმ ᲜᲘᲔᲑᲘ ᲩᲐᲕᲓᲘᲕᲐ და მᲝᲣᲚᲔᲠᲜᲔᲚᲐდ ᲣᲒᲠᲐᲗ რᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲨᲘ მᲐმᲐᲩᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲮᲔᲚᲘ ᲬᲐᲕᲐᲒᲬᲘᲓᲐ.

ᲩᲐᲕᲓᲘᲕᲐ ᲣᲒᲠᲐᲨᲘ, ÁᲐᲫᲐ კᲝმᲘᲡᲐრᲘᲐᲗᲡ მᲘᲕᲐᲯᲐᲜᲗᲮ და ᲑᲐრᲐᲗᲐ მᲘᲩᲠᲔᲜᲔს, სᲐდᲐᲪ მᲐმᲐᲩᲘᲛᲘᲡ ᲗᲐᲮᲔᲚᲘ ᲬᲐᲕᲐᲒᲬᲘᲓᲐ. ÁᲐᲜ ᲩᲔᲜᲘ მᲘᲗᲐᲜᲐᲠᲘᲐᲗᲡ ᲔᲬᲔᲠᲐ.

ᲗᲐᲒᲘᲡ ᲜᲘᲠᲛᲘᲨᲘ ᲘᲐᲠᲝᲕᲔ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲔᲗᲮᲝᲕᲝ. ÁᲐᲫ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ, ᲠᲐᲛᲙᲐ. იმ ᲠᲐᲠᲨᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲯᲐᲠᲐᲚᲡᲙᲐᲪᲘ ᲔᲠᲗᲩᲔᲚᲘᲡᲤᲘᲠᲘ ᲥᲐᲚᲓᲙᲐᲫᲐ. ᲘᲡ ᲗᲐᲛᲘᲛ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲐ და ᲡᲮᲕᲐ 7500 ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, მᲐმᲐᲩᲘᲛᲘᲪ ᲒᲐᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲔᲑᲡ...

ᲣᲦᲐᲚᲝ, ᲨᲔᲘᲧᲐᲚᲔ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲪᲘᲪ ᲥᲕᲔᲕᲐᲜᲨᲘ დᲐᲚᲔᲣᲦᲣᲚᲘ ᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ!

5.

თᲐᲕᲓᲐᲠᲘᲡᲔᲚᲘᲐᲓ ᲠᲐᲢᲐᲠᲐ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ვიᲧᲐᲕᲐ. ᲪᲔᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ სᲐმᲧᲐᲠᲝს ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ, თᲐᲕᲨᲘ ᲪᲔᲚ გუᲛᲑᲐᲗი მᲔᲮᲣრᲐ, ᲔრᲗი მხᲠᲘᲗ კᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ თᲘᲝᲚᲘᲐᲜᲔᲑი ქᲔᲓᲔᲑი მᲘᲜᲓᲐ ᲨᲔმᲘᲠᲔᲣᲚᲘᲐ, ᲛᲮᲐ მხᲠᲘᲓᲐᲜ კი სᲘᲠᲪᲔᲚᲘ ᲝდᲐ-ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ და ᲔᲮᲝᲘᲡ მᲘᲤᲐᲠᲐᲕდᲐ... ᲩᲘმი ᲭᲝᲮᲘᲜᲔ Ამ ᲥᲣᲠᲜᲐᲡ და ᲝრᲒᲕᲚᲘᲗ ᲨᲔმᲠᲬᲘᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲔᲮᲝ-ᲙᲐრᲔᲑᲘ ÁᲐრ ᲡᲪᲘᲚᲓᲔᲑᲝდᲐ...

ᲣᲦᲠᲐ ᲜᲐᲝᲚᲘᲐ ᲐმᲘᲜᲔᲑი მᲐᲮᲡᲝᲕᲡ: თᲐᲙᲐრᲐ მᲮᲝ ᲐᲪᲮᲣᲜᲔᲑს ᲪᲘდᲐᲗ, ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲑი ᲮᲐᲡᲮᲐᲡᲔᲑს, მᲓᲔᲚᲘ ᲒᲠᲘᲚᲘᲐ... ამ დᲠᲝს ᲩᲠᲓᲘᲚი ᲜᲘᲐმᲝᲕᲜᲔᲑᲐს გᲒᲖᲠᲘს, თუმᲪᲐ, ᲐრᲪ მᲮᲐს მᲬᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲝᲕᲔᲑი გᲐᲬᲣᲮᲑᲘს...

ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ კᲝკᲝᲜᲐᲠᲬᲘᲚი წᲐმᲝᲕᲐ, ᲨᲔᲮᲣᲚᲘᲝᲜ ᲩᲐმᲝᲕᲨᲕᲔᲑᲐ, ᲤᲝᲗᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲝᲥᲠᲘᲐᲚᲝᲜ გᲐᲐᲥᲪᲣ... ᲮᲐᲚᲔᲑი აᲬᲕᲘმს, ᲭᲔᲠᲖᲘ აᲯᲐ-იქ ᲬᲕᲘᲤᲘᲗᲔ ᲩᲐმᲝᲪᲘდᲘᲗᲐ, იᲐᲗᲙᲘᲗ და მᲐᲒᲠᲔᲑᲐᲗᲐ რᲐᲙᲐრᲣᲚᲘ ᲐᲬᲧᲔᲑᲘ და ᲯᲐმ-ᲭᲣᲠᲗᲭᲔᲚᲘ ᲗᲣᲓᲔᲒᲐმ, რᲐთᲐ გᲐდᲐᲕᲐრᲩᲘნᲝთ ᲩᲕᲔᲜი ღᲐრᲘᲑᲣᲚი ᲮᲐᲑᲐკ-ᲮᲣᲑᲐკᲐ...

დᲓᲔთᲝᲕᲚᲘᲐᲜი ᲗᲐმᲐᲠᲘᲪ მᲐᲮᲡᲝᲕს. ᲒᲐრᲔᲗ ᲒᲐᲡᲐსᲕᲚᲔᲚᲐდ თᲑᲚᲘი ᲗᲐᲜᲘსᲐმᲝ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი არა გვაქვს და ბუზართან მიეუჟულები ვობებით. შოთაკო რაგვს აწყობს, ბელურების მოსანადირებლად. მე კი მეცოდებაან და ველარა ვჭამ...

ხშირად ბავშვები მარტონი ვრჩებით, რაკი დედა საშოვარზეა გამგზავრებული. მუეელი ხერხემალზეა აკრული, შიმშილს ძლივს ვუმკლავდებით... ზაფხულობით და შემოდგომობით ცოტათი ბალბოსტანი გვშველის. წინ ვენახი გვაქვს. ღობის გასწვრივ ორი ძირი ქვაშნა ბალი დგას, ქუჩის პირას — ზამთრის მსხალი და ვაშლი. უკანა ეზოში ატმები გვაქვს, ხუმმა, კარალიოკი, ზღმარტლი, ლელვი და ორი ძირი ველური ბალი. აქეთა მხრიდან ეზო მაყვლითაა შემოღობილი და ხანდახან შავად მბზინვარე, მსხვილმსხვილ მაყვალს ისხამს. კუთხეში, ძნელად მისასვლელ ადგილას კომში გადმოყუდებული...

ერთხელ კინაღამ ხანძარი გავაჩინე. მეზობლისაგან ცეცხლის დასანთებად ნაკვერჩხლები წამოვიღე. ალბათ, ზზაში დამივარდა. ქარი იყო და გაღვივდა. შემოხვევით გამოვედი, ვხედავ, პირდაპირ აივანზე ალი ამოდის. მეზობლის ქალი სონია, ჩემი ბებაქალი, ღმერთმა აცხონოს, სარეცხს რეცხდა. გამოიქცა, სათლით საპნიანი წყალი წამოიღო და დაათქლეშინა, ჩააქრო.

მეორეჯერ უარესი დაგვმართა. ელექტროსინათლე გამორთულია. ჩვენ, ოთხივენი ბუხრის პირას ვჯდიდრიდ ვხხედვართ. კარდალში კვახი იხარშება. ცეცხლი ხუსტად ხრჩოლავს. ფეხებთან კოჭობი გვიდვას. შიგ ნავთი ასხია. ჩემმა დაიამ იფიქრა, ცოტას მივასხურებ და ცეცხლი გაჩაღდებაო. იფეთქა, მაგრამ რა იფეთქა, აალი ჭერამდე ავარდა. არც მახსოვს, როგორ მოვცოცხეთ... მეზობელმა, ვალიკო იზორიამ გადაგვარჩინა, მოვარდა და სველი ტილოთი ჩააქრო...

იმდროინდელ მოგონებებში ყველაზე ეშვენიერი გრძელი, მშვიდი საღამოები და კაკაჩა, მთვარიანი ღამეებია. პატარები თამაშით არ ვიღლებოდით. დაკუნტრუშებდით... მგელობანაო, დაჭერობანაო, კლასობანაო, დამალობანაო... ვინ რა მოთვლის, რას არ მოიგონებს ბავშვის გონება.

ორ ნაბიჯზე, ჩხოუშიას პირას, წყაროზე ჩარბენა მთელ მოგზაურობას უდრის. მეზობელი ქუჩა მეზობელი სამყაროა... კუჩხიბინზე კიბოს დასაჭერად წასვლა უცხო პლანეტაზე მოგზაურობაა...

იმ კუჩხიბინში, მარჩხ წყალში, თევზის მოწამლვის დროს დაიღუპა ალიოშა ჯაქია. ჩემთვის ის იყო პირველი მსხვერპლი, პირველი მიცვალებული.... ვნახე და შემზარა, შიში დამეუფლა...

გავიცნობიერე, რა არის სვედა და სიკვდილის შიში... იმ დროიდან უკვე ადარ ვიყავი პატარა ცხოველი, სამყარო უცაბედ შეუცნობი და მრავალწახნაგოვანი გახდა. რაკი სიკვდილი ვიხილე, მისგან თავის დახსნის გზებიც მოვსინჯე... მთვრიანი, ქალთა ღამეში, როცა ყველაფერს ვერცხლისფერი ეფინება და სამყარო იდუმალებითაა აღსავსე, მუხლებზე დავიჩოქე და მორცხვად შევთხოვე, არ კი ვიცოდი, ვის, მარადი სიცოცხლე... ეჰა, ჟამო როსინანტის კვიცობისა, იქნებ გისმინა მთვარემ, მთვარეში განსხეულებულმა წმინდა გიორგიმ და მართლაც მოგანიჭა მარადი არსებობა, მაგრამ ცოცხალს ადარ ძალგიძს ამისი შემოწმება. მარადი სიცოცხლე თუ იმას ნიშნავს, რომ შევინარჩუნოთ ერთადერთი ამჟამინდელი ჰიპოსტასი, უცვლელობა, ბოდიშს მოვიხდი და ვიტყვი, უმეცარი ვიყავი, უფალო, და იმიტომ გთხოვე-მეოქი...

სვედა, სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრი განასხვავებს ადამიანს პატარა ცხოველისაგან. იმ წუთიდან იწყებს მისი გონება სხვა ჰორიზონტების მოხილვას, ახალი სივრცეების აღმოჩენას, ახალი გზების ძიებას... მაშინ ებადება სურვილი შემოქმედებისა... იქნებ ძალზე მარტივია ის საწყისი ფორმა შემოქმედებისა, იქნებ ღიმილის მომგვრელი და სასაცილოც კია, მაგრამ მთაზე სუსტი კენჭის აგორებასაც შეუძლია მოზრდილი ზვავი გამოიწვიოს. არადა, ისეც ხდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კენჭი ჩაჩხაკუნდება ხევში და კვლავ გაყუჩდება, ძილში ჩაიძირება... ყველასა აქვს შემოქმედის მუხტი, ყველას სულში იელვებს წამი, მაგრამ ზოგის სულში ალი აინთება და ხანძარი აგუგუნდება, ზოგის სულში უცბად ჩაქრება, ან შავი კვამლი ხრჩოლავს და სარგებელი არაფერი მოაქვს...

მეც ვთხზავდი ლექსებს... წელიწადის ოთხ დროზე, ოღონდ არა ჩემი სიტყვებით, არამედ მარტივი სახელმძღვანელოებიდან ამოკითხული ტრაფარეტებით... აურეოვე ბელადებზე, უფრო სამ ბელადზე, რომლის სახელებს მუდამ ყურში ჩამეხაოდნენ და ჩემს გონებაში ის ადგილი ეჭირათ, რაც ქრისტეს კუთვნილება უნდა ყოფილიყო... რაკი დიდი ლენინი ერქვა, ცხადია, ჩვენს ორსართულიან ოდებზე დიდი მეგონა... დიდი სტალინი კავკასიის მთებზე მიჯაჭვულ ამირანზე ნაკლები [გმირი რანაირად იქნებოდა... რაც შეეხება მესამეს, „ვერაგი მტერი მიიგერია, იყოს დღეგრძელი ჩვენი ბერიას!..“ (თუმცა ეს ჩემი სტრიქონი არ გახლავთ!). მოკლე და უსუსური აღმოჩნდა ეს გატაცება... არც გატაცება ჰქვია ამას, რაკი დაწყებისთანავე ჩაკვდა...

6.

დილით გვიან გამომეღვიძა. „ზალაში“ მეძინა. დარაბები მიხურული არ იყო და ფანჯრიდან ოთახში მზის სხივი იღვრებოდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. და-ძმები სოფელში იყვნენ, არდადეგებზე, ედა კი სადმე მეზობლებში გადავდოდა... მოკლე შარვალი წუთში ჩავიცვი, ზეკით მაისური ისედაც მეცვა, ფეხშიშველა დავტანტალებდი.

იმ დროს გვერდით ოთახში მდგმურები გვეყენა, ცოლ-ქმარი და ჩვილი ბავშვი. კარი გაიღო და გოგაშვაშებული დიასახლისი შემოვიდა. ზედმეტად ხალისიანი მომეჩვენა. თეფშით მანანის ფაფა შემომიტანა. ლობიოსა და თევზეულს ვერ ვიტანდი, ნაირ-ნაირ ფაფეულს კი სიამოვნებით მივირთმევდი, რა თქმა უნდა, ვინმე თუ გამომასპინძლდებოდა.

ვისაუზმე და აივანზე გავედი. ბაღის რიგულებზე ვენახი იყო გასული, თეთრი ყურძენი ესხა. ჩვენი ქუჩა შემადგენებული. სიერცე დაბლა, ჩხოუშიას ნაპირასაკენ ეშვება. მდინარის გალმა მხარე კი კვლავ შემაღლებულია და ქალაქის ცენტრი ჩანს.

„ნეტა დედა სად წავიდა? – გავიფიქრე. – ალბათ, ტარასი ბიძიასთან გადავიდა!“

კიბე ჩავრბინე და ქუჩაში გავედი. მიმოვიხედე. ქუჩა ცარიელი იყო. წავედი ტარასი ბიძიას სახლისკენ.

ერთგან, ვხედავ, სევერიანე გაღმოყუდებული ღობეზე, მებინია. ჰოდა, ეს ჩემი მეზობელი უხეიროდ იღმიჭება და მეძახის:

– გაგითხოვდა, ბიჭო, დედა?

ზაფრა მეცა, შეურაცხყოფისაგან სული შემიგუბდა, მერე ცრემლი წამსკდა და დავიჭაჭყანე:

– ვეტყვი მე დედას, ეგრე რომ მეუბნები!

ფეხს ძალა დავატანე. არ უჩანდა ხუმრობას კაი პირი... შევვარდი ტარასი ბიძიასთან. იგი ჩეროი დამხვდა, ბოლთასა სცემდა და ხელისგულს შუბლზე იტკაცუნებდა.

– შეგვარცხვინა, შვილო, დედაშენმა, თავი მოგვჭრა!

ვერაფერი გავიგე, მაგრამ გაბმით ავ-ღრიალდი. გამოვარდა ოლია ბიცოლა, დამიყვავა, ტკბილ-ტკბილი სიტყვები მითხრა, არ კი მახსოვს, რა... მაგიდასთან დამსვა, სადილი გამომიტანა. რა მესადილებოდა!

გავბრუნდი შინ... გზაშიც მეტირებოდა და შინაც. ბოლომდე ვერ გავიგე, ისეთი რა უბედურება დამეცა თავზე... ხან ერთი მეზობელი მეფერებოდა, საჭმელი შემოჰქონდა, ხან მეორე...

მომდევნო დღეს და-ძმანი ჩამოვიდნენ. გული მომეცა. ეფრო ბებიაც გამოჩნდა, ჩვენსა არ შემოსულა. იპოლიტე ბიძიას სახლში გაჩერდა, მამაჩემის ბიძაშვილისას და იქ დამბაძარეს.

მომეფერა, დამიყვავა. ხმა თითქოს უფრო ჩახრინწოდა. მითხრეს, რად გინ-

და ეგეთი დედიკო, ვინ იხერსა და მუდრეგს წაჰყვაო... იქით არც მიიხედო, აგერა ვარი მამის ნათესავები, არ მოგაკლებთ არაფერს, ჩვენ თვითონ გაგზრდითო. გაბუსული ვიჯექი, ხანდახან თავს ვუქნევდი, თუმცა არ მესმოდა, რა ფიცს ვფიცავდი და რა აღთქმასა ვდებდი.

ახე გავიდა თითქმის ერთი კვირა, ჩემი და-ძმებიც გულიანად ამბობდნენ, დედასთან არც წავალთ და არც შინ შემოვუშვებთო, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა, ჩემმა დამ ყურში ჩაჰჩურჩულა, კომბინატის გზაზე ამა და ამ სახლში დედა დგას მდგმურადო.

უკანა ეზოთი გადავედი, იქ ჩიქოვანების სახლში დავდიოდი ხოლმე ტოლსწორებთან სათამაშოდ. ახლაც ეს მოკლე გზა ვარჩიე. მოვნახე ის სახლი. დედაჩემს და მამინაცვალს მეორე სართულის ერთი ოთახი ეჭირათ. დედამ რომ დამინახა, ჩამეხუტა და ტირილი მორთო. თურმე რაც გათხოვდა, დღენაადგ ტირდა, ჩვენ ვენატრებოდით. წამში დამავიწყდა ნათესავების ჩიჩინი. ცხადია, სადაც დედა იქნებოდა, მეც იქ უნდა ყოფილიყავი. დიდი-დიდი რეა წლის ბიჭი ვიყავი და უდედოდ გამიჭირდებოდა.

ცოტა ხანს ამ ბინაში ვიცხოვრეთ მე, დედამ, მამინაცვალმა და ნახევარძმამ. ისიც ჩემი ტოლი იყო, დედა ცოცხალი ჰყავდა და, ბუნებრივია, ლეკვივით იღრინებოდა.

მალე დაც მოვიდა, უფროსი ძმაც. გადავწყვეტეთ, ყველანი შინ დავბრუნებულიყავით და მამისეულ სახლში გვეცხოვრა.

ასე შეიქმნა ძრავალრიცხოვანი ოჯახი. ჩვენ, მამაჩემის შვილები, ოთხნი ვიყავით. მამინაცვალმაც გოგო-ბიჭი მოიყოლია. მერე ერთიც გაჩნდა, ნაბოლარა გოგო... ჩვენს სახლში სტუმარი არ ილიოდა და საკმაოდ ხმაურიანი ცხოვრება გვქონდა.

ეგაა, მამის ნათესავები დაგვემდურნენ, ზურგი გვაქციეს.

მამინაცვალი ცუდი ზნის კაცი არ იყო. უყვარდა სტუმარი, ტაშ-ფანდური, ტრაბახი, ცხენი და ჩოხა-ახალუხი. ქალაქის გუნდში მდეროდა, ფუქსავატობა ხელს უშლიდა, ცხოვრება რიგიანად მოეწყო.

ვერები პატივით ვეცქეოდით, მაგრამ დაფიცებული გვქონდა, ჩვენს ჭიშკარზე სამსონის სახელი არ გაქრებოდა და სერიოზული კონფლიქტი მაშინ მოხდა, როცა ერთი ხელისდაფება ფირნიშის მოხსნა მოინდომეს. ისიც, ალბათ, თავმოყვარეობის გამო, — კაცი თავს ოჯახის უფროსად თვლიდა და ჭიშკარზე წინამორბედის სახელი ერცხვინებოდა... კონფლიქტი არ გაღრმავებულა, მამინაცვალმა და დედამ მეზობელ ქუჩაზე ნაკვეთი შეიძინეს, შიგ ერთი ფიცრული ქოხი იდგა და იქ გადავიდნენ... მამის სახლში ჩვენი საშუალო ძმა პალიკო, ივივე მუნტულია ჩასახლდა... ჩვენს შორის ყველაზე ადრე, თხუთმეტი წლისა დაქორწინდა, ოთხი შვილის გაზრდაც მოასწრო და ორმოცდარვა წლისა მიწაში ჩავიდა...

7.

ზომ იცით, სახელგანთქმული კაბალიერო რამ დადუპა? წიგნმა და მოწყენილობამ... წიგნებს, ცხადია, მხოლოდ რაინდულს კითხულობდა. რაც შეეხება მოწყენილობას, წარმოიდგინეთ მზით გადახრეკული, მშრალი კასტილიის ველები, მტვრიანი გზები, კირით შეთეთრებული, უსახური სახლები... მეღორე ღულსინეებით და ჩასუქებული სანოვაგით დასახლებული სოფლები, სადაც ბულბულის ყეფაზე უფრო ვირის ყროყინი ისმის... რა თქმა უნდა, ადგები კაცი, თავზე ჩაჩქანს დაიხურავ, შეეკვდები როსინანტზე და წახვალ თავგადასავლების საძებრად...

მე რამ გადამრია?.. წიგნებმა და მოწყენილობამ... რაც შეეხება წიგნებს, ეს ცოდვით სავსენი, ისე იყო გაჯერებული აღტაცებით ჩვენს ბედნიერ და მშიერ ცხოვრებაზე, ცრემლებით — ომად მაღლარ და ჩაგრულ ყოფაზე, რომ ჩემი კეთილი გული მოოფლიო სატკივრით აღივსო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ისეთი დაავადებაა, როცა შესაძლებელია, იქვე, ჭუჭის კუთხეში მიმჯდარი მათხოვარი ვერ შეამჩნიო, მაგრამ ცრემლი ღვარო შენს წარმოსახვაში დაბადებულ ვინმე ჰოტენტოტის უბედური ცხოვრების გამო. თუ ადამიანი სევდისათვისაა გაჩენილი, დედამიწის ყველა გრძედსა და განედზე ყოფა ერთნაირად მოსაწყენია, ხოლო თავგადასავლები და საოცარი ფათერაკები ყოველთვის სხვაგან ხდება, იმ ჰორიზონტებს მიღმა, იქ, სადაც ჩვენ არა ვართ და ვერც ვერასოდეს ვაღწევთ...

ასეთი სულისკვეთება რომ გამიჩნდა, უპირველეს ყოვლისა, საომრად არ წავსულვარ. დავსტაცე ხელი საწერკალამს, მელანში ამოვვლე და სასკოლო რვეულის ფურცელზე ამოვიყვანე მსხვილი ასოებით: „ქეთევანი და ნოშრევანი“. ეს უკანასკნელი გასაგებია! ცოტა ხნით ადრე „სურამის ციხე“ წავიკითხე, თანაც ჩემს ირგვლივ ნოშრევანი არავის ერქვა და წიგნის გმირისათვის ზედგამოჭრილი მომეჩვენა. რაც შეეხება ქეთევანს, ოჰო, ასე ერქვა ჩემს გულისგვრდს... არა პირველს და არა უკანასკნელს!.. იმ დროს ხომ, სახელგანთქმულ იდალგოსაგან განსხვავებით, დიდი ერთგულებით არ გამოვიჩენიდი და ჩემი გულისვარდები ერთმანეთს წამდაუწუმ ცვლიდნენ.

სულ პირველი, მეზობლის გოგონა იყო, ერთი ჩაპუტკუნებული, თეთრბაფთიანი არსება. იმათ ეზოში ცხვირის შეყოფას ვერ ვბედავდი, რაკი ჩემი სამაღლის ინდაურები მეტად აგრესიულად მბვდებოდნენ. უფრო იმიტომ მომწონდა, მეტად ქათქათა ჩანდა, მე კი პირდაუბანელი, მოკლე ტრუსის ამარა, ქუჩაში სირბილისაგან გაზინოული, ცხვირმუოცავი, ჭიშკრიდან ვაშტერდებოდი... ცოტა ხანაც ეა, გულში დალატის ისარმა ვაიარა. ჩვენს სახლში ებრაელები რომ მდგმურად იდგნენ, იმათ უმცროსთან, თავცეცხლა გოგონასთან ვთამაშობდი და ერთი ორჯერ „ცოლიკოც“ კი დავუძახე.

სკოლაში რომ შემოყვანეს, იმდენი ხატული გოგო დამხვდა, არჩევანი ვერ გავაკეთე.

მესამე კლასში ქობულეთს წამიყვანეს, ბავშვთა სანატორიუმში და იქ შედგა დრამა-სამკუთხედი: მე მიყვარდა ქეთევანი, მაგრამ მან ამაზე არაფერი იცოდა, მე ეუყვარდი რუსუდანს, მაგრამ ჩემი გული ხომ უკვე დაკავებული იყო. ამ მდიდარ გამოცდილებას წყალში ხომ არ გადავყრიდი და ამიტომაც პირველი რომანის მთავარი პერსონაჟი მაინცდამაინც ქეთევანი უნდა ყოფილიყო... დიახ, მეოთხეკლასელი ვიყავი და სასიყვარულო რომანს ვწერდი. სამწუხაროდ, ჩემს თავში ჯერაც არ დალაგებულიყო ის დომხალი, რაც შეზავდა „მამელუკის“, „რიბნნრიმ კრუზოს“, „კოლხეთის ცისკარის“ და ასე შემდეგ, წაკითხვისაგან. ამიტომაც რომანში გვერდიგვერდ თანაარსებობდა მონუბად გაყიდვა, აფრიკაში მოგზაურობა, რევოლუცია, კოლექტივიზაცია, ბლეხი და თავადი... მთავრიან დამეს ერთმანეთს ხვდებიან ქეთევანი და ნოშრევანი. შეყვარებულია ბაგე ბაგეს ეკონება. ცხადია, ნოშრევანი მე ვარ, ეს ჩემი ფსევდონიმია და ვკოცნი ქეთევანს, რომელსაც ახლა, ამ წუთას, საქართველოს რომელიღაც კუთხეში ვემრიელად სძინავს და სიზმრადაც ვერ ხედავს, რომ კოცნიან.

მეოთხეკლასელის ასაკი ისეთია, როცა დღე ძალიან გრძელია, თვე ხომ თითქმის საუკუნე. თუ ვინდა, რომ არ მოგწყინდეს, შუადამ ახალი რამ უნდა მოიგონო, ერთ რაღაცაზე დიდხანს ვერ შეჩერდები და რაკი ქალაღდზე კალმის ტარება ვისწავლე, ათიოდე სხვა მოთხრობაც ჩამოვაწიწკეკე... მათი პერსონაჟები აღმოცენდნენ წიგნების სამყაროდან, სახლობდნენ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, წარმოსახვით შექმნილ, ეფემერულ ქვეყანაში, რომელსაც, რა თქმა უნდა, მოსაწყენ სინამდვილესთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ერთ დღეს ყველაფერი ეს საერთო რვეულში ფანქრით ჩავაწიწკე და გავუგზავნე „სპლიტგამს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.

უკვე მეხუთეკლასელი ვიყავი. მანამდე ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე არსებობდნენ. ჩვენი ქუჩის ბოლოს III საშუალო სკოლაა, ის იყო ქალთა სკოლა, ოღონდ ოთხი კლასის ჩათვლით, ბიჭუნებსაც ასწავლიდნენ. ოთხი კლასი მეც აქ დავამთავრე. ჩვენ გვასწავლიდა შესანიშნავი პროვინება, თბილი და მოსიყვარულე ქალბატონი ქსენია სამუშაო. რუსულს გვასწავლიდა პაშა ჯოლოგუა, ფიცხი, მაგრამ სამართლიანი პედაგოგი. იმ დროს იგი ლენინის ორდენით დაჯილდოვეს. ჩემს ირგვლივ მორუსულე არავინ ცხოვრობდა და, ალბათ, მისი და რუსული წიგნების დამსახურებაა, რომ ეს ენა არც მახსოვს, როდის ავითვისე. მოკლედ, დავამთავრე ოთხი კლასი და გადმოყვანეს ვაჟთა სკოლაში, ქალაქის სტადიონის გვერდით.

ერთხელ ჩემი უფროსი ძმა, შოთიკო მობრუნდა სკოლიდან და ამბავი მოიტანა, სტალინს ტვინში ისხლი ჩაექცაო. ამისი დაჯერება ძნელი იყო. სტალინი ხომ უკვდავთა სიაში ეწერა და ჩვეულებრივი ადამიანივით, აბა, რანაირად უნდა მომკვდარიყო.

ნაშუადღევის ცვლაში ვიყავი და სკოლისაკენ მოვკურცხლე. ვხედავ, ყველა აბნეულია. მასწავლებლები თვალცრემლებულნი დაბორიალებენ. ბავშვებიც წყნარად მიმოდიან. არ ისმის ჩვეულებრივი ჟრიამული. კლასში შეგვიყვანეს და მასწავლებელმა გამოგვიცხადა, დღეს სწავლა არ შედგებაო.

ბულვარს მივაშურე. იქ, მუსიკალური სკოლის აივანზე, რეპროდუქტორი გამოედგათ. შეწუხებული ხალხი ჯგუფად იდგა და უსმენდა. ბერია გამოდიოდა. წვეტილ-წყვეტილად, შესვენებებით ალაგებდა სიტყვებს. შინაარსი არც დამამახსოვრდა. კაცები ჩუმჩუმად, მოკრძალებით თუ იტყოდნენ: „რა გვეშველება!“ „ომი გარდუვალია!“ „ამბობენ, ამერიკის გემები უკვე მოემართებიანო!“ „ამ გაზაფხულზე თავს უნდა დაგვესხნ!“ სტალინი ერთადერთ ფარად მიაჩნდათ, ამერიკისაგან რომ გვიცავდა, უსტალინოდ კი მტერს ვერ გავუმკლავდებოდით.

შინ მივბრუნდი. იბლობის გრძნობა დამეუფლა, ითქოს მარტოდმარტო შევრჩი სამყაროს და საშიშროება მოელოდა ჩემს ქალაქს, ქვეყანას, სოციალიზმს... მე კი ვერაფერს ვუშველიდა... დონ კიხოტი აუჩაწუდა ჩემს არსებაში. გადაწყვეტე, თავი გადამედო და ვმირობა ჩამედინა. თუმცა ეს გადაწყვეტილება უშუალოდ ბელადის სიკვდილის ფაქტიდან არ გამომდინარეობდა, მაგრამ ჩემში ადრმული უთქმელი ლტოლვა დროით დაემთხვა ჯერ კიდევ უხილავი, მაგრამ კარს მომდგარი სულიერი კრიზისის ეპოქას...

9.

კორეელი და-ძმა, თურქი ბიჭუნა ალა, ზანგი ბიჭი ჯიმი და მსგავსნი მათნი იმ ჩემი ოპუსების გმირები გახდნენ. მსოფლიო დაავადებული იყო, მის ყოველ კუთხე-კუნჭულში ადამიანები იტანჯებოდნენ და შველას ითხოვდნენ. მე ხომ უკვე მეხუთეკლასელი ვიყავი. ეს ისეთი ასაკია, როცა კაცმა საგმირო საქმეებზე უნდა იფიქროს... ჩემი ოცნების ლარი ხან აქედან მივუზომე ჩემს მწირ ცოდნას, ხან იქიდან, და ბოლოს თურქეთი ავირჩიე.

რატომ მაინცდამაინც თურქეთი? ჯერ ერთი, ახლოს იყო, მეორეც, გაჭირვებული იყო, მესამეც, იქ ქართველად მოუბარნიც ცხოვრობდნენ და ლაზებთან მეგრულიც ხომ გაჭრიდა... თანაც პარმენ ლორიას „ნაირას“ თუ ვერწმუნებოდი, თურქეთის მცხოვრებნი დღე და ღამე იმის ოცნებაში არიან, როგორმე გადმოიპარონ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში და სოციალიზმის სიამტკბილობით დატკბნენ... თვითონ ნაირაც ისე იოლად გადმოვიდა საზღვარზე, ადგა და მუხლებამდე წყალი გადმოტოპა... მთავარი იყო, იქამდე ჩამეღწია, მერე ღამეს დაველოდებოდი და საზღვარს გადავლახავდი. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ტყეში დავიმალებოდი, არსენა ბიჭვეთი სახელს გავთქვამდი, მდიდარს წავართმევდი, ღარიბებს დავურიგებდი. ეგლეზები სიხარულით გამოიქცეოდნენ და ჩემს რაზმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენს შევკრებდი, ვილაიეთებს ერთიმეორის მიყოლებით გავთავისუფლებდი, ბოლოს კი ანკარას შემოვარტყამდი ალყას... ყველაფერი ეს მოხდებოდა ყვავილებიq ზღვაში და ტაშის გრიალში, რაკი საკვდილი არავისი მეწადა, მტრისაც კი...

ეს ყველაფერი, ათასნაირი ჭრელი ფერებით შეზავებული, სხვადასხვანაირი ფანტასტიკური დეტალებით დახუნძლული, ისევ და ისევ ბრუნდებოდა ჩემს წარმოსახვაში, სანამ ზღაპრის სიუჟეტი რეალურს არ დაემსგავსა... ალბათ, ასე იქმნება მხატვრული ნაწარმოებიც. ავტორის პირველი გაფიქრება იქნება უსაგნო და რაღაც ფოფინაა, მაგრამ თანდათან სხეულს შეიძენს და ბოლოს მოგონილი სამყარო მწერლისათვის შეიძლება უფრო რეალური აღმოჩნდეს, ვიდრე თვით რეალობა.

ჩუმად დავიწყე მზადება. შოთიკოს ჯიბის საათი ჰქონდა, კარგა ხნის გაჩერებული, სიდრბაისლისათვის ჩავიდე ჯიბეში... მამინაცვალი იარაღის ტრფიალი იყო, ცხენ-უნაგირზე გიჟდებოდა. საბედნიეროდ, ამჯერად არც იარაღი ჰქონდა და ცხენიც არ ება თავლაში. ერთადერთი, კარგად გალესილი მონადირის დანა ედო უჯრაში და ის წავიღე... ბუნებრივია, შორი გზით შავალს, დანაც დამჭირდებოდა და საათიც, თუნდაც ის სულაც არ წიქრეკებდეს... მერე ძაკუს მათარას დავადგი თვალი. ეს ძაკუ, გვარად ჭურღულია, ოთხმოცს გადაცილებული ფედბაური, მეზობლად ცხოვრობდა. ფეხი მოტეხილი ჰქონდა და ყავარჯნით ძლივს დადიოდა. პატივსა ვცემდი, საოჯახო საქმეებში და საჭმელების გაკეთების დროს ხელს წავუკრავდი, ხილს დავუკრეფდი, ზღაპრებს ვუყვებოდი და ამით ვართობდი. რა დასამალია და, ხშირად მისი ღამის ქოთანიც დამქონდა საპირფარეშოში. თვითონ ღონე არა ჰყოფნიდა და რა მექნა... ჰოდ, დედაბერს ძველი მათარა ჰქონდა და მისგან ვინათხოვრე, ველად გაჭრილისათვის ზედგამოჭრილი იყო. გულში ერთი რამ მეთანაღრებდა, საერთო რეკულის სასქე წიგნი გამოვაცხე, თბილისში გავაგზავნე. თუ მე თურქეთში გადავკარგულიდი, იმ წიგნის ბედ-იღბალს ვინღა გამაგებინებდა.

გადავწყვიტე, გზად თბილის-ქალაქს ეწვეოდი.

გაზაფხულის სიგრილე განელებული არ იყო და პერანგზე მამინაცვლის დაბამბული ჯუბა გადავიცვი. სახელოები ავიკაპიწე, კალთებს კი, ცხადია, ვერ დავუშოკლებდი.

დარიანი დღე შევარჩიე. ჩემს მეგობარს, გიგლა ჯანაშიას ვეგძა ადრეე გავუმხილე. სანდი ძმაკაცი იყო, არ გამცემდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ თუ მოვინდომებდი, თურქეთს მარილაც გადავატრიალებდი... თხილის ქარხანას რომ ვეძახით, იქ, რკინიგზის გადასასვლელთან დავდექი გზას... ადრეც, არ მახსოვს, რა ასაკისა ვიყავი, ამ გზით ვიარე. მინდოდა თბილისამდე ჩასვლა, მაგრამ გზაში შემომაღამდა, შემეშინდა და ცაცხვის გადასაბუნამდე რომ მივაღწიე, მოგზაურობის ჟინი გამინელდა, ტრასაზე გავედი და უკან, ზუგდიდისკენ მიმავალ მანქანას გამოვეკეი... მაშინ დიადი იდეა ჯერ კიდევ არ მაწუხებდა. ახლა სულ სხვა რამე მამერეკებოდა და ღამის ჩრდილები ვერ შემაშინებდნენ.

მანძილი ინგირამდე არც ისე დიდია, მაგრამ შინიდან ხომ შეღამებულზე გავედი, ამიტომაც ბინდი მალევე ჩამოწვა. მარტოსული მოგზაურისათვის ყველაზე მძიმე განცდა საღამოს ბინდია. დილიდან მავალს წინ ნათელი და მზიანი დღე ელოდება. საღამოს კი იდუმალი ღამე მოჰყვება. სივრცე თანდათან მუქდება. ლანდაგის გასწვრივ ეზოები ჩამწკრივებულა. ჭიშკრებთან ნახირი მიმდგარა. ყოველი საქონელი თავის ბოსელს ეძებს. დედები ეძახიან პატარებს, ვახშმად იხმობენ. ესენი უდარდელად თამაშობენ. იციან, რაც უნდა გაიხანგრძლივონ რბენა-ყიჟინა, საჭმელი და ლოგინი იქვე, ორ ნაბიჯზე ელოდებათ... მე კი მივდივარ და არც კი ვიცი, მომდევნო მოსახვევთან რა დამხვდება.

აგერ ვიღაცა დგას და მითვალთვალებს. ნაბიჯს ვანელებ, ნელა ვუახლოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღები, გასაქცევად მზადა ვარ... თურმე ხარიხაზე სამარქაფო რელსები აწყვია. წინ ურჩხული დაიგრაგნა, შავი, საზარელი პირი მოაღო... გული ძალუმად მიბრაგუნებს. ნელა ვუახლოვდები... ეკალბარდებით ახუნძლული ბუჩქია...

ცოტაც და, ნათურების რიგი ჩამწკრივდა... მალე იქ ვიქნები, რკინიგზის სადგურზე.. მგზავრები მატარებელს ელოდებიან და მეც უშიშრად ვიგრძნობ თავს.

რკინიგზის ზუგდიდის შტო მთავარ მაგისტრალს ურთდება. დაგადუგით ჩაიელის მატარებელი, ფარებს აბდღვრიალებს. გრიალით გარბის ვაგონები. განათებულ ფანჯრებში თბილად, მყუდროდ მოყუჩებულან მგზავრები... მე გარეთ, ბნელში ვდგავარ და მცივა.

მატარებელი უკვე წავიდა, რელსებს კი კვლავაც რაკარუკი გააქვს...

აგერ სადგურიც!.. სიბნელეს გამოვექეცი და განათებულ ბაქანზე აღმოვჩნდი...

10.

საკმაოდ ცივა, დაბამბული ჯუბა არაფერს შშველის.

მოსაცდელი დარბაზი მგზავრებითაა სავსე, ამიტომაც თბილა.

თავისუფალ ადგილს ვეძებ. რამდენიმე მგზავრი ჩამომჯდარა ხალვათად. მეც ჩავეკვეხე. დაღლილი ვარ, თვლემა მერევა.

უხეშად მანჯღრევენ. თავზე ბეჭებგანიერი, სქელი მილიციელი მადგას.

— ვისთანა ხარ?

დაბნეული ვიყურები აქეთ-იქით. ტყუილის თქმა მიჭირს. გვერდით მჯდომი სვანი პასუხობს:

— ჩემთანაა!

მილიციელი გაშორდება. სვანი კი მუსაიფს მიწყებს. მატარებლის მოლოდინი გრძელ, მოსაწყენ წუთებად იწელება, ამიტომ თუ ერთობა.

ჯიბიდან საათს ვაძრობ. მართალია, არ მუშაობს, გასაკეთებელია, მაგრამ მაინც საათია. სვანი ხელში შეათამაშებს, ყურთან მიიტანს. არ მუშაობს: ეს ის დროა, როცა საათი ძვირობს და არ იშოვება. მერე აღმოჩნდა, რომ ეს საათი ჩვენი ოჯახის საკუთრება არცაა, პარმენ მასწავლებლისაა, ჩემმა ძმამ, შოთიკომ წამოიღო გასაკეთებლად. ჩხრკვდელაობა ეხერხებოდა და იმიტომ. მე არც მაინტერესებს, სხვისია თუ ძმისა. ჯიბეში კაპიკი ფული არა მაქვს, უფულოდ კი მსოფლიო რევოლუციას ვერ განახორციელებ. სვანი ჯიბეში იდებს საათს, მე კი თუშნიანს მაძლევს... მაგარი ვაჭარი ვარ! სხვა, ჩემზე მარიფათიანი, ხუთ თუმნად გაყიდდა.

ისმის გრიალი. მატარებელი ჩამოდგა. გარეთ გავედი. მოსკოვისაა, ყველა კარი დაგმანულია, გალებას არავინ აპირებს. დაკუჟვები ვაგონებს, სანამ რამეს მოვასაზრებ, მატარებელი ადგილიდან იძვრის და გარბის.

დარბაზში ვბრუნდები, იმ სვანს დანას ვუჩვენებ. ჯიბეში იდებს, თან სამმანეთიანს მაწვდის. მებოდიშება, მეტი არც მე მაქვსო (ეს დანა პატრონს შვიდ თუმნად უყიდია!). ახლა მდიდარი ვარ, ცამეტი მანეთი მაქვს.

დავიღალე. ზურგი ამტკივდა. წამოწოლა ისე მინდა, გაძლება მიჭირს. ხან სახელურს გადავეყუდები, ხან საკუთარ მუხლებზე ჩამოვეყუნცები. როგორც კი ჩავთვლემ, თავზე მილიციელი წამომადგება. სკამის ზურგზე გასაღებს დაკაკუნებს.

— ნუ ვძინავთ, სასტუმრო არ გეგონოთ!

ხანდახან ვავიწყდები, თავზე დამადგება და კითხულობს:

— ვისთანაა ეს ბავშვი?

— ჩემთანაა! — უმეორებს სვანი.

დარბაზი თანდათან ცარიელდება, ზოგი მანქანებზე ადის და მიდის, ბილეთიანები იშვიათ მატარებლებზე სხდებიან.

მე ბილეთს ვინ მომაშავებს. მალე გათენდება. დარბაზშიც ცივა, მაკანკალებს... ჩემი ლოგინი მენატრება. ვინ იცის, დედაჩემი რა დღეშია! მან უკვე გამომიტირა! მეზობლები მთელ ქალაქში მეძებენ, ნათესავ-მეგობრები არ დაუტოვებიათ. მილიციაც ფეხზე დამდგარა. ბოტანიკური ბაღის აუზში იჩხრი-

კებიან, შიგ ხომ არ ჩაიხრჩოო. ჰეკ ფინს რომ ეძებდნენ მისული წყლებში, ისე. ვერავინ მიხვდა, აკერ, ხუთიოდე კილომეტრზე, სადგურ ინგრაში მოვეძებნეთ, თორემ ყურით მიმათრევდნენ შინ.

გამთენიისას, ალბათ, მილიციელსაც დავავიწყდი და ჩამეძინა. საცივემ და სკამის ფიცარმა გამაღვიძა. ძლივს გავიზმორე. მაგრად ვიყავი დაბეგვილი.

ბაქანზე კაცედი. მზის სხივები გაწოლილიყო და ყველაფერს მეწამული დასდებოდა.

ჩქარი ნაბიჯით გავიარ-გამოვიარე, გავთბი.

მზე ამოვიდა, უფრო და უფრო დათბა. ონკანთან პირი დავიბანე, პერანგის კალთით შევიმშრალე. კიოსკში ღვეზელი შევიძინე. სადგურისპირა ბაზარში მაწონი ვიყიდე. ნახევარი იქვე ამოვლოკე, ნახევარი მათარაში ჩავესხი...

ნაცნობ რუსის ბიჭს გადავეყარე, საირმის ქუჩიდან. საით გაგიწევიაო, მკითხა. არ იცოდა, რომ გამოპარული ვიყავი. თბილისისკენ-მეთქი. ხუმრობაში ჩამითვალა... ზუგდიდში ჩაუტანია ამბავი, ჯეკმალი ვნახე, თბილისში მიემგზავრებოდაო. ჩემებმა აქედან გაიგეს, სად გადავიკარგე.

მოულოდნელად გრძელი მატარებელი ჩამოდგა, მგონი, სოხუმისა.

ბოლო ვაგონთან ვიდექი. დამავიწყდა მეთქვა, წიგნი მქონდა თან წამოღებული, „რამაიანა“. ჩემში ხომ დონ კიხოტი იჯდა და უწიგნოდ რანაირად გავძლებდი. ვაგონის ახალგაზრდა გამყოლმა მკითხა, ეს რა წიგნიაო. მეც ვუთხარი, რა წიგნიც იყო.

ფურცლავს, თან მეკითხება, სად მიდიხარო. თბილისში-მეთქი. ეტყობა, წიგნი არ ეთმობა, ამიტომ მეუბნება, ამოდი თუ მოდიხარო.

ავედი და იქვე, ბოლო ტამბურში გავჩერდი. კედელზე მიმაგრებული სკამი ჩამოვწიე და დავჯექი. გამყოლმა სხვებიც ამოუშვა, ახლო სადგურებზე მიმავალნი. ჩემს გარდა, ყველა ფულს აძლევდა. ჩემთვის კი არაფერი უთხოვია, რაკი ჩემი წიგნით ერთობოდა.

საოცარი იყო ეს მოგზაურობა!.. გამყოლი ქალებდა, დამგზავრებულ ქალებს თავს აწონებდა. „რამაიანასი“ მას არაფერი ეწერრეტებოდა, მაგრამ მიეხვდი, წიგნი დაკარგე. სამაგიეროდ ცნობის მოყვარეობას სრულად ვიკმაყოფილებდი. ბოლო ვაგონის ტამბურში მოგზაურობა პატარა საქმე ხომ არ არის! უკანა შუშიდან ვრცელი ხედი გარბის. ზიხარ შუშთვის და ნაირნაირ პეიზაჟებს ათვალიერებ.

ახლა იოლია მგზავრობა. ათასჯერ გავიარე ამ გზებზე. პირველი მგზავრობა კი სულ სხვაა. ამ დროს ყველაფერი საინტერესოა. გზისპირა ეკალბარდები და ველური ბროწეული, სოფლები და ქალაქები, გზები და ხიდები... შორეული მთები და მღელვარე მდინარეები... რევიზორის შიში ყოველ გადასარბენზე და სიხარული იმის გამო, რომ რევიზორმა ჩვენთვის ვერ მოიცალა.

ასე გადავიგრიალეთ სამეგრელო და იმერეთი. მატარებელმა თავი შერეო რიკოთის გვირაბში. ამსიგრძე გვირაბის გავლა ხომ მთლად ზღაპარია. თუმცა კედლებზე მბჟუტავი ნათურების გარდა, ვერაფერს დაინახავ, მაგრამ მთავარი ის კი არაა, რასაც დაინახავ, მთავარი ისაა, რას წარმოიდგენ.

აგერ ხაშურშიც ჩავაღწიეთ. გამყოლი მეუბნება, არიქა, რევიზორები მოდიან და დგიჭერენო. იძულებული ვარ, ჩამოვხტე. ირგვლივ კი მხოლოდ და მხოლოდ ლიანდაგები და სხვადასხვანაირი მატარებლებია. ზოგი გაკიავს, ზოგი ქშინავს, ზოგი უბრალოდ ორთქლს უშვებს...

11.

ვხედავ, იქვე, მეზობელი ლიანდაგიდან ზოზინით დაიძრა გრძელზე-გრძელი სატვირთო შემადგენლობა.

ბევრი არ მიფიქრია, დაველოდე ბაქნიან ვაგონს და საფეხურს ავეკიდე.

ღია ბაქანს ჩამოსაწევი სკამი აქვს გამყოლისათვის და იმაზე მოვიჭუჭკე. მზიანი დღე იყო, სასიამოვნო ნიავი ქაქანებდა. ამ სიამოვნებას ანელებდა შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შილი, წყურვილი და შიში, რომ გამ-ყოლნი შემამჩნევენ და ვაგონიდან ჩამო-მათრევენ.

მატარებელმა აუჩქარა სვლას და მალე მთელი სისწრაფით გაიჭრა ფართო ვე-ლებზე.

ხან ერთ მხარეს გადავეყუდები, ხან მეორეს... მთელი ხმით ვმღერი: „დიდა-ვიო, ნა-ნა, დიდავიო, ნა-ნი-ნა...“ ჩემს ამ ჭიხვინს, ჩემს გარდა, ვერავინ გაიგონებ-და და რა მენაღვლებოდა.

სულ სხვანაირი ყოფილა ქართლის ველები. ფართოდ გაშლილი სანახები უფრო ღია ფერებითაა შეღებილი. გარს შემოჯარული შორეული მთებიც სად ფარდგივეთაა.

ორ საათში ჩავგრიალდი გორში. მა-ტარებელმა სვლა შეანელა. ვინმემ არ შემამჩნიოს-მეთქი და საპირისპირო მხა-რეს ჩამოვხტი, ვაგონების ქვეშ გავსხ-ლტი და ქალაქში გავედი.

ოთხი-ხუთი საათი მაინც იქნებოდა. საკმაოდ დაცხა. გეზი გორის ციხისაკენ ავიღე. სტალინი ახლახან მიიცვალა და რანაირად შემეძლო გორში ისე გამევ-ლო, არ მენახა სახლი, რომელიც ჩემს სასკოლო სახელმძღვანელოშიც ეხატა.

აგერ ფართო მოედანი. კიდეზე, მაღალ კვარცხლბეკზე სტალინის რუხი ქანდა-კება დგას. სკვერის ბოლოს კი მარმარ-ლოს გალაიაში ჩამწყვდეული პატარა ქო-ხი ვნახე. დიდის ამბით შემოვუარე გარს, შევიხედე ორ ღარიბულ ოთახში და გავიფიქრე: მსოფლიო ბელადიც რომ გავხდე, ჩემს ორსართულიან, ხის ფარ-ღალალა სახლს მარმარილოს გალაიაში არ ჩავამწყვდევ-მეთქი. მაინცდამაინც არ მეეჭვებოდა, რომ მაღლიერი კაცობრიო-ბა ასეც მოინდომებდა.

პატარა ქოხმახებში ვიწრო ქუჩა გავა-არე, ბილიკს წავაწყდი და იმით მთლად დედა ციხეზე ავედი, იქიდან გადავხედე ქალაქს.

ამასობაში მოსაღამოვდა. აგრილდა და გუნება გამიფუჭდა. წინ ღამე მელოდა, წასასვლელი კი არსად მქონდა... საგზა-რისაკენ მიებრუნდი. უკვე ბინდდებოდა, პერონზე რომ გავედი და ზედ ცხვირწინ სატვირთო შემადგენლობა აიძრა.

გამოცდილება უკვე მქონდა. შორიდან შევამჩნიე ბაქნიანი ვაგონი და საფე-ხურს შევახტი. სკამზე მოვკალათდი. ამასობაში მატარებელი გორს გასცილ-და.

სივრცე თანდათან ბინდით აივსო, აკი-აფდა შორეული სოფლების ელნათურე-ბი.

ტაატით მიიზლაზნებოდა ჩემი მატა-რებელი, ცივი ნიავი უბერავდა, სიბნე-ლესა და სიცივეს შიშიც ერწყმოდა.

ახლა უკვე სხვანაირ სიმღერას ვმღე-როდი. სიმღერას კი არა, მოთქმას უფ-რო ჰგავდა: „ვითოჟირი წანერ ვორდი, ნა...“ ასაკსაც უხდებოდა და მარტოობის წუხილსაც. ჩემი პატრონი არავინ იყო, მარტო შევრჩი ბნელ სივრცეს და ეს გაუგებარი მატარებელი მიმაქრო-ლებდა გაუგებარი მხრისაკენ. რა იოლია წარმოსახვაში ბროლის სასახლეების აშენება და რა ძნელია საკუთარი ხელით თუნდაც ალიზის ქოხის აგება.

ვვიან ღამე ჩავაღწიე თბილის-ქალაქ-ში. ცა ვარსკვლავებით გაიჭედა და ძირ-საც, მთის კალთებზე უამრავი ვარსკვლა-ვი აციმციმდა. დიდი ქალაქის ღამე ჯერ არ მენახა, ოღონდ ამ მირიად ნათურაში ერთიც არ იყო, მე რომ მომიხმობდა და სითბოს მიწილადებდა.

გავიარეთ დიდუბე და მატარებელი ნელა, აუჩქარებლად შევიდა სატვირთო სადგურში. ირგვლივ მთელმარე ეშმაპე-ბივით გაწოლილიყო სატვირთო შემად-გენლობები და არ ვიცოდი, საით წაე-სულიყავი.

ჩამოვხტი. ლიანდაგის გასწვრივ მორ-ღვეული ღობე დავინახე. ღობის მიღმა შეშის შტაბელები ეწყო... ძალლმა შე-ბმოყეფა. საყარაულო ჯიხური იდგა, იქიდან შუქი იდვრებოდა.

— რომელი ხარ? — ხნიერი კაცი გა-მოვიდა.

სიცრუე არ მიყვარს, სიმართლეს ამჯობინებ, მაგრამ ვინმეს რომ ვუთხრა, შინიდან იმატომ წამოვედი, თურქეთში გადავიპარო და რევოლუცია მოვახდინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი, ხომ საგიჟეთში მაკრეს თავი. ამიტომ ზომიერ სამართლეს ვამბობ ხოლმე, ტყუილს მცირე დოზით შეკურავ. ეიცი, უფროსების გული მოგებულია, თუ ეიტყვი, რომ სწავლისათვის ვგიჟდები, იმიტომ ჩამოვედი, სადღაც უნდა ვისწავლო და კაცი გამოვიდე-მეთქი. ეს ისეთი არგუმენტია, ვისაც გინდა, განაიარაღებს... უმრავლესობას სწავლა ეზარება, სწავლას მოწადინებული ყველას უყვარს.

მეც არ დავყოვნე, ღამის დარაჯს ჩავუპაკლე, ზუგდიდიდან ჩამოვედი, გზას ავცდი, ისე, სწავლას ვაპირებ და იმიტომ ვარ აქ-მეთქი. კი მყავს ქალაქში ნათესავები, მაგრამ ამ შუადამეს სად ვეძებო-მეთქი. დარჩი აქაო, დიდსულოვნად შემომთავაზა დარაჯმა. ჯიხურში ელექტროლუმელი ჩაეთო და თბილოდა. ზმელი ლავაშთთა და წყლით გამომასპინძლდა. ბევრი არ მიბოდიშებია, მონდომებით შევუფეძე ლოდნას. მერე მიეწექი ხის საწოლზე. ფიცარზე არაფერი ეფინა, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, ისე გავთბი, მკვდარივით ჩამეძინა. დილით, ღია კარიდან შემოსულმა სინათლემ გამომაღვიძა.

თავი გარეთ გავყავი. მეორე, შემცველელი დარაჯი მოსულიყო და მასლაათობდნენ. გამომკითხეს. ტყუილი და მართალი კვლავ ზომიერად შევაზავე და თავი ისე შევაბარალე, არც მიხსენებია, უფულო რომ ვიყავი, მაგრამ ერომა ოცდაზუთმანეთიანი მაჩუქა, მეორემ — თუმნიანი, თანაც დამარიგეს, თუ ნათესავი ვერ იპოვე, ქუჩაში ნუ დარჩები, მეორე ღამეც ჩვენთან გაათიეო.

გამოვემშვიდობე, გარღვეულ მესერში გავძვერი და ქუჩაში აღმოვჩნდი...

12.

რა უნდა გააკეთოს პატარა ბიჭმა, როცა ის სიცოცხლეში პირველად მარტოდმარტო ჩამოეხეტა დედაქალქში? რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ტრამვაიზე უნდა ისეირნოს აღმა-დაღმა. თანაც თუ ენა აბია, გზის მკოკითხვა არ ეზარება, თან წიგნებიდანაც იცის, რომ თბილისში არსებობს ზოოპარკი, ცირკი, მთაწმინდა, რუსთაველი, მუზეუმი და ასე შემდეგ, მაშინ მთლად უგზოუკვლოდ არ დაიკარგება.

ცხელოდა, მაგრამ ჩემს დაბამბულ ჯუბას ვერ შეეელეოდი და შიგ ვიხარშებოდი.

ჯერ იყო და, სადგურის მოედანზე რომ ტრამვაი გახრიგინდა, იმას შევახტი. კონდუქტორმა უმალ ფული მომთხოვა. აღარ გამჭირვებია, ოღონდ იმ ტრამვაიმ იქით არ წამიყვანა, საათკენაც მინდოდა. თანაც მე წესიერად ვიხდიდი სამ კაპიკებს, თბილისელი ბიჭუჭები კი კიბეზე იყვნენ ახუნძლულნი. ერთხელ ბედი მეც ვცადე, მალაკენის ბაზართან საფეხურს ჩამოვეპარწიალე, კონდუქტორმა კი, იმ უღვთომ, ჭიტლაყი მკრა და ჩამომაგდო. ირგვლივ დედაკაცები ავიშვიშდნენ, შეილო, რას შვრები, ტრამვაის არ ჩაუვარდეო. მაშინ გამახსენდა პროპაგანდისტული, ცრემლიანი წერილები იმის თაობაზე, თუ როგორ მოაჭრა ჩემისთანა ბიჭუნას ტრამვაიმ ფეხები.

სიდინჯეს მოვუხმე და კითხვა-კითხვით მივაგენი მარჯანიშვილის ქუჩას, ამ ქუჩაზე კი „საბლიტგამის“ გამომცემლობას. მაშინ ასე ერქვა დღევანდელ „ნაკადულს“. ჩვეულებრივ ამ შენობის კარს დარაჯი არ უყენია. იმ დღეს კი ვიღაც უსაქმური მორიგეობდა. თავი შევყავი თუ არა, თითი მრისხანედ დამიქნია, დაიკარგე აქედან, შე მაწანწალაო... ალბათ, მართლაც ვგავდი მაწანწალას, განსაკუთრებით გაზნინული ჯუბის გამო, მაგრამ იმ ასაკში ვიყავი, როცა არც ჰეკლერი დაგიდევდათ კარგ ჩაცმულობას, მე კი სულაც ფეხებზე მეკიდა, რაღაირად მეცვა და ამ ჩემი ჩაცმულობით მომიღებდნენ თუ არა მაღალ საზოგადოებაში.

შევბრუნდი და ფეხით ავუყევი გზას რუსთაველის პროსპექტისაკენ. სადღაც გაზიანი წყალი დავლიე, ღვეზელი შევსანსლე... ასეთი დიდი შენობები ზუგდიდში, ცხადია, არა გვაქვს, ოაგრამ მაინც-დამაინც ლენინივით პირდაღებული არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივლია. ამ შენობათა უმრავლესობა ხომ ფოტოზე მენახა. გაზეთებში წამდაუწუმ იბეჭდებოდა ასეთი ფოტოები, დახეთ, როგორ დავამშვენეთ ქალაქი, რა სახლები ავაშენეთო.

ჩავსეირნე რუსთაველზე და ისტორიული მუზეუმი აღმოვაჩინე. მანამდე რამდენჯერმე ვყოფილვარ ზუგდიდის მუზეუმში. ნაპოლეონის ნიღაბიც ვნახე, დადიანების ჯამ-ჭურჭელიც და, რაც ყველაზე საინტერესოდ მეჩვენებოდა, ორთავიანი ხბოს ფიტულიც. ამიტომ აქაც გვერდი ვერ ავუარე, თუმცა ვერ გამიგია, ჩემისთანა მაწანწალა რანაირად შეუშვეს... ცოტათი ცივი და უცხო მომეჩვენა მისი ფართო დარბაზები. მუხლებიც დამეღალა, ამდენი სიარულისაგან ფეხები მიბჟუოდა. როცა გამოვდიოდი, მეკარემ მითხრა, ამ ბილეთით გვერდით, ზოოლოგიურ განყოფილებაშიც შეხვალო.

ეს კი მართლაც მომეწონა. ბავშვებს ხომ ყველაფერზე უფრო ცხოველები მოსწონთ. თვითონაც ბუნების შვილები სიახლოვეს გრძნობენ ბუნებასთან, ცოცხალ სამყაროსთან. მერე ადამიანს ჭკუა ემატება და შორდება ბუნებას, თავის პირველსაწყისს. ბოლოს შეიძლება გადაავიწყდეს, რომ თვითონაც მაიმუნის ჯოგთან ერთად ჩამოვიდა ხიდან... სანახაობა მართლაც თვალწარმტაცი იყო. საქართველოს ყველა კუთხის ფრინველი და ცხოველი ბუნებრივ ლანდშაფტში მოეთავსებინათ. ერთგან კი ის სახელგანძახული უსურიის ვეფხვიც იღრინებოდა, მრისხანედ აბრაალებდა შუშის თვალებს... საამუხაროდ, შემდგომ „ინტერნაციონალურ მეგობრობას“ შეეწირა ეს განყოფილება და არ ვიცი, სად წაიღეს ის ექსპონატები.

გარეთ რომ გამოვედი, ისევ გაზიანი წყლით გავიჭყიპე და ყველა ბავშვისათვის სანატრელ გზას დავადექი. დარწმუნებული ვარ, ყოველ პატარას მოუნდება ერთხელ მაინც ფუნიკულორის ტრამვაიზე ასეირნება...

მთაწმინდიდან მთელი ქალაქი ჩანდა. რა თქმა უნდა, მას შემდეგ თბილისი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ მე ხომ მანამდე არ მენახა ამ სიდიდის ქალაქი და, სხვათა შორის, დიდრონ შენობებზე უფრო იმან გამაოცა, რომ ეს მილეთის ხალხი პატარ-პატარა სახლუკებში, ვიწრო ქუჩებსა და ხლართებში ცხოვრობდა.

მოკლედ, სანამ დღის სინათლე იყო, ჩემს ვემოზე ვიხეტიალე, კარგი ექსკურსია გამიმავიდა, მაგრამ მოსაღამოვდა და ისევ დამიბრუნდა სადარდებელი, რაც ქუჩაში მარტოდ დარჩენილ ბავშვს არ ასცდება.

რა მექნა, ისევ სადგურისაკენ გავუტეე, კვლავ შეშის დარაჯებს მივაკითხე. დიდის ამბით ჩავაბარე ანგარიში, ვიღაც-ვიღაცები ვნახე და ხვალ დამიბარეს-მეთქი. ეს უწყინარი ტყუილი საქმეს არ აფუჭებდა და სინდისის ქენჯნას დიდად არ შეეუწუხებივარ...

13.

დილით კვლავ გამოვემშვიდობე ჩემს კეთილ მასპინძლებს და გავეშურე. სად, თუ მიხვდებით?.. რა თქმა უნდა, ზოოპარკში.

მაშინ სადგურიდან ვაკისაკენ ტრამვაი მიდიოდა და მეც იმას ვაყვევი.

ცირკის შენობაც აღრევე მენახა სურათზე, ასბინანი სახლის სურათიც ეხატა ჩემს სახელმძღვანელოში.

ჩამოვუარე ვოლიერებს. ახლა იქ უკვე ჩემი შვილები დამყავს. დღეკვანდელი და იმდროინდელი ზოოპარკი დიდად განსხვავდება. მაშინ ბევრად უკეთესი იყო. სპილოც ჰყავდათ, მახრჩობელა გველიც და ათასი სხვა რამეც. ცხოველებს არც საჭმელი აკლდათ, არც მოვლა და არც არავინ აწყენინებდა.

ზოოპარკიდან რომ გამოვედი, ვხედავ, ცირკის კიბეზე ხალხი ადის. ამ შემოხვევას ხელიდან ხომ არ გავუშვებდი. ბოლოს და ბოლოს თუქქეთიც მოიცდიდა და მისი რევოლუციაც.

ბილეთი რომ ავიღე, ზედ ნაყინიც მივაყოლე. საერთოდ, შინიდან გამოქცეულ პატარებს ნაყინისა და გაზიანი წყლის გარდა, სხვა არაფერი სჭირდებათ.

საცირკო წარმოდგენა მეხსიერებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დამრჩა. ალბათ, სხვა დროსა და სხვაგან ნანახი წარმოდგენები ერთიერთმანეთს დაეფინა და ვეღარ ვარკვევ, როდის რა ვნახე.

შუადღეზე გავთავისუფლდი ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმეებისაგან და მაშინდა მომაგონდა, რომ ერთხელაც უნდა მეცადა ბედი და ჩემი თხზულებები მომეკითხა.

გზა გავიკითხე და კვლავ მარჯანიშვილზე ამოვყავი თავი. კარი შევაღე, დარაჯი არსადაა. აკაცუნეულდი კიბეზე. ვხედავ, დერეფნის დასაწყისშივე აწერია: „საბლიტგამი". იქვე კედლის გაზეთიც ჰკიდია, შიგ კარიკატურაა.

მივაჩერდი ამ კარიკატურას. ამ დროს გვერდით გამხდარი კაცი გაჩერდა.

— ვის ეძებ, ბიჭუნა?

დავმორცხვე, ძლივს რაღაც წავილუღლუღე.

— რა გქვია? — კვლავ დამეკითხა უცნობი.

სახელი და გვარი მოვახსენე.

— ო! — წამოიძახა კაცმა. — მე კი პოლიო აბრამია ვარ!

ეს სახელი გამეგონა. ცოტა ხნით ადრე ზედიზედ წავიკითხე „ახალგაზრდა გვარდია", „ალიტეტი მთებში მიდის" და „მოსკოვიდან დაშორებით". რომელიღაც მათგანის ტიტულზე ეწერა, თარგმნა პოლიო აბრამიამო (სიტყვა „ტიტული", ცხადია, არ ვიცოდი).

გიცნობთ-მეთქი, რომ ვუთხარი, გაიხარა, ხელი მტაცა და დერეფნის სიღრმეში წამიყვანა. მოზრდილ დარბაზში შევედით. საწერ მაგიდებს სხვადასხვა ასაკის ქალბატონები უსხდნენ. ყველამ ჩვენკენ მოიხედა. ბატონმა პოლიომ საზეიმო კილოთი გამოაცხადა:

— ჩვენი სტუმარია... — მან ჩემი სახელი და გვარი დაასახელა.

ატყდა ერთი ტკარცალი და ვაი-ვაში. გაოგნებული ვიხედებოდი აქეთ-იქით. ზოგი იძახდა, ეს რა პატარა ყოფილაო. ზოგმა იკითხა, ამისი ხელნაწერი სად არისო. ვიღაცამ თქვა, ამან და ამან წაიღოო, თან ცნობილი საბავშვო მწერალი ქალი დაასახელა... დამსვეს სკამზე, დამაყარეს კითხვები, მეც შეძლებისდა მიხედვით ვპასუხობდი.

საიდანღაც დეპეშა დააძვრინეს. ზუგდიდიდან გამოეგზავნათ, ბიჭი დაგვეკარგა და თქვენთან ხომ არ ჩამოსულაო. არც გავწითლებულვარ, ისე ავუხსენი, დაბრუნება შემაგვიანდა და, ალბათ, ღელავენ-მეთქი. რა ვუყოთო, მკითხეს, პასუხი გავუგზავნოთ თუ არაო. დღესვე უკან ვბრუნდები და პასუხი რა საჭიროა-მეთქი.

წიგნებს თუ კითხულობი. თავი დავუქნიე. ქალაღდი გადამიშალეს. ზედ ჩამოწერილი იყო იმ წლის წიგნების სია. აღმოჩნდა, რომ რამდენიმეს გარდა, სულ წაკითხული მქონია. ის წაუკითხავი წიგნები იქვე მომიძებნეს და მაჩუქეს. ერთზე მეუბნებიან, ეს ქალი ამ წიგნის რედაქტორიაო. მე კი ვერ გავიგე ამ სიტყვის მნიშვნელობა, ავტორი ვიცოდი რაც იყო, რედაქტორი — არა.

ახალგაზრდა ქალბატონი მეკითხება:

— შენი გმირები რომ კოცნაობენ, ვინ გასწავლა?

რა უნდა მეთქვა?

— ცხადია, წიგნებმა! — სხვა ქალმა მოუჭრა.

მოკლედ, დიდის ამბით გამომაცილეს. თუმცა ჩემი ნაწერების თაობაზე ვერაფერი გავიგე, მაგრამ იმას მაინც მივხვდი, სჯობდა, არ მეკითხა...

14.

ჩემი მისია თბილისში დასრულებულად ჩავთვალე.

ცენტრალურ ვაგზალზე მილიციისა შემეშინდა და ამიტომ როგორღაც დიდუბემდე ჩავაღწიე.

ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, რომელი გზა ამერჩია თურქეთში წასასვლელად. ან ბაუუმში უნდა ჩავსულიყავი, ან ბორჯომში და იქიდან სამხრეთისაკენ ფეხით მევლო. ცხადია, წარმოდგენაც არ მქონდა, რომ საზღვართან კი არა, სასაზღვრო რაიონთანაც არავინ მიმიშვებდა.

სანამ ტვინს ვიჭყლეტდი, ბორჯომის შემადგენლობა ჩამოდგა. არიქა, უნდა მივუსწრო-მეთქი, სალაროს ვეცი. რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული დამრჩენოდა, იმაზე დავხარჯე. შემოვბრუნდი და პირკეტა მეცა. ბორჯომის მატარებელი მეორე ლიანდაგზე დგას, პირველზე კი, ჩემს მხარეს, თბილისსკენ სატვირთო მოძრაობს. სანამ ეს გაიელიდა, ის უკვე დაიძრა და დამტოვა ხახამშრალი.

მიეუბრუნდი სალაროს. მოლარე აყაენდა, ბუღი დაყენნა. შეეეხვეწე და ბილეთი ბათუმის მატარებელზე გადამიცვალა, იღლნდ ბათუმამდე ფული არ მეყოფოდა და სანამდეც გაწვდებოდა, იქამდე გამომაწერა.

ამასობაში დადამდა კიდეც და ბათუმის მატარებელი ჩამოდგა. ვაგონი საერთო იყო, მეზავრებით გაჭედილი. ადგილი ყველგან დაკავებული აღმოჩნდა და მესამე თაროზე ავმეკერი. აქ ისე ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა. ოფლი ღვარად დამდინდა, მაგრამ ისე ღრმად ჩამეძინა, ბათუმში ჩასვლა არც გამიგია. გამყოლმა რომ დაკაკუნა, მაშინდა დავაყვიტე თვალები.

თაკარა მზე დამხვდა. გაქათქათებულმა ქალაქმა თვალი მომჭრა. ძალიან მომეწონა, მაგრამ არ ვიცოდი, საითკენ წავსულიყავი. ადამ-დადმა ეიხეტიალე. აქ ცხოვრობდა ცაცა, ზემოთ რომ დედაბერი ვახსენე, ძაკუ ჭურეულია, იმისი ქალაშვილი. ვიფიქრე, კარზე მივადგები, შემიფარებს-მეთქი. მართლაც მოვძებნე ორსართულიანი სახლი. შიდა ეზოდან კიბე მეორე სართულზე ადიოდა. აქ ეჭირა ერთი ოთახი. ეზოს ყოველი მხრიდან აივნები გადმოჭყურებდა და ყველა ოჯახი ერთმანეთის თვალწინ ცხოვრობდა.

სამწუხაროდ, ბინა დაკეტილი დამხვდა, ზუგდიდშია წასული, დედასთანო, მეზობლებმა მითხრეს.

მივაშურე ზღვის პირს, მოვკალათდი პლაჟის ხრეშზე და მზეს მივეფიცხე. გავყურებდი ზღვის ლივლივა ზედაპირს, ვუსმენდი თოლიების ყეფას, უგემურად ვეეჭავდი გამხმარ ორცხობილას და უცბად ძილმა წამძლია. არ მახოვს რამდენ ხანს მეძინა... თვალი რომ გავახილე, წამოდგომა გამიჭირდა. მზე საშინლად აცხუნებდა და იფლის ღვარში ვცურავდი.

ძლივს ავბობდდი. წავლასლასდი. თანდათან იფლი შემაშრა, ძალა დამიბრუნდა, თუმცა ფეხები მიბჟუოდა.

ჩანაფიქრზე ხელი არ ამიღია, მაგრამ ღღეს უკვე გვიანი იყო და არც ის ვიცოდი, რა მიმართულებით მევლო.

უსაქმოდ ვიყიალე საღამომდე. ქალაქის ქუჩები თანდათან დაცარიელდა. ქუჩის ნათურები აკაშკაშდნენ, ადამიანები თავიანთ მყუდრო ბინებში შეეხიზნენ და დავრჩი ქუჩაში მარტოდმარტო.

ღღის სიცხე ღამის სიგრილემ შეცვალა.

პატრული გამოჩნდა. ოფიცერი მაჩერებს, ქუჩაში რას აკეთებო.

თავი მოვეხაწყალე, ნათესავთან ჩამოვედი, ის კი თურმე გამგზავრებულა, ხვალამდე არ იქნება-მეთქი. სახელიც სწორი ეთქვი და მისამართიც. სიცრუეში თუ სიმართლე გაერევა, ამით იგი დამაჯერებელი ხდება.

შეწუხდნენ. წამოდი, მილიციაში გაგათევინებთ ღამეს და ღილით გამოგიშვებთო.

წავედეი. განყოფილება იქვე იყო, ორ ნაბიჯზე. მორიგეესთან მიმიყვანეს. აუხსნეს, ქუჩაშია დარჩენილი, ცოდვაა, აქ იყოს და ღილით გაუშვიო. იმანაც, რა მენაღვლებაო, და უკანა ოთახში შემიშვა. აქ გრძელი სკამის გარდა, არაფერი იდგა და იმაზე წამოვწექი. რა დამაძინებდა. ხან წამოვგორდებოდი მაგარ ფიცარზე, ხან წამოვჯდებოდი. ვიღაც უსაქმურებიც შემოაგდეს, ყაყანებდნენ, თავს ისაწყლებდნენ. მე ჩუმად ვიყავი, ხმას არავის ვცემდი.

ღილით მორიგე გამოიცვალა. ახალმა ამიჩნევა, რამეზე მაინც იქნებოდი დაკავებული, თორემ ღამის გასათევად მილიციაში ვინ მოჰყავთ, სასტუმრო ხომ არ არისო. ძლივს დავაჯერე და გამიშვა...

15.

თუ სადმე წამსვლელი ვიყავი, გზას ადრევე უნდა დავდგომოდი. გეგმა რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენადაც მარტივი, იმდენად ზურჩუტული იყო. როგორმე უნდა მიმეღწია საზღვრისპირა სოფელ სარფამდე, იქ დამეს დავლოდებოდი და პარმენ ლორიას რომანის გმირივით წყალმარჩხს ფეხით გადავტოპავდი.

ვინმესთვის რომ მეკითხა, სარფი საითკენაო, ქეჩოში წამავლებდა ხელს. ამიტომ არც არავისთვის მიკითხავს, დავადექი ქუჩებს სამხრეთისაკენ, ბოლოს და ბოლოს ერთი რომელიმე ზომ გამიყვანდა ქალაქიდან.

ვხედავ, ავტობუსი დგას, ცხვირი სამხრეთისკენ მიუქცევია, შიგ ოფიცრები და რუსის ფაშფაშა დედაკაცები სხდებიან. ბევრი არ მიჭოჭმანია, მეც ავმევრი.

წავედი ავტობუსი, ქალაქიდან გაძვრა, ხიდზე გადაიარა, დიდხანს იტრიალა აქეთ-იქით და ბოლოს, ვერც გავიგე რა ერქვა, ისეთ სოფელში ჩამომსვა.

ჩვეულებრივი, ჩვენებური სოფლის ორლობეში მივდივარ. აქედან და იქიდან ტრიფოლიატის მაღალი ღობეებია, ამათ მიღმა კი ოდები და მწვანე ეზოები. არც გზაზე მხვდება ვინმე, არც არავის ვუკაკუნებ კარზე. მივდივარ ჩემთვის.

უცებ გზა პირდაპირ წავიდა. ხეებს მიღმა სიცარიელე გამოჩნდა. თურმე ჩემდა უნებურად აღმოვჩნდი სამხედრო აეროდრომზე. ტრიალ მინდორზე მანქანები თვითმფრინავებს მიათრევენ. ვდგავარ და პირდაღებული გავყურებ. თითქოს მიწიდან ამოძერწნენ, სამხედროები შემეფეთნენ, ერთმა ოფიცერმა მკაცრად დამიძახა:

— აბა, აითესე აქედან, აქ არ შეიძლება!

კამათს ხომ არ დავუწყებდი, შეეტრიალდი და მოვუსვი.

ორიენტაცია რომ არ დამკარგვოდა, ზღვისკენ გავწიე. ზღვა, ცხადია, ჩემგან დასავლეთითია, იქით, საითკენაც მზე იხრება და საიდანაც წყლის მშვიდი ტყლაშუნი ისმის.

ცოტაც და ზღვა გამოჩნდა.

ახლა ნაპირს გავყვევი სამხრეთისაკენ. ხმელეთის მხრივ თხმელნარია, ამიტომ ვერც მე ვხედავ რამეს, ვერც მე მხედავენ.

მოულოდნელად წინიდან მოისმა ომახიანი „ვაშა“ და ავტომატების კაკანი. ჯარისკაცების ჯაჭვი გაშლილა, ნაპირიდან ზღვისკენ მირბიან, „ვაშას“ ღრიალებენ და ისვრიან.

დროა დავიმალო, მაგრამ თუ ავცუნდრუკლები, ყურადღებას უფრო მივიპყრობ.

იქვე, წყლის პირას, გადაბრუნებულ ნავს უკირკიტებს ორი ჯარისკაცი, ფსკერზე კუპრს უსვამენ.

ერთმა ინტერესით შემომხედა,

— საით გავიწევი, ვაჟკაცო?

— სოფელში მივდივარ!

— საითკენაა შენი სოფელი?

— იქითკენ! — სამხრეთ-აღმოსავლეთით ამოზიდულ მთებისაკენ გავიქნიე თავი.

— ჰო-ო! — გაწელა ჯარისკაცმა და მივხედი, რომ მარცხი მომივიდა. — აბა, აქეთ წამოდი!

უკან მივიხედე, ვერსად გავიქცევი. მწირი თხმელნარი და ეკალბარდები შორსაა და ვერც დავიმალება. ამიტომ დავმორჩილდი.

— ხომ ხედავ, რომ ისვრიან! — მეკობრულად მეუბნება ჯარისკაცი. — შენ კი აქ დაეხეტები. მოგხვდება ტყვია და მორჩა!

რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ ჩემთვისაც „მორჩა“ გზის გაგრძელება და თურქეთის რევოლუციაა!

ასე დამიმთავრდა პირველი ლაშქრობა...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მომცრო სახლში შემიყვანეს. იქ სულ ოფიცრები ისხდნენ. ერთმა, შემელოტებულმა, მკითხა:

— „პოლკის შვილობილი“ წაგიკითხავს?

თავი დავუქნიე, წაკითხულიც მქონდა და კინოც ვნახე.

— ჰოდა, მე ვარ პოლკის შვილობილი!

მერე განკარგულება გასცა, ჯარისკაცური ბორშჩი და კოტლეტები მომიტანეს. ნასადილევს ერთი ჯარისკაცი მაახ-

ლეს, აქა და აქ მიიყვანე და ჩააბარეო. მომყვება და ტრაბახობს:

— ჩვენ ისეთი მაგრები ვართ, ჭიანჭველაც კი არ გამოგვეპარება, მიწის ქვეშ რაც არის, ისიც ვიცით!

— აბა, ამ მიწის ქვეშ რა არის? — შეკვეკითხე.

— რა და, ნავთობი! — ეგრევე მოხია.

— აქ რომ ნავთობი იყოს, ბაქოდან არავინ გადმოქაჩავდა! — ნიშნის მოგებით ვუპასუხე. ეგდა მაკლდა, ამას მოვეტყუებინე.

ისეთი ლაქლაქა ვინმე იყო, რომ მომენდომებინა, წუთში ავეთესებოდი, მაგრამ პატიოსნად გამაფრთხილა, შენ რომ გამექცე, სასჯელი არ აცდებაო და შემეცოდა...

16.

ბათუმში წამიყვანეს. ლამაზი სახლის მეორე სართულზე ავედით. ხალიჩებით მოფენილ კაბინეტში ორი მელოტი ძია დამხვდა. ერთმა გამომკითხა. ისეთი სულელი როდი ვიყავი, თურქეთში მიედოდი-მეთქი, რომ გამემხილა. მეორე კაცი აყვირდა. სამშობლოს რომ გამოადგე, შენ უნდა იჯდე და გულმოდგინედ სწავლობდე, შენ კი დაწანწალებ აქეთ-იქითო. ბოლოს თავი დამანებეს, სხვა ოთახში გამიყვანეს და იქ ის ჩემი ნაცნობი ცაცა დამხვდა. ტანმსხვილი, მსუქანი ქალი იყო, მთვარესავით ლამაზი პირისახე ჰქონდა. ერთი შეილი ჰყავდა, იმ დროს ჯარში მსახურობდა. გადამკოცნა, თან შუშინებული ჩანდა... ხელი მოაწერინეს რაღაც ქაღალდებზე და ჩემი თავი ჩააბარეს.

წამიყვანა თავისთან. გამხადა, დამბანა. რაც გაირეცხებოდა, გამირეცხა. დაბამბული ჯუბა კი თოკზე გადაკიდა. მზეს რომ მოაჭირა, სიცხისაგან შეწუხებული ტალები გარეთ გამოცვივდნენ, სასეირო ეგ იყო. სადღაც გზაზე ავიკიდე, თუმცა ეს იმ დროს ვის გააკვირვებდა.

ამ ხნის მანძილზე პირველად ჩავწექი თბილ და სუფთა ლოგინში, პირველად ეჭამე ოჯახური საჭმელი.

ცაცა პიონერთა კულტურის პალატაში მუშაობდა მოლარედ და თან მატარებდა. დავსეირნობდი, სამკითხველოში ვკითხულობდი. მახსოვს, კინოში „თემური და მისი რაზმი“ გადიოდა... ერთხელ პიონერული ალღუმი მოაწყვეს, პარკი აიკსო წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭებით. უკრავდა სასულე ორკესტრი, ჭიდაობდნენ, ფარიკაობდნენ, ცეკვავდნენ... ტბაზე პიონერული ბემი დაცურავდა...

ჩემი დიასახლისი ხანდახან შინ მტოვებდა და მაშინ ეზოს ბავშვებთან ვთამაშობდი. ზღვაც ახლოს იყო, საბანაოდ დავდიოდით. ცურვა მანცდამაინც არ მეხერხებოდა, ნაპირთან ვჭყუმპალაობდი.

ერთი დედაბერი დამიახლოვდა, სახელი გადამავიწყდა. მოხუცებს უყვართ ხოლმე ჩემისთანა უპატრონო ბავშვები. ცაცასთან მეგობრობდა, შინ გვიწვია და გამიცნო. ძლივს დაბიჯვებდა, ჩამჭიდებდა ხელს და აუჩქარებლად ჩამასეირნებდა. გზად ფოსტაში გავივლიდით, იქ თავისი პატარა ყუთი ეკუთვნოდა და გასაღებით აღებდა. ამოიღებდა გაზეთებს და გზას გავაგრძელებდით. პატარა, ერთოთახიანი ბინა ზედ ტროტუარის პირას ჰქონდა. შესასვლელს სური ეხვია, ორ ფანჯარას გისოსი ეკეთა. შემიყვანდა, დამსვამდა, მურაბიან ჩაის დამალევინებდა.

ნამეტანი ნიჭიერი ბავშვი ხარ და არ უნდა დიაკარგო, ჩამჩიჩინებდა, მთავრობა ვალდებულია ასეთ ბავშვებს მოუაროსო. მოდი, ლავრენტი ბერიას მივწეროთ, ყურადღება მოგაქციოს, სადმე სასწავლებლად გაგამწესოსო. იმდენი მეტუტუნა, წერილი დამაწერინა. თავისი ხელით კონვერტში ჩადო და ფოსტაში წაიღო. კეთილი და გულუბრყვილო დედაბერი იყო, ეგონა, ქვეყანა სულ კეთილი ადამიანებითაა დასახლებული და სხვა არაფერი აქვთ საქმე, გარდა წყალობის ჩამორიგებისაო.

სწორედ რომ ჩემი წერილისათვის სცხელოდა ბერიას! გულუბრყვილოთა მსგავსი წერილები, ალბათ, მილიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწერება და წასაკითხად არავის სცალია.

ერთ დღეს ეზოში გატაცებით ვთამაშობდი, ჭიშკრისკენ გავქანდი და დედას შევეფეთე.

ჩანთა გაუვარდა, ხელები უსუსურად გაასავსავა და ამოიკვნესა:

— ეს რა გამიკეთე, შვილო!

შემრცხვა, ჩავეხუტე და თავის გასამართლებლად შარი ჩემს უფროს დას მოვდე:

— აბა, რომ მიწყრებოდა!

17.

— დაგორებულ ქვას ხავსი არ მოედება! — მითხრა კარის მეზობელმა ილია ჯიქიამ.

— არ მჭირდება მე ხავსი, ილია ბიძია! — მივაძახე.

არადა, მართალი იყო ის კაცი. „ხავსზე", ესე იგი, ფულზე და ქონებაზე არასოდეს მიფიქრია, მუდამ მზესავით გაბრწყინებული ხვალის იმედით ვიყავი. კაცმა, თუ მას რეალობის გრძნობა დაკარგული არა აქვს, ადრევე უნდა იზრუნოს, რომ თავისი მატერიალური ყოფა მოიწესრიგოს. მაშინ თავში ჩაქუჩით ჩაგვჭედეს, მატერიალურზე ფიქრი უზნეობააო და ვინც ყველაზე მეტად გვმოძღვრავდა, თვითონ, ცხადია, კარაქში ცურავდა. ღატაკი კაცისათვის ცხოვრების ჯაჭვი, სამწუხაროდ, აღუსრულებელ ოცნებათა ჯაჭვად ჩამომწკრივდება... ჩემნაირის მოტყუება იოლია. კაცისათვის, ვის სულში დინ კიხოტი ზის, რეალობა არაფერია, წარმოსახული კი ყველაფერი...

ასეა თუ ისე, პირველი ოდისეადან დაბრუნების შემდეგ, ქუჩისა და, ალბათ ქალაქის გამორჩეული ბავშვი გავხდი. ახლა პატარები ევროპასა და ამერიკას ეწვევიან, მაშინ კი ორღობიდან ქალაქის ბოლოს წასვლაც მთელი ამბავი იყო. თანაც მე უბრალოდ როდი წავედი, მე გავიქეცი... რას გავექეცი? — იკითხავ, ალბათ, მაღალ კაბინეტებში. ამ ბავშვს მატერიალურად უჭირს, — ისეთი დასკვნა გამოიტანეს, რაც არცთუ შორს იყო ჭეშმარიტებისაგან, რადგან წამდაუწუმ მესმოდა, ამ ბავშვს კარაქი სჭირდებაო...

მიმიყვანეს რაიკომის მდივანთან. რაიკომი იმ დროს დადიანის სასახლეში იყო მოთავსებული. მდივნის კაბინეტი კი სულთანისას ჰგავდა. მდივნად მაშინ გმირი იჯდა, ჩილარავა. მახსოვს, ადრე, სკოლაში შეხვედრა მოვუწყვეთ. თავისი საბრძოლი გმირობის ამბავი მოგვიყვა. მე კი ამის თაობაზე მოთხრობა გავაშაშალე, სადაც ისეთ გმირთა გმირად გამოვიყვანე, ალბათ, თავადაც არ დაესიზმრებოდა. თუმცაღა ის ფურცლები არავისთვის მიჩვენებია... მდივანმა ამხედ-დამხედა, თავგადასავლებისაგან დაღლილი და დალეულიაო, დასაკვნა და მკითხა, სადმე დასასვენებლად ხომ არ წახვალო. უარს რატომ ვეტყოდი. დარეკა სადაც საჭირო იყო და სურამის საგზური გამიშანშალეს.

როგორც მოგზაურობაში ჭიპმოჭრილს შეეფერება, მარტო გავემგზავრე, ჯერ ხაშურამდე, იქიდან კი საგარეუბნო მატარებლით სურამამდე. კითხვა-კითხვით მივაგენი საბავშვო სანატორიუმს, ზედ სურამულას პირას იყო. დირექტორი ერთი პატარა, ჩიტივითი მსუბუქი, მოხუცი ქალი ბრძანდებოდა. თავდაპირველად არ მომიღო, საგზურს საექიმო ცნობაც სჭირდებაო. ღამის ძიძამ, დეიდა ვარამ შინ წამიყვანა და სანამ უფროსი ძმა ზუგდიდიდან ცნობას ჩამომიტანდა, თავის ოჯახში მაცხოვრა... სხვათა შორის, სულ ახლახან ვინახულე კეთილი დეიდა ვარა. დაბერებულიყო, ავადმყოფობდა. ვერ გამიხსენა, მაგრამ მაინც გაუხარდა. ამას წინათ კი გავიგე, გარდაცვლილა. ძალიან მეწყინა... სანატორიუმის დირექტორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი რატომღაც ისე მოვწონე, იმ ორთვიან საგზურს კიდევ ორთვიანი დამემატეს. მერე ზუადდიდან ერთთვიანიც გამომიგზავნეს და სრული ხუთი თვე გავატარე სახელმწიფო კმაყოფაზე. ზაფხულში ჩავედი და თოვლიან ზამთარში მოვბრუნდი... ფერიც მომემატა, წონაც და ღონეც, თუმცა ხუთ თვეში მთლად კაჟანდევად ვერ გადავიქცეოდი. სურამში გატარებული დღეები სავსე იყო ჩვეულებრივი ბავშვური სიხარულითა და წყენით, რაზეც ან ბევრი უნდა დაწერო, ან არაფერი... თამაში, „ღონისძიებები", ჩურჩუტული სიყვარული... სანამ სამი სეზონი მოვილიე, ბავშვების სამი ნაკადი შეიცვალა და ყოველ ახალ ცვლასთან ერთად, ჩემი გატაცების საგანიც იცვლებოდა... ერთს, ჩემზე გაცილებით უფროსს, გოგონას წერილიც კი მიეწერე, იმან პასუხი გამომიგზავნა, კიდევ კარგი, ეს წერილი დედაკოს არ უნახავს, თორემ ხომ სირცხვილით დავიწვებოდი. ახალი სიყვარულის დაბადება ტკბილიცაა და მწარეც. ის ხომ ყოველთვის ერთადერთი და საბოლოოა... ასე მეგონა, მაგრამ სურამიდან დაბრუნების შემდეგ ჩემი დულსინეების თვით სახელებიც დამავიწყდა. თუმცა მეხსიერებამ შეინახა პატარა ანგელოზების მშვენიერი სახეები... სიყვარულის ეს მსუბუქი გაელვება, ნაზი და ფოფინა, ჯერაც გუთვითცნობიერებული და ბიწისაგან თავისუფალი, სულს განწმენდს, სიკეთით ავსებს, ბოროტისაგან ათავისუფლებს...

გაგრძელება იქნება

დავით ტიგინაშვილი

გულიდან ბუნებრივად ამომსკდარი ლექსი არ შეიძლება დამწერს არა ჰგავდეს თავისი უშუალობით, სიწრფელით, აზრიანობით. სწორედ ასეთი თვისებისაა ჩვენი საგარეჯოელი მეგობრის დავით ტიგინაშვილის ლექსი. დავითი თითქმის ყველანაირ ხაკრავზე უკრავს, კალამი ისეთივე შრომის იარაღია მის ხელში, როგორც სასხლავი, ნამგალი და თოხი.

ტიგინაშვილები თუშეთიდან არიან საგარეჯოში მოსულნი. ალბათ, ამიტომაც არის ტიგინაშვილების ოჯახში გამეფებული თუშური სიმღერა, მღერის დედ-მამა, მღერიან და-ძმანი, აქ ყველას და ყველაფერს თუშური ბუნების ბეჭედი აზის; დაკვირვებული მკითხველი უცილოდ შეატყობს, რომ თვითონ დავითის ლექსებსაც თუშური ფარდაგისა თუ ჯეჯიმის თვალმიმტაცი ფერადოვნება დაჰკრავს.

ჩემი მეგობარი პოეტი, მართალია, ხალხურ ყაიდაზე თხზავს, მაგრამ მის ლექსში აშკარად იგრძნობა ინდივიდუალური, მარტო მისთვის დამახასიათებელიც.

დავით ტიგინაშვილი ჯერ ახალგაზრდა კაცია. ოჯახის რჩენას ლექსით არ აპირებს, მაგრამ ულექსოდ ნამდვილად არ ეცხოვრება ამ ქვეყანაზე. ეს კი უფლებას აძლევს, რომ ერი გულამღერებულ ქართველად და მელექსედ ისიც იწოდებოდეს.

ზოთა ნიშნიანიძე.

ფოთოლი

აფერადდები, ფოთოლო,
შემოდგომისა ფერებით,
მე კი აგიყვან ხელში და
ჩიტივით მოგეფერები.

ვერ მიგატოვებ, ტიალო,
აგრე ლამაზს და ჯიშიანს,
წაგიყვან, დაგაბინავებ
ვაჟა-ფშაველას წიგნშია.

კაი ყმა

შენა ხარ ნაღდი მოყმე,
სანთელს კაცებში ანთებ,
ღელდალამ მთა და ბარში
ნადირ-ფრინველთან ათევ!..

ადამიანის ცხოვრებაც
მოსაწყენია, ბეჩავ!

ღამით ნადირის ყმუილზე
კაცმა ცხვარს გაუქეჩა,

გაფრენის ფიქრი შამიჩნდა,
არა და არ მამეშვა.
გამიშვი, ოხერ-ტიალო,
კლდეს უნდა გადავეშვა.

●

აპრილის კვირტმა დამათრო,
სულში სურნელის დარია,
ეს ჩემი გული, უძღები,
კვირტივით გადამსკდარია.

იასამნების სუნთქვაც კი
უშენოდ გულის დამღაა!
თუ მკერდს არ ჩამოგიკოცნი,
სიცოცხლე აბა რაღაა?!

●

ვინც საქართველოს გზა აურია,
ღმერთო, დაწყეველი აღალი გულით,

აღარ ეღირსოს ქართული მიწა,
არ დამარხოს ქართული პურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამომალეწა ბედმა ცხოვრება
და ისევ სიყრმის ფესვებს მივსტირი,
გაიშხუილა არწივმა ცაზე —
და ჩამოინგრა ძველი წისქვილი.

ცეცხლის პირს უჯდა მოხრილი პაპა,
როგორც გლეხკაცის ნამგალი ძველი,
იფერფლებოდა ერის ტკივილით
და ამაყობდა ქართული ენით.

ძველი შარაგზა.
გადასახედი.
გადაუხდელი პაპის ვალები.
ხრჩოლავდა ცეცხლი და მბრუნავ
კვამლით
დღესაც მევსება ცრემლით თვალები.

ბიჭებო, ისეთ პურმარილს გაეშლი,
სამეფო სუფრას სჯობდეს ასწილად,
ოღონდაც წამით, სულ ერთი წამით,
გარდაცვლილ პაპის ხმა ჩამასმინა...

გაზაფხული

გაზაფხულის სურნელებით
არემარე აივსო.
ვარდებსა და იასამნებს
ჩაგიკოცნა, მაისო.

დაბრძენებულ ვაჟკაცს თავზე
ხელი ამაღებინა,
ნეტავ რას და ვის ვეკუთვნი,
ღმერთო, გამაგებინა?

ცვრით დანამულ დედამიწამ
ამოხეთქა რითმები,
ამ ხმების და ამ ფერების
ჟრიამულში ვინთქმები.

ვაჰ, რა მიქნა ციცქნა გოგომ,
სული ზედ დამაწვიმა,
ნუშის ძირას ყვავილების
თოვლზე წამომაწვინა.

სიყვარულის გრძნობით, ღმერთო,
ვარდობის თვეს ვსტირი მე,
თუ სიკვდილი მიწერია,
ახლა მომკალ, ჭირიმე.

ბერი პაპა

ძველი ჩოხა-ახალუხი
თითქოს მოჰყვა სიზმარ-ზღაპარს,
კაცობაში გამომზარდე —
შენს საფლავთან თავს ვხრი, პაპავ.

კეთილი და მხიარული
სუფრას შლიდი საკალანდოდ,
ახლა ზღაპრად გადასულხარ —
ღმერთმა სულით გაგანათლოს!

კვერცხს ვეღებავ და შენს სახელზე
საადგომოდ ვარჩევ ბატკანს
და საფლავში ჩამოგძახი:
ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა!

ჩემი საამო

ჩამოიფრქვა მზის ჩანჩქერი
ჩემი სახლის სახურავზე,
მამაჩემის სუნი ასდის
ამ დალოცვილ ბუხარს კვამლზე.

დაიბერტყა შემოდგომამ
ჭირნახული მთელი წლისა,
ამოხაპა დედაჩემმა
შოთისპური — რისხვა მტრისა.

ალბათ, დედის ძუძუებში
ხსენის ნაცვლად ვწოვე ღვინო
და ამიტომ ამოჟონა
ლექსში ღვინომ საღიღინოდ.

სიცოცხლეა თქვენთან ყანწის
ვარდი-ვარდმო გაგორება,
მთვარე, როგორც ჯიხვის ყანწი,
მოიყუდეს მთაგორებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ნაბოკოვი

ლ ი ლ ი ტ ა

რომანი

11.

ერთ ორშაბათ დილას (მგონი, დეკემბერი იყო) მისს პრატმა დამირეკა და მთხოვა, მოსალაპარაკებლად მივსულიყავი. ვიცოდი, რომ დოლის ბოლო ხანებში ცუდი ნიშნები ჰქონდა, მაგრამ მაინც ათასი საშინელება წარმოვიდგინე. იძულებული გავხდი, ერთი პინტა ჯინანასი დამელია, სანამ სკოლაში წასვლას გავბედავდი. ეშაფოტზე დინჯად ავედი; ასე მეგონა, მხოლოდ ხორხი და გული გამაწნდა.

მისს პრატი ძალზე მაღალი, ულაზათო ჭალარამიანი ქალი გაბლდათ; ფართო, ბრტყელ ცხვირზე ეკეთა რქის სათვალე, საიდანაც პატარა თვალები მოუჩანდა. მან უმსგავს, დამამცირებელ პუფზე მიმითთა, თვითონ კი მძიმედ, მაგრამ ყოჩაღად ჩამოჯდა მუხის სავარძლის სახელურზე; რამდენიმე ხანს იყურა, თან მოღიმარ და ცნობისმოყვარე მზერას არ მაცილებდა (გამახსენდა, რომ პირველი შეხვედრისას ასევე ჩამაშტერდა, მაგრამ მაშინ თავს ნება მივეცი, წარბები პირქუშად შემეკრა); შემდეგ თვალი ამარიდა და ჩაფიქრდა — ალბათ, თვალთმაქცობდა. ბოლოს, თითქოს რაღაც ვადაწყვეტილების მიღების ნიშნად, კოტიტა თითებით მუქი რუხი ფერის ფლანელის ქვედატანის წმენდას შეუდგა — როგორც ეტყობოდა, ცარცის ნაკვალევს იცილებდა, ეს საქმიანობა არ შეუწყვეტია და ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე მითხრა:

„ნება მიბოძეთ, პირდაპირ გკითხოთ, მისტერ ჰეზ, თქვენ ძველი ყაიდის, ევროპული ტიპის ძმა ხართ, ხომ ასე?“

„სულაც არა, — მივუგე მე, — შესაძლოა, კონსერვატიული მიდრეკილებები მქონდეს, მაგრამ არა მგონია, ძველი ყაიდის კაცი ვიყო“.

ქალმა სული მოითქვა, მოიღუშა, შემდეგ მომსხო, ფაფუკი ხელები ასწია და ერთმანეთს შემოჰკრა, რითაც მიმანიშნა, საქმის დედაარსზე გადავიდეთო. და კვლავ მომაპყრო მოციმციმე თვალები.

„დოლი ჰეიზი, — მითხრა მან, — მოიხბენელი ვოგონაა, მაგრამ როგორც ჩანს, უჭირს სქესობრივი მომწიფების საწყისი პერიოდის გადალახვა“.

თავი ოდნავ დავუკარი. სხვა რა მექნა?

„ვოგონა ჯერ კიდევ მერყეობს, — გაგრძო მისს პრატმა და ეს მერყეობა ყავისფრად დაწინწკლული, თითქოს დარიჩინმოყრილი ხელების შესაბამისი მოძრაობით გამიხატა, — ანალურსა და გენიტალურ ზონებს შორის. საერთოდ,

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7, 8, 9, 10, 11, 12, 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოლი, რა თქმა უნდა, მომზიბველია“.

„მაპატიეთ, რომელ ზონებს შორის?“ — შეკვეთხე.

„აი, ახლა კი თქვენში ძველმოდური ევროპელი ალაპარაკდა! — განაცხადა მისს პრაგმა, ჩემს მაჯის საათს ხელი ოდნავ დაჭკრა და ჩასმული კბილები მოულოდნელად დაკრიჭა. — მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ დოლის ბიოლოგიური ლტოლვები — პაპიროსი ზომ არ გინდათ? — მოლიანად რიდი ერწყმის ფსიქოლოგიურს, მათი ერთობლიობა დასრულებული არაა“. და ქალმა წამით ხელები შემოაკლო უჩინარ საზამთროს.

„დოლი მომზიდველი, ჭკვიანი, მაგრამ დაუდევრია... (ჩემს თანამოსაუბრეს თავისი ქანდარა არ მიუტოვებია, ისე გადახედა მომხიბველი გოგონას წარმატებების შეფასების ფურცელს, რომელიც მაგიდაზე იდო) მისი ნიშნები სულ უფრო უარესდება. ჰოდა, თავს ვეკითხები, მისტერ ჰეიზ“, — და კვლავ ეს მოჩვენებითი ჩაფიქრება.

„აი, ახეა,—განაგრძო შემდეგ მხნედ,— პაპიროსს ვეწევი და ჩვენი დაუვიწყარი დოქტორი პირსისა არ იყოს, მეტისმეტად მიყვარს ეს საქმე“. მისი ნეხტოებიდან გამოშვებულმა კვამლმა ტახის ეშვები მომაგონა.

„მოდით, რამდენიმე დეტალს აგიწერთ, ეს დიდ დროს არ წაგავრთმევს. სადა მაქვს? (ქაღალდები გადაფურცლა) ჰო, დოლი გამიმწვევად ექცევა მისს რედაკციას და აუტანლად უხეშია მისს კორმორანტთან. ეს კი ჩვენი ერთ-ერთი საგანგებო მეცნიერი თანამშრომლის მოხსენებაა; გოგონა სიამოვნებით მღერის საკლასო გუნდში, თუმცა ამ დროს აზრები სადღაც გაურბის. სიმღერისას ფეხს ფეხზე იდებს. მარცხენა ფეხს რიტმულად აქნევს. მისთვის ნიშანდობლივი გამოთქმების რუბრიკა: მოზარდთა ჩვეულებრივი სლენგის ორას ორმოცდაორი სიტყვა და აშკარად ევროპული წარმოშობის მრავალმარცვლიანი სიტყვების გარკვეული რაოდენობა. გაკვეთილებზე ზშირად იხრავს. სადაა... ჰო. აქ ნოემბრის უკანასკნელი კვირის შესახებაა. ხშირად იხრავს... ენერგიულად ღეჭავს რეზინს. ფრჩხილებს არ იკვნეტს, სამწუხაროა კია — ეს საერთო სურაოის შესატყვისი თვისება იქნებოდა — რა თქმა უნდა, მეცნიერული თვალსაზრისით. სუბიექტის თქმით, მენსტრუაცია სავსებით ჩამოყალიბებული აქვს. ამჟამად არც ერთ საეკლესიო ორგანიზაციაში არ მონაწილეობს. ჰო, მართლა, მისტერ ჰეიზ, დედამისი იყო თუ არა...? — აი, თურმე, რაში ყოფილა საქმე. — თქვენ თვითონ..? ჰო, რა თქმა უნდა, ეს არავის ეხება—ალბათ, უფალი ღმერთის გარდა. კიდევ ზოგიერთი საკითხის გარკვევა გვინდოდა. გოგონას, როგორც ჩანს, არავითარი საშინაო მოვალეობა არ აკისრია? აჰა, კეთილი, კეთილი. თქვენ, მისტერ ჰეიზ, ალბათ, გსურთ, რომ დოლი პრინცესასავით განაბიეროთ. კიდევ რა გვაქვს? წიანებს ხელში იღებს და შემდეგ მეტად გრაციოზულად გადადებს ხოლმე ვეერზე. სასიამოვნო ხმა აქვს. საკმაოდ ზშირად ითხოვთებს. ცოტათი მეოცნებეა. საკუთარი იდუმალი ხუმრობები სჩვევია, მაგალითად, ზოგიერთი მასწავლებლის გვარს უკუღმა კითხულობს. ბაცი ქერა ფერის თმაში მუქი კულულები უჩანს, ბზინვარე თმა აქვს — თუმცა, ეფიქრობ (აქ მისს პრატი აჭიზვინდა), — ეს თქვენც იცით. ცხვირით თავისუფლად სუნთქავს. ფეხის მაღალი ზურგი აქვს. თვალები — დაიკაო, აქ უფრო გვიანდელი ანგარიში მქონდა. ჰო! მისს გოლდი ამბობს, რომ ჩოგბურთის სტილის შეფასება „ფრიადიდან“ „შესანიშნავამდე“ გაიზარდა, რაც ჭარბობს ჩვენი ჩემპიონის, ლინდა ჰოლის შეფასებას. ამასთან, დოლი კონცენტრირებას ვერ ახერხებს, რაც ანგარიშშიც გამოსჭვივის. მისს კორმორანტს ვერ გადაუწყვეტია, დოლი არაჩვეულებრივად ფლობს საკუთარ ემოციებს თუ თვითონ განიცდის მათ ზეგავლენას. მისს ზელეკა აცნდებს, რომ მას, ესე იგი, დოლის, არ ძალუძს გრძნობების სიტყვიერი გაფორმება, ხოლო მისს ლუტენს მიაჩნია, რომ დოლის ორგანული ფუნქციები ჩინებულია. მისს მოლარი ფიქრობს, რომ დოლი ახლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველია და კარგ ოფტალმოლოგს უნდა ეჩვენოს, მისს რედკოკი კი, პარიქით, ამტკიცებს, რომ გოგონა ცდილობს თვალების დაავადების სიმულირებას, რათა სწავლის ნაკლოვანებები გაამართლოს. და ბოლოს, მისტერ ჰეიზ, ერთი რამ ძალზე აღელვებს ჩვენს კვლევარებს. გულახდილად უნდა გკითხოთ. მინდა ვიცოდე, თქვენმა საბრალო ცოლმა, ან თქვენ ოვითონ, ან ოჯახის სხვა რომელიმე წევრმა, — სწორად გავიგე თუ არა, რომ დოლის კალიფორნიაში რამდენიმე დეიდა და პაპა ჰყავს? — აჰ, ყველა გარდაცვალა? — მაპატიეთ, — მაგრამ მაინც გვაღელვებს საკითხი, აუხსნა თუ არა მას ოჯახის რომელიმე წევრმა, როგორ ხრციელდება ძუძუმწოვართა გამრავლება? ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს თხუთმეტი წლის ასაკში დოლი თანატოლებს ჩამორჩა და სქესის პრობლემები არ აინტერესებს; უფრო ზუსტად, ის, ალბათ, თრგუნავს თავის ინტერესს მათ მიმართ, რათა თავისი უმეცრება შენიღბის და საკუთარი ღირსების გრძნობა არ შებღალოს. კეთილი, მე შევცდი — ის თხუთმეტისა კი არა, თითქმის თოთხმეტი წლისაა. მოგეხსენებათ, მისტერ ჰეიზ, რომ ჩვენს სკოლას არ სურს ფუტკრებსა და მტვრიანებზე, ყარყატებსა და ჩიტუნიებზე შეთხზული ზღაპრებით ბავშვების მოტყუება. ამასთან, ძალზე მტკიცედ გვჯერა, რომ აუცილებელია მოსწავლე გოგონების მომზადება ურთიერთდამაკმაყოფილებელი ცოლქმრული თანაცხოვრებისა და ბედნიერი დედობისათვის. ეფიქრობთ, დოლი წარმატებით ისწავლის, თუკი ამას მოიწადინებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისს კორმორანების მოხსენებაა, საწყენად არ დაგრჩეთ, მაგრამ დოლი უტიფრად იქცევა ხოლმე. ალბათ, საჭიროა, თქვენმა შინაურმა ექიმმა აუხსნას გოგონას სქესობრივი ცხოვრების ელემენტარული საფუძვლები; გარდა ამისა, ნება უნდა დართოთ, თავი შეიქციოს მეგობრების ძმებთან ურთიერთობით — ან „ახალგაზრდობის კლუბში“, ან უწმინდესი რიგვრის ორგანიზაციაში ან, ბოლოს, ჩვენ [illegible] ბის შესანიშნავ ოჯახურ გარემოცვაში!“

„მას შეუძლია ვაჟებთან შეხვედრა საკუთარ შესანიშნავ ოჯახურ გარემოცვაში“.

„ვიმედოვნებთ, რომ ახეც იქნება, — მითხრა აღფრთოვანებულმა მისს პრატმა, — თუმცა, დოლიმ არ მოისურვა თავისი ოჯახური პირობების შესახებ მსჯელობა; ძის თანაკლასელებთან მოთათბირების შემდეგ — მისმინეთ — მოვითხოვთ იმ ვეტოს გაუქმებას, თქვენ რომ დაადეთ ჩვენს სპექტაკლებში გოგონას მონაწილეობას. უბრალოდ, ვალდებული ხართ, ნება დართოთ დოლის, ითამაშოს „მოჯადოებულ მონადირეებში“. როლების პირველი განაწილებისას მშვენიერი პატარა ნიმფის სახით წარგვიდგა. გაზაფხულზე ავტორი რამდენიმე დღეს გაატარებს ბერდსლეის უნივერსიტეტში და, ალბათ, დათანხმდება, დაესწროს ორ-სამ რეპეტიციას ჩვენს ახალ აუდიტორიაში. უნდა გითხრათ, რომ სწორედ ესაა ბედნიერება — იყო ნორნი, ლამაზი, სიცოცხლით სავსე არსება. თქვენ უნდა გაიგოთ...“

„ყოველთვის, — ჩავურთე მე. — გულისხმიერ მამად მიმაჩნდა თავი“.

„ოჰ, ეჭვი არ მეპარება! მაგრამ მისს ზელვა და მისს ლუტენი ფიქრობენ, — და მეც უნდა დავეთანხმო მათ — რომ დოლის მოსვენებას არ აძლევს სექსუალური ფიქრები. ის გამოსავალს ვერ პოულობს და ამიტომ გამუდმებით აღიზიანებს და აწვალებს გოგონებს — და ზოგიერთ ახალგაზრდა მასწავლებელსაც კი, როდესაც უკუდმა ატრიალებს მათ გვარებს, — რადგან ისინი ვაჟებს ხვდებიან“.

გაქუცულმა ემიგრანტმა მხრები ავიჩეჩე.

„მოდით, ერთად ვიფიქროთ, მისტერ ჰეიზ. რა ემართება ამ ბავშვს?“

„ჩემი აზრით, საკმაოდ ნორმალური და ბედნიერია“, გუპასუხე მე (იქნებ კატასტროფა ბოლოს და ბოლოს მოახლოვდა? იქნებ მამხილეს? იქნებ ჰიპნოტიზიორს მიმართეს?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაღელვებს, — თქვა მისს პრატმა, საათზე დაიხედა და თავიდან შეუდგა საკითხის განხილვას, — რომ, აღმზრდელებისა და ამხანაგების შეხედულებით, ღილი მტრულად განწყობილი, აფორიაქებული, გულჩათხრობილი გოგონაა, — და ყველას გვიკვირს, რატომ ეწინააღმდეგებით ნორმალური ბავშვებისთვის ჩვეულ ნორმალურ გართობას?“

„სასიყვარულო პრელიმინარიების ჩართვით?“ — ვიკითხე თავხედურად, შეუპოვრად, — ჩიხში ძომწყვდეული ბებერი ვირთხის კადნიერებით.

„ეგრე იყოს, მივესალმები თამამ ტერმინოლოგიას, — წარმოთქვა მისს პრატმა და ჩაიცინა.. — მაგრამ საქმე ეს არაა. ბერდსლეის გიმნაზიაში მოსწავლეებს თვალყურს ადევნებენ, ამატომ ჩვენთან გამართული სპექტაკლები, ცეკვები და სხვა სახის ბუნებრივი გასართობები ვერ ჩაითვლება უშუალოდ სასიყვარულო პრელიმინარიებად, თუ თქვენი არგუმენტი ამაზე დაიყვანება“.

„კეთილი, — მივუთე მე და ჩემმა პუფმა უილაჯად ამოიოხრა. — გაიმარჯვეთ. ითამშებს პიესაში. მაგრამ თუ ზოგიერთი როლი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი, პირობას გიყენებთ: ამგვარი როლები გოგონებს უნდა გადაეცეს“.

„ყოველთვის მაოცებს, — შემეპასუხა მისს პრატი, — რა მარჯვედ იყენებს ზოგიერთი უცხოელი — ან, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ნატურალიზირებული ამერიკელი — ჩვენს მდიდარ ენას. დარწმუნებული ვარ, რომ მისს გოლდს (რომელიც დრამატულ ჯგუფს ხელმძღვანელობს) ეს ძალიან გაუხარდება. სხვათა შორის, დასახელებული პედაგოგი, მგონი, იმ მცარერიცხოვან მასწავლებლებს განეკუთვნება, რომლებმაც ძნელად აღსაზრდელ ღილისთან საერთო ენა იპოვეს. ესეც ასე, ზოგად საკითხებზე მსჯელობა დავასრულეთ, ახლა ერთი წვრილმანი დაგვრჩა. მისტერ ჰეიზ, თქვენმა ღილიმ ისევ იეშმაკა“.

მისს პრატ შეჩერდა, შემდეგ საჩვენებელი თითი ნესტოებქვეშ ისე მძლავრად გაისვ-გამოისვა, რომ მისი ცხვირი საომარ როკვას შეუდგა.

„გულახდილი ადამიანი ვარ, — მითხრა მან, — მაგრამ ზოგიერთი პირობითობის გამო მიჭირს... კეთილი, მოდით, ამგვარად აგიხსნით: ბერდსლეიში ცხოვრობს უოკერვების ოჯახი. მათ ძველ სახლს ჰერცოგის სასახლეს ვუწოდებთ — ალბათ, გინახავთ ბორცვზე წამოჭიმული ეს ვეება რუხი შენობა. უოკერების ორი გოგონა ჩვენს სკოლაში დადის; აქვე სწავლობს აგრეთვე უნივერსიტეტის პრეზიდენტის, დოქტორ მურის ძმისწული, უაღრესად ზრდილი ქალიშვილი; ჩვენი მოსწავლეების რიცხვშია წარჩინებული ოჯახების ბევრი სხვა შთამომავალიც. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საგონებელში ჩაგვაგდო ღილის ქცევამ: გარეგნულად მეტად წესიერი გოგონა ხმაურობს ისეთ სიტყვებს, რომლებიც თქვენთვის, როგორც უცხოელისთვის, უცნობი ან გაუგებარი იქნება. ხომ არ აჯობებს, ღილის მოვუხმოთ და დაუყოვნებლივ ვემსჯელოთ ყველაფერზე? არ გსურთ? იცით თუ არა, რომ — მოდით, გულწრფელად ვლაპარაკოთ — ღილიმ დწერა უხამსი ტერმინი, რომელიც ჩვენი ექიმის, ქალბატონ კატლერის აზრით, მექსიკური ქუჩურ ჟარგონზე პისუარს აღნიშნავს? მან ეს სიტყვა კოსმეტიკური ფანქრით მიაწერა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ პროშურას (ისინი გოგონებს დაურიგა მისს რედკოკმა, რომელიც ივნისში თხოვდება). გადავწყვეტეთ, ღილი გაკვეთილების შემდეგ ნახევარი საათით დაგვეტოვებინა. მაგრამ თუ გსურთ...“

„არა, — ვუთხარი მე — არ მსურს თქვენი წესების დარღვევა. პირისპირ მოველაპარაკები. ყოველივეს გამოვარკვევ“.

„დიახ, ასე მოიქეცით, — მიპასუხა მისს პრატმა და სავარძლის სახელურიდან წამოდგა. — ახლო მომავალში კვლავ ვისაუბროთ და თუ არაფერი გაუმჯობესდა, ვთხოვოთ ჩვენს ექიმს, გამოიკვლიოს გოგონა“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იქნებ პრატზე დავქორწინდე და შემდეგ მოვგუდი?

„გარდა ამისა, თქვენმა შინაურმა ექიმმაც უნდა გასინჯოს. მარტივი, რუტინული შემოწმება იქნება. დღი დერეფნის ბოლოს, „კლას-ოასში“ დავსვი“.

განგიმარტავთ, რომ ბერდსლეის გიმნაზია ინგლისის სახელგანოქმული ქალთა სკოლას ჰბაძავდა და საკლასო ოთახებს განსხვავებულ, თითქოსდა ტრადიციულ სახელწოდებებს ანიჭებდა, მაგალითად, კლასი-ასი, კლასი-აღმასი და ასე შემდეგ. კლასი-თასი მყრალი ოთახი იყო. შავი დფფის ოავზე რეინოლდსის „სიყრმის წლების“ ყავისფერი რეპროდუქცია ეკიდა და დაბრეცილი მერხები იდგა. ერთ-ერთ მათგანზე მჯდარი ლოლიტა ბეკერის „დრამატული ტექნიკის“ იმ თავს ჩაღრმავებოდა, სადაც დიალოგის ხელოვნებაა განხილული. ირგვლივ სიჩუქე სუფევდა. ლოლიტას წინ სხვა ბოგონა იჯდა. ძალზე შიშველი, ფაიფურისებრი კისერი და მშვენიერი, ბაცი ოქროსფერი თმა ჰქონდა. ისიც კითხულობდა, გარშემო ვერაფერს ამჩნევდა და თითზე ანუწუწვექლივ ახვევდა რბილ კულულს. ამ კისერსა და კულულს უკან დოლის მივუჯექი, პალტო გავიხსენი, და სამოცდაზუთი ცენტისა და სასკოლო სპექტაკლში მონაწილეობის უფლების დართვის ფასად იმას მივადწიე, რომ დოლიმ მერხქვეშ მათხოვა თავისი ცარცითა და მელნით მოსვრილი, წითელსახსრებიანი ხელი. რა თქმა უნდა, ეს სულელური და წინდაუხედავი საქციელი იყო, მაგრამ გიმნაზიის დირექტორის კაბინეტში ახლახან გადატანილი წამების შემდეგ, უბრალოდ, იძულებული გავხდი, იმ კომბინაციისთვის მომეშართა, რომელიც შემდეგ არასოდეს გამომიყენებია.

12.

საშობაოდ ლოლიტა გაცივდა. ავად მყოფი ბოგონა ბიანკა ლესტერის ერთ-ერთმა მეგობარმა, ექიმმა ილზა ტრისტრამსონმა გასინჯა (გამარჯობათ, ილზა, თქვენ ძალზე თავაზიანად მოგვექეცით, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ გამოგიჩენიათ და ჩემს გერიტს ნაზი ალერსით ჰკიდებდით ხელს). მან ბრონქიტი დაადგინა, ლოლიტას შიშველ ზურგზე ხელი მოუთათუნა (იქ, სადაც სიცხისგან ღინღლი ამაგრულიყო) და ერთი კვირის ან მეტი ხნის განმავლობაში ლოგიწი წოლა ურჩია. თავდაპირველად ბოგონას მაღალი სიცხე ჰქონდა და ხელი ვერ ავიღე მოულოდნელ მხურვალე ამებაზე (ცოტა-ცხელების ვენერა ვვეწვია), მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, მეტად მოთვინიერი ბოგონა ჩემს ჯიუტ მკლავებში კენესოდა, ახველებდა და ორთოდა. როგორც კი გამოძალჯობინდა, მისი კბილა ვაჟები დაკაპტიე და სადამოს წვეულება გაუმართე.

ალბათ, მძიმე განსაცდელის მოლოდინში ბევრი დავლიე. ალბათ, სულელურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ბოგონებმა შეამკეს და დაუშტეფსელეს ნაბეის ხე (ეს გერმანული საშობაო ჩვეულებაა, ოღონდ წინათ სანლეებს ანთებდნენ, ახლა კი ფერად ნათურებს იყენებენ). მათვე შეარჩიეს ფირფიტები, რომლებითაც ჩემი სახლის პატრონის გრამოფონი უნდა გამოეკვებინა. დოლის ეცა ლამაზი რუხი ფერის კაბა მჭიდროდ მორგებული ლიფითა და ფართო ქვედატანით. ღიღინით ავედი ზემოთ, მაგრამ მერე ყოველი ათი ან ოცი წუთის შემდეგ ყეყეჩივით ჩამოვდიოდი პირველ სართულზე და ვიმაზეზებდი, ბუხარზე ჩაბუნი დამრჩა-მეთქი. ზოგჯერ გაზეთის ასაღებად ვბრუნდებოდი; ხელ უფრო მიჭირდა ამ მარტივი მოქმედებების ჩადენა, და ძალაუნებურად ვიხსენებდი რამზდელსა და უსაზღვროდ შორეულ დღეებს. რა მტანჯველად ვემზადებოდი იმ ოთახში შესასვლელად, სადაც გრამოფონი „პატარა კარმენს“ უკრავდა!

წვეულებამ უხეიროდ ჩაიარა. სამი ბოგონა დავპატიჟეთ, მაგრამ ერთი მათგანი არ მოვიდა, ერთ-ერთმა კავალერმა კი თავისი ბიძაშვილი მოიყვანა (რი ერქვა). ამგვარად, ორი ვაჟი ზედმეტი აღმოჩნდა. ორივე ბიძაშვილს ცეკვა ეხერხებოდა, მაგრამ დანარჩენებმა ცეკვა თითქმის სულ არ იცოდნენ. ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს უმეტესმა ნაწილმა სამზარეულოს მარეგ-მორეკაში განვლო, შემდეგ მოზარდები ბრტყელ-ბრტყელი გამოთქმებით კამათობდნენ იმაზე, კარტის რომელი თამაშისათვის მიენიჭებინათ უპირატესობა. გარკვეული დროის შემდეგ ორი გოგონა და ოთხი ბიჭი სასტუმრო ოთახის იატაკზე მოკალთდა. ყველა ფანჯარა გაადეს და თავს იქცევდნენ რომელიღაც სიტყვიერი თამაშით, რომლის წესები ოპალმა ვერაფრით შეიგნო. ამ დროს მონა და როი (აყლაყუდა კეთილსახიერი ჭაბუკი) სამზარეულოს მაგიდაზე ისხდნენ, კოჭას ლიმონათს მიირთმევდნენ, ფეხებს აქნევდნენ და მხურვალედ მსჯელობდნენ ბედისწერისა და სტატისტიკური ალბათობის კანონის შესახებ.

როდესაც სტუმრები წავიდნენ, ლოლიტამ „ეჰ“-ისმაგვარი ბგერა ამოუშვა, თვალები დახუჭა, საკრძალში მოწყვეტით ჩავრდა და ხელ-ფეხი ვარსკვლავივით გაშალა, რითაც ხაზგასმით აღნიშნა თავისი ზიზღი და დაღლილობა; შემომფიცა, ბიჭების ასეთი ამაზრზენი ხროკი არასოდეს მინახავსო. ამ ფრაზის საზღვარად ტენისის ახალი ჩოგანი ვუყიდე.

ნოტით და თბილი იანვრის შემდეგ, თებერვალში უეცრად ოქროსფრად აყვავილდა ფორსიტის ბუჩქები. ასეთი ამინდი ძველ მცხოვრებთაც კი არ ახსოვდათ! სხვაგვარი ძღვენთაც გავიხარეთ. დაბადების თოთხმეტი წლის თაებზე, 1949 წლის პირველ დღეს ლოლიტას ველოსიპედი ვაჩუქე. ეს იყო კოპწია მექანიკური ქურცაკი, რომელიც ერთხელ უკვე მოვიხსენიე; მას დავამატე „თანამედროვე ამერიკული ფერწერის ანთოლოგია“; რატომღაც საოცარ საამოვნებას მანიჭებდა ველოსიპედის მახლობლად გოგონას ფუსფუსი, დაჯდომისას მისი გაკანჭული ფეხის მოძრაობა და სხვა ამგვარნი. ამასთან, ლოლიტას მხატვრული გემოვნების გასაუმჯობესებლად მიმართული ჩემი ძალისხმევა მარცხით დასრულდა: აინტერესებდა, უნდა მიგვეჩნია თუ არა ნასადილევს თავზე ჩაძინებული ფერმერი წინა პლანზე გამოსახული ძალზე ვნებიანი ქალიშვილის მამად (დირიდა ლის ტილოზე); ვერაფრით ვერ მიხვდა, რის საფუძველზე ვამტკიცებდი, რომ ვრანტ ვუდი და პიტერ გუნდი ნიჭიერი მხატვრები იყვნენ, ხოლო რეჯინალდ მარში და ფრედერიკ უო ულაზათოდ ხატავდნენ.

13.

იმ დროისთვის, როდესაც გაზაფხულმა თეერის ქუჩა ყვითლად, მწვანედ და ვარდისფრად აჭრელა, ლოლიტას უკვე საბოლოოდ შეუყვარდა თეატრი. ერთხელ, ვალტონის კაფეში მოსაუზმე ქალაპატონებს შორის მისს პრატი შევნიშნე; შორიდან თვალი თვალში გამიყარა და — სანამ ლოლიტა სხვა მხარეს იყურებოდა — ვულთაფი, უხმაური, თავშეკავებული აპლოდისმენტებით დამაჯილდოვა. ვერ ვიტან თეატრს; ისტორიულ პერსპექტივაში ის სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნების პრიმიტიული და ძირმომპალი ფორმა. მასში შეინიშნება ქვის ხანის წეს-ჩვეულებები და ყოველგვარი კომუნალური სისულელე. გენიალური პიროვნებების (მაგალითად, შექსპირის ან ბენ ჯონსონის) ინდივიდუალურ წვლილს განმარტოებულ მკითხველი ავტომატურად (ყოველგვარი მსახიობების გარეშე) აითვისებს დრამატული ნაწარმოებიდან. იმ ხანებში საკუთარი ლიტერატურული შრომით ვიყავი გართული და ვერ მოვახერხე „მოჯადოებული მონადირეების“ სრული ტექსტის გაცნობა. დოლორეს ჰეიზს ეერკო როლი ფერმერის ქალიშვილისა, რომელსაც თავი ტყის ფერიად თუ დიანად წარმოედგინა. სადღაც ჰიპნოზის სახელმძღვანელო ეშოვა და გზაანბეულ მონადირეებს ამა თუ იმ სასაცილო მდგომარეობაში ახვევდა; საბოლოოდ ეს დრიადა თვითონაც მოინუსხა ყარიბი პიეტის (მონა დალი) ხიბლით. ეს იყო, არსებითად, ყველაფერი, რაც ამოვიკითხე უხეიროდ გადაბეჭდილი ტექსტის მოჭშეუჭნილ ნაგლეჯებში, ლოლიტამ მოელ სახლში რომ მიყარ-მოყარა. მესიამოვნა და თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევდა მომგვარა იმ ფაქტმა, რომ პიესის სათაური დაუვიწყარი სასტუმროს სახელწოდებას იმეორებდა. შემეძლო, ჩემი განცდები პატარა ფერიასათვის მეუწყებინა, მაგრამ ის ურცხად დამდებდა ბრალს სანტიმენტალურობაში. ეს კი გაცილებით უფრო მეტ ტანჯვას მომაყენებდა, ვიდრე ლოლიტას ბრიყვული გულმავიწყობა. ერთი შეხედვით, პიესა რომელიღაც ბანალური ლეგენდის, ანონიმურ გადმღერებას წარმოადგენდა. სავარაუდო იყო ისიც, რომ სასტუმროს პატრონის მიერ მიმზიდველი სახელწოდების შერჩევაზე უშუალო ზეგავლენა იქონია კელლის მეორეხარისხოვანი მხატვრის შემთხვევითმა ფანტაზიამ. მიმნდობი, უზაკველი და კეთილმოსურნე ვიყავი, ამიტომ ყოველივე უნებლიედ სრულიად სხვაგვარად წარმოვიდგინე: მექანიკურად ვიგულისხმე, რომ ფრესკების, ფირნიშსა და სახელწოდების საერთო საფუძველი უნდა ჰქონოდა (ალბათ, ეს ადგილობრივი გადმოცემა იყო). ახალი ინგლისის ფოლკლორს საერთოდ არ ვიცნობდი. ისეთი (კვლავ შემთხვევითი და ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული) შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს წყეული პიესა ბავშვთა აუდიტორიისთვის განკუთვნილი, ათასჯერ გადაკეთებული და მიმარჯვებული იყო. ამგვარი იყო, მაგალითად, მავანი ავტორის „ჭენზელი და გრეტელი“ ან „ძმანარე მზეთუნახავი“, ან კიდევ ვიღაც მორის ვერმინტასა და მარიონ რემპელმაიერის „მეფის ახალი სამოსი“ (დასახელებულ ნაწარმოებებს იპოვით კრებულებში: „ხასკოლო სცენა“ ან „დავდგათ პიესა!“). სხვაგვარად, არ ვიცოდი, – და კიდეც რომ მცოდნოდა, ამას არაფრად დაგიდევდით, – რომ სინამდვილეში „მოჯადოებული მონადირეები“ დიდი ხნის წინათ რიღი იყო დაწერილი. ეს ტექნიკური თვალსაზრისით თვითმყოფადი ქმნილება სულ სამოოთხი თვის წინათ დაიდგა ნიუ-იორკის ერთ პრეტენზიულ სტუდიაში. ჩემი გოგონას როლი ცხადჰყოფდა, რომ ამ ღვლარჭნელ ნაწარმოებში ლენორმანის, მეტერლინკის და ყოველგვარი უღიმღამო ინგლისელი დრამატურგების ოცნებათა გამოძახილები შეიმჩნეოდა. ამერიკული პიესების წესისამებრ, ყველა მონადირე ერთნაირად იყო ჩაცმული, ერთნაირი წითელი კეპები ეხურათ და მხოლოდ იარაღით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ერთი მთაგანი ბანკირი იყო, მეორე – მეწყალსადენე, მესამე – პოლიციელი, მეოთხე – მეკუბოვე, მეხუთე–დამზღვევი, მეექვსე კი – გაქცეული კატორღელი (დრამატული ეფექტები აქ თვალსაჩინოა); ისინი შინაგანად გარდაიქმნენ მას შემდეგ, რაც ღოლის ველზე მოხვდნენ. ნამდვილი ცხოვრება უკვე მხოლოდ ზმანებად ან უსიამო სიზმრად ესახებოდათ, რისგანაც ყველა ჩემმა აწია დიანამ გამოაფხიზლა; მაგრამ მეშვიდე მონადირე (ამ დოლლაპიას წითელის ნაცვლად, მწვანე კეპი ეხურა) ჭაბუკი პოეტი იყო. დიანატას ეწყინა, როდესაც პოეტმა დაიჟინა, დივერტისმენტის ყველა მონაწილე (მოცეკვავე ნიმფეტი, ელფები, ქაჯები) – მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფიაო. რამდენადაც მივხვდი, პიესის დასასრული პოეტის თავდაჯერებით აღშფოთებულმა ფეხშიშველმა დოლორესმა თავისი პოეტი მიიყვანა მამამისის მიყრუებულ ფერმაში. აქ მას უნდა დაეტოკცებინა ვაჟთათვის, რომ მისი გამონაგონი კი არა, რეალური სოფელი გოგონა იყო და მტკაცედ იდგა შავმიწა ნიადაგზე; პიესის იდეას განამტკიცებდა ვმრეშის ამბორი ფარდის დახურვის წინ; ეს უკანასკნელი გვმოძღვრავდა, რომ ოცნება და სინამდვილე საყვარულში ერწყმის ურთიერთს. კეთილგონიერება მიერნევდა, ლოლიტასთან საუბრებში კრიტიკისთვის თავი ამერიდებინა. გოგონა გამომსახველობის პრობლემებმა გაიტაცა, გულზე ნარნარად იკრეფდა თლილ ფლორენციულ ხელებს, თვალებს ახამხამებდა და მაფიცებდა, არ დავსწრებოდი რეპეტიციებს, როგორც ამას ზოგიერთი სასაცილო მშობელი სჩადიოდა! მეუბნებოდა, რომ სწადდა, არაფრით შემებღალა პირველი წარმოდგენის თვალსაზრისით შთაბეჭდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, თურმე, ყოველთვის არამკითხე მოამბე ვიყავი, შეუსაბამოდ ვმსჯელობდი და ნაცნობებთან ვარცხვენდი.

როგორც ჩანს, ერთმა რეპეტიციამ მასზე საგანგებო ზეგავლენა იქონია. ო, ჩემო გულო!... ეს იყო მაისის განსაკუთრებულ, სამაური ფუსფუსით აღსავსე დღეს — მაგრამ როგორღაც ვერაფერი შევაშჩნიე. ყოველივე ჩემს თვალსაწიერს მიღმა დარჩა, მეხსიერებაში არ აღბეჭდა; და როდესაც საღამოს კვლავ დავანახე ლოლიტა (ჩვენი მდელობის ნაპირას ველოსიპედზე იჯდა, ქანაობდა და ხელით ნორჩი არყის ხის ნოტიო ქერქს ეჭიდებოდა), მისი სხეულისული სახის ალერსიანმა ღიმილმა ისერიგად განმაცვიფრა, რომ წამით თავს მივულოცე ყოველგვარი ტანჯვა-წამების დასრულება. „მითხარი, — მკითხა ფოგონამ, — იქნებ გახსოვს, რა ერქვა ოტელს — ოჰ, შენ გახსოვს, რომელ ოტელს (აქ ცხვირი მოჭმუხნა), აი, იმას, რომლის ჯოში თეთრი სვეტები და მარმარილოს ვედი იყო? როგორ არ იცი (და ხმამაღლა ამოიოხრა), ის ოტელი, სადაც ჩემზე ძალა იხმარე? კარგი, მთავარი ეს არაა, ჯანდაბას. უბრალოდ, მინდა, გკითხო, (თითქმის ჩურჩულით), „მოჯადოებული მონადირეები“ ხომ არ ერქვა? ჰო (მეოცნებედ), მართლა? ასე იყო?“ და ანაზღდად, შეყვარებულის ხმით, ყმაწვილურად წამოიწივლა, ხელისგული ხის ელუვტანს გაუტყაპუნა და სწრაფად გააქროლა ველოსიპედი ზევით, ქუჩის ბოლოსკენ, შემდეგ კი ქვემოთ ჩამოსრიალდა. სრულიად უძრავად იჯდა, ერთი ტერფი მეორეზე უფრო მაღლა ედო, ჰედლებს არ ატრიალებდა, ცალი ხელი კი შიშველ მუხლზე დავიწყნოდა.

14.

ბალეტითა და სცენით გატაცებას მოჰყვა ლოლიტას დაინტერესება მუსიკით; ამიტომ ნება დავრთე, როიალის გაკვეთილებზე ევლო მისს ლამპერერთან (ჩვენ, ფლობერის მკითხველებმა, ასე ვუწოდოთ მას), რომელიც ცისფერდარაბებიან თეთრ სახლში (ბერდსლეიდან ორი მილის დაცილებით) ცხოვრობდა. ლოლიტა იქ კვირაში ორჯერ მიდიოდა ხოლმე. ერთ საღამოს, პარასკევს, მაისის ბოლო რიცხვებში (ერთი კვირის შემდეგ იმ განსაკუთრებული რეპეტიციიდან, რომელზეც ლოლიტამ, ჩვეულებისამებრ, არ მიმაკარა), კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა. გასტონის მეფის ფლანგს ვარდვეედი. მისს ლამპერერმა იკითხა, მიეიდოდა თუ არა ჩემი ემა — „პაპატეი, ლოლიტა — შემდეგ სამშაბათს: მას ზედიზედ ორი გაკვეთილი გამოტოვებინა — წინა სამშაბათს და დღეს. ეუპასუხე, რა თქმა უნდა, მოვა-მეთქი და თამაში განვაგრძე.

მკითხველი ადვილად დაიჯერებს, რომ თავგზა ამებნა და ორი-სამი სვლის შემდეგ, ჭადრაკგარეშე ტანჯვისგან დაბინდული მზერით, შევამჩნიე, რომ გასტონს ჩემი ლაზიერის ხელში ჩაგდება შეეძლო; ეს მანაც შენიშნა, მაგრამ გაქნილი მოწინააღმდეგის მხრივ დაგებული მახისა შეეშინდა. ამიტომ დიდხანს ვერაფერს ბედავდა, ქშნავდა, კოუსუნებდა, ლაშებს აცმაცუნებდა, მალულად მაკვირდებოდა კიდეც, გაუბედავად იწვდიდა და შემდეგ კვლავ უკან სწევდა კოტიტა, შეერთებულ თითებს — გაგიეკბით ესწრაფოდა ამ ვემრიელი ლუკმის გადასანსვლას — და მსწრაფლ ჩაბღუჯა ის (ამ შემთხვევამ ხომ არ ასწავლა საშიარი შემართება, რაც შემდგომ სხვა სფეროში გამოიჩინა? და უაღრესად მომქანცველი საათი გავატარე, სანამ ყაიმს მივაღწევდი. გასტონმა კონიაკი ბოლომდე გამოცალა და რამდენიმე ხნის შემდეგ ბაჯბაჯით წავიდა. თამაშის შედეგით სრულიად კმაყოფილი იყო (ჩემო საბრალო მეგობარო, თქვენი ნახვა აღარ მიწერია; საეჭვოა, ჩემი წიგნი წაიკითხოთ, მაგრამ მაინც ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ ხელს მაგრად გართმევთ. ჩემმა ყველა ქალიშვილმა მოგიკითხათ). დოლორეს ჰეიზი სამზარეულოს მაგიდასთან ვიპოვე, ტორტის ნაჭერს მიირთმევდა და თვალს არ აცილებდა ფურცელს, სადაც მისი როლის ტექსტი იყო აღბეჭდილი. როდესაც შემომხედა, მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზერაში ზეციური სიცარიელე გამოკრთა. ჩემი აღმოჩენა გავუმჟღავნე, მაგრამ საოცარი უშფოთველობა გამოიჩინა. ყალბი მონანიების გამომხატველი გრიმასით მითხრა, რომ ის, რა თქმა უნდა, ძალზე ცუდი გოგონაა, მაგრამ, უბრალოდ, ვერ გაუძღო ცდუნებას და მუსიკალთვის განკუთვნილ საათებში — ო, მკითხველო, ო, ჩემო მკითხველო! — მონასთან ერთად ქალაქის პარკში პიესის ზღაპრულ-ტყიურ სცენებს სწავლობდა. მივუგე, ძალიან კარგი-მეთქი, და ტელეფონისკენ გავეშართე. მონას დედამ მიპასუხა: „დიახ, შინაა", შემდეგ დედობრივი, ნეიტრალური, ზრდილობიანი ქმაყოფილებით ჩაიცინა და სცენის ძიღმა დაიძახა: „როი გთხოვს"; მომდევნო წუთს მონა მოცქრიალდა და მაშინვე დაბალი, მონოტონური, მაგრამ ალერსიანი ხმით დატუქსა რაი ჭაბუკის მიერ ნათქვამი თუ ჩადენილი რომელიღაც სიასაძალის გამო. სიტყვა შევწყვეტინე. მონა მშვიდად გადაერთო და უაღრესად ნაზი, უაღრესად სექსუალური კონტრალტოთი მეუბნებოდა: „დიახ, სერ", „რა თქმა უნდა, სერ", „სერ, მხოლოდ მე მიმიძღვის ბრალი იმ უსიამოვნო ამბავში" (შეხეთ ამ მეყობრ მეტყველებას, მაღალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ამ კილოს!), „ღმერთმანი, ძალზე ვწუხვარ", — და ასე შემდეგ და მისთანანი, როგორც ამ პატარა აშაღლარებს სჩვევიათ.

ხველებ-ხველებით კვლავ პირველ სართულზე ჩავედი. გული ძალუმად მიძგერდა. ლოლიტა ახლა სასტუმრო ოთახში იყო და თავის საყვარელ ტყავის საკარმელში იჯდა, ნებიერად გაშლართულიყო, ნუნებს იკვნეტდა, ცივი, ნაცრისფერი თვალებით გამქერდავად მიმზერდა და გაჭიმული წინდიანი ფეხით ტაბურეტს არწევდა. გულისამრევი ტკივილით თვალნალიე ვიგრძენი, როგორ შეიცვალა გოგონა ჩვენი ნაცნობობის ორი წლის განმავლობაში. იქნებ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში გარდაიქმნა? სად გაქრა სინაზით აღსავსე დამოკიდებულება მის მიმართ? მითი ერთიანად გაცამტვერდა! ლოლიტა უშუალოდ ჩემი აგზნებული მრისხანების ფოკუსში იმყოფებოდა. ენინს ბურუსი გაიფანტა და არაფერი დამიტოვა ამ შემზარავი სიცხადის გარდა. დიახ, ლოლიტა შეიცვალა! მისი კანი ისეთივე იყო, როგორც კანი ნებისმიერი ვულგარული, ფეთხუში ვიმნაზიტი ქალიშვილისა, რომელიც ამზანაგებს უზიარებს ხოლმე თავის კოსმეტიკურ კრემს და დაუბანელ სახეზე ჭუჭყიანი თითებით ისვამს მას; ამგვარი გოგონებისთვის სულ ერთია, ვისი პიჯაკის ჭუჭყიანი სახელო თუ ბუგრიანი ლოყა ეხება სახეზე. უწინ კი ლოლიტას კანი ისეთი ხავერდოვანი ღინღლიი იყო დაფარული! ისე ელვარებდა ცრემლით დანამული მისი ღაწვები, როდესაც ვეთამაშებოდი და გოგონას აბურძგნილ თავს ჩემს მუცელზე ვაგორავებდი! უბიწოების სხივებას უხეში სიწითლე შეენაცვალა. ვაზაფხულის სურდომ ვარდისფრად აიელვარა მისი ქედაღლური ნესტოები. ელდანაკრავმა, თვალები დაეხარე და უნებურად დავინახე ლოლიტას გაშიშვლებული, მოკლე ქვედატანიდან ვამოშვერილი ბარძაყის შიდა მხარე — ოჰ, როგორი გლუვი და კუნთოვანი იყო ეს ნორჩი ფეხები! შორიშორ დასმული, ყომრალი თვალები, რომელთა თეთრ გარსზე წითელი ძარღვი გამწყდარიყო, ჯიქურ ჩამშტერებოდნენ და მეჩვენებოდა, თითქოს ამ მზერაში ფარულ აზრს ვამჩნევდი; მონა, ალბათ, არ ცდებოდა და ობოლი პაწაწა დოლორესი მოახერხებდა პოლიციაში ჩემს დაბეზღებას, ისე რომ თვითონ სასჯელი აეცილებინა. როგორ შევცდი! როგორი უგუნურება გამოვიჩინე! ლოლიტაში ყოველივე იდუმალებით იყო მოცული—მძლავრი, სალუქი ფეხები, თეთრი წინდის დასვრილი ძირი. სქელი სვიტერი, რომელიც აქამდე არ გაეხადა (ოთახის დახუთული ჰაერის მიუხედავად), მისი ახლებური, ხახვის სურნელნარევი არომატი დ, განსაკუთრებით, უჩვეულოდ ალეწილი, ტუჩებშეღებილი სახის ჩიხი. საღებავი წინა კბილებზეც დაჩნეოდა და ერთმა მოგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებამ გამგზირა: ეს იყო არა მონიკას ბატება, არამედ — სახე მრავალი წლის წინ ბორდელში ნანახი ყმაწვილი მეძავისა. სანამ ვჯიჯმანობდი, გამოისყიდდა თუ არა გოგონას ერთადერთი ღირსება— სინორჩე — რაიმე დაავადების საშიშროებას, ვიღაცამ დამასწრო და დაეუფლა მას. იმ ბალღსაც ზუსტად ასეთივე შეფაკლული ყვრიმალები და მსხვილი წინა კბილები ჰქონდა, დედა გარდაცვლოდა, მამაბური ქერა თმა კი გაცრეცილი წითელი ლენტით ჰქონდა შეკრული.

„როგორაა საქმე, ბარემ მითხარი, — მომმართა ლოლიტამ. — მონას დასტური დ:მაკმაყოფილებელია?“

— დიახ, — ვუპასუხე მე.—აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი. დიახ. და ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ყველაფერი ერთობლივად მოიგონეთ. მეტსაც ვიტყვი — ეჭვი არ მეპარება, რომ მას აუწყე ჩვენი ურთიერთობის ამბავი“.

„ნუთუ?“

ქოშინი დავლიე და ვუთხარი: „დოლორეს, ეს დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთო. მზადა ვარ, მოგიტაცო ბერდსლეიდან და ჩაგკეფო — ხომ იცი, სად — თუ ეს არ შეწყდება. მზადა ვარ, რამდენიმე წუთის შემდეგ წაგიყვანო — თუნდაც მხოლოდ ერთი ჩემოდნით; მაგრამ ეს უნდა აღიკვეთოს, თორემ გამოუსწორებელი რამ მოხდება“.

„გამოუსწორებელი? რასა ბრძანებ!“

წიხლი მივარტყი ტაბურეტს, რომელსაც ის არწევდა და ლოლიტას ფეხი ყრუ ხმაურით დაეცა იატაკზე.

„ჰეი, — დამიყვირა მან, — ფრთხილად!“

„უპირველეს ყოვლისა, ზემოთ აბრძანდი!“ ახლა მე შევეხე, ხელი ვტაცე და სავარძლიდან წამოვაგდე. ამ წუთიდან თავშეუკავებლად ვუყვიროდით ერთმანეთს, ამასთან, ის უშვერი სიტყვებით მაგინებდა. მიკიჟინებდა, რომ საშინლად ვძულდი. შემზარავად იმანჭებოდა, ლიყვებს ბერავდა და ჯოჯოხეთურ, მსკდომ ბგერას გამოსცემდა. მითხრა, რომ რადენჯერმე მოვწადინე მისი გარყვნა, როდესაც დედამისის მდგმური ვიყავი; დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ მე მოვკალი შარლოტა; განაცხადა, რომ დანებდებოდა პირველსავე ბიგს, რომელიც ამას მოინდომებდა და მე ვერაფერსაც ვერ დავაკლებდი. ვუპრძანე, თავის ოთახში ასულიყო და ეწვენებინა ის ადგილები, სადაც ფულს მალავდა. ეს იყო ამაზრზენი, აუტანლად ზმაძალი სცენა. გოგონას სიფრიფანა მაჯა ღონივრად ჩავდუჯე. ლოლიტა ატრიალებდა მას, ცდილობდა, შეუმჩნეველად მოეძებნა სუსტი ადგილი და ხელსაფერ მომენტში გამსხლტომოდა. საკმაოდ მაგრად მეკავა. საკმაოდ ძმაფრ ტკივილსაც ვაყენებდი, რის სანაცვლოდ, ვიმედოვნებ, გული დამილაპა მკერდში. ორჯერ ისე გაოფორებით გაიწია, რომ შემეშინდა მაჯა ხომ არ მოიტეხა-მეთქი. მთელი ამ დროის განმავლობაში ჯიუტად არ მაცილებდა თავის დაუვიწყარ თვალებს, რომლებშიც ყინულოვანი გულისწყრომა მდუღარე ცრემლს ებრძოდა და ჩვენი ხმები ახშობდა ზედა სართულზე აწკრიალებული ტელეფონის ხმას, და იმ წამს, როდესაც ეს წკრიალი გაიგონე, ლოლიტამ თავი გამოითავისუფლა და მოკურცხლა.

კინოფილმების პერსონაჟთა მსგავსად, მე, როგორც ჩანს, დამოკიდებული ვარ ყოვლისშემძლე machina telephonicas და ადამიანთა სამყაროში მისი ჩარევებისგან. ამჯერად აღმოჩნდა, რომ გაგულისებული მეზობელი ქალი რეკავდა. სასტუმრო ოთახის აღმოსავლეთის ფანჯარა ფართოდ გაღებული დგგეტოვებინა. საბედნიეროდ, ფარდა ჩამოშვებული იყო. ამ ფანჯრის მიღმა ახალი ინგლისის მოჟამული გაზაფხულის წვიმანი, მრუმე ღამე სულგანაბული უსმენდა ჩვენს ჩხუბს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ დამარილებულა ვირთევზას მსგავსი ყიამყრალი შინაბერა თანამედროვე ამერიკული რომანის, ურთიერთმონათესავე პერსონაჟების შეჯავრების წმინდა ლიტერატურული პროდუქტს წარმოადგენდა; მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მეტისმეტად წესიერმა, და ამასთან, მრუშმა მისს აღმოსავლეთმა — ნამდვი-

ᲚᲐᲓ ᲙᲘ (ᲒᲐᲕᲐᲛᲭᲔᲕᲜᲘᲗ ᲗᲣ ᲘᲜᲙᲝᲜᲘᲤᲝᲗ) ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲤᲘᲜᲭᲠᲘᲗ ᲚᲔᲒᲜᲘᲗ — ᲛᲒᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲘᲗ ᲒᲐᲓᲛᲝᲘᲧᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲜᲔᲚᲘ ᲗᲝᲜᲐᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ — ᲚᲐᲛᲝᲑᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲔᲚᲐᲑᲝᲡ ᲐᲠᲣᲡ ᲩᲐᲡᲕᲔᲓᲝᲛᲝᲓᲐ.

„ᲠᲐ ᲐᲚᲝᲐᲥᲝᲗᲝᲜᲐ... ᲠᲐ ᲠᲘᲐᲜᲪᲔᲚᲘᲐ — ᲧᲝᲧᲝᲜᲔᲑᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲧᲣᲠᲛᲚᲘᲡ.—ᲩᲕᲔᲜ ᲐᲥ ᲔᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲕᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲜ. ᲔᲡ ᲠᲝᲒᲠᲘ ᲨᲔᲝᲜᲚᲘᲡᲐ...“

ᲥᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲐᲠ ᲐᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲰᲛᲐᲣᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝ, ᲞᲐᲢᲘᲔᲑᲐ ᲕᲝᲗᲮᲕᲔᲓ („ᲰᲛᲝ ᲛᲝᲒᲖᲮᲚᲔᲜᲔᲑᲐᲗ — ᲐᲮᲚᲒᲐᲠᲗᲠᲔᲓᲘᲐ“) ᲓᲐ ᲨᲣᲐ ᲧᲘᲧᲝᲜᲘᲗ ᲧᲣᲛᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲓᲒᲔᲓ.

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲯᲐᲮᲣᲚᲔᲓ. ᲚᲝᲚᲘᲢᲐ? ᲨᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲪᲐ?

ᲙᲘᲑᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲰᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲫᲘᲠᲐ ᲰᲐᲞᲐᲠᲐ ᲚᲐᲜᲯᲘᲡ ᲑᲣᲩᲘᲕᲔᲜ; ᲡᲘᲑᲘᲚᲔᲚᲘᲡᲐᲨᲘ ᲛᲝᲙᲐᲝᲤᲣ ᲕᲔᲠᲩᲮᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ — ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘᲡ ᲗᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲒᲕᲐ — ᲨᲔᲪᲮᲝᲛᲐ ᲓᲐᲘᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲫᲠᲐ.

ᲘᲡᲔ ᲛᲝᲮᲒᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲜᲘᲗ ᲛᲭᲓᲜᲓᲐ ᲓᲐᲪᲕᲔᲑᲣᲚᲘ. ᲤᲠᲗᲝᲜᲡᲐᲛ ᲚᲔᲪᲗᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲡᲘᲠᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔ — ᲛᲐᲓᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲡᲢᲔᲠᲘ ᲐᲡᲘᲠᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲤᲐᲑᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲔᲑᲔᲠ, ᲓᲐᲡᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲥᲡᲘᲡ. ᲡᲢᲝᲕᲔᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲩᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲭᲐᲠᲕᲐᲚᲘ ᲰᲠᲬᲘᲚᲘᲜᲐᲯᲘ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ, ᲛᲬᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲘᲛᲣᲡᲠᲐ ᲩᲛᲘ ᲒᲖᲐᲖᲔ. ᲓᲠᲝᲒᲓᲠᲝ ᲜᲐᲑᲐᲯᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲗᲝᲠᲛᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲣᲚᲔᲑᲓᲘ! ᲬᲐᲚᲘᲡᲘᲜ ᲮᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲗᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲡᲔᲠ ᲬᲘᲛᲐ ᲐᲢᲚᲐᲨᲣᲜᲔᲓ. ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗᲐ ᲬᲘᲒᲓᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘᲒᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲘᲠᲒᲐ ᲒᲘᲠᲒᲐ ᲰᲐᲯᲣᲯᲘ ᲚᲝᲚᲘᲢᲐ ᲗᲣᲯᲘᲡ ᲛᲝᲐᲯᲐᲠᲘᲡᲐᲜ ᲛᲘᲛᲔᲛᲬᲘᲒᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲩᲘᲜᲔᲑᲐ — ᲐᲠᲐ, ᲔᲡ ᲚᲝᲚᲘᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲓ. ᲭᲐᲜᲒᲘᲗᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ. ᲒᲖᲐ ᲒᲐᲜᲔᲒᲠᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲔᲛᲝᲗᲮᲗᲛᲔᲢᲔᲒ ᲜᲝᲛᲘᲠᲐᲓᲐᲜ ᲜᲐᲰᲒᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲚᲔᲚᲘᲗᲐᲜ ᲗᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲛ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲗ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲡ ᲔᲑᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ; ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲛᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲧᲝᲓᲐ; ᲠᲘᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲑᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲰᲐ — ᲓᲐ ᲨᲔᲣᲔᲑᲜᲘ ᲓᲝᲛᲘᲡᲗᲐᲜ — ᲚᲝᲚᲘᲢᲐᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲘ. ᲙᲐᲠᲘ ᲗᲣᲩᲘᲫᲒᲐ, ᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲓᲔᲓᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐ ᲩᲔᲛᲘᲗᲐᲜ ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲚᲝᲚᲘᲢᲐᲡ (ᲛᲘᲛᲑᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲘᲗᲠᲘᲡ ᲯᲘᲮᲘᲠᲨᲘ ᲛᲓᲒᲐᲠ ᲚᲝᲚᲘᲢᲐᲡ (ᲛᲘᲛᲑᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲔᲛᲘᲗᲠᲘ ᲯᲘᲠ ᲙᲘᲓᲔᲣ ᲒᲘᲝᲕᲐᲠᲐᲫᲔᲐ) ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲔᲯᲠᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐᲠᲘᲐᲓ ᲛᲘᲔᲓᲠᲘᲙᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲒᲝᲜᲩᲝᲜᲐᲛ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲭᲣᲢᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲡᲐᲮᲘᲜᲓᲚᲔᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲣᲡᲯᲣᲯᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲔᲓᲠᲙᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲒᲝᲜᲩᲝᲜᲐᲛ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲭᲣᲢᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲡᲐᲮᲘᲜᲓᲚᲔᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲣᲡᲯᲣᲯᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲔᲓᲠᲙᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲒᲝᲜᲩᲝᲜᲐᲛ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲭᲣᲢᲣᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲡᲐᲮᲘᲜᲓᲚᲔᲓᲐ.

„ᲨᲔᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲯᲐ ᲪᲘᲪᲔᲓᲘ, — ᲓᲐᲣᲓᲔᲯᲠᲐᲓ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ. — ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲕᲘᲔᲓ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲘᲠ ᲙᲝᲯᲐ-ᲙᲝᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲡᲐᲮᲘᲜᲓᲚᲔᲓᲘ, ᲛᲐᲛᲘᲙᲝ“.

ᲑᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲯᲓᲠᲐᲠ ᲚᲝᲚᲘᲢᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲙᲕᲘᲠᲕᲔᲓᲑᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲬᲧᲝᲓᲐ ᲣᲮᲐᲚᲝᲡᲘᲜ, ᲤᲘᲠᲛᲐᲙᲠᲐᲪᲘᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲓᲐᲚ ᲭᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲬᲛᲐᲓᲐ ᲧᲐᲕᲝᲜᲘᲤᲘᲠ ᲮᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲓᲐ ᲐᲚᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ — ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲚᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲙᲐᲠᲘ ᲗᲣᲩᲘᲫᲒᲐ, ᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲓᲔᲓᲘ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐ ᲩᲔᲛᲘᲗᲐᲜ ᲝᲗᲐᲮᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲚᲝᲚᲘᲢᲐᲡ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲢᲠᲐᲒᲘᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ „ᲩᲐᲘᲕᲔᲚᲘᲡ“), ᲣᲛᲗᲔᲠᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲡᲠᲗᲐᲡᲯᲘ ᲰᲞᲐ (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲠᲐᲣᲜᲘᲜᲒᲗᲐᲜ „ᲩᲐᲘᲕᲔᲚᲘᲡ“) ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲣᲗᲐᲜᲔᲚ ᲜᲐᲰᲐᲖᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲛᲮᲘᲚᲐᲕᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲣᲑᲚᲔᲜᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲝᲠᲛᲝᲜᲓᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲛᲐᲚᲔᲚ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲑᲝᲠᲝᲥᲐᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲛᲣᲠ ᲛᲔᲠᲔᲑᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲫᲘᲪᲐ.

„ᲐᲘ, ᲠᲐ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲩᲔᲛ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲜᲔᲚᲔᲐ ᲓᲐᲫᲠᲐ ᲔᲚᲔᲡᲘᲜᲘᲔᲚᲘ (ᲪᲐᲚ ᲤᲔᲮᲡ ᲔᲚᲒᲐᲠᲐ, ᲩᲐᲛᲣᲫᲔᲑᲣᲚ ᲢᲠᲝᲢᲣᲐᲠᲘ ᲣᲡᲯᲐᲛᲓᲐ). — ᲐᲘ, ᲠᲐ ᲒᲐᲓᲐᲯᲕᲬᲧᲔᲗ. ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲪᲒᲐᲚᲔᲗ! ᲔᲡ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲛᲔᲗᲔᲮᲚᲘᲡᲔᲑᲐ! ᲔᲡ ᲰᲘᲪᲚᲐ ᲛᲔᲗᲔᲮᲚᲘᲡᲔᲑᲐ! ᲰᲐᲢᲠᲘᲝᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲒᲐᲫᲚᲔᲕᲔ! ᲬᲐᲘᲪ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეთ აქედან და ნულარასოდეს დავბრუნდებით. სხვა სკოლა მოვძებნოთ. ხვალვე წავიდეთ. კვლავ ხანგრძლივად ვიმოგზაურთო. ოღონდ ამჯერად იქით წავიდეთ, საითაც მე მოვინდომებ, კარგი?"

დავეთანხმე. ჩემი ლოლიტა.

„მარშრუტს მე ავარჩევ? C'est entendu?" — მეკითხებოდა და ველოსიპედზე ქანაობდა. ფარაგულად მხოლოდ მაშინ მელაპარაკებოდა, როდესაც ძალზე დამჯერი გოგონა იყო.

„აკეთი. Entendu. ახლა კი ჰოპ-ჰოპ-ჰოპ, ლენორა, თორემ დასველდები" (მტკაცნეულ მკერდში ცრემლთა გრიგალს ვიკავებდი).

ლოლიტა მომჯადოებელი ლიმილით წინ დაიხარა, შემდეგ კი ადგილს მოსწყდა. ჩემი ჩიტო!

მისს ლესტერს სათუთი ხელით გამოელი პარმალის კარი აუჩქარებლად მოპაჯაჯე ბებერი ძალისთვის.

ლოლიტა აჩრდილისებრ არყის ხესთან მელოდა.

„ერთთანად დავსველდი, — განაცხადა ხმამაღლა. — კმაყოფილი ხარ? ჯანდაბას პიეს! გესმის?"

სადღაც, ზემოთ უხილავი კუდანი დედაბრის თათმა ფანჯარა მიაჯახუნა. შინ შევედით. წინკარი საზეიმო შუქით იყო გაჩიროდნებული. ლოლიტამ სვეტერი გაიხადა და წვიმით დაცცარული თმა დაიბერტყა. შემდეგ ცალი მუხლი ასწია და შიშველი ხელები ჩემკენ გამოიწვდინა.

„ზემოთ ამიყვანე, გეთაყვა. რატომღაც რომანტიკულ განწყობილებაზე ვარ".

ფიზიოლოგებისთვის; ალბათ, საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ შემიძლია (ეს, ალბათ, უჩვეულო უნარია) ცრემლთა მდინარედ დავიღვარო მეორენაირი გრიგალის განმავლობაში.

15.

საბელობნოში მანქანას მუხრუჭები მოუჭირეს, მილები გაწმინდეს, სარქველები გაამრიალეს. მექანიკაში არც ისე საფუძვლიანად გათვითცნობიერებულმა ბატონმა ჰუმბერტმა სხვაგვარი რემონტის ხარჯიც გაისტუმრა. ამის შემდგომ განსვენებული ქალბატონი ჰუმბერტის საკმაოდ რიგიანად შეკეთებული ავტომობილი ახალი მოგზაურობისთვის მზად იყო.

ბერდსლეის გიმნაზიას, ძველ, ნაცად ბერდსლეის გიმნაზიას დავბრუნდით, რომ ჰოლივუდში ჩემი ანგაჟემენტის დასრულებისას დავბრუნდებოდით (გიმნაზიის ხელმძღვანელობას კეთილგონივრულად მივანიშნე, „ეგზისტენციალიზმის" ამსახველი ფილმის გადაღებაზე კონსულტანტად მიმიწვეს-მეთქი — 1949 წელს ეს ჯერ კიდევ გასავლიან საქონლად ითვლებოდა). სინამდვილეში მექსიკის საზღვარზე უნიმრად გადასკუპება მწადდა (გასული წლის შემდეგ გავკადნიერდი). იქ უნდა გადამეწყვეტა ბედ-იბალი ჩემი პატარა მხვეელისა, რომლის სიმაღლე ახლა სამიც დუმს უდრიდა, წონამ კი ითხმოცდაათ ინგლისურ ფუნტს მიაღწია. ჩვენი ტურისტული წიგნაკები და საგზაო რუკები მოვძებნეთ. ლოლიტამ უდიდესი სიამოვნებით მონიშნა მარშრუტი. საკითხავი იყო, სასცენო ირეალური საქმიანობის შედეგად ხომ არ დასძლია ყმაწვილური მოჩვენებითი მოყირჭება? ახლა გოგონას მშვენიერი სინამდვილის დეტალური გამოკვლევა სურდა. იმ უფერული, მაგრამ თბილ კვირადღის დილას, პროფესორი ჰიმის ფოლიანტი სახლი რომ დავტოვეთ და ქალაქის მთავარ ქუჩაზე გავსრიალდით, სიზმრებისთვის დამახასიათებელ სიმსუბუქეს ვკრძნობდი. ჩემი სატრფოს საზაფხულო, თეთრ და შავზოლიანი კაბა, კეკლუცი ცისფერი ქუდი, თეთრი წინდები და ყავისფერი მოკასინები არც ისე უხდებოდა ვეოცხლის ძეწკვზე დაკიდებულ დიდ, ლამაზ, დაწახნაგებულ აქვამარინს, რომელიც მის ყელს ამშვენებდა. ეს იყო ჩემი — და გაზაფხულის მერეხის — ჩაწუქარი. როდესაც „ახალ სასტუმროს" გავუსწორდით, ანაზდად გაელიმა. — „რაშია საქმე? — ვიკითხე მე. — თუ არ მომატყუებ, დოლარს მიიღებ",

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და გოგონამ მაშინვე გამოიწვდინა ხელსახული. იმავ წამს წითელი შუქნიშნის წინ სწრაფად დავამუხრუჭე. მეორე მანქანა მარცხნიდან მოგვადგა და ნელა შეჩერდა. კაფანდარა, ვარდისფერსახიანი, ძალზე სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა ქალი (სად მინახავს?), რომელსაც მოწითალო-ჟანგისფერი კულულები მხრებზე სცემდა, ლოლიტას წკრიალა წამძახილით მიესალმა, მერე მე შემხედა და ძალზე მხურვალედ, „ჟანადარკულად“ (გამახსენდა!) დამიყვირა: „როგორ არ გრცხვენიათ, რომ დილი სპექტაკლს მოსწყვეტეთ? ერთი მოგესმინათ, როგორ აქებდა რეპეტიციაზე ავტორი“. „მწკანე შუქია, ყეყეჩო“ — წაილაპარაკა დოლიმ ხმადაბალა და იმავე წამს ჟანა დარკი (ის ამ როლში ვიხილეთ ქალაქის თეატრის ერთ წარმოდგენაში) მრავალსამაჯურიანი ხელის მეტყველი ჟესტიკულაციით დაგვემშვიდობა, ენერგიულად გაგვასწრო და სწრაფად შეუხვია უნივერსიტეტის პროსპექტზე.

„სახელდობრ ვინ — ვერმონტმა თუ რუმპელმაიერმა?“

„არა, ეს ედუზა გოლდია, ჩვენი რეჟისორი“.

„ის არ მიგულისხმია. სახელდობრ ვინ დაჯდებნა პიესა შენი მოჯადოებული მონადირეების შესახებ?“

„აი, თურმე რა გაინტერესებს. სახელდობრ ვინ დაწერა? ერთმა დედაბერმა, კლერ ვიღაცამ, მგონი. პიესის რაძღვნიმე ავტორი ჰყავს“.

„და იმ დედაბერმა შეგაქო?“

„არა მარტო შემაქო — ეამბორა კიდეც შუბლზე — უმანკო შუბლზე“, და ჩემმა წიწილამ მხიარულად წამოიწივლა, რითაც (ალბათ, ახალშექმნილ სხვა თეატრალურ ჩვევებთან ერთად) ამ ბოლო დროს თავს იწონებდა.

„რა სასაცილო ხარ, ლოლიტა, — ვუთხარი მე (ჩემს მეტყველებას მიახლოებით გადმოვცემთ). — ცხადია, ძალზე მახარებს, რომ აღარ გინდა სულელურ სპექტაკლში მონაწილეობა. ამასთან, მაკვირვებს, რომ ის ბუნებრივ დაბოლოებამდე ერთი კვირით ადრე მიატოვე. ოჰ, ლოლიტა, ასე ხელაღებით ნუ დათმობ! მახსოვს, როგორ მიატოვე რამზდელი საზაფხულო ბანაკის გამო, შემდეგ, გასართობი მოგზაურობის მოლოდინში, ბანაკს შეელიე. მახსოვს შენი განწყობილების კიდევ რამდენიმე მკვეთრი ცვლილება. გაფრთხილდი. არსებობს ისეთი ფასეულობები, რომლებიც არასოდეს არ უნდა დათმო. უფრო შეუპოვარი უნდა იყო. უფრო ალერსიანიც უნდა იყო ჩემს მიმართ, ლოლიტა. გარდა ამისა, ძალზე ბევრს ჭამ. შენი ბარძაყის გარშემოწერილობა ჩვიდმეტნახევარ დუიმს არ უნდა აღემატებოდეს. ცოტას მოიმატებ — და ჩვენ შორის ყველაფერი დასრულდება (რა თქმა უნდა, ვხუმრობდი). ახლა ხანგრძლივ, ბედნიერ მოგზაურობას ვიწყებთ. მახსოვს...“

ოარგმნა **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲝᲛᲫᲘᲫᲔ**

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

შერისგება

კარი მეხუთე

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები

თავი I

ავგუსტინეს აჩრდილი

თუნდ მიეწვდომელი იყოს საყოველთაო სიყვარულისა და ყოფილსმატიებლობის იდეალი, მწერლობა სხვა რას უნდა შეგვახსენებდეს გამეფდებით.

თანაც: ულმობლობისა და შურისგების ყინით გაყალენთილ გარემოში.

აქ უნდა ტრიალებდეს ამალლებული განცდანი, აქ უნდა ჩნდებოდეს ზეციური ხილვანი, რათა სძლეულიყოს არ შთანთქას ყველაფერი.

და ასეთ დროს აკი ხელშესახებად იკვეთება წუთისოფლის მოფუწესრიგებლობა და გაუტანლობა, მისწრაფებათა და რეალობის დაშორებრების ტკივილი, სიყვარულისა და სიბრალულის ტრაგედია და სულიერ გზაჯვარედინზე გახიდული ადამიანის უმძაფრესი გულისკიდილი —

შეუნდოს შემცოდეთა თუ შეაკვდეს?

თვითონ დაიცვას სიკეთე თუ ღმერთს მიანებოს?

და თუკი უფალი თვით მისგან მოელის ადამიანური ვალის აღსრულებას, როგორ დათრგუნოს ბოროტება ისე, რომ სისხლისღვრანი და ახალ-ახალი ნიავენი არ გამოიწვიოს?

თუ ბოროტებას ბოროტებითვე მიეგო, განსხვავება რაღა ყოფილა?

და თუკი სიკეთის უზენაესობას იწამებ, განა ის მართლა კმარა ბოროტების დასათრგუნად?

რელიგიური და მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრებებისას ხავსებით კმარა, მაგრამ, როცა თვალწინ უმკაცრესი რეალობა აღიმართება, — არა ბუნდოვანი, ერთმანეთში უცნაურად აზელილი სიკეთითა და სიავით, არამედ გამკვირვალე და შემზარავი, — სულ სხვაგვარად აგიღლდება გული... და ვეღარ დაელოდები, თავისით როგორ ან როდის გაიმართება წელში სიკეთე (გაიმართება კია?), ანდა თავისით როგორ ან როდის ამოიშამს თავს ბოროტება (ამოიშამს კია?)...

უფრო მკაცრი და შემზარავი რეალობა რა უნდა იყოს, თანაც ასე განსმენილული ღრმა სიმბოლეკით, რაც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში" გადაგვეშლება?!

თეიმურაზ ხევისთავი ერთად მწოლარე და ჩაძინებულ მარგოსა და ჯაყოს რომ წაადგება თავს, ისეთი ეინი აიტანს, სისხლის ისეთი წყურვილი მოუვლის, რომ იფიქრებ, ჯაყო ცოცხალი ვერ გადაურჩებაო. მოჰკალ, მოჰკალ — შინაგანი ხმაც ამას ჩასძახის და თეიმურაზს ისღა დარჩენია, აირჩიოს, ხმლით მოჰკვეთოს თავი, ხანჯლით განგმრიოს თუ მაუზერით დაცხრილოს. ხელი თავისთავად წაიტანება ადლიან ხანჯალს და შინაგანი ხმაც კვლავ აქებზებს: მოჰკალ ეგ ვერაგი, ეგ არამზადა, მხეცი, ხაზზზარი პირუტყვეო.

როგორც იქნა, დაინახა თეიმურაზმა ჯაყოს ნამდვილი სახე და მისი მთელი ნაავკაცარი, როგორც იქნა, გაიფანტა მრუმე ბურუსი, გონებაზე რომ დასწოლოდა და ვერც გაგეო, ეს განთქმული ნაზოგადო მოღვაწე, ცნობილი მწერალი. პატიოსანთა შორის პატივდებული, ამაყი და ქედუფრეკი თავადშვილი როგორ ქცეულიყო ხიზნად უგუნური პირუტყვის, რეგვენი, ბრიყვი და ბნელი ჯაყოსი, ნეტა ერთ დროს სამადლოდ ჰყავდა შეკედლებული.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 11, 12, 1992 წ. № 1, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ამ ჯაყის ხახლ-კარი, მამული და ცოლი წაუთმევია მისთვის და თეიმურაზს სხვა აღარაფერი დარჩენია იმას გარდა, რომ ან შეეგოს სრულ ზნეობრივ დაცემას, ანდა სისხლით ჩამოირეცხოს სირცხელი და თავლაფისდახმა.

უკეთესი შემთხვევა როდისღა ეღირსება.

მიპარული რომ უნდა მოფლოს ბოლო, ეს თეიმურაზს არ აშფოთებს: ჯაყის იმდენი ცოდვა და დანაშაულები აწევს კისრად და ყველაფერი ისეთი მზაკვრობითა და ღალატით ჩაუდენია, რომ იქნებ უკრძალნიც იყოს სწორედ ასე, ღალატით გადახდეს სამაგიერო, მაგრამ ბევრთავის სულს სხვა რამ აფორიაქებს: როგორ მოჰკლას ადამიანი?! გულის კარნახს გონება ადუნებს და მისწრაფება უხშობს—ამიტომ უკანკალებს მარჯვენა, ფეხებიც უორთის და შიშით მოცული გულიც უკანნესის. თავს იჯერებს, ახლავე მოკლავო, მაგრამ ასრულებით ვერ აუხრულებია. იგი პირველად აღმოჩნდა ასეთ მდელვარე ყოფაში: მის სულში უეცრად ორი საპირისპირო გრძნობა გადაეხლართა ერთმანეთს და გამოსავალს ვეღარ პოულობს — ვერც სისხლი დაუღვრია და ვერც მტკივება წარმოუდგენია.

ღმერთს კი შესთხოვს პატიებას, რათა ჩააყუჩოს მოფლოდნელად გაჩენილი ქნარა სიდღისა და ძალთა და სიმხნეევით აღივსოს სამარცლინი შურისგებისათვის, მაგრამ ეს ვედრება აბნეული და დაუშთავრებელია — „ღმერთო დიდებულო!.. უფალო ძლიერო. შეშინდე მე შეცოდებანი ჩემნი და მომეც მე ძალა, რათა.. რადგან... მეც ადამიანი ვარ, ადამიანი!“ — რაც ისევ მის გაუბედობაზე მეტყველებს.

თუმცა ჯაყის მხეცად და ხოროშესხმულ ბოროტებად მიიჩნევს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ბოროტებას ადამიანის სახე მიუღია და მისი განგაშრივ ადამიანის განგაშრავი. როგორ გინდა ამის ჩადენა, მითუმეტეს, თეიმურაზ ხევისთავს, ვინც ისეთი ბუნებისაა, კაცის კი არა, ქათმისა და ცხვრის დაკვლაც არ შეუძლია, ქათმის სისხლის დანახვაზე ელეფილეთო მოსდის. „კი რიცა მარგო დაამუნათა, ქათმის სისხლმა ეგრე დაგაშინაო, მან თავი იმით იმართალ, შეჩვეული არა ვარო. მარგო, რასაკვირველია, არ დაუჯერებს:

„— შეჩვევა რა უუაშია? მამაკაცის გული უნდა გკონდეს, სისხლის დანახვა ეგრე არ გაგფითრებდა. სირცხვილია, თემურ!

— ცოტა ხანს რომ ვიცხოვრებ ამ გაკაჟებულ ხალხში, გულიც გ...გგგამიმაგრდება და სისხლსაც შევეჩვევი. იქნებ მერმე კაციც ადვილად მოვკლა.

— შენა? კაცის მკვლელი?! — წამოიძახა მარგომ და გადაიკისკისა“.

ეს მხოლოდ ამაო ქადილია, თვითდარწმუნების უფუი ცდა, რათა იხტიბარი არ გაიტეხოს.

სინამდვილეში თეიმურაზ ხევისთავი სრულიად მოუშზადებელია შურისგებისათვის. გამზარება და განრისხება მარტო იქამდე მაოფნის, რომ ხანჯალი აღმრთოს და კაცის მოკვლა გულში გაივლის... დაკვრა მის ძალ-ღონეს აღემატება. ამიტომაც გაუხლტება ხელიდან გადაშეკვეთი წუთი, რომელიც წარმოუდგენელია ოდესმე დაუბრუნდეს.

ის საცოდაობა, რაც თეიმურაზს ხანჯლის აღმართვისას დაემართება, მისი ცხოვრების სიმბოლური გამოხატულებაა: „უცვე თავში ყინულის ერეანტელმა დაკრა და ქუსლებამდე ჩაუჩანინა. თვალებზე ბინდი გადაეფარა, მკლავთ მოუდუნდა, ფეხები უკან წაუცურდა, თვითონაც შიგ ბურანში შთაინთქა და მოსხლტა. ინავე წუთს თითქოს იმ იიტკაზე ვიღაცამ ნაფოტები გატენინები ტომარა დაადგა, მაზილმა ბაზრალი გაიღო“.

თეიმურაზის ამ ულონო გაბრძოლებაში ერთმანეთს გადახლართვია სულიერი სიძაბუნე და ქრისტიანული შეგნება: ცალ-ცალკე ვერც კი გამოარჩევ. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და ასეთი საკალაო მარცხით ამოლოებენ ყეთილისა და ბოროტის შეჯახებას.

თეიმურაზ ხევისთავი რთული ფსიქოლოგიური ტიპია, რომლის სულიერი დანაშრევების ცკლევაც მრავალმხრივაა საგულისხმო, მაგრამ, რაც უნდა იყოს, სიერთო იერით სიკეთის განსახიერებაა, ოღონდ უძალისი და უმწეოსი, და სიკეთის ეს უძალობა შემზარავი სიცხადით გადაგვიშლება თვალწინ: ხევისთავი ანტიგმირად წარმოგვიდგება და მისი უნებისყოფობა და სულიერი დაცემა კიდევ უფრო ღრმავდება, თუ ხანჯლის აღმართვისას ერთიბეწო გაბედულება მაინც შემორჩენოდა, მერე ნატამალიც აღარ დარჩება და მაშინ თუ სისხლის დაღვრამ შეაკრთო, ახლა მაგალის აღებაც ზარავს.

ამ ფრაზამ არ მოგვატყუოს — „ჯაყის კი... არ შეევარჩენ ჩემს შერცხვენას. არ შეევარჩენ მეთქი!“ — რადგან ეს მხოლოდ გაუაზრებლად წამოსროლილი სიტყვებია. ამ ნათქვამს მოჰკვრავს თუ არა ჯაყი ყურს, აპრალებული ხანჯლით ხელში დაადგება თავის ნაბატონარს და ისე დამუქრება („ჯაყის არ შეგარჩენ მეთქი, ჯაყოსა?!. დედას გიტირებ ჯაყო, დედასა!.. გაგიშვი ჯაყო. გაგიშვი მეთქი, რო ღორივით დაგალ ეს ბრინჯაო, ესა!“), თეიმურაზ ხევისთავი უმწეოდ დთანხმდება თავის უსუდურ ყოფას: „მე... მე არ... რრაფერი.. დამმმშვიდდი, ჯაყო, დამ...მშვიდდი! იარაღით როგორ შეიძლებაა... გ...გგაუგებრობა მოხდა, ჯაყო, გაუგებრობა. გამ...მმოვარკვიოთ, შე კაი კაცო, მ...მმოვისაზროთ, მოვ...ვვიფიქროთ... ვიმ...მმხკვლოთ“.

დამფრთხალი თეიმურაზის დანახვა ჯაყის გულიანად გაიცინებს: მას ოღნაი ეკვიც აღარ ეპარება, რომ ნაბატონარი სამაგიეროს დადამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელი არ არის. ამიტომ მისი თვითდაჯერება და დაუსჯელობით გალაღება — „ბაშ, ბაშ! ეგრე ვიცის ჯაყოფა!" — სრულ წყვდიადში ძირავს ყოველგვარ იმედს და არსებობის ტრაგიზმი ისეთი თავზარდამცემი ხდება, თავი შეგეძულდება. იმგვარი განცდა გეუფლება, თითქოს რომანის სინამდვილის გარეგან კი არ შეშეურრებ, შენც ამ ხაზარელი ყოფის მონაწილე ხარ. და ჯაყოს გესლიანი ქაღილი შენც გიწამლავს სიღრეცხლეს: „ბაშ, ბაშა! აგრე ვიცის ჯაყოფა!"

თეიმურაზი დადამარზე მიექანება: თუ აქამდე თავისი უანგრებითა და ბედოვლათობით ჩაუდგა ბოროტებას ხელში ქოთანი და სილაბაზე (მარგო), ვინი დაცვა და მოვლაც ეკალებოდა, ახლა შეგრეგზულად ხდება სიავის მოკავშირე: დიახ, მოკავშირე, რათა ჯაყოს ძალაუფლება კიდევ უფრო განმტკიცდეს.

ის, რომ ბეგისთავს მარგოს გარეშე არ გაეძლება და კვლავ მის ერთგულად აცხადებს თავს, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოაკვეთს მისი ცხოვრების მთელს ტრაგიკომიკურობას.

კომიკურია ხაერთო იერი: ანტიგმირის სიბრიყვემდე მისული გულუბრყვილობა და ნებაყოფლობითი სიჯიუტი — რაც შეიძლება ღრმად ჩაეფლოს მონობის მორეგში: იგი ჯაყოს აღიარებს მარგოს კანონიერ ქმრად, თვითონ კი (ოღონდ დროდაღრო მარგოს ხილვის უფლება არ წაერთვას) თანახმაა, იყოს თავისი ყოფილი მეუღლის... ძმა. არე იმაზე აბრუხს უარს, რომ ჯაყოს და მარგოს შვილს თავისი ვვარი მისცეს — ხევისთავად მონათლოს.

რაკილა თეიმურაზი ხედავს, როგორ დაუხეკლად ბოგინობს ბოროტება, თვითონ კი სრულიად უშნეოა — აღკვეთოს მისი პარაზში, ერთადერთ იმედად განცდის ძალა დარჩენია, ის ამოიერის თუ ამოიერის თეიმურაზისნაირთა ჯაგრს. იმასაც ამჩნევს, რომ ღერთის როგორიდაც ზურგი შეუქცევია მისთვის („ღერთის სუსტებისთვის არა ცალიან. ღერთი მხოლოდ ძლიერთათვის სცდილობს და მხოლოდ მათთვის აზროვნავს"), მაგრამ სჯერა, რომ ბედისწერა, ბედი-მდევარი უთუოდ დაიფარავს. ბედისწერაა ის ვიღაც, ვინც ღერთის გარდა კიდევ არის ქვეუნად და „ურემი" დასდევს ფეხბარად მაგლებს: „...ურემი დასდევს, დიდხანს დასდევს. ბოლოს, რაც უნდა მარდად ირბინოს მგელმა, სადაც უნდა გადაიკარგოს, ურმით მდევარი „ვიღაც" იმ მგელს მაინც დაეწევა და კბილებს დაადევს, ასეა მიმართული ეს ქვეყანა..." — და კიდევ: „...შენ ამიერიდგან დღედაღამ იმ სამართალს მოელოდე. ჩემს მაგივრად იგი მოვა და ანგარიშს გგ...გგიბარებს".

ეს მარტოდენ პერსონაჟის შეხედულება არ არის: ბოროტების გარდუვალი დამსხვრევაზე, ბედისწერისაგან მოვლენილი შურისგების რწმენა მისეულ ჯავაბნშვილის მხატვრული აზროვნების ქვაკუთხედია. ოღონდ ის, რაც პერსონაჟის უღონო ოცნებაა, მწერლისათვის მტკიცე მონუმენტური მიწაშია, „ხაზარეულ არს ყოველი განგების ეთიკისა! დიდ არს ძალა ბედი-მდევრისა!" — ტაცვის სხვა მოთხრობაში და ამ ფრაზის ფონზე გახდავს ალსასრული იმ ცოდოლთა, ვინც სამართლიანი სასჯელი ჰპოვეს. და ამ აზრით: ის ცეცხლიც, ის ტაკიაც, ის ტალღებიც ღვთისაგან, ბედისწერისაგან მოვლენილი სასჯელია.

მაგრამ ბედისწერამ თავისით, ადამიანის ჩაურევლად უნდა გადაწყვიტოს ცოდვილის ბედი?.. თუ ვინმე უნდა აირჩიოს თვის იარაღად?

და თუკი ახე მოხდა, თუ ადამიანს ბედკისრა ბედისწერის ნების ალსრულება, ეს ადამიანი ცოდვით დაღდასმული იქნება თუ არა?

უნდა ინანიებდეს, როგორც ყოველი შემცოდე, თუ შეუძლია თავი იმართლოს, რა მექნა, თვითონ განგება ჩასახლდა ჩემში შურისძიებადო?

წრფელი, მართალი ადამიანისათვის ასეთი თავის მართლება ჩეტად უკმარია. მისთვის ისიც გაუსაძლისი ტანჯვაა, თუ უნებლიეთ გაერევა სხვის დაღუპვაში: თუნდ მოძალადისა, ვინც ლამის ხელი აუხადოს..

თითქოს ქალის საქციელი არ არის უნებლიე, რიტა ალურის ნიშს შეეყოლება, ჩაეოაშოროს კაცი (ოთარ ჩხეიძე, „ბოლოს მაინც ჭიტი კალიდა"), მაგრამ ეს სულიერი სიმხნევისათვის უფრო სჯიდება, ვიდრე კაცის გასამტეხლად. მართალია, რიტალს ის წესების დაცვით ასრულებს, როგორც უძველეს ხანაში სჩვეოდათ, — კაცის სიმაღლე ელლაპარს ჩაქონის, ნიშთან დაემხობა და, ვიდრე ელლაპარი ჩაიწეგზიდეს, გულმძიურავლეგ ეეფდრება არსთა გამრიგეს, მსხვერპლად შეიწიროს კაცი, — მაგრამ ქალისათვის ეს მაინც გაგონილის მექანიკური შესრულებაა, რადგანაც წარამართული ნიშები ჯერ კიდევ ქრისტიანობამ შემუსრა, მერე კი ათეისტურ გარემოში მისი ძალის ბოლად ჩაიშრიტა და მოგონებადღა შემორჩა, როგორც მამაპაპური ხალოცავი და უძველესი რწმენის ნამუსრევი.

კაცი მალევე იღუპება ტრაგიკული ხაკვდილით და ქალის თვალში ეს არის არა რაიმე შემთხვევითობა, არამედ მსხვერპლშეწირვა, განგების მიერ გამოკანონილი განაჩენი — ეეფდრებოდა ალურის ნიშს და აგერ კიდევ შეუსრულდა გულისწყალი... მაგრამ მოძალადისაგან თავის დაღწევა კიდევ უფრო უფორიაქეს სულს, რადგანაც ახლა სხვა განცდები წამოეწია... თუნდაც შემთხვევითობა იყოს, უკვე ვეღარ

მოისვენებს, რადგანაც ხომ თვითონ გაიმეტა კაცი სასაკვლელოდ, ხომ თვითონ ხარ, ამგვარ ყოფაში ეხლაც; და ახლა შეეძლებელია სინდისის ქენჯნა არ იგრძნოს მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობისათვის.

იგი რომ ავი ბუნებისა იყოს, ოღონდ გადაიტანდა კაცის ს

ნობს იზათის შურისგებას და ზნეობრივად ამარლების ხაზინელი არსების მოსპობას, ადამიანის სახელარგაფული ურჩხული შეუძლებელია შენდეთას იმსახურებდეს.

მართალია, ელაში (მთხრობელი) სულთმობრძავ ყაშას თითქოს მიუტევებს ცოდვებს — „...ღმერთსა ვთხოვ, რომ მოგიტევოს ყოველი შეცოდებანი თქვენი. მეც შენიდვებისრთ. მეც მიპატიებია თქვენი ბოროტებანი, რომელნიც მეც და სხვებსაც უხეად გვიძლვენით“, — მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური ვალის მოხდაა, რადგან მკაფიოა მთხრობლის მბატგრულ-იდეური მრწამსი. აქ არ იბადება სურვილი ღმერთისათვის ყაშას სულის გულწრფელი შეევდრებისა, არ იბადება მის მოსახსენებლად სანთლის დანთების წადილი და არც იმას მიმართავენ უფალს: რატომ გაკვდა ახე მოტოვებული ეს უბედურიო?.. მიტოვებული რომ არის, ეს სხვა საწუხარია, ეს წუთისოფლის დრამატული არსის გამოშხატველი ნიშანია, მაგრამ, როცა ხაშიშრთება მოიწევს, როცა უხეში, ბნელი ძალა წალეკავთ ეშუერება ყოველივე ძვირფასს, როცა სიცოცხლის საწუთის გადაგვარება ელის, განა ამ ხაზარეფ რეალობას ლოცვა-ვედრება შეაკავებს?.. განა მიტევება მის სულში გაადვიძებს სიკეთის, ხათნიების, მონანიების, თვითგვემის მარცალებს? ეს ყაშა, მრისხანე ბატონი ლეკანი კი არა, ანდა საფარ-ბეგი, ანდა დათოკო....

მთგან ყველაზე დიდი ფერისცვალება ლეკანმა განიცადა და ვერ ვიტყვით, რომ მან მანინდადამინც რომანტიკული ბაკაზრების წყალობით განიცადა ასეთი სულიერი გარდასახვა და აკაციდან ზნინდანად ამიტის გადაიქცა. იგი მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის ნოოკნებარს არ გვიშედგენენს — მრისხანე ბატონი სინამდვილიდან ამოზრდილი სახეა; ადამიანის ბუნებისათვის უცხო არ არის ასეთი ჭეკეთრი ფერისცვალებანი, მაგრამ ეს სინამდვილე სხვაგვარ ხასიათებაც გვაკლიბს — იმათ, რომელთა სულმაც შეუძლებელია რაიმე გარდასახვა განიცადოს და წრფელად მონანინონ ცოდვები.

განა ჯაკო ცოდვებს ოდესმე მონანინებს? ფარისეელთან, თავის მოკაკუნებზა გადასარჩენად, რათა კვლავ მოღონიერდეს და ახმაგად აზლვეთნოს მისი დაუსკენი პრპაშის აღმკეთთ, მკაფიოდ გვიმსგვეიეს ყოველი მისი სიტყვიდან და საქციელიდან.

ანდა პოპაი — სიმახინჯისა და ბოროტების განსაბიერება — ოდესმე მონანინებდა უკრძალ ნაავკაცარს (ულიანს ფოლენრი, „სავანე“)?

მერე რა, რომ იმ დანაშაულისათვის ისჯება, რაც არ ჩაუდენია, მერე რა, რომ ფდრტვინვილად ადის სახრჩობელაზე, მისი ცოდვები ისეთი ბ ეშმზარავი და დაუთვლელია, ისეთ კოშმარულსა და ამაზრზენ ატმოსფეროს ქმნიდა თავის გარშემო და ისეთი ულმობლობით ამსხვრევდა ყველაფერს ბუნებრივს, ამალლებულსაც და წმინდას, რომ მისი ცოდვები გაშოუსყიდველია: პოპაისათვის ალარ არსებობს არც მონანიება და არც სულის ხსნა.

ტრაგიკული ალსასრული, თანაც ისეთი დანაშაულისათვის, რაც არ ჩაუდენია, ოდნავადაც არ იწვევს მისადმი თანაგრძნობას.

რაღომ არ შეეცადა თავის დახსნას? თვითონვე რატომ გამოუტანა თავის თავს განაჩენი?

მისი სული პირთამდე აღივსო ბოროტებით, პოპაის სიძულვილმა ადამიანის შიმაში გადალაბა ის უკიდურესი მიჯნა, რომლის იქითაც სრული სიცარიელე იწყება და აკაცობანი ვედარავითარ სიამეს ველარ გვრის ჩაშდენს. უაზრობის შეერძნება სრულიად ანგრევს მის ფსიქიკას და ამ სიცარიელის გადატანა არაფრის დიდებით ალარ შეუძლია.

მისი ჩამოხრჩობა, არსებითად, თვითმკვლელობაა, მაგრამ არა ბოგნანე კაცისა.

პოპაის არ მიეწევო ცოდვილი ცხოვრებისათვის, არც ხელი შეშლია დაუსრულებელ აკაცობებში და არც ფეთიური სასჯელი ატყდება თავს; ხოლო მისი ალსასრულის პარადოქსულობა კიდევ უფრო გამოჩკვეთს ღმერთისაგან მიტოვებული ადამიანის სასოწარკვეთილებასა და მიუსაფრობას, ჩვენი საბეკრის ტრაგიზს.

ამ კოშმარულ ხილვათა წიალში ჩაბოგებულია იმედოვნების ფერიტა, რაც არ გაიმეტებს კაცობრიობას დასალუპად, მაგრამ დაცემულნი სამყაროს დახსნაც შეუძლებელი ჩანს; და თუკი პოპაი და მისნაირნი უფრო ღრმად ძირავენ ადამიანს ცოდვის ჭაობში, ეს ფარისეველი, ცრუ და ანგარებანი სინამდვილეც, თავს ბრძივ, ძალდაუტანებლად ზრუს ასეთ მაზინჯსა და გადაგვარებულ არსებებს, რომელთა ბოროტების აღკეთვაც სრულიად წარმოუდგენელია სიკეთით, სულიერი სისუბტაკით, ეთილშობილებით.

ამგვარ ეიდილში პოპაი ყოველთვის გამარჯვებულია, ბორეს ბენზოუ კი — სიკეთითა და კეთილშობილებით ალსავსე პიროვნება — განწირულია.

ასე ცალკე ეს ხასიათი იდეალურადაც წარმოკვიდგება, მითუმეტეს, რომანტიკოსადაა გაანრებული და არა სატირულად (თეიმეურაზეთი), მაგრამ პოპაის ფონზე ძალაუნებურად გვიპყრობს გინდა იმისა, რომ სიმართლე, ამალლებული სულიერი თვისებანი სრულიად უძლურია სიწმინდეთა გადასარჩენად, თუ ბოროტების ძალა არ შეიგნებ.

სხვაგვარად სიმართლის დაცვის ნყურვილი ის ილუზიაა, რომელიც ერთბაშად ამსხვრევა და ბენზოუს სახეში ასკდება სინამდვილის სახტიკი ნაკადი, რათა საკუთარი თვალით უყურეროს, პოპაისაგან ნაქეზებული ბრბო ლინჩის წესით როგორ გაუსწორდება უდანაშაულო ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გუდვინს (თვითონ პორესი ძლივძლივობით გადადერჩება ჩაქილთან)...

სიავეს არც ის აშფოთებს, მე თუ არა, ჩემს მოდგმას გადახდება ჩემი ცოდვებიო.... სასაცილოდაც არ ყოფნის...

დაე, წუველოს და შეაჩვენოს თეიმურაზ ხეკოსთავმა, თუნდაც საზნეობისა წარმოსუსახოს — „ბედმა მდევარმა შენ თუ არ მოგისწრო, შენს შვილებს მაინც წამოეწეოს და ცბილებით დაგგლეჯს, შამფურზე შესწვავს, ნელ ცეცხლზე მოამხრაკავს, ბნელ ორმოში ჩაჰკრის და თან ყველის წიწილებს ჩაططოვნებს...“ — ჯაყოს არსებაში რა შეტოკდება: „ამრუწუწუ! პრახა და ნიბზრი! მამა გიცხინდა, ყურებზე ხახეი არ დაგაჭერბოდ! ფეიებზე გკიდია ჯაყოსა შენი წყევლა, ბაშ, ბაშა!“

ჯაყო ისევე, როგორც ყაშა, არ გიტოვებს არავითარ ბაზს, შებრალება აღგეძრას მისადმი — პოპაისთანაც კაციც კი მისთვის მეუწყდომელი სიმაღლეა.

გარდუვალობა თვითონვე მოგამწყვდევს ჩიხში: და რაცა თვალნათლივ შეპყურებ, როგორ ამოუჩრია ჯაყოს ილლიაში ხაზოგადოება... დიახ, მთელი ხაზოგადოება და ამიტომაცაა მისი პირველივე გამოჩენა რომანის ფურცლებზე ამ ღრმაზზრავნინა სიმბოლეოით შემოსილი, ეს მარტოოდენ რეალისტური სურათი არ არის, ჯაყოს ილლიაში ბედლია ცხვარი რომ ამოუჩრია. დასაკლავად განწირული ცხვარი დასაღუაად განწირული ხაზოგადოებაა: ჯაყოს ხელში ჩავარდნა მხოლოდ ამას ნიშნავს (აკაკი ბაქრაძე). მართალია, მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული მანერისათვის მაინცდამაინც არ არის ნიშანდობლივი სიმბოლურ-მეტაფორული გაჯერებანი, მაგრამ ამ სურათში სიმბოლური მინიშნება ძალდაუტანებლად ჩნდება და მაშინვე მძაფრად შეგვაგრძნობინებს მოსალოდნელ ხაშარიოებას... და როცა ჯაყოს ილლიაში ამოჩრილ, დასაკლავად გამზადებულ ხაზოგადოებას შეპყურებ, განწირულსა და აფარობალებულს, რა გასაკვირია, რომ ხელი თავისთავად წაეტანოს მახვილს... თეიმურაზიანი კი არა, ამოლებისთანავე რომ გაგვიდეს... მართალი აღმართო და მართალი დაჭკა...

დაგძრახავს ვინმე, გაგამტყუნებს?..

ვიტანი არ ეყოს: არც ღმერთი გვიცოდვებს მგრისად შაქცევას ხელისა...

ადამიანის დგომა ხიხლში მეტაფორული გამოთქმაა — გამოშხატველი კაცობრიობის ტრაგიკული ბედისწერისა, ყოველ წამს მოსალოდნელი ხიფათისა, რომლისგან თავდასაღწევადაც სხვა არავითარი გზა აღარ არსებობს გარდა მახვილის აღებისა, იმ იარაღისა, რაზეც იესო ქრისტეს უთქვამს: „ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ“ (მათე, 26, 52).

ეს ის წინააღმდეგობაა — ერთი მხრივ, მახვილის აღების აუცილებლობა და, მეორე მხრივ, ამით გამოწვეული სულიერი ნგრევა — რაც წუთისოფელში ვერ მოგვარებულა.

დოგმაქცეული შეხედულება ვერაფერს ბგვლინს.

ეთქვათ: გაერიდე სისხლს, გაერიდე შურისგებას, გამოიჩინე მომტევებლობა, შეიყვარე მტერი, ვითარცა თავი თვისი, ეზიარე ღვთიურ მადლს... თუ შენს წინაშე ჩაიდინეს ცოდვა, იერანდ სპასოველივით შენც შეიძლება საკუთარ თავში ჰპოვო სიმბინო ძალა, რომ განგებას მიანდო ცოდვილის ბედი, მაგრამ, რიცა ავბედითი ამრდელი ქვეყანას დასწოლია, როცა დაპყრობილი ერის შვილი ხარ?! და არც რომანტიკული ოცნებების იმედად დარჩენილხარ: თვალნათლივ დავანახვებ დამპყრობელს, რაოდენ დიდი კულტურისა და იშვიათი სულიერი თვისებების ერი ვართ და ამ სიდიადეთი და მშვენიერებით აღტაცებული თვითონვე ჩამოგვეხსნებიო... ამ ოცნების ნაცვლად ხელ სხვა რამეს შეპყურებ თვალნათლივ: როგორ ბერავდები, ენინდები, ნადგურდები და შენი ათასწლოვანი კულტურული მიღწევანი როგორ ითქვიფება და ადავსებს სხვის კულტურას.

მაშინაც გაერიდები სისხლს? მაშინაც უარყოფ შურისგებას და მომტევებლობას გამოიჩენ? მაშინაც საკუთარი თავიერთი შეიყვარებ მტერს?

ეს არის ის ყოფა, როცა სიმბოლურმეტაფორული გაჯერება სისხლის მორევისა მკაცრი რეალობის ხაზეს იძენს და მახვილს აგალბინებს ხელში.

მახვილი ქარქაშში ჩაამბრუნეო (მათე, 26, 52) — ეტყვის ჭვარზე გასაკრავად განწირული იესო პეტრეს, ვინც მის დაცვას შეეცადა. და რაკიდა ზნეობრივი პრინციპისათვის არავითარი კომპრომისი არ არსებობს და გამონაკლისი თვით ღვთის ძეს არ ეხება, მაშ, შენც ქარქაშში ხარ? არ უნდა ჩაამბრუნო იარაღი?..

მაგრამ ქარქაშში მაინც არ აბრუნებ, რადგან მეხსიერებაში უთოოდ ამოტეტეტვდება ის აზრიც, რომ ქრისტიანობა არ ეკრძალავს მამულის დაცვას, არც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

მართალია, ქრისტიანული მოძღვრებისათვის ყველა ადამიანი ერთმანეთის მოყვასია და ერთნაირად ძვირფასი: თვისებრივი და უფლებრივია („ოქუენ ყოველნი ერთნი ხართ ქრისტე იესოს მიერ“, გალატელთა მიმართ, 3, 28), მაგრამ ეს ზნეობრივი შეგრნებანი ხომ იდეალურ ზნეობრივი ცხოვრებისთვისაა ნაგულისხმევი, წუთისოფელზე ამალლებული ყოფისათვის, ოორეშ სრული მოსპობის, ყოველ შემთხვევაში, სულიერი დაცემის საშიშროება რომ დაგიდგეს, ცხადია, თეიმურაზივით განგებას არ მიანდობ ბოროტების დასჯას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტიანული მოძღვრების ჩასახვისა და გაეროვნების დასაწყისში ამ რჯულის ფანატიკოსი მიმდევარნი მორჩილად ეგებებოდნენ მბორგტებიანად მოვლენილ ყოველგვარ ხასკელს, მკაცრსა და სასტიკს, ხმელეთს იმტკბებდნენ გვეშინაჭვისთვის ხელის ხახსნელად და ალსაჭვებლად... აკი სენკეკვიჩის რომანშიც („ვიდრე ცხვალ?..") სიმშვიდითა და სიმტკიცით ალსაცნი ეგებებიან ხაკეფილს რომის ამფითეატრში შერეკილი მორწმუნენი, მზად არიან, ლომებსა დაგლეჯონ, მზად არიან, გლადიატორებსა გაკუეონ, ოღონდ ერთმანეთს არაფრისდიდებით არ შეიძლება შეებრძოლონ.

და, აი, ურსუსიც ასევე თავმოდგრეული წარსდგება ალტყინებული რომაელების წინაშე და, თუმც ბრმის მისი გოლიათური ალნაგობა დაალიმედებს, ეს მაინც მოგვეფლინება მებრძოლად, მალევე ჩაეფეშუმბათ ყოველგვარი იმედი, რაკ განაკ ურსუსს ალსებაში ქრისტეს სიყვარული ჩასახლებია და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აპირებს სიკვდილთან შეგებებას... მაგრამ დაჩოქილი და გულხელდაკრეფილი გოლიათი ისმოვის თუ არა, როგორ შემოვარდება ასპარეზზე გამშაგებული ხარი რქებზე დაკრული შაშველი ქალით — ტეკეობაში ჩაკარდნილი მეფის ასულით, ურსუსის სათაყვანებელი პირველნაბი — ერობაშად ქრება მორჩილება და გოლიათი თავისი ხაარკო ძალ-ღონით შეძლებს ხარის მოგუდას და ქალის გადარჩენას. როგორ გგონიათ, ხარის ნაცვლად ადამიანს რომ მოენდომებინა ლიგეას ზნეობრივი გათელვა თუ განგმირვა, ურსუსი ამას დაანებებდა? ეშერით მიკრავდაც სისხლის დაღვრას და, რა ვქნა, როგორ ჩაეერიოო, ამას იფიქრებდა? არა და არა. ერთს კი არა, ათს და ასსაც არ შეეტეგბოდა და თავგანწირვით გადაწყვეტდა ბრძოლაში.

არის წაწები, როცა მორწმუნე იეზუუებს ზოგიერთ მსენებას და სხვა განცდებს მიეცდობა. მას შეუძლია თვითონ მორჩილად დაეთანხმოს ტანჯვასაც და სიკვდილსაც, მაგრამ სხვას ვერ იმტკბს ხაამისოდ — მისთვის ძვირფას პიროვნებასა თუ გარემოს. და ურსუსივით შეაჭუდა ორივეს ხელმყოფთ.

...ჭკლავთ იმას, ვინაცა
ჩვენსას დაარეცეს შეებასა,
ან მამელს ვვარიმეეს, ან ცოსა,
ან ვვიშლის რულის ცნებასა.

ბოლოს და ბოლოს, მოყვასი ხომ უნდა დაიცვა, დასაუფასდ ხომ ვერ გასწირავ... მაგრამ სისხლის დაუფრეელად როგორ უნდა დაიცვა? ასე შორდება ერთმანეთს რეალური და იდეალური.

და ეს ასეა თვით სასულიერო მოღვაწეობის დროსაც. ამაღლებული განცდანი აქაც უამრავჯერ მოსწყვეტია ზეციერ სუფლის და გამოუვალ წინააღმდეგობებსა თუ ენებათაღელვებში მოქცეულა. და ყოველთვის თვალნათლივია, შეუპოვარი ბრძოლის გარეშე ლოცვა და სახლება რაოდენ უკმარია თავდასაცავად.

ამ თვალსაწიერიდან შეთ უფრო ძმაფრად და სახიერად იკვეთება ზოგიერთი დათმობის აუცილებლობა, ის კომპრომისული გადაწყვეტილებანი, რაც თვით მკვლელობის დროსაც უტოვებდა ადამიანს გამოსყიდვის და მონანიების უფლებას. თუმც მონანიების გზა საკმაოდ ძნიმედ წარმოგვიდგება, განსაკუთრებით განზრახ მკვლელობისას, ხოლო შედარებით უფრო ასატანად უნებლიე მკვლელობის შემთხვევაში (ეს სამართლებრივი ნორმები დადგენილია VI მოფლიო საეკლესიო კრების მიერ) — მაინც ნუგეშად ევლინება სულიერად განწირულ ადამიანს. წლობით ლოცვა-ვედრება და სხვა რიტუალურ ვალდებულებათა ალსრულება შეუძლებელი იქნებოდა სიწრფელის გარეშე: ამიტომ ბუნებით პატიოსანი პიროვნება — გარემოებათაგან გზაგამრუდებული — უთუოდ ეზიარებოდა ღვთაებრივ სიმშვიდეს; და არა ბოროტი არსება — ფარისეველი მონანიენი, სხვის დასანახად.

და მახვილს ქარქაშში არ აბრუნებ ერთი მიზეზნით: ერის გამოსახსნელად, ანუ სამყაროს პარმონიულობის შესანარჩუნებლად, ღვთიურ კანონთა გადასარჩენად.

ასეთ დროს ჩქეია ადამიანს არა მკვლელი და ცოდველი, არამედ მეომარი და გმირი; ასეთ დროს მიუძღვის ქრისტეს ჯვარი და აცილებს მღვდელთავრის ლოცვა-კურთხევა; ასეთ დროს ჩნდება სახსოვიერო სავალოლდებულნი მხედრობის, როგორც ერის დამცველისა და მფარველის, სახება და სახოვნი ეეედრებიან მოწამებრივი ვალის ალსრულებას. გახსოვთ: ჩარგას მოგვი რომ ამბობს, „მე ლოცვანი ბრძოლის კაცი ვარო" (ლევან გოთუა, „მითრიდატე"). თურმე ამგვარი მეტაფორა არა მხოლოდ წარმართული ეპოქის სულისკვეთებას ესადგება, არამედ ქრისტიანულისაც.

ამ ვალის ალსრულების ნაცვლად სულგრძელობა და მიმტევებლობა ბუნებრივი თანმიმდევრობით დასრულდება სავალალოდ: როცა მოძალდე ცდილობს თავისი მიზნის მიღწევას და არა უნებლიეთ შემცოდე კაცი, ვის ფსიქიკაზეც უთუოდ მძლავრად იმოქმედებს პიროვნული კეთილშობილების ხილვა და მის სულიერ ძვრას გამოიწვევს. თუნდ კატორლეელიც იყოს ჯან ვალჟანივით (ვიქტორ ჰიუგო, „ბანრალნინი"), ოღონდ გულის ხილრმეში შერეწნილს სიწრფელე და პატიოსნება. იგი უთუოდ დაიგდებს ძველ ბრალ (როგორც ჟან ვალჟანი დაიბრუნებს თავის ნამდვილ სახეს, ანაკ მირიელის დიდსულოვნებისა და კეთილშობილების ხილველი), ხოლო მოძალდისათვის მიტევება უმწეოობის გამოსაცულებია და სხვა არაფერი: სისუსტის ეუნანიზეა.

აი, გადაგიდგენენ და თამამად მოგთხოვეს პუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი... გახსოვთ, არა, „შემომეყარა ყიჟაღი“? და როცა არ დაინახე და ხაუკეთესოს გაუწვდი („ჟურჩეგი თავთუხისასა“), ხორცს წაეტანება: ხოხობისას შეურჩეგ; მერე დვინისკენ გაიწვდის ხელს: ბადაგისას შეურჩეგ; და ამ თანდათანობითი დათმობით ორივე მიადგებით იმ ზღვარს, სადაც იფანტება ყოველგვარი ილუზია და იკვეთება ვითარების მანიპა ირსი: ყიჟაღი ალარაფერს ყაბულდება და შენს ცოლსაც მოიწდომებს. და ვიდრე გაოგნებულს ვეარაფერი გითქვამს, ისე მოხვევს ხელს და აკოცებს ცხრა ნაწნავს გიშრის თმისსა, თითქოს იქ არც ეგულებოდა... თუმც ასეთ ყოფნას ან რა აზრი აქვს.

აქ სხვა არანაირი გზა ალარ ჩანს: ან შეგუება ულონობასა და შეურაცხყოფასთან, ანდა ფრანგულზე ხელის გაკვრა.

ვაჟას „საახალწლო სიზმრისა“ არ იყოს:

შემზარავი შესახედაობის დათვი და ულამაზესი ქალი ბორტყებისა და სიკეთის ალეგორიული სახეებია და მოსალოდნელიც იყო, დათვი ქალს შესაჭმელად რომ მიეტანება. ბორტყება ძალას გრძნობს, ვერანაირ მეტო�ვერ ხედავს და ამიტომაცაა დაიმედებული — „შენ ხომ ჩემი ხარ, ქალო, ჩემი! ამ მძლავრის ტოტებიდან შენ ვინ დგაბინანხა, ვინ?!“ — და ახეთ დროს ერთადერთი ხსნა ხმლის გაშშვლებაა. მოიშენის ძაფი თუ არ გაწყდა, ძალმომრეობას ვერაფერი დაარკვნს. დათვი საშინელ ღრიალს მორთავს, ხმალს რომ დაუშენენ, და გარეთ გავარდება, მაგრამ სამუდამოდ მიეფარება კი თვალს? — არა და არა. ეს ის გაქცევაა, რაც ყოველ წუთს შეიძლება უფრო საზარელი დაბრუნებით შეიცვალოს. ან მერე რას აპირებ, თუ მახვილის ქნევა გადაიფიქრე და იმის დიდსულოვნებას მიენდე? დათვის, ადამიანი-ურჩხულის...

ბორტყების მიერ თავის მოკაკუნებამაც არ უნდა შეგაცდინოს. განა ჯაყო თავს არ აცოდებს ჯაჭირიებულ სოფელს?.. სოფელს: განრისხებულსა და მისთვის სამაგიროს მიზღვის მოწადინეს... ეს ის სოფელია, ადამიანის გარიყვა უსამართლოდაც რომ შეუძლია, მაგრამ, აგერ, არც ჯაყოს ძალმომრეობას შეპუებია.

თეიმურაზის უღონო ოცნება რეალობამ შეცვალა.

ამბრთლეს ასეთ რეალობას? ამართლეს ძალმომრეობის აღკვეთას? — რასაკვირველია, ამართლებ, ავიხმენელ დროზე უნდა მიეზღოს.

მაგრამ გული თუ მარნც მიტევებას გთხოვს?

მიუტევებ და აგერ: თეიმურაზ ხევისთავის ბედი.

„მოყვახის მოკვლა დიდად სამწუხარო ამბავია“, — ამბობს მერამეს დონ ეუანი, რაზეც დონ ვარსია მიუგებს: „მე ვიცი უფრო სამწუხარო ამბები, ეს ისაა, როცა ერთი მოყვახთაგანი ჩვენ გვკლავს“.

თუ ამ სიტყვების ცინიკურ ელფერს ჩამოვაცილებთ, მის შინაარსში კვლავ იმ უცვლელ ტენ ელს ამოვიკითხავთ, რაც ვერა და ვერ აშოშინებს ჩვენს აფორიაქებულ ფიქრებს: რა უნდა იღონო ადამიანმა... როგორ უნდა გამოიჩინო დიდსულოვნება... და გრძნობ, რომ მიტევებას შესაძლოა სრულიად უაზროდ შეეწირო, ბოროტგბაში სიკეთის მარცვალი ვერ გაადვიძო, მონანებისაკენ ვერ უბიძგო და, ვინ იცის, უფრო ძალამცეცელი და თავდაჯერებული შეიქნა.

მართალია, მწერლობის დანიშნულება მიტევების ქადაგებაა, სიკეთისა და სიყვარულის მარადიულობის რწმენა, მაგრამ სისხლსა და ბალღაშში ჩათრეული ცხოვრება კაცობრობისა, იმთავითვე აცდენილი განეთარების სხვა გზას, ამ ოროტგრიალიდან გამოღწევის არავითარ საშუალებას ალარ გიტოვებს. და მწერლობაც — თავიდაუნებურად — იძულებულია შეგვახსენოს ხოლმე ჩვენი ყოფის ეს ტრაგიკული არსი და ძალმომრეობის, ვერაგობის, სასტიკების წინაშე მდგომი მარტოოდენ სიკეთის, სიყვარულის, მიტევების უნარი არ ჩაგვინრგოს.

ამიტომ არის, რომ სულიერ გზაკვარდინზე გაბიდული ჰამლეტი მაინც შურისძიებას ამჯობინებს.

დამფიქრებელია, რომ უფლისწულს, ვინც ასეროგად ეოჭმანობდა კაენის ბოროტგბით დადგასაული პიროვნებისათვის სამაგიროს მიზღვას, უნებლიეთ შემოაკვდება პოლონიუსი, მეუის ვეზირი (თუმც თავს ირწმენებს, რომ ეს ზეციურ ძალთა გადაწყვეტილებაა და იგი მბოლოდ აღმსრულებლად ამოირჩიეს); ორთაბრძოლაში ჰკლავს შურისგების წადილით აღვსილ მის ვაჟს, ლაერტს; ხოლო პოლონიუსის ასული ოფელია — ჰამლეტის უმეტო სიყვარული — მამის სიკვდილს ვერ გადაიტანს, ჭკუაზე გადაცდება და თავს იხრჩობს.

მაგრამ არის კია ჰამლეტი დამნაშავე, მთელი ოჯახის ბედისწერად რომ გადაიქცა?

თვით ლაერტიც — ვინც კლავდიუსის წაქეზებით გაიმეტა უფლისწული ხასიკვდილად — სულის ამოხდის წინ შეუნდობს ჰამლეტს თავისსა და პოლონიუსის სიკვდილს და მასაც შენდობას ევედრება: „ჰამლეტ, მე და შენ ერთმანეთს უნდა მივუტევოთ. ნუ მოგეკითხოს ნერგ მამიჩემის სიკვდილი შენ და ნერგა ჩემი, და შენც შემინდეგ შენი სისხლი“.

რატომაა, რომ ბორტყებას (კლავდიუსი) და სიკეთეს (ჰამლეტი და ლაერტი) ერთნაირი აღსასრული ერგებათ: სამივეს მოწამლული დაშნით?

რადგანაც ჰამლეტი არ არის ორთოდოქსი მოძრწმენე, მისი სიკვდილი შეუძლებელია ავხსნათ რელიგიური თვალთახედვით, თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერისებებისაკენ სწრაფვა, ღმერთის უფლებებში ჩარევა არ ეკადრა.

ეს ტრაგედიაც შექსპირის სკეპტიკური მსოფლმხედველობის გამოხატულებაა: სამყაროს განადგურს არა ღვთაებრივი კანონები და ზნეობა, არამედ იდუმალი, აფბედნიერი ძალები, რომლისგანაც ადამიანს თავი ვერ დაუფარავია. ამიტომაც გადაქცეულა ქვეყანა საპყრობილედ და გაუმაგრდაც ბაღად, სადაც მხოლოდ ღვარძლი და ცუდი ბალახი ხარობს — მტარვალთა ჩაგვრა, სიამაყის თავგასულობა, მწვავე ტანჯვა უარყოფილი სიყვარულისა, მართლმსაჯულების გვიანობა, მძლავრთ უკმეხობა, შეურაცხყოფა ღირსეულის უღირსისაგან... კაეშური მძლავრობს და მის ცალკეულ გამოვლენათა დათრგუნვით დროთა დარღვეული კავშირი არ შეიკერის. „ბძოლითი სამნე დღის სინათლეს ვერ-სად წყუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს", — ის ოცნებაა, დროთა კავშირის შესაკავად რომ აღძრავს დიდბუნებოვან სულთ, რომელნიც სიკეთის დასამკვიდრებლად სისხლში ხელის გარეკვასაც ვერ ერიდებიან.

„თუ სასტიკი ვარ, ეს სიკეთის ნაყოფი არის", — ამბლეტის ეს რწმენა ის საყრდენია, რომელზეც ამოიზრდება ყოველგვარი ოცნება და განწირული სულისკვეთებაც თავის კვალს აღბეჭდავს გაუდაბურებულ გარეგოში.

თავი II

„რისთვის მართმევდი, დედა, მაუწყარა..."

სულიერ გზაჯვარედინზე გახიდული ვიკას ვეძიებენ ამბლეტიეთ პპოვებენ იმ რწმენას, რომ სიკეთის, დიადი იდეალების, ამბლეტიდ მისწრაფებათა გადასარჩენად გული უნდა გიქავთონ და სისხლის ტბორში შეაბიჯონ.

ესაა მათი ტრაგედია და გულისჯიდილიც ამიტომაა ასე მტანჯველი:

სიყვარული რომ არის ღვთაებრივი, სიძულვილი რადამ აქცია ღვთაებრივად?

სიბრალული რომ არის ღვთაებრივი, ულმობლობა რადამ დასახა ღვთაებრივად?

სიცოცხლე რომ არის ღვთაებრივი, სიკვდილი რადამ დასახა ღვთაებრივად?

რამ და იმ გარდუვლობამ, იმ უფალმა, ვინც საყოველთაო სიყვარულს შთაადგინებდა: გიყვარდეთ ტარი თქვენონ...

„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი", — ქადაგებდა მოსეს რჯული და ამ ზნეობრივი მოთხოვნით ცდილობდა მოეგვარებინა ამქვეყნიური ქიშპი და მტრობა... ისედაც ძნელად განსახორციელებელი მოთხოვნა ჩანდა, თუკი საერთოდ განხორციელდებოდა რეალურად, მაგრამ ქრისტიანულმა მორალმა მაინც ვერ იგუა: და არამცთუ უკმრად მიიჩნია, სრულიად უარყო.

თითქოს მხოლოდ ერთი სიტყვა შეიცვალა: „მოყვასის" ნაცვლად „მტერი" ჩაჯდა ზნეობრივ ფორმულაში, მაგრამ ამ ერთი სიტყვის ცვლილება ახალი რჯულის მრწამსს გამოხატავდა.

„გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი თვისი", — ეს უკვე ქრისტიანული კოდექსის მცნებაა, იმ იდეალური ზნეობრივი ზნეობრივი კანონი, წუთისოფელში რომ განხორციელებაა არ უწერია. აქ შესაძლოა მხოლოდ სწრაფვა ამ იდეალისაკენ, რეალური გზების მოსინჯვა მასთან რამდენადე მიახლოებულიდ, რაც არ სცილდება ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა საზღვრებს. ეს სწრაფვა კი ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოგვიდგება აკაკის სტიქონებში:

ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს,
ვინც არ მიყვარს, ისიც არ მძულს.

გარეგნულად ეხეა თითქოს იგივეი, რაც ქრისტეს მცნება, მაგრამ მაინც შესამჩნევია ის განსხვავებული ნიუანსი, რაც ხელუსლებლად ტოვებს ამბალებულ, რომანტიკულ განცდას, ოღონდ არა აბსტრაქტულად, არამედ ადამიანის შესაძლებლობათა ფარგლებში. ლირიკულ გმირს არავინ სძულს, მისი დიდბუნებოვნება და მიმტევებლობა უდიდესი სიყვარულის უნარზე ამოზრდილა, მაგრამ უდიდესი, რასაკვირველია, არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს უსაზღვროს და ადამიანის ამბალებული სწრაფვანი მდაბალსა და დაკნინებულ მორალს რომ შეეხლება, შეუძლებელია ბრმად მისდიოს გულის კარნახს და გარეშო რეალურად არ აღიქვას. რეალური აღქმა კი ძალაუნებურად უბიძგებს, რომ ყველასა და ყველაფერზე ერთნაირად არ გაავრცელოს თავისი სიყვარული და ის ეკმაროს, რომ — ბორტების მხილველს — სიყვარული სიძულვილით არ შეეცვალოს. ჯერ ესეც რარიგ ძნელი მისაღწევია, ეხეც იშვიათ პიროვნებათა ხვედრია და მთელი კაცობრიობისათვის მარტოოდენ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ამგვერი საწყინი მოლიანად წარმართავს კაცთა მოდგმას: ანუ — არასოდეს.

ის, რომ ვერ შეიყვარებ იმას, ვინც გულს (თუმც შეიძლება როგორღაც შეიყვარო ის, ვინაც ძულხარ), ის ტრაგიკული დილემაა, რომელიც გადაულახავია ლეგ ტოლსტოის მსოფლხედვაშიც („ანა კარენინა"). გახსოვთ: ალექსი კარენინის ეკვი და სკანხინი, ამ გადაუვრელ წინააღმდეგობაზე ფიქრი რომ ალუძრავს, რამდენიც გინდა ეძიო მისგან თავდახსნის გზა, რიგორც გინდა ირწმუნო, რომ მის მოუგვარებლად ამოა ღვთაებრივთან ზიარება, რეალისტური მსოფლხედვა — მოუხედავად დიდი სურვილისა — ოცნებებს ვერ მიიჩნევს სინამდვილედ.

ეს მსოფლხედვაა, ცოტა მოგვიანებით მაგალდ დე უნამუნოს რომანში „ამელ სანჩესი" მოულოდნელად ფარული ტკივილი რომ გაამეფდავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. იქნება არც იყო მოულოდნელი? ბოლოს და ბოლოს, ულმერთო საზოგადოების მორალმა ყველაფერს უცვალა ხასე ადამიანის არსებაში და ისე დაემსგავსა რწმენაზე, რომ საკუთარი თავიც შეაძაგა. მის წინაშე სულ უფრო მეტფიფიდ და მეკაცრად გამოიკვეთა სიცოცხლის აბსურდულობა; და ტრაგიზმი ისეთი გაუსაძლისი შეიქნა, ხოკანინეთი აეხნა თავგზა: „უფალო ღმერთო, შენ არ მასწავლე, შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი? რატომ არ მიყვარს ჩემი მოყვასი, რატომ არ შეშინდა მისი სიყვარული, ვითიე იმიტომ, რომ ჩემივე თავი არ მიყვარს და შემიძლია შევიყვარო, რაღეთუ ეს უნარი არც გაჩამნია! ახეთი მაინც რა დამმართე, უფალო!"

ეს უჩვეულო ტკივილი, ამოზნიდული სულის ღრმა კუნჭულებიდან, ქართულ პიესაშიც (ირაკლი ლომაური, „რა ურჩევნია მამულსა?!") იჩენს თავს: „მიყვარდეს სხვა, როგორც საკუთარი თავი? თუ არ მიყვარს ჩემი თავი? თუ მეზიზღება? ეტყობა, რაღაც უფრო მაღალი უნდა მიყვარდეს, რომ სხვაც შეიყვარო ბოლომდე, რაღაც წმინდა უნდა მქონდეს შიგნით, მაგრამ არა მაქვს, ვერა ვგრძნობ, არა მაქვს, არა!"

ეს ის ჩიხია, რომლისგან თავდაღწევის იმედიც არსად ჩიაკენს, თუკი სასწაულებრივად ულიერმა ძალებმა არ აღადგინეს ადამიანში რწმენის ნამეცეცები. ყოველ შემთხვევაში, ასე მაინც რომ ადარ იყოს ყველაფერი გაუფასურებული, და ის ჭიდილი მოხეს და ქრიტეს მენეგებს შორის — მხოლოდ მოყვასი უნდა გიყვარდეს საკუთარი თავივით თუ ქტერიც — ასეთ გროტესკულ იერს არ იძენდეს... ისიც ბუნებრივი გაგრძელებაა ხოკანინის მდუღარე განდეგნისათვის, ძველ აღთქმას რომ გადაშლის და ინ ადგილას, სადაც ღმერთი კაენს მიმართავს, ხად არის შენი ძმა ებელო, მწარედ ჩაიბუტბუტებს: „სადა ვარ მე თვითონ?" — თანაშედროვე კაენმა თავისი სამყოფელიც აღარ უწყის...

როგორც რომანტიკული ყაიდის მოაზროვნე, აკაკი უფრო მეტად ცდილობს იდუმალებაში, იდეალურ წარმოსახვებში შეიღწევას, ხკერა, რომ ამალლებული სული ეზიარება სიძულვილისაგან განწმენდას, მაგრამ უფრო მეტის მოთხოვნა რეალურ ხაერდეს ჩკარავს და მეტაფორულ აზრადღა იქცევა. სიძულვილის ნაცვლად ადამიანს განურჩევლობა ეუფლება: ის ხკოს სიძულვილს, მაგრამ სიყვარული მაინც არ არის.

როგორც ტოლსტოის, ისე აკაკის კონცეფცია, არსებითად, მსგავსია, ერთნაირად ალსანი სიკეთის ქმნის წყუროვლით, ერთნაირი ყინით მაქსიმალურად ქრისტიანული იდეალისაკენ, მაგრამ ვერც წუთისოფლის მარწუხებს გაკეკვნან. მათ განცდაში გაერთიანებულია ზნეობრივი მრწამსიც და ის რეალობაც, რაც ვაჟას გულისუკიდილს ამგვარად ამოლოვებდა: სიკეთილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა...

ახე ხკეროდა, ანეი ხსვაგვარად როგორ ერწმუნა, რანაირად შეიძლებოდა ღმერთს შეეჩერებინა ადამიანი, ვისაც შეეძახ ურალვეკნენ, მაშფლსა და ცოლს არომეკნენ და რკუნის ცნებას უშლიდნენ.

რადგან ჩვენი ერი ყოველთვის დიდი ბრძოლების ცხპარეზზე იდო, ვაჟას ეროვნული გადარჩენის აზრი საყოველთაო სიყვარულის რწმენამდე აიტანა, ეროვნული თავისუფლების წყუროვილი მარადიული ბრძოლისა და დაუნდობლობის გარდუვალობამ გადაანწა (ოთარ ჩხეიძე).

ტრაგიკულია, აბა, რა არის, ამგვარი მრწამსი, განსაკუთრებით ალუდას კოშმარული ხილვების ფონზე, მაგრამ აუცილებელია რომ გამხდარა?

როგორ გგონიათ, დავით ალმაშენებელს არ ზარავდა სისხლის მორევში ჩათრეული ცხოვრების წესი?

იგი მთელი ცხოვრება ვერ შეეგუა ამქვეყნიურ ჩარჩოებს, ამალლებულ ლტოლვათა მოქცევას შემოზღუდულ სივრცეში და, რაკილა ვერაფრით ვერ ეგუებოდა, წუთისოფლის ხაზღვრების გადალახვა ამქვეყნიური დიდების დათმობით სცადდა. უჩვეულო საქციელია?.. მაინც არ არის გასაკვირი ასეთი სულიერი წუობის პირველებისაგან. მისთვის კარგ ისეთი რა იყო ხაკეთო დიდება, როცა მარადიული, წარდგენებელ მიეტატვოდა... რაოდენ დამფიქრებელია მისი „ანდერძის" ის ფრაზა — ზურაბ კიკნაძის მიერ „ლამაზზეურებული — უფლისწულისათვის სამეფო გვირგვინის გადაცემას რომ ამარებდა, თვითონ კი სულიერ ღწვის გზას უნდა შედგომოდა (....დდ მენებაკეა მოცლა საწუთოისაგან მეფეყოფოთა მაგისთა, რომელი-ეხე ღმერთმანან და ორის წლითოგან მოძღვრმან ჩემმან უწყიან"). მეფის ეს განზრახვა ყველასათვის საიდუმლოდ დარჩენილა: მალლა უფალმა იცოდა და დასლა მისმა მოძღვარმა, ვისაც არ დაუნებებია მეფისთვის განდეგილად წასვლა.

ანეი როგორ დაენებებინა?.. სახელმწიფო უდადვითოდ ვერ ივარგებდა, თავისუფლებას ზიარებული ქვეყანა ხელახლა ალმაჩნდებოდა მოსმდურის კაბალაში და დავთის, ვიდრე პირში სული ედგა, კალავაც გამეტებით უნდა ექნია ხმალი, კალავაც საქართველოს სამეფოს სიმტკიცეზე ეზრუნა და მხოლოდ გულში ეგლოვა ოცნებათა მიუწვდომლობა.

დავითი „ანდერძში" თავის თავს ამუნათებს: საწუთოოსმ მძლიანო; თითქოს მართლა მისი ნება ყოფიიდეყოს, თვითშემეცნებაში, ქრისტიანული მოძღვრების შესწავლაში დაინთქმებოდა თუ არა. სინამდვილეში კი მის მრწამსიგებებს განსაზღვრადვა ის უმკაცრესი რეალობა, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისგან თავის დაღწევაც ქვეყნის გამეტებას ნიშნავდა.

გულისჯიდელი ეს იყო, თუ იყო.

დავთმა უშუალოდ გამოსცადა საკუთარ თავზე ადამიანის ბედისწერა — მარადიულსა და წარმავალს შორის გაოგნებული ტრიალი და ზეციური ფიქრების ნაცვლად სისხლის ტბორში დგომა.

ტრაგიკულად სიმბოლურია: ფიცხელი ომიდან გამოსული დავთი სარტყელს რომ შემოიხსნის და სისხლი მდინარესავით გადმოსჩქეფს. ჯერ მისივე სისხლი ჰგონებიათ — როგორც შემატანაც გვაუწყებს, — მაგრამ თურმე მტრისა ყოფილა, ხშირს ვადიდან უკუჩამდინარე და აბჯარში ჩაგბორებული.

არადა, დავთი ალმაშენებლის სახებისათვის სულ სხვა სიმბოლო იქნებოდა მახლობელი, აღსავსე იმ ზეციერი იდუმალებით, რაც ადამიანის სულიერ გარდაცვეთას, მის ხელახალ შობას გულისხმობს: ერთხელ ცხენი რომ წაქცევია, ისე დაშავებულა, სამი დღე მკვდარივით იწვა, ვიდრე უფალმა არ აღადგინა. ეს აღდგინება, თითქოს ლაზარე ყოფილიყოს, მართლაც ვერ ჩაიგლიდა მეფისათვის უკვალოდ და სულიერი მსხვერპლი — გარიდება საწუთროსაგან — იქნებ მართლაც ამ ლამის სამეფისწერო შემთხვევამ ფიქრებინა... და ეს ტკივილი განუზორციელებელი ფიქრისა მის ანდერძში „...ჩაწერილია როგორც უკანასკნელი აღსარება, აღიარება თავისი უძლურებისა წუთისოფლის წინაშე, გულისშემძღველი სიტყვები სინანულისა: „ბარნა ძმო საწუთროსნ“. იქნებ ამ დაწნეხილ თქმაზეა მოქცეული იმ ცოდვათა კვანძი, „გალილანაი სინანულისანი“ რომ ჩამოთვლის“ (ზურაბ კიკნაძე).

ჰკაცრად მოეკცა ბედისწერა დავთი ალმაშენებელს და ამიტომ ითრევს ამ ულრმეს მეტაფორას „სამი დღის მკვდრის აღდგენის“ ის სიმბოლური სურათი, ყველაზე ძლიერ რასაც გაურბოდა: სხეულიდან ჩამომდინარე მტრის სისხლი და ამ ტბორში დგომა.

ოდისეესიც ყოველნაირად გაურბოდა სისხლიან ღრეობას და ისიც არ უთაკილია, რომ თავი მოეგიჟიანებინა, ოღონდაც ომში არ წაეყვანათ... მერეც, ალბათ, რას არ გაიღებდა, ოღონდაც შინდაბრუნებულს მისი სამკვდროსა და ცოლის წორთმეულ მოსურნე სახიოოები არ დახვედროდა. მაგრამ რაკიღა დახვდნენ, მათგან თავდაზსნისა კი სხვა არავითარი გზა არ არსებობდა, მათხოვრად დადაცვეთო უნდა შეპარულიყო თავის სახლში და, მშვილდსასარს ხელთ რომ იგდებდა, შურისძიებად დასტყდომოდა თავს მოძალადეთ:

„ძაღლთანაბრო, რა გეგონათ, ალი დავბრუნდებოდი ტროადან? შეგაჩნენდით ჩემი ქონების ბაბასა და ჩემი დიაცების გაბაზებას? ეგეც არ მაკმარეთ, ცოცხალი კაცისთვის განდოდათ წაგგებავართ ცოლი. არც ცის ბინადარ ღმერთებს ეპუებით და არც კაცთა შურისგებისა გეშინიათ. ახლა კი მიგწევთ ალსასრულის დღეს!“

ფიცხელ ბრძოლაში დაღალულ ოდისეესს ქალღმერთი ათენა წამოიწევებინა და გაამხნევებს, მაგრამ ერთბაშად როდი მისცეს მტერზე ძლეგას, მისი სიკვეთილისა და მამაცობის გამოცდას მოინებებს, ოვითონ კი მერცხლადცქეცული სახლის გაკვირტულულ ერდოზე შემოჯდება... ხოლო ბრძოლის სიშმაგე რომ დაცხრება, ოდისეესი ასეთი სახით ამოიზიდება: „ფარაბაზში, დახოცილ სასიძოთა შორის ლომივით იდგა ოდისეესი, შეშაზრზენი სანახავი იყო, მკერდი და ხელ-მხარი სისხლით ჰქონდა შესვრილი, თითქოს ეს-ესაა ლომმა დაგლიჯაო ხარი“.

მართალია, ოდისეესი არ თაკილობს მზაკვრულ ფანდს, ტყუილს, თვალისახვევას, მაგრამ მზაკვრულსაც ვერ იტყვი — ეს ის აღელვებლობაა, ურომლისოდაც სამკვიდროს გადარჩენა ვერ ხერხდება, არადა, მაშელის გამოსახსნელად ყოველგვარი გზა და საშუალება გამართულებულია.

ნიკოლო მაკიაველის „მთავარი“ მთლიანად ამ იდეითაა განმსჭვალული. ეს წიგნი დაკუროპილი და თავისუფლებისათვის მებრძოლი იტალიაში შეიქმნა და ეროვნული ულისსეკეთება და პოლიტიკური გარეშო შთამბეჭდავად და უკიდურესი სიმძაფრით გაცხადდა მასში. და თუმც მაკიაველის „ — სრულიად უსამართლოდ — ზნეობრივი პრინციპების შებღალვა დასდეს ბრალად, თითქოს იტალიელი მოაზროვნე მუმბრე და ნაკვეზებელი იყოს ყოველგვარ სიმდაბლეთა ჩადენისა ძალაუფლების მოსაპოვებლად. მაკიაველი განადიდებდა სისხლიან ნაბიჯებს ეროვნული ერთიანობის განსამტკიცებლად, ურომლისოდაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამაო ცდა იქნებოდა. არსებითად, ორ ბოროტებას შორის უფრო ნაკლები უნდა არჩეულიყო: რაოდენ საზარელიც უნდა იყოს სისხლის დანთხევა, ერის სრულ გაქრობასა და გადაშენებას ისევ ესა სჯობს.

ამ თვალთახედვით თუ შევაფასებთ, ის ორი მსგავსი ეპიზოდიც საქართველოს ისტორიიდან საპირისპირო პოლუსებივით დაშორდება ერთმანეთს.

გარეგნულად სრულიად მსგავსია:

გიორგი ბრწყინვალემ ერისთავები პიიწვია ცივის მთაზე და ღალატით დაახოცინა.

ზურაბ არაგვის ერისთავმა ხევისბერები მიიწვია ლხინში და ასევე ღალატით გაელიტა.

მაგრამ აქ მთავარი სწორედ განსხვავებაა.

ერთი სისხლისღვრა უდანაშაულო ადამიანებისა ერის ინტერესებით იყო ნაკარნახევი, თანაც გადამეტებულ სიფრთხილეს გამოეწვია — იქნებ ყველა ერისთავი არც შეწინააღმდეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა მეფის ძალაუფლების განმტკიცებას და მორჩილად ეღიარებინათ ამსოლუტური ხელისუფლება, ოღონდაც მონღოლები განედევნათ. მეფე ამის ძიებას არ შედგომია: ვინ იცის, ვინ განდგომოდა უნებლიეთ და თავისივე წინდაუხედობით ხელთ განდგომილი სამთავროები შერჩენოდა. მაშინ ხომ მონღოლთა დამარცხების ოცნებასაც უნდა გამოსთხოვებოდა. ასე განსაკუთრებით ეროვნული შეფასება ღირსთა და ისტორიას მიანდო... „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს ტრაგიკულად აღსრულებული ერისთავები ისე შემორჩენენ, როგორც აუცილებელი მსჯველობანი დიად მიზანთა ხორცშესასხმელად.

ხოლო მეორე სისხლისღვრა ერთადერთმა წადილმა მოაწყო — მთის თავისუფალი თემების დაკერძობის ენინა. უფრო დიდი ჩანაფიქრი არაგვის ერისთავს არ ამოძრავებდა და ხეკორბერთა მოკეთეთი თავების ფონზე ნეტარებით უმზერდა თავმოკვეთილ მთიანეთს — ისედაც სისხლისგან დაწრეტილი საქართველოს კიდევ უფრო დასასტაბლად, ოღონდ არაგვის საერისთოს განსამტკიცებლად.

რანაირად შეიძლება ეს ორი ეპიზოდი გავიგივოთ.

გიორგი ბრწყინვალე და ზურაბ ერისთავი ერთნაირად განვსაჯოთ.

შემზარავი კია ცივის მთაზე დატრიალებული ტრაგედია და უნებლიეთ ფიქრიც გაგვიელვებს, თუ ჭეშენის ინტერესებისათვის უდანაშაულო ადამიანთა გაჟრჟა შეიძლება, მაშ, რაღად გვიკვირს ჩვენს ეპოქაში დატრიალებული რეპრესიები, რასაც არაერთი უცოდველი პიროვნება ემსხვერპლაო. მაშ, გარკვეული აზრით, ესეც გამართლებული ყოფილა... მაგრამ ეს სხვადასხვა განზომილებანია: ინთავითვე გაკოტრებული სოციალური იდეების დამკვიდრებისათვის ძალმომრეობა შეეძლებელია ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეედაროს. ამიტომაც გარეგნული მსგავსებანი ერთმანეთში არ უნდა აგვრიოს...

და რაკიღა არ გვეშვება ის წყეული კითხვა, უფლობლობა და სიძულვილი რაღამ დასახა ღვთაებრივადაო, და ვერც იმ რეალობას წავუვალთ, რომ ჩვენი დღე და მოსწრება მონობის ულლიდან გამოხსნას ვეცნრაფოდით, შეუძლებელია ვირწმუნოთ, რომ ზურაბების ეინი არ გვამძრავებდა; და რომ: „ქართველი კაცის მოწყალე ბუნება და შემწეწარეტლობის უშრეტი ნიჭი მართლაც სასწაულს გავს“ — როგორც დაბეჯითებით გამოთქვამდა გურამ ასათიანი „სათავეებში“.

ეს მთელი წიგნის გამჭოლი იდეაა, ის ქვაკუთხედია, რომლის ირგვლივაც ბრუნავს ყოველი დაკვირვება თუ თვალსაზრისი და რომელიც ყველაზე სახიერად აირეკლვს „სათავეების“ სულისკვეთებასა და ძირეულ გაწყობილებას.

ასე ცალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობას უფრო ციდამტკაცული ინტრიგის ხასიათი აქვს, ვიდრე ხალხის რისხვისა.

ხაბმინო ნიმუშებსაც იმოწმებს ჩვენი ისტორიოდან — ლალბისა და უგვანი ქცევის შემოხვევებს — და თვალსაჩინოებისათვის ევროპის ქვეყნების ისტორიიდან მოიხმობს ცალკეულ მაგალითებს, მათ შორის, ერთმანეთს უდარებს გიორგი ააკაძის პიროვნულ ხასიათსა და კრომველისა და რობესპიერის ხასიათებს, რათა გამოთქვას მოსაზრება, რომ: „...ნოსტალ ეზნაურს გამბედაობა არ ეყო კრომველივით ან რობესპიერივით, ხალხის სახელთან სიკვდილით დაესაჯა ლუარსაბ მეორე ან თეიმურაზ პირველი. თუმცა მას არც კრომველზე და არც რობესპიერზე ნაკლები ენერგია არ გამოუვლენია ძალაუფლების ხელში ჩასაგდებადოლონდ ციდამტკაცულურ ინტრიგას უფრო ოსტატურად იყენებდა, ვიდრე ხალხის რისხვას".

რამდენად მართებულია ამგვარი დაპირისპირება?

გიორგი ააკაძე, არსებითად, იმით განსხვავდება კრომველისა და რობესპიერისაგან, რომ იგი დამარცხდა მეფეთასან ბრძოლისას, იმათ კი გაიმარჯვეს.

სხვა მხრივ, სწრაფვაც ერთნაირი ჰქონდათ ძალაუფლებისაკენ და კრომველიც და რობესპიერიც სწორედ ციდამტკაცულური ინტრიგის წყალობით მოექცნენ ხელისუფლების სათავეში.

„ხალხის რისხვა" იდეოლოგიური საბუთველია და მარჯვე ხერხი რევოლუციების გასამართლებლად: და მათთვისაც, ისევე, როგორც სხვა რევოლუციონერთათვის, ხალხის სახელით გამოსცემა მხოლოდ ნიღაბი იყო ნამდვილი მიზნების დასაფარავად.

ჩვენს საუკუნეში საბოლოოდ გაიშვნელა „ხალხის სახელის", „ხალხის რისხვის" შინაარსი და ეს უკვე მოძველდა რევოლუციათა არსისა და მნიშვნელობის ადრინდელი განსაზღვრება — სისხლისღვრის გამართლება ილუზიური, აბსტრაქტული იდეალებით.

სახელმწიფო გადატრიალების მიზანი ისეთივე ციდამტკაცულია, როგორც განუხრიცელებელი გადატრიალებანი. მართალია, გამარჯვებულნი წერენ ისტორიას და წერენ მათთვის სასურველად, მაგრამ დროებით... პიროვნული თვალთახედვით, გამარჯვებული ააკაძეც ისევ ის პიროვნება იქნებოდა თავისი სულიერი წყობით და მიზნებით, რაც დამარცხებულია. არც დამარცხებული კრომველი და რობესპიერი იქცეოდნენ სხვა პიროვნებებად.

ახე რომ, ამ და ამგვარ შეპირისპირებისას შეუძლებელია წარმოჩნდეს შურისგების ეროვნული ელფერი.

ხოლო რაც შეეხება შურისძიების გამოცხადებას ეროვნულ იდეოლოგიად: რასაკვირველია, ყოველად წარმოუდგენელია, რომელიმე ხალხის მიერ ოდესღაც, სულ სხვა ეპოქაში ჩადენილ ბოროტებათათვის მის შთამომავლებზე იძიოს შური ან სიძულვილით იყვნენ განმსჭვალულნი. თუ ასეთი რამ მომხდარა, თუკი შთამომავლებზე დაუპირებიათ შურისძიება, ეს ყოფილა არა გულწრფელად, არამედ ყოველივის ძალმომრეობის საბურველად გამოუყენებიათ...

მაგრამ, აბა, პატრიოტულ ლირიკას დავუკვირდეთ!..

განა ის შურისგების, მტერთან შეურიგებლობის, უდმობლობის ეხატვრულ-იდეურ საფუძველს არ ჰქმნის?!

და განა ნათელი არ არის, რომ რა გზასაც თავისუფლებისაკენ მივყავართ, ამ გზის გაკვალა სულიერ ტკივილსაც იწვევს დიდბუნებოვან ადამიანთა შეგნებაში?!

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა
ნავთსაყუდარი...
რაღად ღვრის დღესაც შენთვის სისხლსა
ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად
ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად
პირსისხლიანი?
თვით ხარ ნშვიდობა, უხვად მაღლთა
ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა
მბენელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდ მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის
ღვთაება არის?..

ილიას ეს მწარე განსჯაც იმავე წინაალმდეგობის ფარგლებში ტრიალებს, რაც აშორიშორებს რეალურ ყოფასა და ადამიანის ოცნებას იდეალურ, მიუწდომელ ცხოვრებაზე.

რადგანაც უსისხლოდ შეუძლებელი გამხდარა, სიყვარული უკვე უამარი ჩანს ამ დიადი მიზნის ხორცშესასხმელად. სისხლი და სიყვარული ერთმანეთს ვერ ჰგუობენ და სიძულვილმა უნდა ჟამოძოსოს ერი: თავისუფლებისმოყვარე სული სიძულვილის დაუშრეტელ უნარს უნდა გადაეჯაჭვოს.

ახეთ დროს უნდა დაეყრდნოს ამაღლებული იდეალი სამართლიანი შურისგების იდეას, ამოზრდილს არა პირადულ მტაცეზე, არამედ ეროვნულ მსოფლგანცდაზე.

ახეთი ქადაგებაც ნიშნადმლილია ლიტერატურისათვის, მის ეანრთაგან ყველაზე შთამბეჭდავად მაინც პოეზიისათვის.

როცა თვით სასულიერო საგალობლებში ისმება ეროვნული ტკივილები და აშკარა მოწოდებანი მტრის განსადევნად, ეს განდაგები მით უფრო მკვეთრად და სახიერად გამოიხატება ლიტერატურაში.

ამა თუ იმ ქვეყნის მწერლობის ისტორიაზე დაკვირვება ნათლად გვაგრძნობინებს ხალხის ყოფას — დაპყრობილია თუ თავისუფლად ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას რა ახსნა ესაჭიროება: პირწმინდად სულიერი და ფსიქოლოგიური ძიებანი ერის თავისუფალი ცხოვრების გამომხატველია, ხოლო პატრიოტული ნაკადი თუ მთელი მიმდინარეობა ლიტერატურაში დამონებული ხალხის ბორგვის დასაწყისია ან უკვე ამბოხია პოლიტიკური არტახებისაგან თავდასაღწევად.

და ეს პატრიოტული პოეზია (თუ სხვა ეანრები), თავისი არსითა და დანიშნულებით, განა სწორედ შურისგების იდეოლოგიად არ გვეგულინება?

ნურავის ეხამუშება ეს გაოგნება თუ შეხვედრა.

მძლავრი პატრიოტული სულისკვეთება — მამულის გამოხსნისათვის თავზე ხელის აღება და არე მტრის, არც სულმოქალე ან მოღალატე თანამძმისა და არც საკუთარი თავის დანდობა — ამეტყველებული ექსპრესიულად, იდეოლოგიური ზემოქმედების ყველაზე მარკვე გზაა: შურისძიების იდეური მრწამსი.

რაც უკიდურესია საშიშროება, მით უფრო მძაფრია გაზდელა. და ასეთ დროს პოეტი ლექსსაც აღარ იმყოფინებს... და გამჩენსაც კი ყვედრის:

> რისთვის მართმეედი, დედა, მაუზარს
> და მჩრდი ყალამს?
> მაუზარს რათმე იხმარდა კაცი,
> „ეხლო რა ეფუო?
> ყალმით კი ვერას ვანერხვ აწი".
> (ვიქტორ პოეზო)

ალბათ, ზუსტია ეს ციტატა პოეზის თხზულებიდან, ასე ორიგინალურად რომ ჩაუთავეს ლექსში გალაკტიონს, და თავისი გულისსუნთქვა ფრანგი მწერლის ტკივილიანი ფიქრისთვის გადაუფაქს. ეს ის პოეზია, დამნაშავის შეწყალებას რომ ვვედრებოდა ყირსსის მკვიდრთ: ადამიანის უფლებით ნუ შელახავთ ღმერთის უფლებასო... როგორ ულინოდ დაშეებია ხელები, როგორ უმწეოდ მოსჩნენებია ყალაშ...

პეტეფიც ასევე გადაადგმედდა ყალამს, როცა ბრძოლის ეინი დარეფდა ხელს... მიეწოდებას აღარ ეკმარობ, სურს, რომ საკუთარ ხელებზე დადენილი სისხლი ახლოს. ისე ბრძოლა ბრძოლად ან ომ მიაჩნია, აღარც განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილედ ფიქრობ თავს.

> ჩემს ლექსებს შორის ერთს ვარჩევ ყველას,
> მე ის მომიტანს სახელ-დიდებას,
> ლექსი, რომელიც ჩვენს ჯალათ ვენას
> შურისძიებად წეაკიდეს.

ო, სიტყვა „სიკვდილს" ჩემი მახვილი
ასი მტრის გულში აღბეჭდავს ასკერ!
და ეს იქნება ლექსი ნამდვილი,
ლექსი, რომელსაც ოდესმე დავწერ.

ეს სტრიქონები — ალბათ სახამშოში ძლევამოსილი ქვეყნების შეიღთათვის — ჩაოდენ მახლობელია ჩვენთვის, ჩვენი გულისსიქმის ზუსტად გამომხატველი: როცა გაოგიდდება მიწა და ღმერთი.

„მიწა არის დღეს ჩვენი ღმერთი" (ოთარ ჩხეიძე, „თეფორე") — ეხეკ ალბათ შემაცდენებლად გაისმის რელიგიურ დოგმებში გამომწყვდეული მორწმუნისათვის, მაგრამ, როცა დოგმებში იკრება სიცოცხლის ნაკადი, როცა იდეალი და რეალობა ერთმანეთს კი არ დაშორდება, არამედ გაიწონასწორებს ერთიერთს, ეს შეხედულება კვლავ ვაკახეულ მრწამსთან გვაბრუნებს.

უმძლავრესია მიწის ძალა, უძლიერესია ამ ძალის შეგრძნება და რელიგიურ, მისტიკური განცდასაც ამიტომ უტოლდება.

მიწის ძალა ხსნის იმ საიდუმლოსაც, რაც ჭოჭრისტმასისათვის სრულიად გაუგებარია: თუ რატომ არ ძძია შური ბარდენმა სარტორისზე, ვინც მამა და შვილი მოუკლა (უილიამ ფოულერი, „აკვიასტის ნათელი"). თვითონ დარწმუნებულია, ბარდენის ადგილზე მკვლელს არ შეეარსენდიდი. და მის უშოქმედობას ახეთნაირად აღიქვამს, ალბათ რაღაც თავისი რელიგია ჩქონდა, იქნებ ქადაგიც გაზდა.

ბარდენი მართლაც ღრმად მორწმუნე ქრისტიანია: ეხეკ აოკებს მის გაშმაგებას და, ამასთან, ამ მოძღვრებაზე დაყრდნობით ეძიებს ზოგადფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიურ მიზეზებს, ასე რატომ გაიმეტებს მისი მამაც და ვაეიც: დავა, რომელიც ქალეინსა და სარტორისს შორის ადგდა, არ ყოფილა მხოლოდ უბრალო წყაინქლავება, არამედ შეურიგებელი, გადაუჭრელი უთანხმოება, რადგან ეხეკოდა არჩევნებში ზანგების მონაწილეობის უფლებას — ქალეინი იცავდა ამ უფლებას. სარტორისი უარყოფდა. სწორედ ქალეინის ახეთი შეხედულების გამო მთელი ქალაქი შინაგანად ეთანხმება სარტორისის მიერ ჩადენილ მკვლელობას და სამართლიან ეტაედ მიიჩნევს.

ამიტომაც დაასო

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲐᲪ ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲨᲗᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲐᲛᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ, ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲡᲙᲠᲘᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲪᲘᲡᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲘᲬᲐ ᲐᲜᲬᲐᲒᲜᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲜᲐᲒᲜᲘᲡ. ᲗᲛᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲒ ᲡᲐᲠᲗᲐᲠᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲪᲮᲝᲜᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲚᲝᲑᲐᲗ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲓᲪᲮᲝᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲘᲡᲘ ᲡᲮᲕᲐᲒᲕᲐᲠ ᲨᲔᲣᲤᲔᲠᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲜᲔᲑᲘᲗ.

ᲓᲐ ᲗᲣᲗᲘᲐ ᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲗᲐᲛᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲠᲘᲠᲕᲜᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲛᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲮᲝᲠ ᲛᲧᲕᲐᲒᲝ ᲓᲐᲜᲒᲔᲓᲑᲘᲗ ᲛᲧᲕᲘᲗᲘᲡ, ᲠᲐᲪᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲗᲥᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲠᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲠ

გმირის ხასიათში მთავარი ის არის, შეცნობა ყოველსმომტეკვებელი უმწეობისა, რამაც ძალაუნებურად გადაიყვანტინა, ბორიტს ბოროტებითვე თუ არ მივუზღე, გადარჩენა შეუძლებელი შეიქნებაო: გადარჩენა საკუთარი პიროვნების, საერთოდ, ადამიანის. ქვეყნის გადარჩენა...

ნუგზარ მუზაშვილი წერილში „ირარატორიკული კითხვები" სწორედ ამ თვალიაზედვით განსჯის ალეკსანდრეს ხასიათსა და მიელ რომანსაც (ავრეთვე, გურამ ეკიანავილის „სამოსელ პირველს"): ჩვენს სინამდვილეში რანაირად შეიძლება შეთანხმდეს ქრისტიანული მორალი და ეროვნული თავისუფლებაა ძიება. მისი დაკვირვებანი გათვალისწინებულია ჩემს მსჯელობაში.

ზოლო ალეკსანდრეს ზოგადი განსჯანი არ დასჯირვებია მის შესაცნობად. თუ როგორ შეიძლება იხსნას ადამიანმა საკუთარი სული ან ქვეყანა: თვალწუნ ედგა სახიერი ნიშეში, თავისი ბიძა გიორგა და მისი უსაზღვრო სიყეთე, გაეღენთილი მტრის სიყვარულით და გადმთიელის მიერ გათელილი და ღირსებაყაურილი.

იგი სრულიად ამოვარდნილია სოციალური და ეროვნულ-პოლიტიკური გარემოდან. ფ თავისი ცხოვრების ყაიდას სავსებით შეგუებულს არც ერთი წამით არ უნათდება გონება, რაც თეიმურაზ ხევისთავივით წმოაძახებინებდა: „გენანავთო, ხალხო, რომ ადამიანი თავის თავს თვითონ უთხრიდეს სამარეს?.. მე ვარ ასეთი გიჟი, მე!"

 იმის გარკვევა, რომ გიორგას წმინდანობა კონციფტუალური კი არ არის, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, არამედ სტაქიფრი და გაუბრწყინებელი, ოღონდ არაფრისდიდებით — გონებრივი არარელიგიურობისგენი გამოწვეული, და მისი საქციელი ამტკიცებ გამოიყურება ასე არაშუნებრივად და უცნაურად, უთუოდ საგულისხმოა: გიორგას სულიერი წყობის ადამიანი მართლაც შეუძლებელია ახეთ თვალსაზრისამდე ღრმაზროვანი მსჯელობების გზით მისულიყო, ზოლო ამგვარი მრწამსის გაუაზრებლობა აქნება მართლაც ტოვებდეს გმირის არარელიგიურობენების შთამეჯდილებას, — მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამით, არსებითად, არაფერი იცვლება.

გიორგა განსხეულებული სიკეთეა და ბოროტების წინაშე ყოველად უმწეო და უძლერი: მინდობილი იმ შინაგან ძახილს, რომ სიკეთის ამ განუზომელი ძალით გადაასხვაფერებს და დაიმგვანებს ბოროტს.

მაგრამ გიორგას დიდ იმედოვნებას არავითარი რეალური საყრდენი არ გააჩნია: ის განუზომელი ძალა თურმე მხოლოდ ოქნებაა, ლამაზი და ნეტარი სწრაფვა, რაც გიორგას უყვალოდ ან აკრობს და მის სულს ირემში ჩაასახლებს, მაგრამ უზნეობა არამცთუ „ამოსანთხეფრდება, ოდნავი მაღლიც არ მიეცნობა.

ის, რაც ასე ამდელვარებს ალეკსანდრე მაკაელის სულს, ითმავითვე დამფიქრებელია ეკიმ ჯანდიერისთვისაც: „ზედმეტი სიკეთე ავადმყოფობაა, აუძლურებს კაცს... ნუთუ ძლიერი რომ იყო, უნდა გაბორიტდე აუცილებლად?"

ეს ტკივილი ოთარ ჭილაძის სხვა რომანშიც („ბაზე ერთი კაცი მიდიოდა") ფეთქავს; აიტტი მთ კი არ ამეზითებს, ვინც ნდრმა დ. გულკეთილობა ბორიტად გადაუხადეს, არამედ საკუთარ თავს, რადგანაც ამგვარი „ავალი" უმთავრესად ასე ანაზღაურდება: ბორიტებით. ღალატთა და სისხლით... დ ფუთავბოლო, უანგარიშო სიკეთე და ხელგაშლილობა მხოლოდ ბორიტების მომტანია („შენმა გაუთავებელმა ქადაგებამ კაცთმოყვარეობაზე, შენს საკუთარ შვილებს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ეს-მინათ ეს ქადაგება, მრავალი არასწორი წარმოდგენა შეუქმნა არა მარტო კაცთმოყვარეობაზე, არამედ საერთოდ ცხოვრებაზე").

გურამ ასათიანი ამ პასაჟთან ერთად იხსენებს ერთ ადგილს არჩილ სულაკაურის მოთხრობიდან „ლუკა" იმის ნათელსაყოფად, რომ, მართალია, ესაა ორი სხვადასხვა ყაიდის თხზულება, სხვადასხვა ისტორიული გარემო, სამყაროს ხედვისა და წარმოსახვის სხვადასხვა სტილი, მაინც...

„ამ ბორიტებას ახლა კეთილი გულით ვერ შეაჩერებ, იგი გაგიელვავს, გაგაოცახსირებს, მიწასთან გაგასწორებს! ამ ბორიტებას ახლა მხოლოდ ძალა თუ უშველის, დიდი, დამთრგუნველი ძალა..." — და აქაც დამფიქრებელი ის არის, რომ ანდუყაფარი, ვინც ამ სიტყვებს ამბობს, ბორცშესხმული სიკეთის ნიმუშია, ვისი სახის სილრმესაც სახიერად გამოაკვეთს სიმბოლურ-მეტაფორიული ფონი. ეს ფონი გასდევს მის რეალურ ცხოვრებას და ალსასრულიც ოდუმალების საბურველით იმოსება. და ისიც უთუოდ ნიშნდობლივია, რომ ანდუყაფარი დაბადებითვე ხეიბარია და გორიალა სავარძელზეა მიჯაჭვული.

განა თუნდ ესეც სიმბოლურ აზრს არ იმარხავს? — მიჯაჭვული, განწირული სიკეთე...

და, აი, ისიც დიდ, დამთრგუნველ ძალას ნატრულობს.

ეს ძალა იქნება საიდანმე უნდა გამოჩნდეს... ან იქნება სიკეთის ხელი უნდა ჩამოიცალო და, გაბორიტებული, თვითვე მოეკლინო მტერსა და მოძალადეს შურისმგებლად?!

და ამგვარი სულიერი მღელვარების გადამტანი ალეკსანდრე (ბორიტების წილ სიკეთე უმწეობაა), მხოლოდ მას მერე ჰპოვებს რეალურ იდეალს, რაც ბრმა შურისხმების (ბორიტების წილ ბორიტების) ამოგებასა გამოცდის. გმირის ფარული რწმენა მიელტვის რაღაც სხვას და, ამ აზრით, მიტოსთან შეხვედრა, რაც

უშუალოდ იწვევს ალექსანდრეს სულიერ აღორძინებას, მისი შინაგანი მოთხოვნილების რეალური ხორცშესხმა, მიტოს ცხოვრების გზას, განსხვავებულს გიორგას სახეში ნაგულისხმევი აუფლებელველი ქრისტიანობისაგან, ნუგზარ მუზაშვილი განსაზღვრავს, როგორც „ოლიტიზებულ ქრისტიანობას" (ანუ: წუთისოფლის საზღვრებში განხორციელებულ იდეალს). მიტოც სიკეთით, სიყვარულით, თანაგრძნობისა და თავგანწირვის უნარითაა აღვსილი, ოღონდ მას ამ ყველაფრის დაცვაც შეუძლია: სწორედ მან უნდა უპატრონის ბოროტების მიერ გათელილ ანეტას; და ალექსანდრეც სულიერად შეაჯანჯღაროს.

ახე, ტანჯვით პოულობს მაკაბელი საკუთარ თავს („მე ალექსანდრე ვარ") და, ანასეთად გათელილი, ოღონდ ანასაგან გაჩსხვავებული, შეგზავნა და ქოშაგის მოვლინებით სიცოცხლეს დაპრუნებულ ანეტას ხილვა მაფიოდ გაიცნობიერებინებს თავის დანაშაულებას.

ალექსანდრეც უკვე სიკეთეა, ოღონდ ის სიკეთე, ვისაც სიწმინდის დაცვა ღა გადარჩენა დაკისრებია: ამიტომ იქერის ამ მრწამსით და სახიერი სურათით რომანის სიმბოლიკა — ციბირიდან პატარა ძმისწულით შინ მომავალი კაცი.

თავი III

მოლოდინი

რისთვის დაბადალ, თავისუფლებავ, ამაქვეყნად პირნისხლანი?

ტანჯვა-წამებით რად მოვიკვლევთ შენეულ გზას?

და შენი ტაძარი უსისხლოდ რად არ შენდება?

განა არ ვიცი, რატომაც?!. ეარნე ისეე ჯიუტად უნდა ვიკითხო, მაინც ისეე ჯიუტად უნდა ველოდეთ რაღაცას...

ვერა და ვერ ვეგუებინ სიძულვილის, ულმობლობის აუცილებლობას. ეს კია რეალობა, მაგრამ გულს არა ხურს ასეთი სინამდვილის ალიარება.

იცის და მაინც...

ახსოვს: ღვთიური მიტევებანი.

ახსოვს: ხასტიკი შურისგებანი.

ახსოვს: ვანგებისაგან მოვლენილი სასჯელები.

ახსოვს: დაუსჯელი, გაპარაშვებული ბოროტებანი.

აწყდება აქეთ, აწყდება იქით და ვერ უპოვია პასუხი მტანჯველ შეკითხვაზე: შევუნდოთ შემცოდეთა თუ შევაკვდეთ?..

ასეთ დროს შედარებით უკეთესი გამოსავალი, ალბათ, სამართლიანი შურისგების იდეა, რაც ჩვენი ერის სულიერმა მამებმა წამოჭრეს XIX საუკუნეში და — გურამ ახალიანის მტკიცებით — „...არამც და არამც არ ნიშნავდა ბოროტებაზე ბოროტებით პასუხს. ამ იდეამ [illegible] ალბათ რეალური ძალის დაპირისპირების აუცილებლობა ედოს საფუძვლად. სამართლიანი შურისგების პრინციპით უარი ეთქვა ყოვლისმპყრობელობის პრაქტიკულად მიუღებელ მოძღვრებას. მაგრამ მის ნაცვლად „სისხლი — სისხლის წილ!" არ თქმულა. ეს იდეალი ბოროტებისადმი თავგანწირული წინააღმდეგობის, მის წინაშე ქედუხრელობის იდეალმა დაიკავა. ამით ახსნება, კერძოდ, დიდი სამეცნიერების მიერ ქართველ წერილობაში ასი წლის წინ დანერგილი ზნეობრივი პიროტანიზმი და მკაცრი სიმართლის სულისკვეთება".

მაგრამ ეს ხომ ჩვენი აღქმაა, ადამიანური თვალთახედვის ის შემოქმედული სიარეცი, რაც უფრო შორს, უფრო იქით ადარ გვაბედებს. „სამართლიანი შურისგებანი" საზოგი ჩვენი ზნეობრივი მრწამსია, ნაკლული, არასრულყოფილი უზენაესობასთან შედარებით, თანაც ერთგვარად შელამაზებული, თორემ სხვაგვარად იძულებული შევიქნებოდით გამოტეხილიყავით, რომ „შურისგების სამართლიანობა" ბოლოს და ბოლოს სწორედ ესაა — სისხლი სისხლის წილ...

ეს ჩვენ შეიძლება გვეკოროდეს, რომ შურისძიება თვით ღვთისაგან დადგინდა.

ეს ჩვენ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ სამართლიან შურისმაძიებელს ღმერთი არათუ შეუნდობს, არამედ თავის მფარველ კალთას გადაფარებს მის სულს, დიად და წარჩინებულ სულთა გვერდით დაუმკვიდრებს ადგილს სასუფეველში.

განა ღვთის ასეთი წყალობა მარტოოდენ შინკსნოუსის ხვედრია (ხომ გახსოვთ ულიანამ ფოლკნერის რომან „კარ-მიდამოს" ფინალური სურათი)?

არა, უთუოდ ყველანი, ვისაც ვუთანაგრძნობთ; ოღონდ ეს ახეა ჩვენი თვალთახედვით... ჩვენც, ჰამლეტივით, ვაწყდებით ჩვენსავე გულს და, თუკი გვკითხეს, რას კითხულობო, გალიზანებულნი ამასვა მივუგებთ: სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს...

ნეტა რა არის ამ სიტყვების მიღმა?.. ნეტა რა გაგვაღწევინებს ამ ჩახუფული სიცარცილან?

ალბათ, ის დაუშრეტელი უნარი სიკეთის, სიყვარულის, თანაგრძნობისა, რაც ვერ დაგვაბრკოლებს — მტერშიც მოყვასი ვეძიოთ, სისხლსა და სიძულვილში სწორედ სიკეთის ყლორტებს მივაგნოთ, სიკვდილის საუფლოში სიცოცხლის მარადიულობა განვკვირტოთ. და იმის ნაცვლად, რომ დავძღეთ ლაშქრობით, ხმლების ქნევითა, გულის კარნახს მივყვეთ და ვაღიაროთ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ:

ჩვენ ვიტყვეთ, კაცნი ჩვენნი ვართ,
მარტო ჩვენ გვზღიან დედანი;
ჩვენა ესცხონდებენთ, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ეწარა-მარაოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღთაშვილო უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციანს?!

დიდმა სულიერმა ძერამ ასე აპოვნინა ალუდა ქეთელაურს ეს დფარული ჭეშმარიტება — კაცთა სულიერი ძმობა ღვთის წინაშე...

ასეთივე გრანნობა ტიბსაც დაეუფლება (ოლოფაგნე ბორპერტი, „გრძელი, გრძელი გზის გასწვრივ“) და ეს მისთვისაც მოულოდნელია: მანამდე მოხუც ტყეს ეხლოდან მტრად აღიქვამს, თანაც ზანტად ეიმეშვაეედ, თითო გზობაზე ცოტა სათმარი მასალა რომ მოაქვს. და გულმოსული ტიმი პანღურს ამოიტაკავს, მოხუცი დინჯად მოტრიალდება და დალონებული მიაჩერდება სახეში, მეტი არაფერი, მაგრამ ტიმს მოეჩვენება, თითქოს მამა შეჰყურებდეს, თითქოს ზედგამოჭერილი მამაშინა იყოს. და ეს უეცარი ელდა ისეთი ძლიერია, რომ ტიმს გონებიდან არა და არ შორდება, გაუთავებლად იმეორებს და ძალიც აღარ ეკარება. ახე ერთბაშად მოხდა გადატრიალება მის არსებაში, სულში ჩაბუდებული სიკეთის მარცვლები მძაფრ შობებედილებას გადაეწნა — მტრის სახეში მშობლიური იერის ხილვას — და ტიმი უკვე სულ სხვა თვალით აღიქვამს სამყაროსა და ადამიანურ ყოფას.

მისი ეს განცდა ლიტმოტივად გადეკვნებულ ხილვებს ჩაჩლართვია — ლეიტნანტ ფიშერის რამდენიმე მძაფრ შობებედილებას და მათგან, პირველ ყოვლისა, ვორონეეთან დაღუპული 57 თანამებრძოლის შუდმივ გახსენებას. ის 57, აუუმპარის ერთი გახრილიი რომ გაიელტა, მთლიანი მასა კი არ არის, არამედ პიროვნებანი არიან, თავ-თავიანთი დიდი სამყაროთი. და არც ის 86-ია მთლიანი მასა, ეერმანულმა ყუმბარამ რომ ერთბაშად მოსრა, ამ რიცხვის მიღმაც პიროვნებანი დგანან, მით უმეტეს, თუ დაკვირვების საშუალება მოგეცა და სულიც არ ჩაგყრია, ადვილი შესაძ�eლია, რომ მათ ნაკვთებში მშობლიური იერი შეიცნო.

ისევ ჩვენს ზეწერლთას დავუბრუნდეთ?

როგორც ინებებთ.

ის თავისთავადაც უჩვეულო ისტორიული ეპიზოდი, ვახუმენ პატარნაშვილის მატიანეშ რომ შემოგვნიანა, ილია ჭავჭავაძის ნოველაში „ნიკოლოოზ გოშტაბაშვილი“ კიდეე უფრო ღრმად განზოგადდა: რეალობა აქ საგანგებოდაა გამჭვავებული, რათა ორი პიროვნების მეობრულმა შეჯახებამ საკაცობრიო ტკივილი გამოიხმოს.

XVII საუკუნის მიწურულია და ქართველი მხედრობა ირანელთა ლაშქარს უმკლავდება. უეცრად ერთი ყიზილბაშნი გამოჩნდება და ხუთ ქართველ მხედარს ერთმანეთის მიყოლებით ჩაბოყრის ცხენებიდან... მატიანე არ გვაქცნობს, ეს ჭაბუკები დაღუპენენ, დაიჭრნენ თუ უბრალოდ დაშავდნენ, მთავარია, რომ ორთაბრძოლისას დამარცხდენენ და მათი ჯავრი ამოიყარა. ეს ამოიყარა, ეა, ნიკოლოოზ გოშტაბაშვილი სძლევს ყიზილბაშს, ოღონდ კი არ განგმირავს, მშვიდობით გაუშვებს მისი ვაჟკაცობით მოხიბლული.

ილიას ნოველაში კი ხუთივე ჭაბუკი უსულოდ ეცემა მიწაზე, რათა უფრო მძაფრი იყოს გოშტაბაშვილის გულისხმიერი და მისი კეთილშობილებაც ამ ჰიდილში გამოსატანჯი.

რეალობა შერისხვებას ავალებს: ისევე ომია, ისევდა ზოცვის ეინს აუტაცანა და მტრის უწყალო ჩეხვის მეტი რა მოეთხოვება... აგერ, კიდევ ხუთი საუკეთესო მხედარი უსულოდ განისვენებს მიწაზე...

ჰა, თითქოს მიწეგდა საწადელს: ყიზილბაში მის ხელთაა და ჭაბუკთა სულებს მათი მკვლელის სულიც თან უნდა წაჰყვეს, მაგრამ რაღაცამ უნდა შეაჩეროს ხმი გახელება, რაღაცამ უნდა შეუბრკოს მკლავი... უთუოდ იმავე განცდამ, რამაც ალუდა ქეთელაური მტრის ცხენართან აატარა... იმ წუთას გოშტაბაშვილის მზერა სხვა ველარფერს სწვდება, გარდა ყიზილბაშის მხედრული სიმპატიისა; და ეს ორნი — ქართველი და ყიზილბაში — უეცრად ისე მოწყდებიან ომის სიშმაგეს, ცოდო-ბრალის ტრიალს, თითქოს დაბლა არაფერი ეწიდბოდეთ... ვაჟკაცობის თვალსაწიერიდან წამიერად წაწყლილია ყველაფერი, რაც სულთა თანაზიარობას ეკედლად ჩასდგომია და, რალა გასაკვირია, ნიკოლოოზმა უუნებლად რომ გაუშვა მტერი, ვინც ახევე დაეფახვნა თავისი მძლეველის სიმამაცესაც და სულიერ კეთილშობილებასაც: „მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო“.

ისტორიული ეპიზოდის გადმოცემამაც და ნოველაც აქ წყდება: ზნეობრივი აღზევების მწვერვალზე, და ამ და ანისთანა შემთხვევების გადასახელიდან განსაკუთრებით მტკიცენეული: ყოფის ტრაგიზმი.

ისეთი მშვენიერია ეს წამი, ალარ გინდა, სხვაგვარი ცხოვრება არსებობდეს და ალარც ის გინდა იფიქრო, რომ იდუმალ განცდათაგან გამორკვეული ნიკოლოოზ გოშტაბაშვილი კვლავ ფიცხელ ომში შეიჭრება, ისევე, როგორც ყიზილბაშნი კვლავ თავისიანებს შეუერთდება.

თვით მინდიას ირიეკეს წუთისოფლის მორვი და სხვა ვინაც გაუძლებს ბედისწერის გარდუვალობას.

მაგრამ ხომ არსებობს მშვენიერ წამთა გამოშუქებანი, ანუ „ეოეზნიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილი“ (ივანე ჯავახიშვილი), როგორც ამბელური სულის უწყვეტობის შენარჩუნების მაუწყებელი და ჩვენი არსებობის გამართლებაშ?!

ეს იქნება ის პირიმზეცაა, რომელიც უფსკრულს დასცქერს მოღერებულის ყელითა და შარავანდედად ადგას გრანდიოზულ სიმბოლურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათს „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალში: მგარობისა და სისხლისღვრის დასასრულის ხილვას.

ეს მეტაფორა ნაზი ყვავილისა, ომისა და სიკვდილის შეშინაოვ ანრიდილ რომ არ ეუფლა, თამაზ ნაკურიშვილმა თავის მხატვრულ-ისტორიულ ნარკვევში სხვადასხვა სახიერი ისტორიული ეპიზოდებით გააკოცხლა ეი, როცა ნიკოლოზ გოსტაფაშვილის რაინდული საქციელი გიახსენა, იქვე მოადევნა თეიურ-ლენგის მოლაშქრეების მიერ ბირთვისის ციხის ალების ერთი სცენა, ალსავე ანანალვები ღირსებით: ბნელ ღამით, როცა ციხის მიუვალობით გულდაიმედებულ მცველებს მშვიდად ეძინათ, მგერმა ამბიშუშის თოკები დაგრიხა, კიბე დაწნა და ორმოცდაათი მეომარი იდუმალად გადაევლო ციხეში... და რაოდენ მშიგიე უნდა ყოფილიყო სისხლისღვრისა და შურისგების ენინ, ერთი ხორასნელი ვეფკაცი არ იკადრებს მძინარეთა გაეუშვას და ხმამაღალ შესძახებს, ალაჰ, ილაჰო. ვითომ მართლა თავის ღმერთს მიმართავ? იმ ღმერთს, ვინც მოციქულის ბაგით ურჯულოთთა შემუსვრას ავალებდა მუსულმანებს?.. არა და არა, ესაა შებრალება მძინარე ვეფკაცებისა, ესაა მათი გაღვიძების წრფელი წადილი... და გაღვიძებულ ქართველებს მაშინვე იარაღისთვის უტაკიათ ხელი...

ნუ განუსჯით ხორასნელის ამ საქციელს გონებით, თორემ გაუგებრით დარჩება მისი მშვენიერება. ამიტომ ალეიქვათ ისე, როგორც არის: კაცური ღირსების დაუწერელ კანონთა წინაშე ვამუნდა სხვა ყოველივე.

წამის მშვენიერების ტრაგიზმი ისაა, რომ კაცობრიობის ცხოვრების არსს ვერ ფიიტეს, ვერც ვერაფერს გადაასხვაფერებს, ის მხოლოდ უნდა ტრაგედიას, უჩინარდებოდეს და კვლავ ჩნდებოდეს... და ვერც ეს წამი გასტანდა დიდხანს — ბირთვისის ციხეშიც სისხლისმღვრელი ბრძოლა დატრიალდა და, ვინ იცის, ის ხორასნელი ვეფკაცი ხმლის პირველ მოქნევისთანავე სასიკვდილოდაც განგმირეს... თუ არა, ალბათ თვითონვე ჩეხა უწყალოდ ის მცველები, რომელიც გამოეღვიძებასაც ასე დაეშურა.

ესაა ჩვენი წუთისოფელი.

ისიც ჩვენი წუთისოფელია, პოეზიისა და მშვენიერების ნაზი ყვავილებით მოფენილი, საკრდენად რომ უდგას ჭაკერ რეალობას, რათა კაცობრიობა ერთხელ და სამუდამად არ ჩაიჩეხოს უფსკრულში.

აბელური სული თუმც ვერ ფრგზნავს მოზღვავებულ ბორობებს, მაგრამ უფსკრულში ჩაჩეხვისაგან ხსნის ენერი ხომ მაინც შეხწევს?!

იქნებ არც ანის აუცილებელი, რომ დათრგუნოს ფალი ალ კიდეც გააცამტვროს?

იმანუელ კანტისთვის რომ ეკითხათ, ადამიანისთვის, კაცობრიობის განვითარებისთვის სწორედ ასე სჯობდა — სტეფანეოფიერიბია ეროვნული ბიბლიოთეკა მეტოქეობის ენის აყოლილი უკეთესობის რომ არ მორიდებოდა. მეტაცედ სურიდა: არადელი მწყემსების ცხოვრების პირობებში, ერთსულოვნების, ზომიერებისა და ერთიანთანაყოვნერული ვითარებაში, ნიეი არ გამოკლინდებოდა და ცხენრგვიით ვეინიერი ადამიანები ღირსებით შინაფონი ცხოველებრის დინეზე დარჩებოდნენო. მაშ, დაილოცოს ბუნება ამისათვის, რომ არსებობს ურიობა, შერით ალესილი მეტოქეობა, მოხვეججისა და ბატონობის ენინ. ადამიანს ხერა თანხმობა, მაგრამ ბუნებამ უკეთ იცის, რა სჯობს მისი მოდგმისათვის და განხეთქილების გზით ამიტომაც ატარებსო.

ჟან-ჟაკ რუსო ბუნებასთან დაბრუნებაში რომ ეძიებდა კაცობრობის ხსნას, ალერ კანტი როგორი ოფალწუნებით შეაჯურებს ადამიანთა მოდგმის დასაბამს... და რაკილა უკან დაბრუნება მარადჟამს ამაო ოცნებად დარჩება, ისეც წინ უნდა გვეგებულიყოს ის ფალეი, რომელიც ოდესმე იქნება რეალური სახითაც გამოგვეცხადოს.

ზოლო კანტის ეს შეხედულება დასაბამად იქცა XIX საუკუნის ფილოსოფიის გამოკვეთილი ტენდენციისა — სინამდვილე და არა ილუზია, რის სრულქმნილ ნიშვნადად ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ გვევლინება.

ზარატუსტრა შეუბრალებლად მუსრავს ქრისტიანულ მცნებათა ფიცრებს, როგორც მოძველებულსა და გამოუსადეგარს ახალი დროებისათვის; და აცხადებს თავის მცნებათა ფიცარს, რომელს მიხედვითაც ცხოვრების საფუძველი ბატონობის სურვილია. სიკეთე და ბოროტება ადამიანის გამოგონილია — ასეთია ზარატუსტრას ზნეობრივი მრწამსი. სიკეთე ის უფლია, რასაც სუსტები ადგამენ კისერზე, ანე რომ, სიკეთე სინამდვილეში ძალმოძრეობის გამჰარილებაა. ბოროტებას თავისი საფუძველი აქვ! და თვითონ ზარატუსტრას ბოროტნ: უფლო მოსწონს: მათში მეტი ენერგიაა. ამიტომ სჯერა, რომ ბოროტებას ჯერ კიდეკ აქვ მომავალი და ბის ეზოს ჯერ არ დაუსაბრკი.

ამ მეტაფორულ მსჯელობაში მხოლოდ უშედავათოდ, უაღრესი პირდაპირობითაა გამოთქმული ის სიმართლე, რომლის ირგვლივაც ასე გაწამებულნი ეტრიალენთ და მეტაწერელი კითხვის პასუხისათვის ვერა ეა ეერ მიგვიგნია.

ბორობებას თავისი საფუძველი აქვსო — ეს ხომ სინამდვილეა, კაენის პირი ხელეყელი.

რელიგიური დოგმები უკმარიათ — ესეც ხომ სინამდვილეა.

და ისიც სინამდვილეა — მიუხედავად ღმერთ-სპოყლეგბული სამყაროს ხილვისა, მიუხედავად წინასწარმეტყველური შეგრძნებისა, რომ კაცნი ეზიან ეეშპან, — ნიცშე ასეთი თავგამეტებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეძიებს ჭეშმარიტ ღვთიურ სიწყნის, უცვლელსა და მარადიულს.

ახე ამოდის წყვდიადიდან მისი იდეალი — ზეკეცი, ანუ ზნეობრივად ფერნაცვალი კაცობრიობა.

და როგორც ყოველი იდეალი, ესეც ტრაგიკული აზრითა განსაკუთარული.

ამაღლებული მრწამსისათვის გინდ უღრმეს; აზროვნებით მიგიანია, ზარატუსტრასავით, გინდ იმ მაკრი შთამეფლილნის შეშფოთით, ლეტენანტ ფიშერივით, ვინც სულიერად ფოროიაკებული და ქვეყნის ბედის გაურკვევლობით შეშფოთებული (უგზო-უკვლოდ მომავალი ევროპელი ტრამვაი ქვეყნის სიმბოლური სახეა) ცდილობს სხვანიც ამ შინაგანი ფერისცვალების თანაზიარნი გახადოს, იმათაც მიაწედინოს გულდაგან აღმოსხდარი ხმა, ყველას გასაგონად ალრიალოს, მაგრამ მისი ძახილი ათასეული ხმაში იკარგება.

„ბარაბა!" — გუგუნებენ ისინი, ისევ იმ ხახელს მიელტვიან, ისევ იმ არჩევანს ამართლებენ, ბარაბა-ყაჩაღი რომ ამბოჯინეს მაცხოვარს (მათე, 27, 21), ოღონდ ახლა ასარჩევიც ალარფერია: ღმერთი დაკკარგეთ და ბარაბას შეპყურებენ მომლოდინე მზერით... და როგორ არ შეშფოთდეს ყუმბარას სასწაულად გადარჩენილი ლეტენანტი, როცა თანამგრძნობელს ვერ პოულობს, სულიერი ტკივილები არ უცხიტება და ვერც მკრთალ იმედს აგნებს: „და არავინ იცის, სათი მიემართება ჩვენი გზა. ძინ, ძინ, ძინ, რეკს ტრამვაი და არავინ იცის სათი მიემართება მისი გზა. და ყველა კი მიმკვეს მას, და არავინ იცის... და არავინ იცის... და არავინ იცის..."

ყვითელი ტრამვაი არ გულისხმობს მარტოოდენ ერთ ქვეყანასა და ერთ პოლიტიკურ რეჟიმს, ესაა მეტაფორა დაუნდობლობის და გაურკვევლობის წყვდიადში გაჩვეული სამყაროსი, სადაც ეს ხმა დაუსაზღვლელად ვეფერვის ყურებში: „ბარაბა! ბარაბა!"

და შიში გიკერთს, ძალმოცემული თუ შევიქნენ, ვითუ ცდუნებას ვერ გავუძლო და მეც ამ სასტიკმა გარემომ ჩამითრიოს და დამიმგვანოსო.

შიში გიკერთს მენდეს მასიელივით, ვინც რეალურად აფუძნებს ამქვეყნიურ სისასტიკეზე ამაღლებული ქალაქ კანდიდსს. ოცნების ქალაქი, როგორც ბელური სულის თავიანებური გამოვლენა, მარადიული და ძლევამოსილი ვერ იქნება და, თუმც დაემხობა ბოროტების ქალაქ კამორას მიერ, მაგრამ აქ ალორძინებული სულიერება მაინც განაგრძობს არსებობას უგზო-უკვლოდ ლტო
ოვილი ქალებისა და ბავშვების სახით, მათ გადარჩენაში ჩაბუდებული დიდი იმედოვნებით.

თვითონ მენდეს მასიელი მანამდე აღესრულება, ვიდრე გადაშენებული ბრძოლა გაიმართებოდეს კანდიდსის კედლებთან — რასაც ამოდის ლის ბედი წინასწარვე გადაწყვეტილია და წინამძღოლს ამის შეგუება არაფრისდიდებით არ შეუძლია, დიდ სისუსტეს იგრძნობს, სხეული მოუდედნება და ნელ-ნელა ჩაიფერფლება. მისი ამქვეყნიური მისია აღსრულდა და, სხვა რაღა დარჩენია, კიდევ უნდა გაეცალოს წუთისოფელს. ოღონდ ვიდრე გაეცალებოდეს და სულის ამოსდგომის წინ თანამოძმეებს თავგანწირული ბრძოლის სულისკვეთებანი აანთებდეს, კანდიდსელთა იმედოვნების ბასუხად — „ჩვენ გავიმარჯვებთ, კოლსელეირო, აი, ნახავთ, თუ არა... თითო ჩვენგანი აუარება იმათს ვუდრიგავთ, და, აი, ნახავთ, თუ არ გავიმარჯვებთ, მზე მაღლა იქნება..." — მეტად სავეულისხმო ფრაზას ჩაილაპარაკებს:

„ღმერთმა დაგვიფაროს".

„ყოველად გაუგებარი რაჰ ჩაილაპარაკა", — შენიშნავს მწერალი და მისი სტალური მანერისათვის ნიშანდობლივი ეს ხერხი გვაგრძნობინებს, რომ ამ ნათქვამს განსაკუთრებულად დაუფიქრებენ და გარეგნული უცნაურობის მიღმა ღრმა აზრი ვეძიოთ.

გარეგნულად მართლაც უცნაურად და გაუგებრად გამოიყურება, მაგრამ თუ მასიელს არა სურს გამარჯვება, მაშ, როგორღა შევათანხმოთ მისი ეს წადილი თუნდაც იქვე სპრძოლველად მოწოდებასთან, მანამდელ თავდაცვით შეტაკებებთან... საერთოდაც, ეს ყოელისმეტვეველობა და კანდიდსის დაქცევასთან ასეთნაირი შეგუება აუხსნელია მისი მოღალეობის ფონზე — განა ოცნების და თავისუფლების ქალაქს ამიტომ არ აფუძნებდა, რომ ბოროტებისთვის გამოეკლიკა ადამიანურობისა და სიყვარულ მარცვლები და მისი გაღვივება ეცადა? და თუკი ეს ვერ ზორციელდება, სურვილით მაინც რატომ არ უნდა სურდეს გამარჯვება?

მაგრამ ეს ფრაზა გვიმხელს ისევ იმ მოუგეარებელ წინააღმდეგობას კეთილშობილურ მისწრაფებებსა და ცხოვრების სისხლიან მდინარებას შორის და მიხვან გამოწვეულ საშიროებას — გამარჯვებას და ძლევამოსილებას არ მოადენთნ ოცნება ამაღლებულზე და არ აღაზევოს ადამიანის მდაბალი ინსტინქტები. და თავისუფლებისათვის ბრძოლა სხვისი დამორჩილებისაკენ სწრაფვით არ შეიცვალოს.

აი, ამ საშიროებას გრძნობს მენდეს მასიელი და კანდიდსის დაქცევაზე მეტად ეს აშფოთებს. ამიტომ ისევ ის უჯობს: მარადიული დევნა და ამით ამაღლებულისაკენ სწრაფვის შენარჩუნება.

„ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის..." (მათე, 5, 10).

მაგრამ ჩვენს თვალწინ კვლავ თეიმურაზ ხეკოსთვის საბრალო აჩრდილი გაიელვებს (აკი ისიც ამ სიტყვებით იმშვიდებს თავს) და საი-

დანდაც ველური ყიფინაც მოგვეწვდება: „მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაფმა!"

და ისევ დაბეჯითებით გეკერა, რომ არავითარი სისუსტე არ უნდა მოგვეჩიოს, რადგან შერისგებაც და უღმობლობაც ღვთისაგან დაწესებულა.

ეგ კია: ეს სიმართლე დიდი ტკივილით თქმის, რადგან არა და არ გვეთქმის იმ წამთა მშვენიერებაც, დროდადრო რომ უნდა გამოაშუქოს: ხან ზეციდან, ხან მიწიდან, ხან მოკვანთაგან, ხან ჩვენივე არსებიდან... მთავარია, მისი მონატრებისა და ხილვის უნარი არ დავკარგო.

ამ წამთა გარეშე თვით ბორტყებასაც კი ვერ გაუძლია, იოკინ ო'ნ�ბა არ იყოს („სიყვარული თელებქეეშ") — დაუნდობლობითა და სიძულვილით გაჯღენილ გარეშოში თვითონაც ზნედაცემული კაცი დროდადრო შეშეურებს ვარსკვლავებით მოგეფილ ცას და ეს მზერა იდუმალსა და ღრმა აზრს იმარხავს.

ეს განცდა, ეს წყურვილი საკაცობრიოა და ჩვენთვისაც ნიშანდობლივი... იქნება სხვაზე კოტა მეტადაც კი, რადგან ერთგვარი რომანტიკული ელფვერი უთუოდ გადაპკრავს ჩვენს ერ-ოქნულ ხასიათს.

როცა გრიგოლ რობაქიძე წერდა — „სქართველოს ისტორია რაინდული პპოოსით იმარჩენდოდ ყოველთვის. რაინდობა ჩვენი ეროვნული პროფეციის შნოიანი ხაზულია", — აქ სწორედ რომანტიკულობაა იგულისხმებული.

საამბოხო ნიშნებმა თვითონაც იხსენებს და სხვაც შეიძლება მივუმატოთ, თუნდ ეს ხალხური პოეტური სტრიქონები, რაც ისე უნდა განზოგადდეს, როგორც ეროვნული თვისების გამოვლენა:

მე თუ არ დაგეკერ, შენ მომკლავ,
სისხლსაც ვერავინ აიღებს.

ამ სტრიქონთა უჩვეულობა ტარიელ ტანტურიამ გამოაშუფება („ამის ზოქმელი ჩკალეი არაა! იგი ცოდვაა, რადგან ქეეეანა, სადაც ცხოვრობს, ბეკლილებითაა დასახლებული — თვითონ თუ არ დაკრა (დაკკერდეთ: დაკრა და არა მოკლა!), მას მოკლავს მის პირისპირ მდგარი შეიარაღებული ბეკლელი! რა ქნას! როგორ მოიქცეს! უნდა დაკრას!"), ხოლო ამგვარად ალეკსანდრე ყაზბეგის ამ ფრაზას დავუკვირდებით: „შეუვნდი შემცოდეთა თუ შეეკვედ?"

ეს „შეეკვედ", ცხადია, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გულისხმობს, მაგრამ გამოთქმის იერი როგორი შთამბეჭდაობით გვიმეღალნეს მწერლის წადილს — ეგეს აირიდოს სისხლი, ეგეს აირიდოს შერისგების გარდუვალობა... „მოკლალო" კი არ ამბობს, არამედ „შეეკვედეო". საკუთარ თავს უფრო იმეტებს, ვიდრე შემცოდეს...

განა შეშთხვევითია, არსენას სახება — როგორც ისტორიული პიროვნების და როგორც ლიტერატურული გმირის — ჩვენს სინამდვილეში რომ შეიქმნა?

უსისხლო ყაჩაღი უცნობია ევროპული თუ აღმოსავლური მწერლობისათვის.

ისინი თავს არ იწონებენ: კაცის ცოდვა არ გვაძევსო.

ყაჩაღის ცხოვრების წესი თითქოს სრულიად უარყოფს უსისხლობასა და უცოდველობას, მაგრამ არსენა ისეთი მოდელია, რაც ბედნიერ გამონაკლისად გვევნინება და ჩვენს ეროვნულ ბუნებას თავისებურ სნიფსა და ლაზათს სძენს („სათაგეებში" გურამ ასათიანს ეს სახე ანალიტიკურად აქვს შესწავლილი).

არსენა იღუპება ისე, როგორც ცხოვრობდა — იმ ზნეობრივი კანონის რწმენით, რომლის განხორციელებაც მარტოოდენ იდეალურ საზოგადოებაშია შესაძლებელი. და რადგანაც იგი იდეალური ცხოვრის, კიდეც ეშესებრალება გრიეშის სისასტიკეს: თუნდ უკიდურესად განრისხებული და საბრძოლველად შეპარფული, ვერაფრისდიდებით ვერ აიძულებს თავს, სიცოცხლეს გამოასალოს მტერი — ამბრამ დაპკრავს ხმალს ყუით გიორგი კუკანელის ცხენს... მაგრამ ის, რაც ყოველად წარმოუდგენელია მისთვის — მოკვლა და, თანაც, უაირელი მტრისა— სავსებით რეალურია ამ ხაზოგადოებრივი მორალისათვის, სადაც უზდება ცხოვრება: ამბრამ არ ითაკილებს კუკანელი ვაჟაში ხმალგადატეხილი არსენასთვის მარჯვენის ჩამოთლას და თავის მხლებელ ლეკის ბიჭსაც ოილად დაანებებს, ზურგში მუზანსთოვად დახცეს დამბაჩა...

არსენას სულის მოძრაობა, მისი საქციელის დრამატიზმი ამ ორ სტრიქონშია ჩაწურული:

ვერ გავიმეტე, გიორგი,
ვაი დედიჩემის ღმერთსა!

საბწუხარო რეალობა ესაა: არსენამ რომ ვერ გაიმეტა, სამაგიერო კუკანელმა გაიმეტა, მის: არსენაში არავითარი ძვრა არ მოუხდენია არსენას ეთიილშობილებას, მის უჩვეულო, რაინდულ საქციელს, უთუოდ სისუსტედ ჩაუთვალა, ყოველ შემთხვევაში, ხელმარცხიანობად და მარჯვე შემთხვევა თვითონ ხელიდან არ გაუშვია.

ეს ეპიზოდი არ არის მარტოოდენ კერძო და რეალისტური სურათი და გარკვეულ სიმბოლოდაც შეიძლება გავიაზროთ, სახიერ ნიმუშად, თუ რარიგ ამაოა იდეალურ კანონთა აღსრულება უზნეო გარემოში, დაკარგული ღმერთის საუფლოში. კეთილშობილებას ასეთი გარდამეწნელი ძალა რომ ჰქონდეს, ადამიანური ყოფა ხომ სულ სხვა ფესვზე იდგებოდა.

მაგრამ ეს ეპიზოდი გულისტკივილთან ერთად აღტაცებასაც იწვევს და რწმენასაც გვინერგავს, რომ ვერაფერი ჩაკლავს კაცთმოყვარეობას, ღირსებას, კეთილშობილებას...

რა ვუყოთ, რომ განწირულია.

ერთი გაკრება, მეორე გაჩნდება, მეორე

თვალს მიეფარება, მესამე მოგვევლინება... და ასე დაუსრულებლივ... ეს ეპიზოდები, ეს სახებანი ხომ სულიერების უწყვეტობას ინარჩუნებენ და ამით აკავშირებენ ამბელური ცივილიზაციის ნაშთებს, როგორც ოცნებას დაკარგულ სამყაროზე.

სიძლიერეზილის ზეკნა უსახელრსლოდ ეკდილსბავია, კაცობრიობის ცხოვრების ტრაგიზმი — მარადიული.

„ვერ გაგიმეტე" — მხოლოდ რეალობაში არ ითქმის.

ისიც შესაძლებელია, რომ ლიტერატურული პერსონაჟი ვერ გიმეტო.

ოღონდ არა გარეგნულად — თუ სიკვდილი ერგება, სხვისმა ფანტაზიამ სიცოცხლე შთაბეროს, არამედ ის თანაგრძნობა გაჰღვივოს მისადმი, ის ახალი სული შთაბეროს, რაც შარავანდედად დაედგმის ლიტერატურული გმირის აღსასრულს... და თუკი მანამდე ქართველ მოყმესთან ერთად ლამის შენც ხმალშემართული ეკვეთებოდი მოძალადე ყივჩაღს, ახლა, როცა გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანში" კვლავ გადაიეფვნებს ბასი ლანდი, უკვე ეებრალება და უთანაგრძნობ თვით გადამთიელს, როგორც სიყვარულისაგან გონდაკარგულს და მსხვერპლად შეწირულს ამ უზნეაესი და მძლეთამძლე გრძნობის წინაშე.

ლეკსში არ შეცვლილა ბალადის ნიშნები, მაგრამ ის სრული მეტამორფოზა, რაც საერთო განწყობილებასა და ყივჩაღის სახეს განუცდია, იმან გამოიწვია, რომ — ბალადისაგან განსხვავებით — აქ ტრაგიკული კონფლიქტი ქართველი მოყმის თვალით კი აღარ არის აღქმული, არამედ ყივჩაღისა, რათა ორივე მხარემ თანაბრად გამოხატოს თავისი საოქმელი... თითქოს საუკუნო სამსჯავროს წინაშე დაანაზო.

„როგორ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი სიმართლე?!. სიმართლე რთულია, ძნელად ამოსახსნელი და ბოლოდდე შეუცნობელი. და როდესაც ამტკიცებენ, რომ არსებობს ერთადერთი, საყოველთაო სიმართლე, ამგვარი თავდაჯერება რომელიმე მოვლენის გამარტივებას უფრო წაადგებ, ვიდრე მისი არსის გარკვევას და დაზუსტებას", — ესაა ბირთვი თამაზ ნატროშვილის ლიტერატურული ნარკვევისა „მოსმენილ იქნეს მეორე მხარეც", და მის ირგვლივ იკვრის გაზზოგადებული ძიება იმ პიზზის ნათელსაყოფად, რამაც შეაგულიანა გიორგი ლეონიძე... მხატვრული თვალსაზრისით მართლაც სრულყოფილი ბალადა თითქოს მართლაც გიტოვებს უკმაოსობის შეგრძნებას; ის, რაც გამორჩა უცნობ მელექსს, ანდა იქნებ დაიკარგა კიდეც, და მეოცე საუკუნის პოეტი თითქოს იმ დაკარგულ — ყოველ შემთხვევაში, აუცილებელ — ნაწილს აღადგენს.

და თუმც ყივჩაღის აკაკაცობანი კვლავ ხელუხლებლადაა დატოვებული, ის კი არა, განზოგადებულია, რადგანაც მოძალადე ჩაგვრა ფუმინდეს საუნჯე-ხალოკაცებს გადაწყვეტა („ბეცხოას ვუმტკვრიე საკეტრები, ვლიწე ტაძრები კედლატრიანი"), ისეთი მძაფრი სიყვარულისაგან გაბელები, სხვა თვალით შეეგანდებს ტრაგიკულ კონფლიქტს... და აღარც ის გიკვირს, ყივჩაღი რუსთველური სტრიქონებით რომ მეტყველებს: პოეზიის წყალობით შექმნილი ახალი რეალობა მარადაც შესაძლებელს ხდის ამ მოულოდნელ პირობითობას. და კიდევ ერთხელ შეგვაგულიანებს, რათა ყოველ ადამიანში ვეძიოთ ღვთიური ნაპერწკალი, ვეცადოთ მათ სულში ჩახედვას, მათი ტკივილების გაზიარებას და თვით გადამთიელშიც მშობლიური ნაკვთები შევიცნოთ.

არათუ ადამიანში: დაკარგული ჰარმონიისაკენ ლტოლვა ისაა, შთაგვაგონებს, რომ სხვა თვალით შევხედოთ ცხოველთა სამეფოსაც — განა მათ კი არა აქვთ თავიანთი სიმართლე, უტყვი, უთქმელი, მაგრამ რეალური?! და, ვთქვათ, როცა ზოგმე და ვეფხვი ერთმანეთის ნაპყრდროსსიკეთლოდ შეერკინებოდნენ, მოკვეს თუ გამოუჩნდებოდა დაპტრებელი, ეითომ ვეფხვს რა დაეშავებინა, განა მისი უღმერთოდ ხმლით ნაჭრი სხეული არავის ხსოვნას არ უნდა შერჩენოდა გაუნელებელ სევდად და ტკივილად?

ბალადა იქ მთავრდებოდა, მოიქე კლდის თავზე რომ შემოწვებოდა, ვეფხვი კი კლდეს გადმოეკიდებოდა და ქვიშას „ჩამოაწოფნებდა", მაგრამ მოქმელთა ფანტაზია ასეთ დასასრულს ვერ შეგუებია და, ეი, ერთ-ერთ ზეილქსეს დაურთავს ისეთი გაგრძელება, რომლის ფონზეც რეალისტური ამბავი იღებამლებით ისოსებოდა. პოეზიის ჯადოსნური ძალა ხელშესახებად წარმოსახავდა პირველქმნილ ყოფას: ადამიანისა და ცხოველის ერთობას. თუმც ეს ერთობა დარღვეულიყო, მაგრამ დარღვეულიყო რიგორც ორ ტალ-სწორ არსებას შორის, თავთავისი სიმართლე რომ ჰქონდათ. და ეს იდუმალი ძალა აგულიანებდა მოყმის დედას გაწყვეტელი ჰარმონიის აღსაფენად: ვეფხვის დედის ხაძებნელად და ხამიძრის ხთქმელად.

გაგრძელება — „იარებოდა დედაი" — ისე გადება ბალადას და ჩვენს შეგნებაშიც ისე დამკვიდრდა, რომ ერთ მთელად თხზულებად აღვიქვამდით და ვეღარ ვამჩნევდით ზოგიერთ სტილურ შეუსაბამობას; არადა, ბალადის ძირითად ნაწილად უკვე დედის მწარე ფიქრები წარმოგვიდგებოდა და შერკინების ამბავი მხოლოდ ეპსპოზიციად გამოიყურებოდა. ხალხური პოეზიის ბოლოდროინდელ გამოცემაში ზურაბ კიკნაძე და ტრისტან მახაობრა გამოაცალკევეს ვეფხვისა და მოყმის ბალადა და თვალნათლივ გამოჩნდა, რომ „იარებოდა დედაი", თავისი აღნაგობით, დამოუკიდებელი ლექსია, შეთხზული იმავე განცდით, რამაც ცოტა მოგვიანებით გიორგი ლეონიძისაც უბიძგა, „ყივჩაღის ბალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და“ თავის პოეტურ ქუჩაში გადაედინო და ამ-ჭერად მეორე მხარე ეშმეტყველებინა.

უჩვეულოა: ვეფხვისა და მისი დედის სიმარ-თლე.

უჩვეულოა: ყივჩაღის სიმართლე.

მაგრამ, როცა ამაღლდები აქვეყნიურ ყო-ფაზე, როცა წაიშლება ყოველგვარი ზღვარი, რარიგ ძალული და სახიერია სხვათა სულისაგან მოგებული სუნთქვა!..

ამიტომ: ნუ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარ-ტო ჩვენ გვზრდიან დედანი.

ნუ ვიტყვით, მაგრამ მოჯადოებული წრე რომ მარად გადულახვია, ნურც ამას დავივიწ-ყებთ.

ნუ დავივიწყებთ სისხლის ტბორში მდგარი დავით ალმაშენებლის სახესაც. და ნურც ის ხმა გამოგვეკარება, „მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყო-ბა!“ — თუნდ ჯერ შორეულად ხმიანებდეს: სადაც ამაოა ნაპერწკლის ძიება, ამაოა.

და რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს თავგანწირვანი ამელური ცივილიზაციის ნაშუ-ბის გადასარჩენად, მისგან არ უნდა მოვითხო-ვოთ კაცობრიული ცხოვრების სასწაულებრივი გარდასახვა. უმჯობესიო მიმტევებლობათა, უჩ-ვეულო თაქვანწირვათა დროდადრო გამოკრ-თომა აუცილებლობაა, მაგრამ იმის, რაც ვერ შეცვალო ოვით ღვთის ძის მოვლინებამ, რასაკ-ვირველია, ვერ შეცვლის ადამიანის მიერ გა-ღებული მსხვერპლი.

ცხოვრების წესი ისევ ის დარჩა, დაუსრულე-ბელ შურისგებასა და მტრობაში ჩათრეული. მაგრამ ესეცაა: მაცხოვრის მოვლინებამ უთუ-ოდ რადაც ჩვენთვის უცნობი კატასტროფისაგან გვიხსნა, უფსკრულში საბოლოოდ ჩაჩეხვის გაგვა-რიდა, და ეს უფსკრული კვლავაც საშიშად რომ გადაშლილა ჩვენს თვალწინ, კატასტროფის ფარული გუგუნიც რომ გვაძრწოლებს, კვლავ დიადი მოვლინების იმედად ვიბრუნებთ სულს.

მამა-ღმერთი რომ დაბერდა, იესო ქრისტეში ჰპოვა განახლება, ხოლო ამჟამად, როცა იესო დაბერდა, მისი განახლებაც მოსალოდნელია (ერეკლე ტატიშვილი, ოთარ ჩხეიძე).

როგორ და რანაირად, ამის მომსწრეც შეიქ-ნება კაცობრიობა: ვინ იცის, იქნებ ისეთივე უდმერთო წამებით...

მძაფრი და მტანჯველია ეს მოლოდინი, დაუ-ოკებელი ლტოლვა კატასტროფისაგან თავდა-ხალწევად... კატასტროფა კი ისე აგვცილდება, ვერც გავიგებთ, მაგრამ ცხოვრების წესი ისევ ის დარჩება: ალსაბე გაუნელებელი ტრაგიზმით.

ისევ: სწრაფვა ამაღლებულისაკენ, ისევ: ოცნება სიყვარულზე, სიკეთეზე, თანაგრძნობაზე...

და ისევ: ქუჩრი და ავბედითი ლანდების ბო-რიალი, ხანდებისწერო ზარის რეკვა...

და ასეთ დროს ჰპოვებს გამჯარულებას შუ-რისგების ჯინი: ერთგვარად აწონასწორებს გა-ვეშებულ ვნებებს, გარკვეულ კალაპოტში მო-აქცევს — ადამიანი სამაგიეროს მიზღვის შიშმა თუ არ დაიოკა, თვისტომისა თუ უფლის მიერ ალსრულებულმა — ერთ დღეს დედაბუდიანად გაიელტება.

გაოკეტს... მაგრამ წაქეზებითაც გაქეზებს... ხოლო მცირერიცხოვან ერთათვის ტრაგიზმი ისეთი უკიდურესია, სულის ბობოქრობა მაშინ-ვე კი არ ცხრება, როგა. სხეულს გაეცრება. „მიუხვალ მამა-პაპათა ამოღებულს ხანკრითა“. — ვაჟას ეს მიმართვა ალექსანდრე ყაზბეგის ანრდილისადმი მარტოოდენ შთამბეჭდავი მეტა-ფორა არ არის: ეს ის რეალობაა, რომელსაც თავს ვერასოდეს დავაღწევთ, თუკი სხვებს შო-რის ათქვეფასა და გაქრობას არ შევურიგდე-ბით.

სულეთშიც — ამოღებული ხანკლით...

ხალალეშიც — ძალების შფოთით...

და მზის ნინალოლზეც — დაუსრულებელი ბრძოლითა და სისხლისღვრით... და კოშმარუ-ლი ხილვები — თუ როგორ გვიდგამს წინ ვი-ღაცის უხილავი ხელი კაცის თავ-ფეხის წვნი-ანს — მზოლოდ ალმკრავეებს ჩვენი ცხოვრების წესის ნამდვილ სახეს და ნისლით შემოგარ-ხავს ამელის სულის ნანგრევებს... საშველი კი არსაიდან ჩანს... და ისევ სისხლის ტბორში ვინთქვივთ...

ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გაალღოს სასლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითონაც შიგვე მღვარია...
პირჯვარი დაიწეროდეს...

ვისაც მტერობა მასწყურდეს...

დასასრული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა ნუჩრნუმია

ბედია

ბედიის ტაძარი — ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი მდებარეობს აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონში. სამონასტრო კომპლექსის ცენტრშია ტაძარი, რომელიც გუმბათოვანი ტაძრის ტიპს განეკუთვნება. ტაძარი აგებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III მოღვაწეობის ხანაში. ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები: ტაძრის ქტიტორი მეფე ბაგრატ III ეკლესიის მოდელით ხელში და დადიანთა საგვარეულოს წევრები. ტაძრის მოხატულობა სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენას მიეკუთვნება (XIII და XIV საუკუნეებს, მკვლევართა აზრით შეინიშნება XI საუკუნის ფენაც).

ტაძრის დასავლეთ მხარეს საკმაოდ დიდი ხასპლის ტიპის ნაგებობაა, ხოლო ჩრდილო შესასვლელი კარის თავზე არის XIV ს. სამრეკლო.

აღსანიშნავია ქართული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუში, ბედიის ეპედური თასი — ოქროს ბარძიმი. ეს არის მასიური, მრგვალი ფორმის ბაკალო ოქროს თასი (შესრულებული X-XI ს. მიჯნაზე). ბარძიმის ზედა ნაწილის ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ვვამცნობს, რომ მეფე ბაგრატ III და დედამისი გურანდუხტი ამ ბარძიმს სწირავენ მათ მიერვე აშენებულ ეკლესიას.

ქართველ მემატიანეთა გადმოცემით, ბედიაშია დაკრძალული გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III. ასეთი დიდი ხელმწიფის დაკრძალვა ბედიაში მიუთითებს იმ დიდ მნიშვნელობას, რაც ბედიას ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობისთვის.

ბედია პირველად მოიხსენიება XI ს. აკადემიის ლეონტი მროველის ისტორიულ ნაწარმოებში: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და თავდაპირველთა მამათა და ნათესავთა", რომელიც მოიცავს პეროდის უძველესი დროიდან ახ. წ. V საუკუნემდე. აქ არ შეეხებით კავკასიის ხალხების წარმოშობისა და ეთნიკური მოგვლისებულ კონცეფციას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ისტორიკოსი, აღწერს რა კავკასიის ხალხების საერთო წინაპარ თარგამოსის ერთ-ერთი შვილის, ეგროსის კუთვნილ მიწა-წყალს, მოიხსენიებს ტოპონიმ ბედიას: „ხოლო ეგროსს მიხცა ქვეყანა ზღვის ყურისა და ფონის ხაზღვარი: აღმოსავლეთით მთა მცირე, რომელსაც აწ ჰქვიან ლისი; დასავლით ზღვა, (ჩრდილოთ) მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარხწუოთების წყური კავკასისა. ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი — ეგრისი. აწ მის ადგილსა ჰქვიან ბედია". ეგროსის წილხვედრ საქვეყნდრეულს XI ს. ქართველი ისტორიკოსი განსაზღვრავს იმავე ტერიტორიით, რასაც IX-X საუკუნეებში მოიცავს „აფხაზთა სამეფო" — იმ დროისათვის უძლიერესი პოლიტიკური წარმონაქმნი ქართველ სამეფოსამთავროებს შორის. ლეონტი მროველის ცნობები ისტორიული ხანის — ფარნავაზ I ეპოქის შესახებ (ძვ. წ. ალ. III ს) ნათლად გვიჩვენებს, რომ იმ დროს დასავლეთ საქართველოში არსებულა ადგილობრივი ხელისუფლების ქვეშ მყოფი პოლიტიკური ერთეული, რომელიც შემოერთა ქართლის (იბერიის) პირველმა მეფემ ფარნავაზმა. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ ფარნავაზი ქართლის დამპყრობელ აზოს წინააღმდეგ ეგრისის მმართველ ქუჯის დაუკავშირდა. ქუჯი სიხარულით დათანხმდა თავის სამფლობელოში მიეღო ფარნავაზი და მისი განძი ქართველ პატრიოტთა ლაშქრის გასაძლიერებლად გამოეყენებინა. ფარნავაზს თაყვანი სცა და ნებაყოფლობით დამორჩილდა, აღიარა მისი პოლიტიკური უზენაესობა, რაც თავისთავად მეტად საყურადღებო ფაქტია და მრავალი საინტერესო მოსაზრების აღმძვრელია. ქართველ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაში ძვ. წ. III საუკუნეში არსებობდა შეგნებული იერარქიული დაქვემდებარება დასავლეთ საქართველოს ხელისუფლის აღმ. საქართველოს (ქართლის, იბერიის) პოლიტიკური ხელმძღვანელობაში. ამის დასტურებს ისიც, რომ აზოს დამარცხების შემდეგ ფარნავაზის სახელმწიფოს ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩნდა რვა ადმინისტრაციული ერთეული — საერისთოსთან ერთად ცალკე საერისთოოდ „ეგრისი“, რომლის ხელისუფლად რჩება ქუჯი. ეგრისის ერისთავ ქუჯის სადამგებლო ტერტორია ეთნიკური თვალსაზრისით წმინდა ქართული სამყაროა და ლეონტი მროველი ბაზაანსით აღნიშნავს ამ მონოეთნიკურ კვეططანაში უცხტოტმელთა ჩამოსახლებას: „მაშინ ამან საურმაგ წამოიყვანნა იგინი (ნაგულისხმევია ფურძაკები — ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრები, საურმაგის — ფარნავაზის მემკვიდრის დედისიანები) ყოველთა კაკუასის ნათესავთა ნახეკვარნი და რომელნიმე მათკანნი წარჩინებულ ყვნა და სხვანი დასხნა მთიელეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს „სუანეთი“ (იქვე ანრიაზეს მიწერილია: „ეგრისი სუანეთია“).

ლეონტი მროველის ეს ცნობა შეტად საყურადღებოა, რადგან იძლევა ანტიკურ ხანაში ისტორიული ეგრისის (კოლხიდის, ლაზიკის) ტერიტორიაზე ქართველური ტომის, სვანების განსახლების ხუთაუს. ამით შეიძლება აიხსნას დასავლთ საქართველოს ტერტორიაზე სვანურ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შემორჩენის ფაქტი.

დ. მუსხელიშვილი წიგნში „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“ (თბილისი. 1977, გვ. 113) წერს: „ეგრისისა და სუანეთის საერისთოო მოიცავდა მდ. რიონსა და მდ. ღალიძგას შორის მდებარე ტერტორიას“. ლეონტი მროველის ცნობასთან მიმართებაში ნათელია ქრისტეშობამდე III საუკუნეში არსებული, ჯერ დამოუკიდებელი, ადგილობრივი მმართველთა, ქუჯით სათავეში, ხოლო შემდგომ ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში ცალკე საერისთოოდ შემავალი „ეგრისისა და სუანეთის“ საერისთოოს მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების საკითხი. ეს მოსახლეობა შედგებოდა მგრელულ-ჭანური და სვანური ტომებისაგან.

„ეგრისისა და სუანეთის საერისთოო“ გაფორმდა, როგორც ქართლის სამეფოს ადმინისტრაციული ნაწილი მეფე ფარნავაზის დროს, ძვ. წ. აღ. III საუკუნეში. ამან ვანაპირობა ამ პოლიტიკური ერთეულის პროიბერიული ორიენტაცია უკვე ჩვენი ერის პირველ საუკუნეებში, წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიაზე IV საუკუნიდან ლაზიკის სამეფოს მზარდი ძალიებისა და პრობიზანტიური პოლიტიკისა. ლაზიკამ მნიშვნელოვნად შეავიწროვა „ეგრისისა და სუანეთის საერისთოო“. კინფილქტური დამოკიდებულება „სვანეზსა“ და ლაზიკას შორის, ბიზანტია-ირანის ქიშპობა „სვანეთის“ გამო ამ მწვავე ბრძოლის პერიოდების ასახავს. VI საუკუნეში, ბიზანტია-ირანის ომების პერიოდში, სადავო „სვანეთის“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ შიდა ეგრისის რეგიონი — სამეგრელო, დასავლეთით შერმენდელი სამურზაყანოსა და კოდორის ხეობაში მცხოვრებ მისიმიანთა სვანურ ტომთან ერთად. აღნიშნული მოსაზრება მტკიცდება რომაელი მწერლის პლინიუს უფროსის ცნობაზე დაფრდნობით (ჩვ. ერის I საუკუნე): „მდინარე ხობისი კავკასიონიდან სვანებზე ჩამოდის“. მდ. „ხობისი“, ანუ ხობისწყალი მიედინება ხამგრელთის ტერიტორიაზე, მაგრამ პლინიუსი აქ მიუთითებს სვანებზე. სტრაბონის ცნობილი შეხედულებანი სვანების შესახებ, რა თქმა უნდა, ზღაპრულ სამყაროს არ განეკუთვნება, რადგან დიდი ბერძენი გეოგრაფი ბრწყინვალედ იცნობდა ადმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალს. ს. ჯანაშიას შეხედულებით, სტრაბონის ეპოქასთან შედარებით (სტრაბონი ცხოვრობდა ქრისტეშობამდე 64 — ქრისტეს შემდგომ 24 წლებში). მისი ცნობები უფრო მოგვიანო ხანაზე (ქრისტეშობამდე III-II სს.) მიგვანიშნებს. სტრაბონი აღნიშნავს სვანეთის განსახლებას დიდ ტერტორიაზე. იგი ახსენებს სვანების ბასილეუს, 300 მამაკაცისაგან შემდგარ სპეშოს, 200 000 ლაშკარს. ცხადია, დღეკანდელი სვანეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომი აქ ვერაფრით ვერ იქნებოდა ნაგულისხმევი.

სვანები ეგრისის ბარში სახლობდნენ ქრისტეშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე და სტრაბონი მხოლოდ დასტურებს ამ ფაქტს. ცხადია, სვანებს ვერაფრით ვერ დავუკავშირებთ „ბარბარიზაციის“ პროცესის შედეგად მთიელ ტომების ჩამოწოლას, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვ. ერის დასაწყისში. შესაძლებელია ამ ტომებში (ფასილეუსი, ეფრძოდ ასაზგებში,) ეოფილეოო ქართველური (სვანური ან მგრელი) ეთნიკური ელემენტი, მაგრამ უძველესი ხანიდან ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამდეც კი ეგრისში სვანური მოსახლეობისა. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „მეგრელელებდნოდოო ხობისწყლის სვანეთი“; „ბარის სვანეთია ვერ გაუძლო ბარის ფეოდალური ურთიერთობის შემოტევას“; „ბარის მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ სვანური მოდგმისანი არიან, განსაკუთრებით სამეგრელო, რაკა, ლეჩხუმი და ეს ბოლო ტენტი გვიან წარამოზიანი არ არის, არამედ უძველესი დროიდან მოდის“ (ნ. ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორიის საკითხები. ტომი III. გვ. 149).

სტრაბონის ცნობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია პტოლემაიოსის ცნობაც დღევანდელ გაგრის ზონაში „სუანნა-კოლხების“ მოსახლეობის შესახებ.

თ. ყაუხჩიშვილის დასკვნით, პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) სუანნა-კოლხი ნიშნავს სვანს, კოლხიდის ტერიტორიაზე მცხოვრებს (თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 67). სვანეთ-სამეგრელოს ეთნოკულტურული ურთიერთობის საკითხები, მეგრული გვარების სვანური წარმომავლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვ. ახლე მოწმის ისტორიული ეგრისის ტერიტორიაზე სვანური მოსახლეობის არსებობას. სწორედ ამ „სვანნო-კოლხებს" (ე. ი. ეგრისელ სვანებს) უწოდებენ ბერძენი ავტორები ჩვენოხებს, მერმინდელ სანიგებს. ჩვენი ერის VII ს-ში ეთნიკური ჯაფეი — მეგრელიდე უძველესი დროიდან ეგრისის ტერიტორიაზე მოსახლე სვანებისა, ჯერ კიდეე ინარჩუნებს თავის ეთნიკურ იერსახეს ახალ და მერელ გარემოცვაში. ამაზე მოგვითხრობს ახ. წ. VII ს. „ხოჯეთის გეოგრაფიაში" დაცული ცნობა, რომლის მიხედვით დღევანდელი ბიჭვინთის დასავლეთით მოსახლეობენ სვანები.

ეგრისის ტერიტორიაზე ახ. წ. IV ს. დამდეგიდან ლაზიკის გაძლიერებული სამეფო თავისი გავლენის ქვეშ აქცევს „ეგრისისა და სუანეთის საერისთოს". ბიზანტელი ავტორი შენან-დრე აღნიშნავს, რომ ლაზიკის სამეფოს გაძლიერება გამოიხატა მის მიერ სვანების დამორჩილებაში. როგორც აღვნიშნეთ, ტერმინ „სვანეთი"-ს („სუანეთი") დღევანდელი სვანეთის რეგიონთან დაკავშირება არ ჩანს გამართლებულად, ამ ტერმინში (განსაკუთრებით VI ს. მოელენეზთან დაკავშირებით) უნდა იგულისხმებოდეს „ეგრის სვანეთი", ანუ შიგა ეგრისის ტერიტორიაზე მდებარე პოლიტიკური ერთეული. ნაკლებ სავარაუდოა, რომ გამწესებულ ეროვნ ბიზანტია-ირანს შორის VI ს. II ნახევარში „მთის სვანეთს" (თანამედროვე სვანეთს) გამოეწვია. ბიზანტიის სიმპერატორო კარი VI ს. დამლეგს სპარსეთის შაჰს თავის უფლებას უსაბუთებს სვანებზე იმ მოტივით, რომ სვანეთი ლაზიკის ხელქვეითია, (ბეორგიკა ტ. III გვ. 222-23). სპარსელნი უარყოფენ ამგვარ დამოკიდებულებას, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე, V საუკუნეში სვანები მხრის უმეტრეს დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის მებრძოლ ვახტანგ გორგასალს (ქართლის ცხოვრება ტ. I გვ. 185). ჯუანშერი გვაუწყებს ცნობას, რომ V საუკუნეში შიდა ეგრისსა და სუანეთს ჰყავდა ერთი ერისთავი — სამმალიერი. ბერძნული ზეაარო VI საუკუნისა (მენანდრე) ასახლეთს სვანების მთავრის, სარდალს, რომელიც „მორჩილებდა ლაზს" (იქვე). ამრიგად, ჩვენს თვალწინ არის „ეგრისისა და სუანეთის საერისთოს" პოლიტიკური ისტორიის ამსახველი მონაცემები. ლეონტე მროველი, ჯუანშერი, უცნოეი ავტორები (ტარაბონი, პლინიუსი, პტოლემაიოსი და სხვა) გვაუწყდიან ცნობას „ეგრისისა და სუანეთის საერისთოს" პოლიტიკური ცხოვრებისა და მოსახლეობის შესახებ ქრისტეშობამდე III საუკუნიდან ქრისტეშობამდეგომ V საუკუნის ჩათვლით. „სუანეთისა და ეგრისის საერისთოთო" თავიდანვე ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ ორბიტაში იმყოფებოდა. ეგრისისა და სუანეთის საერისთოო იცავდა ქართლის სამეფოს ორიენტაციას (თ. მიბრეანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისისა. განსახილებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი 1989. გვ. 166).

ლეონტე მროველი ასახლებულს ამ საერისთოოს პოლიტიკურ ცენტრს დაარსების მომენტში, რადგანაც მითიური ეგრისის მიერ აშენებულ ქალაქს ახსენებს: „ხოლო ამან ეგრის აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვიან ბედია". ნათელია ბედიის დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში. სამწუხაროდ, ბედიის სამონასტერო კომპლექსი არქეოლოგიური თვალსაზრისით სათანადოდ შესწავლილი არ არის. იგი უეჭველად ინახავს თავისი შორეული და სახელოვანი წარსულის შრეებს.

ბედიის დაკნინება დაკავშირებულია VI საუკუნეში „ეგრისისა და სუანეთის საერისთოოს" გაკრობასთან. საქართველოს გაერთიანების ხანაში მოღვაწე დიდი ქართველი ისტორიკოსი, უცნობი ავტორი თხზულებისა „მატიანე ქართლისა" ცალკე წარმოაჩენს ბედიას. იგი განსაკუთრებით აღნიშნავს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III მიერ ბედიის ტაძრის აგებას. მემატიანე ამ ფაქტს ბაგრატ III ხახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მწვერვალად მიიჩნევს. საქართველოს ძლიერების სიმბოლოდ აღიქვამს: „ამანვე დიდმან მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა და შეკმნა საყდრად საეპისკოპოოოდ, მოცალთა მუნ ბუდაჯეთანა საეპისკოპოსი, შესწირა სოფელნი მრავალნი ყოველთა ბევრთა და ადგილთა, განასრულა ყოველითა განგებითა, შეამკო ყოველითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასეა ეპისკოპოსი. უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის-ყოფად სიმაღლისთვის დიდებისა მისისა, პირველ განიცადოს სამკაული ბედიისა ეკლესიისა და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა... ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე წარემატა ყოველთა ხელმწიფეთა ყოველითა განგებითა". ბაგრატ III, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, ბედიაშა დაკრძალეული. „და წარმოიღო გუამი მისი ზვიადმან ერისთავთ-ერისთავმან და დამარხა ბედიას" (მატიანე ქართლისა).

ბაგრატ III აალორძინა ბედია. აღორძინდა ისტორიული ტრადიცია, რომლის მიხედვით „ეგრისისა და სუანეთის საერისთოოს" საგვარეულოს შთამომავლები ახლენენ ბედიის ირგვლივ ძველი ქართული სახელმწიფოს „ეგრისისა და სუანეთის" საერისთოოს რეანიმაციას ახალი სახელწოდებით. ოდიშის საერისთაო — ეგრისისა და სუანეთის საერისთოოს მემკვიდრე ქართული პოლიტიკური ერთეული, რომელსაც ათავეში დადიანები (ბედიანები) უდგანან. ბედიანები ამ ეთმიდაც ცხოვრობენ სვანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდიშის საერისთაო პირველად მოხსენიებულია თამარის ე. წ. პრიველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედნი“. აი, რას გვამცნობს ეს ისტორიული წყარო: „და ერისთავი ბის ეკმისანი ეხენი იყვნეს: ბარამ ვარდანის ძე სუანთა ერისთავი; კახაბერი კახაბერის ძე, რაჭისა და თაკვერის ერისთა_ვიან; და აფუაზთა ერისთავად თთალო შარკვანიძე; ცხუმის ერისთავად ამნელიის ძე და ოდიშის ერისთავად ბედიანი“.

თ. მიიმრაული წიგნში — „დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“ — აღნიშნავს, რომ თუ გავითვალისწინებთ „იან“, „ან“ სუფიქსის სვანურ ბუნებას, მაშინ დავასკვნით, რომ ბედიანი ადგილის სახელისგან ნა_წარმოები გვარია, ხოლო „დადიანი“ კი ტიტული და ეს იმ სვანური ტრადიციიდან გამომდინარობს, რომლის მიხედვით სვანური „დად“ საუკეთესოს, წარჩინებულს ნიშნავდა (გვ. 188). ილია ანიეფლავა წიგნში „ლეკან II დადიანი“ მიუთითებს, რომ დადიანება ძველი ქართული წარჩინებული საგვარეულოს, „საღირისძეთა“ ჩამომავალი არიან. იგი ასევე შესაძლებლად მიიჩნევს ვახტანგ გორგასლის თანამედროვე „შიდა ეგრისისა და სუანეთის“ ერისთავ სანანადირიდან საღირისძეთა გვარეულობის წარმომავლობას. თამარის ხანის ოდიშის ერისთავი ბედიანი და საღირისძეთა გვარეულობა ერთი დასახელების წარმომდგენლები არიან. საღირისძეს ზედწოდება — ვეარი ბედიანი მიიღო თავის საერისთაოს რეზიდენციია ბედიიდან. საღირისძეთა დინასტია ძვ. წ. III — ახ. წ. V ს. ჩათვლით განაგებს „ეგრისისა და სუანეთის საერისთაოს“. შემდგომში კი „ეგრისისა და სუანეთის საერისთაოს“ ტერიტორია „აფუაზთა სამეფოში“ შედის. ამ საკითხზე სანინტერესო ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა არს ეგრი, საცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა და აჭა ალაშენა ქალაქი და დაიპყრა სამზღარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელი დასუა მეფემან ფარნავაზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინათგან ჰპოვო ბედი. მერე აფუაზთა მეფის ლევანისაგან განეყო და ცხომის ერის თავი სხუა, ბედიისა სხუა, აფუაზთა სხუა. თავარ მეფეედმდე ესრეთ. შემდგომად რუსუდანისა ოდიშისა დადიანი და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა“. ვახუშტი მიუთითებს, რომ „ლევან აფუაზთა მეფისაგან განეყო“ ყოფილი „ეგრისისა და სუანეთის“ საერისთაოს ტერიტორია. ეს აფუაზთა მეფის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად მოხდა, როდესაც დასავლეთ საქართველო დაიყო რვა საერისთაოდ: აფუაზეთის, ცხომის, ეგრისის (ცენტრით ბედიაში), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის. არგვეთის და ვაკე-იმერეთის. ეგრისის, ანუ „ბედიანის“, როგორც ვახუშტი უწოდებს, ერისთავის გამგებლობაში, ჩვენ ვხედავთ, შედის ის მიწები, რაც ადრე „ეგრისისა და სუანეთის საერისთაოს“ შემადგენლობაში შედიოდა. თამარის ისტორიკოსისდროინდელი ოდიშის საერისთაო აფუაზთა სამეფოსდროინდელი ბედიის საერისთაოა, ხოლო ამ საერისთაოს მმართველი დინასტია საღირისძენი არიან. საღირისძენი ბედიანის სახელით არიან მოხსენიებული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაში“. საღირისძე-ბედიელნი არიან ჩამომავალნი ვახტანგ გორგასლის თანამედროვე სამნაღირისა და მეფკვიდრეობით ფლობენ დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილს „რიონიდან ღალიძგამდე“, რაც ძვ. წ. III — ახ. წ. V ს.-ში „ეგრისისა და სუანეთის საერისთაოთა“; მას IX_X საუკუნეებში ბედიის საერისთაო, ხოლო XII საუკუნეში ოდიშის საერისთაო ეწოდება. ყველა ეს პოლიტიკური წარმონაქმნი ბედიის ირგვლივ იქმნება. ოდიშის საერისთაოს, შემდგომში სამთავროს ლეგიტიმურობის საფუძველზე განავებს საღირისძეთა საგვარეულო სახლი, ანუ დადიანი, ანუ ბედიანი. ეს უძველესი დინასტია საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის ხანაში სათავეში უდგას უფიდეს პოლიტიკურ წარმონაქმს „სამეფიანოს“. ბაგრატ VI მეფობისას (1466-1478 წწ) სამეფიანი განცალკევებულად პოლიტიკურ ერთეულად ჩანს, თუმცა ფორმალურად იგი აღიარებდა მეფის ხელისუფლებას. სამეგრელოს (ოდიშის) მმართველი იყო „ბედიანი“, ასევე აფაზრებდა „დადიანი-გურიელის“ ტიტულსაც. სამეფიანოს შემადგენლობაში საკუთრივ სამეგრელოსა და აფუაზეთის გარდა შედიოდა გურია, ასევე ქალაქები: ფოთი, ციხისძირი და ბათუმი.

სამეფიანოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის აღწერისას ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნში, მიუთითებს რა სამეფიანოს მოსახლეობაზე, აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო სამეგრელოსა და აფუაზეთის მოსახლეობა. XV ს. დამლეგსა და XVI ს. დასაწყისში ჯერ კიდევ არ იყო არავითარი ზღვარი, არავითარი ნიშან-წყალი რამე განსხვავებულობისა სამეფიანოს ამ ორ მხარეს შორის (აფუაზეთსა და სამეგრელოს შორის). ეს სრულიად უუნებრივია, რადგან მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვაროვნებას ეთნიკური ერთიანობა განაპირობებდა.

ბედიას, მას შემდეგ, რაც დაკარგა პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა, რელიგიური კერის დანიშნულებაღა შერჩა. XVII ს. I ნახევარში, იმერეთის მეფე გიორგი III ხანაში ქუთაისში მოწვეულ საეკლესიო კრებას ესწრება ბედიელი ეპისკოპოსი. უფრო ადრე, XVI ს. 40-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1515_1565 წწ.) ინიციატივით მოწვეულ საეკლესიო კრებას, რომელმაც დაგმო ტყვეების ყიდვა, ეხსნებოდნენ ბედიის, მოქვისა და დრანდის ეპისკოპოსები.

XVII ს. დამლევს, მას შემდეგ, რაც აფხაზმა ფეოდალებმა დაიპყრეს მიწები ღალიძგასა და ენგურს შორის, ბედია აღმოჩნდა აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში. ამ აგრესიის შედეგად მან საბოლოოდ დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისათვის და უბრალო დასახლებულ პუნქტად იქცა.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბედია ის პოლიტიკური ცენტრი იყო, რომლის გარშემო ხდებოდა დასავლეთ საქართველოში ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულის ფორმირება. ძვ. წ. აღ. III — ახ. წ. აღ. V საუკუნეში ბედია იყო ცენტრი „ეგრისისა და სუანეთის საერისთოსი"; IX_X საუკუნეებში მის გარშემო არსებობს „აფხაზთა სამეფოს" ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული. ოდიშის საერისთოსა და საბედიანოს გამგებელნი საღირისძენი (ანუ ბედიანნი-დადიანნი) განაგებენ თავიანთ სამფლობელოს ლეგიტიმურობის საფუძველზე, რადგან ჩამომავალნი იყვნენ „ეგრისისა და სვანეთის" ერისთავ სამნაღირისა (ახ. წ. აღ. V საუკუნე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუნანა ნიჟარაძე

ფოლკნერის ერთი რომანის ჟანრული თავისებურება

(„სული რომ ამომდიოდა“)

1929 წლის ოქტომბერში ულიანამ ფოლკნერმა რომანის „სული რომ ამომდიოდა“ წერა დაიწყო. მაშინ იგი 32 წლისა იყო და გამოქვეყნებული ჰქონდა ხუთი წიგნი: ლექსების კრებული „მარმარილოს ფავნი“, რომანები „ჯარისაცის ნაზღაური“ (1926 წ.), „ქინქლები“ (1927 წ.), „სარტორისი“ (1929 წ.), „ხმაური და მძვინვარება“ (1929 წ.).

ფოლკნერი, ამ დროისათვის, პოპულარული ნამდვილად არ იყო. მისი შემოქმედებისადმი მტრული დამოკიდებულებით განსაკუთრებით ამერიკული კრიტიკა გამოირჩეოდა, რომელმაც აპრიორულად უარყო და მიუღებლად გამოაცხადა ფოლკნერის მთელი პროზა, განსაკუთრებით კი რომანი „სული რომ ამომდიოდა“.

რომანი „სული რომ ამომდიოდა“ არის იოკნაპატოფას ციკლის მესამე რომანი. „სარტორისსა“ და „ხმაურისა და მძვინვარებისაგან“ განსხვავებით მას ჩვენ სოფლურ სამყაროში შევყავართ.

ედი ბანდრენი, მისისიპელი ფერმერის მეუღლე, ახალი გარდაცვლილია. მისი უკანასკნელი სურვილის აღსასრულებლად ბანდრენების ოჯახი წამოიწყებს გრძელი და რთული მოგზაურობას, რათა გარდაცვლილის ცხედარი ჯეფერსონის სასაფლაოს მიაბარონ. ეს, ერთი შეხედვით, უბრალო ამბავი არის მოთხრობილი რომანში „სული რომ ამომდიოდა“.

ფოლკნერის ამ ნაწარმოებს ბევრი კრიტიზული აღქმა, ახსნა თუ გაშიფრვა ერგო წილად. ერთ-ერთია მისი სახელდება ნატურალისტურ რომანად. ფოლკნერს კი ეცინებოდა, „მართობს, როდესაც მესმის, თუ როგორ ლაპარაკობენ ისინი სოციოლოგიურ სიტყვაზე, რომელიც ამ რომანში წარმოვსახე“.

ზოგიერთი კრიტიკოსი მას ფილოსოფიური რომანის განსაზღვრებას მიუსადაგებდა. უეჭველია, რომ აქ, ისევე როგორც ფოლკნერის თითქმის ყველა რომანში, მორალური და მეტაფიზიკური კონცეფციებია ცენტრალურ ადგილზე.

რომანის აღქმა პოლარულად განსხვავებულია, ზოგი მასში კომიკურ ელემენტს გამოყოფს, ზოგი მის ტრაგიკულ ასპექტებს ანიშნებს უპირატესობას, ზოგი კი მას ეპიკურ რომანად წარმოადგენს. ის ძირითადი იდეა, ფოლკნერის აზრს თუ დავეყრდნობით, რომანის მასაზრდოებელი რომ იყო, თავის ჭეშმარიტ სიმარტივეში ეპიკური იდეაა: „მე ავიღე ეს ოჯახი და განვაცდევინე ორი უდიდესი კატასტროფა, რაც კი ადამიანმა შეიძლება განიცადოს: წყალდიდობა და ხანძარი. სულ ეს არის“.

„ეპოსი, ტრაგედია თუ კომედია? ეს ალბათ არ არის სწორად წამოჭრილი კითხვა. რადგან ამ რომანის ტრადიციული პოეტიკის ეანრებში მოთავსებით ჩვენ უარვყოფთ იმ დისონანსს, საიდანაც მისი საწყისი ამოიზარდა. — წერს ანდრე ბლეიკასტენი, — ამ რომანის ესთეტიკური თვისება, ალბათ, ის არის, რომ იგი არც ეპოსია, არც ტრაგედია და არც კომედია, არამედ სამივე ერთად“.

ის, რასაც ფოლკნერი მოგვითხრობს, არის მოგზაურობის ამბავი. მოგზაურობა თხრობის არქიტექტონიკა ჰმიერსის „ოდისეიდაა“ მოყოლებული ჯოისის „ულისესამდე“. ის აუცილებელი ვარიაციებით გვხვდება, როგორც თხრობის ერთ-ერთი საყრდენი, ბითოლოგიიდან და ფოლკლორიდან მოყოლებული მეოცე საუკუნის უახლეს ლიტერატურამდე.

როცა ამ რომანს ვკითხულობთ, ისეთი განცდა გვეუფლება, თითქოს ფოლკნერმა ამ ნაწარმოებში საუკუნეების განმავლობაში შექმნილი მოგზაურობის რომანის სხვადასხვა ელემენტები შემოიტანა.

„სული რომ ამომდიოდა“, გზაზე დამდგარ ადამიანთა ამბავი, მოგვაგონებს პიკარესკულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციას და მეხსიერებაში ამოაფენენ ბეჭდავენ ზღაპრის, ეპოსის, თუ მითის ფანტასტიკურ და ზღაპრულ მოგზაურობას.

ანდრე ბლეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი. სიგიეე ყველგან სახეზეა, ის არის სიტყვათა ამაკალილიზურ ფუნქციოგობაში და ცნებათა კოსმიურ ალრეკვაში და, რაც მთავარია, ბანდრენების ტოტალურ უაზრობასა და დაბნეულობაში. იხეკე როგორც „მეფე ლირში", ადამიანთა სიგიეე აქაც სამყაროს სიგიეის გამოძახილია. სიგიეის ალუაცებელი ფორმები ექოუნად და ერთმანეთისადმი დასმულ ეკითხვებად განიფიენებიან მთელ რომანში და გაორებისა და ირონიის სამყაროში შეეყალრნ. „მეეკვები, რომ ადამიანს ისინ განსაკუთრებულს, თუ ვინ არის შეშლილი და ვინ არა, ალბათ, ყოველ ადამიანში ჩაბუდებულია ის, ვინც მის მაგიერად სჩადის ეკეთინურს და უგუნურ საქმეს და ვინც ამ ადამიანის ეკეთინურ და უგუნურ საქციელს ერთნაირი შეშფოთებით, ერთნაირი გოიცებით აკვირდება". — ეკეთხულოთ კეშის შინაგან მონოლოგში.

რომანში „სული რომ ამომდიოდა", პასტორალური ელეგიის მსგავსად, ახლოებელი ადამიანის სიკვდილი არის ალწერილი. ენსი კარგავს მეუღლეს, ბავშვები დედას. ფოლკნერთან ეს ფაქტი ინტერპრეტაციის მეფიუმად იქცევა. მწერალი თავის გმირებთან ერთად უპირისპირდება სიკვდილის შედეგს, პაროლდ ბლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქაული გონის პრიმიტიული საფუძვლებიდან, რადგან სიყვარული და დამადები თემები წარმართავს არქეტიპული სახეები თუ საფუძვლები, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვან საყრდენებს ქმნიან.

„სული რომ ამომდიოდა“ არის ამბავი მოგზაურობისა — მოგზაურობა არის სიცოცხლისა და სიკვდილის სიმბოლეკა პრიმიტიული გონისათვის ან ბავშვის წარმოსახვისათვის. სწორედ ამ არქეტიპული მეტაფორიდან ამოიზრდება, რეალური მოქმედების პარალელურად, სიმბოლური და რიტუალური მოქმედება, რომელიც რომანს მითოლოგიურ განზომილებას ანიჭებს. „სული რომ ამომდიოდას“ სტრუქტურული მეტაფორა არის მოგზაურობა სიცოცხლიდან სიკვდილში და სიკვდილიდან სიცოცხლეში.

ეს არის ედის უკანასკნელი მოგზაურობა, რომლითაც მისი სხეული უბრუნდება თავის დამადებისა და წინაპრთა ადგილს. დამბრუნება ხდება დამადების, სქესის, სიკვდილის ნიშნის ქვეშ და ყოველივე ამას წარმართავს და გზას უნათებს დრო.

ედისათვის დასაფლავების იქ პროცესია მისი მოუსვენარი და მშობთვარე ცხოვრების გამეორებაა, როგორც რაში აღნიშნავდა, მისი ეს მოგზაურობა მეხსიერებაში აღძრავს „ფოლკლორულ სურათს, როდესაც ჩვენ ვხედავთ მიცვალებულს, დიდის გაკიჟინებით რომ აღწევს სულთა სამეფოს, საშინელი ამბებით აღსავსე მოგზაურობის შემდეგ. სიკვდილის ოთხი ქვეყნიდან ედი ამ მოგზაურობისას არც ერთს გვერდს არ უვლის. მისი კუბო წყალში ადმოჩნდება, ხანძრისას შესაძლოა რომ დაიწვას...“

ედისათვის სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლის გზა არის სარაინდო რომანებისათვის დამახასიათებელი რიული მოგზაურობა, რომელიც თავის გზაზე უამრავ მოთხა თუ ლეგენდას გადაკვეთს.

ედის თანმხლები პირნი, ჯეფერსონში რომ მიაცილებენ, ეგვიპტელთა და ბერძენთა მენავეებს მოგვაგონებენ, მიცვალებულთა სულები ამ სამყაროდან იმ სამყაროში რომ გადაჰყავთ. მოგზაურობა არის გზა ერთი სამყაროდან მეორეში და რომანში „სული რომ ამომდიოდა“ ეს მოგზაურობა ეკუთვნის არა მარტო სიკვდილს, არამედ სიცოცხლეს. დაკრძალვის რიტუალი ახალგაზრდა ბანდრენებს პირისპირ დააყენებს ტუუპიცალად ქცეულ სიცოცხლესა და სიკვდილთან. მარკო ელიადის ანთროპოლოგიურ ნარკვევში „დამადება და ხელახალი დამადება“ ნათლად ჩანს, თუ როგორ დიდი მსგავსებაა რომანსა და ასეთ რიტუალურ საფუძველს შორის.

რომანი „სული რომ ამომდიოდა“, „ელეგიური რომბესის“ მსგავსად, ფორმითაც ელეგიურად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ძიება ორივე ხასიათისა — მთხრობელისა და მთხრობელის გმირისა — წარმოშობილია დანაკარგთა ხასიათად მასშტაბური, მრავალფეროვანი და უნიკალური სისტემით, რომელშეაც ინდივიდის მგრძნობელობა სამყაროში შესაძლოა სენტიმენტალიზმი, ნოსტალგია და უიმედობა დაამკვიდროს.

როგორც კენეთ ბრიუფე აღნიშნავს, ელეგიური რომანისა, „მეორე მახასიათებელი ისაა, რომ ნაწარმოების სათაური არის თვალთმაქცური, შეშაცდენელი და ირონიული“.

ფოლკნერი რომანში „სული რომ ამომდიოდა“ ეურჩდებას მიგვაქცევნებს ამბის მოჩვენებით გმირზე, მაგრამ, ამავე დროს, წარმართავს ამ ეურჩდებას ისე, რომ უკუაგდო ეჯვი ედის, როგორც გმირის, მოჩვენებით კანონიერებაზე იქამდე, სანამ დაიწყება თხრობა, რომანის სათაურის სიცდარე, მისი არასწორობა გამოაშკარავდება საკმაოდ სწრაფად და მაშინათვე ჩვენ ვიგებთ, რომ რომანის სათაური „ცილდება ფოლკნერის თვალსაზრისს. თუმც ეს სათაური — „სული რომ ამომდიოდა“ — შესაძლოა იკოს პირველი ეტაპი, პირველი მოძრაობა სხეულისა, პირველი მიმიკა ფოლკნერის რიტორიკულ კომპლექსში.

„სული რომ ამომდიოდა“ ფოლკნერის სუფთა ბიოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოგვიჩენს და სიკვდილთან შერიცენების ვარიაციებს ქმნის. სწორედ ეს არის გადაწყვეტი და კრიტიკული ფაზა მწერლის პირადი ემოციური გახსნისა და გამოაშკარავებისა და ეს ფაზა მთავრდება იმ პრობლემის წარმოვნით, რითაც ნაწარმოების თხრობა ნაკარნახევი.

რომანის სტილისტური ტექნიკა, რომელიც რომანის ქრონოლოგიას წარმართავს, იცვლება ფოლკნერის ინდივიდუალური და ზოგჯერ ძალზე უცნაური აზროვნების წყობის მიხედვით.

ფოლკნერის რომანში „სული რომ ამომდიოდა“, ისევე როგორც „ელეგიურ რომენსში“ მთხრობელის მიზეზი არის გამოუსწორებელი დანაკარგი მისი გმირისა, თხრობა ამბისა არის მისი დაკარგული გმირის გახსენება, მისი უკვდავყოფა. მაგრამ ვინ არის რომანის რეალური გმირი? ვისი დანაკარგი არის ნაკარნახევი გმირის გახსენება და ბოლოს, ვის ამოსდის სული?

თხრობის რეალური მიზეზია ფოლკნერის სურვილი, ხელახლა მოიპოვოს თავისი შინაგანი სამყაროს კავშირი, „კავშირი, რომელიც დაიკარგა მაშინ, როდესაც მწერალმა დაკარგა მთხრობელის ტრადიციული სფერი“.

„უეჭველია, იგი სხვის დაუზმარებლად ხდება, რომ ჩვენი სიიდუმლოებანი ქვეცნობიერშია გაფდეენილი. იგი ოცნებობს ცნობიერებაში იმ მთლიან ცდომილებაზე, რომელსაც ჩვენ თვითონ შევქმნიდით ჩვენს თავში“ — წერდა ფან-პოლ სარტრი. ფოლკნერის შემოქმედების აურაცხელი პრობლემების გადასაჭრელად კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ გზას გვთავაზობდა — „საჭირო თვითონ იმ კაცს იცნობდე“.

ფოლკნერი, რომანის „სული რომ ამომდიოდა“ მთხრობელი, გამორჩეულად XX საუკუნის პირიქითგზად გვევლინება, რომლისთვისაც დამახასიათებელია თვითმოკვეთა, მისი მთავარი მიზანია მოიპოვოს თავისი შინაგანი სამყაროს დაკარგული კავშირი და ამას ახორციელებს თავისი პირადი წარსულის წარმოსახვით. ეს მეოთხე ფოლკნერისათვის მოკმედებს პირველყოვლისა იმიტომ, რომ თხრობა არის მეხსიერების გამოცდილების ‘გარდასახვა სიმბოლოებში. სიმბოლიზაციის ეს პროცესი კი უფრო ქმედითია და უფრო ღრმა, ვიდრე წარმოსახვა.

„სიმბოლიზაციით — წერს ერნსტ კასირერი „სიმბოლური ფორმების ფილოსოფიაში“ — ჩვენ ვაღწევთ ცნობიერების მუდმივი ნაკადიდან არსის კონცენტრაციას“.

ეს ექსტრაქტი აფიქსირებს მასალას, ისე რომ ჩვენ შეგვიძლია მის პირისპირ დავდგეთ წარმოსახვაში, დავუპირისპირდეთ მას, როგორც არსებულ წარსულს და არა როგორც ჩვენს ცნობიერებაში გაფანტულსა და გამჭრალს. ფოლკნერი, „ელეგური რომენსის“ მთხრობელის სხვგასად, ამ პროცესში ახლენს თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების გაცნობიერებას და სწორედ ეს გამოცდილება ქმნის ფოლკნერის ამბავს რომანში „სული რომ ამომდიოდა“. სწორედ ამ გამოცდილებაზე არის დაფუძნებული ფოლკნერის მონათხრობი და სწორედ თხრობის პროცესში აღმოაჩენს მწერალი „თავის საკუთარ ფიქრთა და პიროვნების რიტმულ გადაჯაჭვას, გადახლართვას თუ გადაბმას“, როგორც წერს ნაბოკოვი.

რომანი „სული რომ ამომდიოდა“, როგორც „ელეგიური რომენსის“ ნიუში, გვიჩვენებს: მაშინ, როდესაც სიმბოლოთა სისტემა სტატიკური მდგომარეობიდან დინამიურში გადადის და სიმბოლიზაციის პროცესად იქცევა, მას ენიჭება ძალა ცნობიერის მოვლენების ფიქსირებისა, მთხრობელის გმირი კი ხდება ანონიმური მთხრობელის ცნობიერში და ქვეცნობიერში მოცემული სურათისა. ამბის თხრობით იცვლება მენტალური სურათი, პერცეპციული პარადიგმა, რომლითაც მთხრობელი ახდენს ამბის განმარტებას.

ფოლკნერის გმირი არის მისივე „საიდუმლო საჭიროებების“ (რობერტ პენ უორენის დეფინიცია რომ გამოვიყენოთ) განსხვავებული ანარეკლი. მისი ამბავი მოგვითხრობს, თუ როგორ მოახერხა მწერალმა ამ „საიდუმლო საჭიროებების“ მოქცევა გმირის არსებაში.

ფოლკნერი წარმოსახავს ადამიანებს, რომლებიც მასავით მოკვდავი არსებებია. სწორედ ამითაა გაპირობებული ფოლკნერისათვის სიკვდილით გამოწვეული სტრესი და ამ განცდის ვარიაციებს უძღვნის იგი რომანის არიერი პასაჟს.

„ელეგიური რომენსის“ გმირი გარკვეულ ჩარჩოებშია მომწყვდეული (იგი ექვემდებარება ამ ჟანრის მიერ დაკანონებულ გმირის მოდელს). ფოლკნერი „ელეგიური რომენსის“ კლასიკური მთხრობელისაგან განსხვავებით, გმირის ჩარჩოებში მოქცევას უარყოფს, რადგან კარგად მოეხსენება, ბოლომდე თავისუფალია ის, ვინც ახვათა (თუნდაც პერსონათა) თავისუფლებისათვის ზრუნავს და მკითხველსაც ამავე განცდით აღავსებს.

ჯეიმს ჯ. ვინი რომანზე წერდა, რომ მას „აქვს შესანიშნავი იმუნიტეტი სქემატიზაციის წინააღმდეგ“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს წიგნზე კამათი, მისი ანალიზი. ერთადერთი მცდარი გზა არის რომანის ერთი მნიშვნელობით დავკმაყოფილდეთ და ვერ დავინახოთ, ვერ შევიგრძნოთ, ვერ გავითვისოთ მრავალსახოვნებისა და მრავალმნიშვნელობის ის მიკროსამყაროები, რომელთა ურთიერთკავშირი ქმნის უილიამ ფოლკნერის რომანს „სული რომ ამომდიოდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური რედაქტორი ზიული სირაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 11.03.93 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.04.93 წ., ქაღალდის ზომა 70X108[1]/[16], ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ თაბახი 13.05. შეკვეთა 376. ტირაჟი 3200.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

ფასი 20 მან.

ინდივიდი ეროვნ